ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

11

1988

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

376

ბაკოცევის ოცდაათთართვლა წელი

11

ნოემბერი

1988

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა და პოეზია

3. რევაზ ჯაფარიძე — წაბლა და ნუბეშა. მოთხრობა
27. ლალი თოთაძე — ლექსები
35. მიხეილ ანთაძე — მოთხრობები
45. გიგლა სარიშვილი — ლექსები
47. ალექსანდრე გაგური — ლექსები
50. ნანა გოგუაძე — ლექსები
52. ზეინაბ მეტრეველი — მოთხრობები
62. ავთანდილ ჩხაიძე — ლექსები
64. გაღრი გუგუშვილი — ლექსები
67. ემზარ ოგანაშვილი — ჟალტამი. მოთხრობა
76. მარინე ხუციშვილი — ლექსები
77. ნუგზარ გელაშვილი — ლექსები
78. გოგი მაისურაძე — კურისმტეები. მოთხრობა
88. ნინო სიხარულიძე — ლექსები
90. ლია გედოშვილი — ლექსები

ახალი თარგმანები

92. ჰაინლეა გაგირაკი — ლექსები. თარგმნა ვაჟა ხორნაულმა

გახსენება

94. ვლადიმერ მაჩაიძე — ლექსები

გარდაქმნა დროის მოთხოვნაა

96. ამირან კალაძე — მეორე აზრი
101. ლიტერატურული სიახლენი
102. მერაბ ბერძენიშვილი

წ ე რ ი ლ ე ბ ი

104. კოგა იმედაშვილი — ოთარ ჭილაძის „მარტის მამალი“
111. დავით მჭედლური — ადამიანები და ხასიათები
116. რამაზ გახოკიძე — მეცნიერული და მხატვრული შემოქმედების ურთიერთობავლენის საკითხისათვის
122. გურამ ყორანაშვილი — ეროვნული და სოციალური განთავისუფლების საკითხი ილიას ნააზრევსა და პრაქტიკულ ნაღვაწში
131. მანანა ყიფიანი — „გლახ ბედისაგან ესრეთ დასჯილი...“
138. ელდარ ნადირაძე — ფიგნი ხალხური ორნამენტის სიმბოლიკის შესახებ
141. დავით აბაშიძე — ორმეფობა ძველ ქართლში
145. ნათელა ფოფხაძე — მიხეილ თამარაშვილის არქივის იტალიური ფონდის სიახლეები
152. ილია ანთელავა — მნიშვნელოვანი ნაშრომი მთის კუთხეების ლოკალიზაციისა და ეთნონიმიკის შესახებ

რ ე ც ე ნ ზ ი ა

155. ელდარ კერძევაძე — როცა თანაავტორი სიყვარულია
159. ქ რ ო ნ ი კ ა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ფეინგოლია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თეიმურ ბეძიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გივი გეგეჭკორი
გურამ გეგეშიძე
გიორგი გუბლია
თეიმურაზ
ფოფიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მეფეა კახიძე
ზოთა ნიშნიანიძე
გურამ შანკოიძე
მორის ფოფხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ავთანდილ
ჩხეიძეშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი ფერეთელი
გიორგი ქანტარია
ტარიელ ქანტარია
ბაღრი ბოსტანელიძე
მაკა ჯოხაძე

რევაზ ჯაფარიძე

ნაბლა და ნუგეში

მოთხრობა

1

— პრამონა!..

— ვინძახა იძახის, ქალო!

— ჩვენ კარებზეა ვითომ?

— პრამონაო, ვერ გაიგონე? ადექი, გახედე!

— მე გავხედო უცხო კაცს შუაღამისას?

— ვინ უნდა იყოს ამისთანა დროს?

პრამონამ ფეხები გადმოყარა ლოგინიდან და სიბნელეში სკამის ზურგზე გადაკიდებულ გალიფე-შარვალს დაუწყო ძებნა.

— პრამონა!.. — უფრო რიხიანად და ცოტა არ იყოს გულმოსულად გაისმა ჭიშკართან.

— თავმჯდომარეა! — დარწმუნებით თქვა ცაბუმ და თავადაც წამოჯდა, სიბნელეში თავსაფარს წამოავლო ხელი, ჩამოშლილი თმა მარჯვედ აიკეცა და თვალის დახამხამებაში თავსაფარი შეიკრა. ქმარს ჯერ ცალი ფეხიც არ გაეყარა გალიფეში, ის რომ უკვე ზეზე იყო და ჭრაქს ანთებდა.

— სად მიხვალ, ქალო, შენ გახედავ, თუ? — პრამონას გული ავად შემოსჩიოდა, წინათგრძნობა სტანჯავდა. სიკვდილი ერჩივნა ახლა გარეთ გასვლას და უდროო დროს მოხეტებულ თავმჯდომარესთან საუბრის გაბმას, მაგრამ ცოლისა რცხვენოდა, ფიქრი ხმამაღლა ვერ გაემხილა და ეს უასიდად ჰკითხა.

— ეგ კაი საქმეზე არ უნდა იყოს მოსული! შენ იყავი, ვითომ არა ხარ სახლში, მე გავხედავ!..

ამ სიტყვებზე ქალი ქმრის თანხმობას აღარ დაელოდა. ურდული გასწია, კარი გააღო, ზღურბლზე გადადგა და აბრიალებული ჭრაქი თავს ზემოთ დაიჭირა:

— ბატონო!.. რომელი ხარ? აქეთ იძახი ვინმე?

— სამსო ვარ, სამსო, თქვენ დაგაყრუთათ ჩემმა გამჩენმა, ძინავს პრამონას?

— უი, სამსო, — ქალმა თავმჯდომარეს ტყუილი ვერ შეჰბედა, მაგრამ იმდენი მაინც მოახერხა, რომ პირდაპირ პასუხს თავი აარიდა. — ახალი მოსულია. ივახშმა და ეს არი მიწვა. ხვალ დილას ადრეა ასადგომი. ამბაკომ უნდა გამოუაროს. ხომ არ გავაღვიძო?

— რა უნდა ქნა. აბა, ქალო, შენ ჭკუა ხომ არ გაგითხელდა? გააღვიძე! გამიხდა ეგეც მუხრან-ბატონი!

— ახლავე, სამსო, შენი ჭირიმე, ახლავე გეახლება!

— რაიო? ჩურჩულით ჰკითხა ცოლს პრამონამ, როცა ის ოთახში შემობრუნდა, თუმცა ყველაფერი გაიგონა და ქუსლებწითელილ ჩლატებში ფეხებწადგმულმა ხვანჯარი შეისკვნა.

— დავიღუპეთ, პრამონა! არ არის ეგ კაი საქმეზე მოსული!

— რა მინდაო? — ცოლის წინაშე რომ სიმხდალე არ გამოეჩინა, პრამონამ ეს აგდებულად ჰკითხა.

— პრამონა გამოვიდესო.

— ეგ მეც ვიცი, ყრუ არა ვარ, გავიგონე! ვერ უთხარი, არ არის სახლში. ქვედა უბანში კაცს ახმარია და ჯერ არ ამოსულა-თქო?

— ვერ ვუთხარი, შე კაცო, ხომ იცი, ტყუილის თქმას სიკვდილი მირჩევნია!

ცოლის უგერგილობის გამო გამწყრალი, უფრო კი თავმჯდომარის უდროო დროს სტუმრობით შეფიქრიანებული პრამონა გარეთ გავიდა და გულდაგულ ჭიშკარს მიაშურა. იქ სამ თუ ოთხ ციცინათელას მოჰკრა თვალი და უმალვე მიხვდა, რომ ეს ციცინათელები არ იყო, ჭიშკარს გადაღმა, შუკაში, კაცები იდგნენ და პაპიროსს აბოლებდნენ.

„უყურე შენ, მარტო არ ყოფილა, — გაიფიქრა პრამონამ და ნაბიჯს აუჩქარა.— რა საქმეზე უნდა მოხეტებულიყვნენ ასე უდროო დროს? მტრისა და ავისას, დაჭერას ხომ არ მიპირობენ? ვაი, ცოლ-შვილო!..“

— შენ ხარ, ბიჭო, პრამონა? — შორიდან მოაგება სამსომ, მისი ფეხისხმა რომ გაიგონა.

— მე ვარ, მე, სამსო, რა შორიდან იძახი, შე კაცო, ვერ შემობრძანდი ეზოში? საღამო მშვიდობისა! თუმცა რაღა საღამოა ახლა...

— ეგ „საღამო მშვიდობის“ შენთვის შეინახე, გამოგადგება და ერთი ეს მიპასუხე, თუ კაცი ხარ: ციგნობას და მამაძაღლობას დაანებებ თუ არა თავს შენ?!

— მე მეუბნები მაგას, სამსო? ყური ხომ არ მატყუებს?

— ვის ვეუბნები, აბა, პაპაჩემ პეტრიას?

— ჩემი ციგნობა და მამაძაღლობა, მაგათ კითხე მადერ, თან რომ მოგიყვანია, შენს მეტს არავის უთქვამს ჯერ ნამანევში, არ შომდგამს მამა-პაპით და, თუ გიყვარდე... — პრამონამ აღარ დაამთავრა, თუმცა ამით ბევრად მეტი თქვა, ვიდრე შეიძლებოდა სიტყვებით გამოეთქვა.

— მოუკვდა სიყვარულს პატრონი! აქეთ მაფრთხილებ და მემუქრები? თუ არა, რას იზამ? ხახვი არ დამაპრა ყურებზე!

— რას ვიზამ და მოხტომას არ შეგარჩენ. მეც კაცი ვარ. რა ვუყოთ, თავმჯდომარე და ბრიგადელი ხომ არ ვიქნებით ყველა!

— ენას კბილი დააჭირე, შენთვის მირჩევია მე, პრამონა დარახველიძე! მუქარით სხვები დააშინე! ველევში, სვიმონკა მაცაბერიძის ბოსელში, ვისი მოზვრები აბია?

პრამონა ამ საბედისწერო კითხვას მოელოდა და გაიგონა თუ არა, რომ თავმჯდომარემ სწორედ ის ჰკითხა, რისაც ყველაფერზე უფრო ეშინოდა, მხნეობამ ერთბაშად უღალატა და გუნება გაუფუჭდა.

— ველევში? სვიმონკა მაცაბერიძის ბოსელში? — პასუხი მაინც აიცდინა და, მისთვის რომ გეკითხათ, იქით შეუტია. — არ ვიცნობ მე არავითარ სვიმონკა მაცაბერიძეს, არც !გამიგონია. ვინც იცნობს, იმას კითხე ეგ!

— შენ იქნება არც მოზვრებს იცნობ, ვაჟბატონო!

— არა! რა ვიცი მე ვინძახა სვიმონკა მაცაბერიძე და იმის მოზვრები! ჩემი საქონელი ჩემ ბოსელში მიბია მე. სხვისაში მე საქონელს არ ვაბამ. რა გამიჭირდა მაგის ფასი!

— ამას უყურეთ, ხალხო, რომ არც წითლდება. გინდა, მაგ ტყუილისთვის და თავრობის თვალის ახვევისთვის ციხეში ამოგალპო?

— ამომალპე, ქვეყანა თუ ჩალით არის დახურული!

— არ შამომიყვანო ახლა მანდ, პრამონა, თუ არა, გაგიგდებ ფეხქვეშ და, ეს ულაში შემირცხვეს, რაც სიგრძე გაქვს, იმ სიბრტყეს მოგცემ! შე წუწკო მამაძაღლო, ვის უბამ თვალს, მე, სამსო ბიჭაშვილს? ვაი, რატომ ცა არ ჩამოწვება და ქვეშ არ მოგიტანს! სვიმონკა მაცაბერიძე რომ შენი ნათლიმა-

მამაა, არ ვიცი, გგონია? შენ არ იყავი, ბიჭო, შვილი რომ მოუნათლე? მატყუებ შენი ბნელი ჭკუით, არ ვიცნობო და არც მოზვრები ვიცი ვისიაო?

— იყოს, თუ გინდა, ნათლიმამა, ვთქვათ, არის კიდევაც, შენ რა დიდ გულზე ხარ, არ შეიძლება, კაცმა კაცს სიკეთე უყოს და შვილი მოუნათლოს?

— რავა გგონია შენი მოკლე ჭკუით, მარტო ნამანევშია. საბჭოთა ხელისუფლება, ველევში მენშევიკებმა გაიმარჯვეს? რომ გადაგირეკია ის მოზვრები და სხვის ბაგაზე დაგიბამს, რავა გგონია, ქვეყანას თვალები აქვს დავსილი, ვერ დაინახავდა და იკითხავდა, ვისია ეს უპატრონო საქონელიო? შე მამასულძაღლო, ჯერ არ გაგიგონია, ახლა პირველად გესმის, რომ სოფელში მაცხოვრებელ გლეხს, კოლმეურნეობის წევრს, კოლმეურნეს, უფლება არა აქვს, ერთი ძროხის და მისი ერთი ნამატის მეტი იყოლიოს? რამდენჯერ გამოგიცხადეს საერთო კრებაზე, ხელი რამდენჯერ მოგაწერინეს? არ მოგაწერინეს?

— მომაწერინეს, — პრამონა მიხვდა, ორივე ფეხით ხაფანგში იყო გაბმული და თავი მოთოკა, საქმე რომ უფრო არ გაერთულებინა, რამდენადაც შეეძლო, მორჩილად უპასუხა.

— მერე? — სამსო მის უკანასკნელ სიტყვას ჩაეჭიდა. — სად გაზარდე ორი სახარე მოზვერი, ოცდახუთი ფუთი მაინც იქნება თითო, ვინ მოგცა მაგათი გაზრდის ნება?! გინდა, პარტიიდან გაარიცხვინო ჩემი თავი, საქვეყნოდ გამომაჭენო? რატომ არ შემოიყვანე კოლმეურნეობაში, ან ცხოველდამზადებას რატომ არ ჩააბარე?!

— ვერ გავიმეტე, სამსო, მარჯვენი შემახმეს, ოთხივე შვილი დამეხოცოს, დასაკლავად... იმისთანეები არიან, ასე იტყვი, ეს რა ვნახეო. მომკლა და დამანელა იმათმა საცოდაობამ. მოყვარეში ვმალავდი. იქაც გაჩნდა კაცი, დაგვაბეზღეს. წამოვიყვანე და ბოლოს სვიმონკას მივაბარე. არ უნდოდა დატოვება, მაგრამ ძალიან შევეხვეწე, ყელი გამოვუწიე და ხათრი ვეღარ გამიტეხა. კი ვიცოდი, სანდო ადგილი არც იყო, მარა... გვაპატივე, სამსო, თუ ღმერთი გწამს. ამ პატიოსან ხალხთან გეხვეწები და გიჩოქებ. რა ვქნა მეტი. ეგ საცოდავები შვილებში არ მერჩევა. მაგათი საერთო ბოსელში შერეკვა და ჩემი სიკვდილი ერთი იქნება. ნუ ჩადგამ ფეხს ჩემი წვრილშვილის საცოდაობაში! წამოიზრდებიან ისინიც. კაცი შეუხვედრელი არ არის!

— შენთვის ახალ კანონს გამოუშვებს მთავრობა, თუ იცი? ჰა, მითხარი, გამოუშვებს ცალკე კანონს?

— აბა, რა ვქნა?

— სანამდი კაცი არ გამიგზავნია, თავად გადადი, გზა უკეთ იცი და კვალი, ჩააბი რქებში ბაწარი ორივეს და გადმორეკე!

— მერე, სამსო?

— რა მერე, მაგას კითხვა უნდა? ჭურში ხომ არ ზიხარ შენ, კაცო?

— არ შევაბამ, ბატონო, უღელში, არ გავხედნი, იყოს ისთე!

— კანონს რა ვუთხრა?

— შენ ხელში არ არის კანონი? რავარც შენ იტყვი, ისთე იქნება!

— დროით ახლა, მეორედ აღარ დამაძახებინო, იცოდე, ყოველთვის კარგ გუნებაზე არ შეგხვდები! აღმა-დაღმა სიარული კი არ მეხალისება.

სამსომ საგონებელში ჩავარდნილ პრამონას პასუხს აღარ მოუცადა, აღვირი დაამოკლა და ცხენს, აქამდე რომ მოუსვენრად როკავდა ერთ ადგილზე, შესაჯდომად მიემარჯვა.

— რაიო, იმ ჩემი ცოდვით სავსემ? — კართან მოეგება თავის შავბნელ ფიქრებში გართული პრამონას ცოლი.

პრამონამ, თითქოს არც გაეგონოს, რა ჰკითხეს, პასუხი არ გასცა, ლოგინზე ჩამოჯდა და თავი ჩაქინდრა.

— ენა ჩაგივარდა? აღარ იტყვი, რას გვემართლებიან?

გაგონებით, რასაკვირველია, ქალმაც ყველაფერი უკლებლივ გაიგონა, რადგან კართან იყო მიყურადებული, მაგრამ სინამდვილის შეტყობა მაინც

ქმრისაგან უნდოდა, ქმრის პირიდან რაღაც უფრო სანუგეშოს მოელოდა.

— მოზვრები მიუგზნიათ, — მოკლედ თქვა პრამონამ და გაჩუმდა, შემდეგ კი ასევე მოკლედ დაუმატა: — გაგვცა ვინ-ძახა უღმერთომ!

— უი, ღმერთო შენ მომკალი! — შეიცხადა და მუხლებზე ხელები წაი-შინა ცაბუმ. — რა ვქნათ ახლა, რაღა გვეშველება?!

— მაგას ვფიქრობ მეც!

— ბოვშები გადაგვერევიან, თუ არა მე სხვას აღარაფერს დავეძებ. გეხვეწე, გემუდარე, დევიცალოთ ხელი, ან შე-ვიყვანოთ იმ დასაქცევში, რავარც სხვა ხარები შევიყვანეთ, საყოლებელს ვის არჩენენ დღეს, შენ რომ შეგარჩინონ, ან სხვა რაღაცა ვისაშველოთ-თქვა, მა-რა არ ქენი, ქვა ააგდე და თავი შეუ-შვირე, არ გჯერა კაცის სიტყვა!

— მე ვარ, ბატონო, ყველაფერში დამნაშავე!

— რა გზას დავადგეთ ახლა, რას ფი-ქრობ?

—ცოცხალი თავით ვერ გავიმეტებ მოზვრებს. რაც უნდათ, ის მიქნან! ბო-ვშებმა გაიგეს რამე?

— არა მგონია, ძინავთ.

— ნუ გაგებინებ.

— რავა, შენ საღმე მიდიხარ, თუ?

— ველევში გადავალ.

— ამ შუაღამისას?

— სანამდი გადევიდოდე, გათენდე-ბა!

— რა გინდა მაინც ველევში, რა უნ-და გააკეთო?

— შეაწუხებენ კაცს ჩემი გულის-თვინ. რა ღმერთი გამიწყრა, რომ მე იქ გადავედი და ის საცოდავი მოზვრები გადავრევე!

— ბოვშების თავს გაფიცებ, პრა-მონა, გლახა არაფერი იფიქრო. მარ-ტო ჩვენს თავზე ხომ არ არის ეს ამ-ბავი. ავყვეთ, დავყვეთ ჩვენც, შვილე-ბის პატრონები ვართ, ნუ მომასწროს მამაზეციერმა იმათი გაპირვება, თავ-რობის გადაკიდება არ ივარგებს!..

— ჭადი და ყველის ნატეხი ჩამიდე-ვი აბგაში.

— ბოვშების თავს გაფიცებ, პრამონ-ა!..

მეზობელ ოთახში, ტიხარსუკან, სა-წოლმა გაიკრაჭუნა, ფიცრული კარი ჭრიალით გაიღო და თამგაბუძგულმა უფროსმა ბიჭმა, შიუნამ, შემოიხედა,

— ამბავი! — ნაძალადევი ხალისით შეაგებეს თავიანთ მწარე საფიქრალს მიცემულმა დედამ და მამამ.

— რატომ არ გძინავთ?

— შენ რაღამ აგაყენა? სტუმარი გვყავდა, შვილო, ფეხად გაგასწრო, — ორივეს მაგივრ დაყვავებით მიუგო ცაბუმ. — ადრეა ჯერ. მამლებმა ახლა იყივლეს. დაწექი. გათენებამდე სამ პირ ძილს გამოაცხობს კიდევ კაცი.

— ვიცი, ვინც სტუმარი გყავდათ.

— უიმე, ქე გეღვიძა, დედა?

— წაბლას და ნუგეშას, თუ გინდა მომკლან, არავის დავანებებ!

— ამხელა თავრობას ეს თითისსიგ-რძე ღლაპი დოუდგები წინ? ლუკმად არ ეყოფი. არა, შვილო, თავრობის მო-მრევი ახლა არავინ არი. ღმერთმა, მა-მაზეციერმა დაგვიფაროს მისი გადაკი-დებისაგან! გადი, დედა, ჩაწექი ლო-გინში და დაიძინე, იმათაც ნულარ გა-მოაღვიძებ. მე და მამაშენი რაცაღას ვისაშველებთ!

— წაბლას და ნუგეშას არაფერი დოუშავდეთ თუ არა, ამ სახლიდან გა-დევიკარგები!

— გესმის, კაცო, რას ამბობს?

— მესმის, — პრამონამ სანახევროდ დაჩუტული საგზლიანი აბგა მხარზე გადაიკიდა, ლაფაროში ჯოხი გამოძებ-ნა, დაიბიჯგა და ველევის გზას გაუდ-გა. გზაზე ორჯერ მეტად არ დაუსვენია. დაღლილობა მძიმე ლოდივით დააწვა მხრებზე, მაგრამ არ შეეპუა, პირიქით, ნაბიჯს უფრო მოუმატა. ნათლიმამა ფეხზე დაუხვდა, თუმცა ჯერ ხეირიან-ად გათენებული არც კი იყო.

— უჰ, პრამონა ხარ?

— მე ვარ, მე, სვიმონიკა. ხომ არ შე-გაშინე?

— ადრიანად გივლია!

— მამლებმა პირველად იყივლეს, რომ წამოვედი. დიდი ბოდიშის მოსახდელი საქმე მაქვს-ყე შენთან, ჩემო სვიმონკა, ცაბუმაც დიდი ბოდიში დამაბარა. ნათლულთანაც უსაჩუქროდ მოვედი. სხვა დროს ორწილ ავუნაზღაურებ. ღმერთმა სამაგიერო პატივისცემა გადაგვახდევინოს!

— რა გაქვს, შე კაცო, ამდენი საბოდიშო, ქვე კი არავის მოვუკლავარ! მეზობელი მყავს წუნკალი ენის პატრონი. გითხარი მგონია იმ დღეს. საბჭოში ამბავი ჩაეტანა, ასეა საქმეო. სხვა ვინ იზამდა! ბქვსი კაცი ერთად დამეცა. დამიჯერებ? სად მოიყარეს თავი მაინც იმ ოჯახქორებმა. გავკაპანე თავი, ვიუარე, რასაკვირველია, რა მოზვერები, რის მოზვერები, თქვენ ხომ არაფერი დაგსიზმრებიათ-თქო. შენც არ მომიკვდე! გამიგდეს წინ, შეაღეს ბოსლის კარი. იმათ ქე რა ბევრი ძებნა უნდოდა. სიბნელეში თვალებს აბრიალებდნენ. კილამ დაგვამტვრიეს. შენ ვინ შეგატყობინა ასე ადრე? დღეს ვაპირობდი კაცის გამოგზავნას, იმათაც ასე დაიბარეს, ან თავად უნდა გადმოვსულიყავი!

— თავმჯდომარემ, დეექცა იმას საბლ-კარი, ახალი დაწოლილი ვიყავით...

— რა გადაწყვიტე?

— რას მირჩევ შენ?

— ნუ გოუჯიქდები კანონს. გლახა დროა. სათქმელად კი არ გეუბნები. გინდ კაცი მოუკლავთ და გინდ ქათმისთვის წოუცლიათ თავი. გადოურეკე და მიაოხრე-ყე, მაგაზე დადგა მაგათი სარჩო-საბადებელი!

— ვერ ვიზამ მაგას, სვიმონკა.

— აბგა ქე მოიხსენი, დადევი აგერ. შიგ გასაფუჭებელი ხომ არაფერია? შეკაცო, რავა გაქცევაზე გიჭირავს თვალი, მტრის ოჯახში ხომ არა ხარ?!

— ბოდიში მომხადე ნათლიდედასთან. შეგაწუხეთ, ძაღლების პირში ჩაგყარეთ! ნათლიაც სწორედ ამისთანა უნდა!

— მიდიხარ, არ იშლი?

— სანამდი მთლად მოთენდებოდეს, აქაურობას უნდა გავეცალო, დამინახავს ვინმე უკუღმართი, ახალ დავიდარაბაში გაგხვევ!

— ლუკმა გადაგეყლაპა, ასე უხემსური რაობით გაიშვები!

— ერთმანეთის მოკითხვა და პურმარილი ჩვენ არ გაგვიკვირდება, სვიმონკა, ვიცოცხლოთ და ბარეორს მოვესწრებით!

მასპინძელი ზედმეტად აღარ შეპატიჟებია, რადგან შეატყო, პრამონა მართლა ჩქარობდა და ღვთის წინაშე, არც თავად იყო უარს, უბედურების მომტანი გადარეული მოზვრები რაც შეიძლება მალე მოეშორებინა.

პრამონამ მოზვრები გაირეკა და ერთხანს საურმე გზას გაჰყვა, რომელიც დამრეც ფერდობზე სამხრეთიდან შეფენილ თლეულისაკენ მიემართებოდა, შემდეგ ტყის პირისაკენ აუხვია და მალე ახალ გათიბულ სათიბში აღმოჩნდა. ნაწვერალზე ნორჩი ბალახი წამოსულიყო, ზედ მარგალიტის მძივებივით ეკიდა დილის ცვარი და თუმცა პატრონი გრძელი წკეპლით აჩქარებდა, სიმსუქნისაგან გათანთალებულმა ნაპატივებმა მოზვრებმა აქა-იქ მსუნაგად წაჰკრეს ბალახს პირი და მადიანი ხრამაბრუმი აუყენეს.

— წაბლა, ნუგეშა, დაგესხათ თავსლაფი, არა გრცხვენიათ? — თავისებურად დაანამუსა პრამონამ პატრონის მზრუნველობას და ალერსს ჩვეული მოზვრები. — აგრე რამ გაგამგელათ? სვავი ჩაგისახლდათ მუცელში? წუხელ არაფერი უქმეია სვიმონკას? შეურცხვა თავი! გავცდეთ ამ საშიშ ადგილებს და ბალახის მეტს რას ნახავთ! მე რა გეჭამო თუ არა თქვენთვის მთაში ბალახი ბევრია. რა თქვა თქვენზე შიუნამ, თუ იცით? სახლიდან გადევიკარგები, თუ წაბლას და ნუგეშას რაიმე მოსწიესო. ნუ გეშინიათ! მე, თქვენი პატრონი, აგერ არა ვარ? ერთი ვინმემ გაბედოს და ჩემს უნებურად ხელი გახლოთ, ავი თვალით შემოგხედოთ! ვერსად გამასწრებს. მამის სული წამიწ-

ყდეს, თავს ორად გავუპობ, ზედ შეკავდები! მოვპარე თქვენი თავი ვინმეს თუ წავართვი? ცაბუს და ჩემი დაზრდილები ხართ, შვილებში არ გვერჩევით. რომ გაგაჩინათ მაინც ასე მალხაზები. წაბლა, ნუგეშა. საით მიძუნძულებთ, თქვე შერცხვენილებო, არ გესმით კაცის სიტყვა? აბა, ერთი მანდ დამიხვდით, დამიხვდით მანდ, გაყურებინებთ სეირს!..

პრამონამ დაჩუტული მსუბუქი აბგა იღლიაში ამოიდო და გაწუწკებულ ნებიერ მოზვრებს თავი დაუარა, პირი ისევ ტყისკენ აქნევინა, სადაც წყაროა ეგულებოდა და დიდაადრიან უღმერთოდ მოშივებულს პურის გატეხა უნდოდა.

2.

ბიჭებმა სკოლიდან მოირბინეს და უმალვე მამა იკითხეს. ცაბუს დანა პირს არ უხსნიდა. რა მოხდა? რატომ იგვიანებდა ასე პრამონა? რა უნდა შემთხვეოდა? ვაითუ თავმჯდომარე და მისი კაცები, ჯოგად რომ დაყვებიან ან თავად დაყავს, გზაზე გადაეყარნენ და მოზვრების წართმევა დაუპირეს?

შინაურობაში ტკბილი, უთქმელი, მუდამ თავის ღრმა ფიქრებში წასული პრამონა ამავე დროს ფიცხი და თავმოყვარე კაცი იყო, ვაგლახად არავის დაეჩაგვრინებოდა, უპატიურ სიტყვას არც არავის ჰკადრებდა და არც არავის შეარჩენდა. ჩხუბი და აყალმაყალი რომ სადმე მომხდარიყო, გაუგებელი არ დარჩებოდა, შევიტყობდითო, დამშვიდეს ცაბუ მეზობლის ქალებმა, კაცი ნათლიმამასთან სტუმრად წასულა, ასე წუთში ხომ არ გამოუშვებდნენ, ისინიც ოჯახის შვილები არიანო.

ეს ვარაუდი ჭკუასთან ახლო იყო და ცაბუ თითქოს კიდევაც დაშოშმინდა, მაგრამ როდესაც ძზე გადაიხარა, ჩავიდა, კიდევაც დაღამდა და შორი გზის მოვლით დაღლილ-დაქანცული პრამონა კი მაინც არ გამოჩნდა, ჯავრი ხელახლა შემოაწვა, სახეზე ალი მოედო და გულმა გამალებით დაუწყო ბაგაბუგი.

ბიჭები უვახშმოდ დაწვნენ და გაიტრუნენ, ძილით კი არც ერთს არ ეძინა. ცაბუ თავადაც ტანზე გაუხდელად მიწვა ტახტზე, იღლიის ქვეშ მუთაქა ამოიდო და გაიტრუნა, რათა ქმრის მოსვლისას პირველივე ჩქამი გაეგონა, წამომხტარიყო და პრამონას ფეხზე დახვედროდა.

ამაო ლოდინმა დიდხანს გასტანა.

— პრამონა! — მოულოდნელად მოისმა ჭიშკართან.

ცაბუ წამოვარდა, კართან მიიჭრა, გულაკანკალებულმა გამოაღო.

— ბატონო! ვინ იძახი?

— გერვასი ვარ!..

ორივე ფეხით კოკლი, გერმანიის ომში ნამყოფი გერვასი სოფლის აღმასრულებელი იყო და ცაბუს გაუელვა, რომ მათ კარზე, ისიც ასე გვიან, ხეიბარი გერვასი უბრალოდ არ დაიძახებდა.

— რა ამბავი, გერვასი, გლახა ხომ არაფერი მოგვიტანე?

— პრამონას იბარებენ საბჭოში. რა დროც არ უნდა იქნეს, ჩამოვიდესო. აგერ მოწერილობა. ხელი მამიწერე!

— ხელს კი მოგიწერ, გერვასი, შემოგევლე, მაგრამ პრამონა რომ არ გახლავს სახლში?

— სად არის, აბა?

— ველევში გეახლა გუშინ, უთენია.

— რა უნდოდა ველევში?

— საქონელი გვყავდა გაბარებული და იმათ გადმოსარეკად... უნდა მოსულიყო აქამდი. ჯავრით აღარა ვარ!

— მოიწი აქეთ, სინათლე რამე წამოიღე!

ცაბუ დაფაცურდა. სიჩქარეში ისიც კი გადავარდა გულიდან, მეზობელი შინ შემოეწვია, ბუხრის ფიტონიდან ნავთის ჭრაქი ჩამოიღო. მოუკიდა და ჭიშკარს მიაშურა, სადაც ცალ ფეხზე დაყრდნობილი სოფლის აღმასრულებელი ელოდებოდა.

— ა, ეს მოწერილობა, — უთხრა გერვასიმ და ორივე ფეხზე კოკლობით

წინ წამოდგა, ქიმიური ფანქრით შევსებული ბლანკი და ფანქარი მოაწოდა. — ამ ადგილას ხელი გარკვეულად შომიწერე, სინათლეს მე დაგიკავებ!

ცაბუმ ტუჩი ტუჩს დააჭიანა და ბლანკზე მითითებულ ადგილას ხელი მოაწერა. ამის შემდეგ გერვასიმ ჭრაქი დაუბრუნა, ბლანკი შუაზე გახია, ნახევარი ცაბუს მისცა, მეორე ნახევარი კი მხარიღლივ გადაკიდებულ ტყავის ჩანთაში ჩასდო. ეს საქმეც რომ მოითავა, მიიხედ-მოიხედა, დარწმუნდა, რომ აქ მათ მეტი არავინ იყო და ქალს ხმადაბლა უთხრა.

— მე თქვენი ოჯახის კეთილის მოსურნე ვარ, ქე იცი, ცაბუ. ცხონებული შენი მამამთილისაგან ბევრი პატივისცემა მახსოვს. სულაანარად ნუ ჩამომართმევ, თუ პრამონა სახლშია და იმალება, მამაშვილურად შემახვეწე, გამოვიდეს და წამომყვეს. საქმე რომ არ მოითხოვდეს, არ გეტყოდი. ასე ოჯობებს მისთვის...

ცაბუს მთლად ცეცხლი წაეკიდა.

— უიმე, რას ბრძანებ, ბატონო, გერვასი, დასამალი და პირის მოსარიდებელი რა აქვს, ჭურდია თუ შარაგზის ყაჩაღი?! მოვა თუ არა, ნეტავი კი ცოცხალს დავინახავდე, მაშინათვე გამოვგზავნი, ერთ წუთსაც არ მოვაცდევინებ, არ ამოვასუნთქებ!

— შენ იცი! იმას, რაც ჩემგნით გითხარი, თუ ქალი ხარ, ნურავისთან იტყვი.

— უიმე, რას ბოძანებ, ბიძია!..

ალმასრულებელი ხანხანლით წავიდა, წასვლის წინ კი ცაბუს ნავთის ჭრაქი გამოართვა, სანამ შენ გემუსაიფებოდი, თვალი შეეჩვიე, სიბნელეში ვეღარაფერს ვიხედები, ხვალ დილას ვინმეს გამოვატან, ანდა ბავშვის ხელით გამოგიგზავნი. ცაბუს გულზე მოეფონა, კი, ბატონო, ინებე, ნურც გამოგზავნაზე შეიწუხებ თავს, ჩვენ მეორეც გვაქვსო და ჭრაქი ჭიშკარს ზემოთ გადმოაწოდა.

იმ ღამეს არაფერი. ათას ურთიერთსაწინააღმდეგო ფიქრში გაბლართულ ცაბუს თვალი არ მოუხუჭავს, ალმასრულებლის წასვლის შემდეგ ალაფცატარტზე მაწოლილა, ფეხზე გაათენა. პრამონა არც მეორე დილას გამოჩნდა, არც შუადღისას, არც საღამოს. ცაბუ ჩუმად იწოწკნიდა თმას და ტუჩებს იკბიტავდა. მაგრამ ეშინოდა, პატარები არ დავაფეთოო და ხმას არ იღებდა.

— შენ რას ფიქრობ, დედა, რატომ დაავადებულა მამას ასე ძალიან? — მარტო რომ დაიგულა, ჰკითხა ცაბუს მოსწრებულმა უფროსმა შვილმა შიუნამ.

— რა გითხრა, შემოგეკლე, მეც მაგაზე ფიქრმა არ მომითავა ხელი?

— წავალ, თუ გინდა, ველეკეშ, ვნახავ ნათლიმამას!

— ვერა, დედა, მარტო ვერ გაგიშვებ!

— ბიჭს გავიყოლიებ ვინმეს.

— ვერა, ვერა!

— მაშინ ორივე წავიდეთ!

— მე და შენ?

— ჰო.

— ვაცალოთ კიდევ ერთი დღე.

— იქნება რა ხდება ამ ერთ დღეში?

— გული მეუბნება, რომ ცოცხალია, მე სხვა მეტი არაფერი მინდა. ღმერთო, ღვთიშობელო დედა, ველიეთის წმინდა გიორგი, შენ გევედრები, კაი ყურით გაიგონე!

მომდევნო ღამეს კიდევ დაიძახეს ჭიშკართან. ამჯერად ამბაკო ბრიგადირი და საბჭოს ორი დეპუტატი მოვიდნენ სოფლის გაღმა კუთხიდან.

— სად არის შენი ქმარი, ქალო, სად დეეთრევა?

— პრამონა, ბატონო?

— აბა, სხვა ქმარი გაყავს კიდევ? აშენებულა პრამონა და ეგ არის!

— მაგ სიტყვებს რატომ კადრულობ, ამბაკო, ბატონო, „სხვა ქმარი“ რა სახსენებელია, მეზობლები და სახლიკაცები ვართ, სხვა არა იყოს რა!

— მეზობლები და სახლიკაცები!.. სად არის პრამონა? სამუშაოზე რატომ არ გამოდის? მე მოვეკიდები ხარსა და ურემს მის მაგიერად, თაგრობას,

მტერსა და მოყვარეს. მე გავცემ პასუხს?

— ვიმე, რა ვქნა, ეს რა სატანჯველში ჩამიგდე, გამჩენო ღმერთო! შენც არა გჯერა, ამბაკო, რომ არ არის სიცოცხლეში?

— არ არი და, გამოიხურე კარი, საბჭოში გიბარებენ!

— მე რაღაში ვჭირდები-ყე ინ ოჯახ-ქორებს, მე რა ვიცი, რომ იმათ ვუთხრა!

— შენი ყაჩაღი ქმრის კვალზე უნდა დააყენო! რავა, ეგონა, აბა!

ქალს გაახსენდა ჭადი და ყველის ნატეხი, აბგაში რომ ჩაუდო ქმარს, რაღაც ავად ენიშნა და შეაჟრჟოლა. ნუთუ? მერე რისთვის, ერთი უღელი მოზვრისთვის? ჩვენ ვის ანაბარა მიგვატოვა, შვილებს ვინ უპატრონებს, ვინ გაუზრდის, გზაზე ვინ დაუყენებს?! ვაითუ კიდევაც ჩაკლეს სადმე და მე ჯერ არ მიმხელენ?

— ახლავე, ახლავე, ამბაკო, წამოვეთრევი მე უბედური, მარა ამ ღამე ბოვშები ვის დავუტოვო, ვინ გავაღვიძო ახლა?! ხომ არაფერი იცი პრამონასი? ცოლ-შვილს გაფიცებ! აქავე მითხარი!..

— ჩვენ იმის ამბის გასაგებად ამოვასკდით და შენ აქეთ მეკითხები?

ცაბუმ თავშალი მოიხვია, შიუნას დაუბარა, ბავშვებს და სახლს შენს იმედად ვტოვებო და კაცებს გაჰყვა ბნელ ღამეში. შიუნას უნდოდა, დედასთან ერთად ჩასულიყო საბჭოში, უცხო კაცებთან ერთად დედა მარტო არ გაეშვა, მაგრამ მიხვდა, რომ მისი შინ დარჩენა უფრო საჭირო იყო.

ცაბუ ნაშუაღამევს ამოვიდა მარტოდმარტო, დაღლილი და გალამოვარდნილი, მოკლე გზა აერჩია, მეწყრებზე ამოვევლო, სიბნელეში მაყვლის ბუჩქებს გამოსდებოდა და შიშით გული გახეთქოდა, სულს ძლივსღა ითქვამდა, შემოსვლისთანავე ყლუპი წყალი მოითხოვა და როდესაც შიუნამ დოქით მოურბენინა, პირზე ხარბად მოიყუდა და შიგ ერთი წვეთიც აღარ დაუტოვებია. ბიჭები, როგორც ერთი, ფეხზე დახვდნენ, ასე გასინჯეთ, ჩაცმულიც კი იყვნენ, თითქოს ისინიც სადღაც შორს წასასვლელად მომზადებულიყვნენ.

— რა ამბავი მოიტანე, დედა? — ყველას მაგიერ ჰკითხა ცაბუს შიუნამ, დანარჩენები კი მოუთმენელი მოლოდინით თვალებში შემოსცქინებდნენ. — ხომ არ დოუჭერიათ?

— ეძებენ. ვერსად უპოვნიათ, შვილო. ასე ხელსა და ხელს შუა კაცის გაქრობა მე არ გამიგონია. ოცდაოთხი საათის ვადა მოგვცეს. ამ ოცდაოთხ საათში ან მკვდარი მოიყვანეთ ან ცოცხალი, მოზვრებს ერთი ბეწვიც არ ჩამოუვარდეთ, თუ არა კანონის წინაშე ყველა პასუხს აგებთო!

— ვიცით, სად არის და ვმალავთ?

— ქვა გახეთქეთ და იპოვნეთო, თუ არა და დაგხვევთ ხელს, ხუთივეს საბჭოში ჩამოგრეკავთ, არ გასმევთ, არ გაჭმევთ და სანამ არ გატყდებით, აქ გაყურყუტებთო.

— შენ რას ფიქრობ, თუ ცოცხალია, სად უნდა იყოს?

— უნდა გადავაკითხოთ ისევე სვიმონკა მაცაბერიძეს ველევში. თუ ვინმემ რამე იცის, იმან აუცილებლად უნდა იცოდეს. ახლავე გავუდგეთ გზას, ღმერთო, მამაზეციერო, ღვთიშობელო დედა, ველიეთის წმინდა გიორგი, შენ გვიწინამძღვრე! ბოვშები ულუმპა ბებიასთან გადარეკე, შენს გაზრდას. უთხარი, ასეა ჩვენი საქმე-თქო. გესმით თქვენ?

— გვესმის... — ძორჩილად უპასუხეს ბეღურებივით აბუზულმა პატარა ბიჭებმა.

— არ შეაწუხოთ ის ადამიანი, თავისი გაჭირვება ყოფნის. მე და შიუნა ჩქარა ვივლით, თუ მშვიდობა იქნა, საღამოზეევ მოვბრუნდებით!

მეტი სიტყვის თქმა და დარიგება აღარავის დასჭირვებია. საგარეო თავსაფრით თმაგაკრული ცაბუ ორღობეში გავიდა და სირბილით ადევნებული შიუნა გაიყოლა. გათენებამდე ისე იარეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს დაუბრებული არიანო, ხმა არც ერთს არ მოუღია.

— მომშივდა, — თავისდა უნებლიეთ წამოსცდა ცაბუს, როდესაც ნიკორწმინდას კარგა დიდი მანძილით გასცდნენ და ვიწრო საუმე გზა შაორის ქვაბულში ჩაეშვა. — შენ მაინც გაგხსენებოდა, ბიჭო, ჭადის ნატეხი წამოგვეღო.

— აღარ გამახსენდა, დედა, ბევრი დაგვრჩა კიდევ?

— ჯერ მეოთხედი გზაც არ გაგვივლია!

— ვაითუ ტყუილად მივდივართ!

— ეგ თქვი შენ!

— კაცი მოდის ეგერ, ძაღლი მოსდევს!

— კაცი? ვინ კაცი? არ იქნება მისწრება. ნათლიმამა რომ შეგვრჩეს ხელში?

კაცი წითური იყო, კარგა ხნის წვერმოუპარსავი, თავზე ნაბდის ძველა ეხურა და წინსაბიჯეს ისეთნაირად მოაჩაკუნებდა, მგონი თვალს აკლდა.

— გამარჯობა, ბიძია! — პირველი მიესალმა ცაბუ და ხელი მოიჩრდილა, რადგან ტყიან სერზე გადმომდგარი წითელი მზე ახალი ამოსული იყო და მისი ელვარე სხივები შიგ თვალებში უჭყიტინებდა. — გადი, ძაღლო, იქით! თლუღელი კაცი ბრძანდები?

— გამარჯვება და ღვთის წყალობა ნუ მოგაკლოთ-ყე, — მგზავრმა ნაბდის ძველა მოიხადა და მოშიშვლებულ წითურ შუბლზე ოფლით დაწებებული ჭაღარა თმა გამოუჩნდა: — ამის ნუ გეშინიათ. ქალს და ბოვშს არ ერჩის. თლუღელი არა, სხარტალელი გახლავარ. იქავეა სხარტალიც. თქვენ ვერ შეგიცანით, აქაურები არ უნდა ბრძანდებოდეთ?

— ნამანევიდან ვართ. პრამონა დარახველიძე გაგეგონება. ეკლესიასთან ვდგავართ...

— სეფეს ბიჭი? რავა არა. ოჯახობა ყოფილხარ, აბა, პრამონასი. კაი დაგემართოს, ბიჭი დიდი მოგსწრებია. ჯერ ყმაწვილ ქალი ხარ. სეფე თუ არი კიდევ, სეფუნიკა?

— არა, ბატონო, მესამე წელიწადია. რაც...

— აცხონოს ღმერთმა, სასუფეველი დუმკვიდროს! კაი პურმარილიანი კაცი იყო. რაც მართალია, მართალია. აქეთ რაზე შეწუხებულხართ?

ცაბუს ცრემლი მოეძალა, გული ამოუჯდა.

— პრამონას ვეძებთ!

— იმე! — შეიცხადა მგზავრმა. — როგორ თუ ეძებთ, რა გოუხდა-ყე ცოცხალ კაცს საძებარი?!

— ველევში წამოვიდა, ნათლიმამასთან. საქონელი გვყავდა გაბარებული. მესამე დღეა, კაცი აღარ არის!

— ნათლიმამასთან წამოვიდაო? მერე მაგან შეგაშინათ, თქვე გლახებო? არ იცი მაგათი ამბავი? ღვინოს შეყოლა უყვარს!..

— არ გვქონდა საქმე სამაგისოდ, ბიძია. უსიკვდილოდ იმავე დილას უნდა მობრუნებულიყო. ვინძახა უღმერთომ საბჭოში დაგვაბეზღა, მოზვრები ყავთ მაგათ გადამალულიო. შენთან რა დავმალო: შეგცოდეთ ხატს, ვიუარეთ, მარა არ გასჭრა ჩვენმა უარმა. ციხეში ამოლპობით გვემუქრებიან. ოცდაოთხი საათი მოგვცეს ან მკვდარი მოგვგვარეთ, ან ცოცხალიო. წვრილშვილს პატრონები ვართ. გადმოვარდა უთენია საწყალი...

— წამოგყვებოდით, მარა მე ქვე რა გაგიკეთოთ, — კაცს აშკარად შეემჩნა, რომ თავბოლომოკვეცილად მოთხრობილმა ამბავმა. საგონებელში. ჩაადო, უნებლიე შიშმაც გაჰკრა კლანჭი, ემანდ ფათერაკს არაფერს გადავაწყდეო და ერთბაშად ლაპარაკის ხალისი წაერთვა, ყურები ჩამოჰყარა.

— არა, ბიძია, ამდენ შეწუხებას რავა გაგიბეგდავთ, შენ ოღონდ სიკეთე გვიქენი და გზა მიგვასწავლე!

— ასე ივლით, პირდაპირ. ბოგირზე რომ გადახვალთ, ტყის მხარე დაიჭირეთ. ბექჭე შედგებით და ველევიც გამოჩნდება. ბედნიერ ფეხზე გემგზავროთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.

შუადღე მოწეული იყო, დედამ და შვილმა ველევს რომ მიატანეს და კითხვა-კითხვით ნათლიმამის სახლსაც მიადგნენ. კრამიტით გადახურულ ძველებურ ალაყაფის ჭიშკარში ბრელი თავსაფრით ყბებახვეულმა ნათლიდედამ, მაღალ-მაღალმა პირხმელმა ქალმა გამოიხედა, რომელიც ცაბუსა და მის ვაჟიშვილს მხოლოდ ერთხელ ყავდა ნანახი, როცა სვიმონკა მაცაბერიძის ნაბოლარა ბიჭი პრამონამ ნიკორწმინდის ტაძარში მონათლა და სახელადაც, როგორც წესია, თავისი სახელი დაანათლა.

— უიმე, ღმერთო კი მომკალი, კი ველარ გიცანით მე თვალებდასავსებმა! — ნათლიდედამ ფიცრული ჭიშკარი ფართოდ გააღო და უცბო სტუმრები მწვანე მოლით მოხასხასე ეზოში შეიწვია..

— გასაჩერებლად არა ვართ მოსული, — ცაბუმ თავიდანვე შორს დაიჭირა და არაფრად ჩაუგდია, რომ ოჯახის დიასახლისმა პირველ შემოხედვისთანავე ერთ როკაპ, უცხვირპირო ქალად ჩათვალა. — სვიმონკა გვინდოდა გვენახა პირადად.

— სვიმონკა? რაშია საქმე?

ცაბუს გული ყელში ებჯინებოდა, უპეებზე მომდგარ ცრემლის ღვარს ძლივს იმაგრებდა.

— პრამონა უნდა ყოფილიყო გასულ ხუთშაბათს თქვენსა...

— კი, იყო, ახალ გათენებულზე დაგვადგა თავზე. ავდექი მაშითოვე, შუაცეცხლი გავაჩაღე, კეცები შემოვაწყე და ფქვილი გავმტკიცე, მე ვთქვი, კაცებს ხაჭაპურს გამოვუცხობ, მოვიხედე და, სად არის ან ერთი, ან მეორე! შუადღე იყო, ჩემი კაცი რომ მობრუნდა. სახეზე ზეთი ჩამოსდიოდა...

— რა თქვა, პრამონა საით წავიდაო?

— ამ მოზვრებს მე ვერავისთვინ ვერ გავიმეტებ, შვილებივით მყავს დაზრდილნი, პირიდან ლუკმას ვიღებდი და ამათ გაკმეკდიო. ტყვიას მივუშვერ გულს, ამათი დამთმობი კი ცოცხალი თავით არა ვარო.

— მერე სვიმონკამ რა უთხრა?

— რას ეტყოდა, მოუწონებდა? მარა არ მიიკარა სიახლოვეს. მე ვიცი ჩემი საქმეო. გაირეკა მოზვრები და წავიდა, არ ვარგა, არა, ასე თავისნათქვამა კაცი. ახლა სულ უბრალოზე აკულაკებენ ხალხს, შავსიაში შეყავთ, მტრისა და ავისას, სოფლიდან ასახლებენ. თქვენ ჯვარი გწერიათ... კაცი კაცს აღარ რნდობს, აღარც ღმერთი წამთ და აღარც ხატი! ერთი დაძახება კმარა!.. შემოდით, ჩეროში მაინც ჩამოჯექეთ. შუადღეა, ულმერთოდ ჩამოცხა!..

— სვიმონკა არ ბრძანდება შინ?

— ამ დილას საკალში დოუძახეს.

— გაიპრა აქეთ პური?

— ქერს მკიან, პური ადრეა ჯერ. მეც ამ წუთში მოვედი კალოდან, თქვენდა ილბლად, თუ არა გამოკეტილი დაგხვდებოდათ სახლის კარი. სოფელში კაცშვილს ვეღარ ნახავ, ამბავი რომ კითხო. გოგუებიც იქა მყავს წაყვანილი, ბიჭები მამას ახლავან სამკალში, თავთავს აგროვებენ. იჯრა უნდა მოვაჯახირო და კაცებს მივაშველო. სხვა ვინა მყავს დამხმარე და ხელის წამშველებელი! რა გადაწყვიტე?

— რა ვქნათ, შვილო, შიუნა?

— ავაკითხოთ სამკალში ან მოვუცადოთ.

—მერე რომ დაგვაღამდება, დედა?

— იმე, ჭერში წყალი კი არ ჩამოგვიდის, შე ქალო, ნათლიები ხართ, უცხო ხომ არა, — შეიცხადა დიასახლისმა და შეყოყმანებული სტუმრები, რომელთა უდროო დროს გამოცხადება გულზე დიდად არ ეხატებოდა და ამას მაინც და მაინც ვერც მალავდა, ეზოში ძალით შემოლალა და ჭიშკარს ურდული გაუყარა. — ღამეს გაგათევინებთ, დილას ადრე ადგებით და ეწევით თქვენს გზას. სამკალში ასვლა, მე თუ მკითხავთ, არ ივარგებს. თელი სოფელი იქ არი. ვინ იცის, ვინ რა თვალით შემოგხედავთ. ხალხი ალაპარაკდება. ენას ძვალი არა აქვს!..

— ღმერთო, რა დღეში ჩაგვყარა იმ ჩემმა დამკვლელმა, რავა აგვირია გზა-კვალი შინაურსაც და გარეულსაც, თქვენი თავიც რანაირად შემაწუხებინა!

— რას იზამ, ნათლია, დრო დადგა ამისთანა. ახლა ვის ულხინს!

სამკალში და კალოზე წასაღები საჭელდახელო სადილი ქალებმა ერთად გააკეთეს. პიწკინა ცხელი ჭადები, ორი წველა ჭყინტი ყველი, მწვანილი, ქოთნით ლობიო, კვახის ფოთოლში გახვეული ხაჭო, პკემოკიდებული წყალნარევი ღვინით სავსე დოქი ხელკალთაში ჩაწყვეს და ის იყო, ნათლიდედა წასვლასაც აპირებდა, რომ მოულოდნელად სამკალიდან წამოსული სვიმონკა მოადგათ კარზე.

— უიმე, ღმერთო, შენ შემეწიე, — ყბაში ხელი შემოირტა ნათლიდედამ, ეზოში შემოსული, უცნაურად დაბნეული და აწრიალებული ქმარი რომ დაინახა. — სვიმონკა!

— ახალი წუღები და წინდები ჩამოყარე, ქალო!

— რა დროს ახალი წუღები და წინდებია, რა მოხდა, აღარ იტყვი?

— ჭირი და გადაშენება პრამონა დარახველიძეს!

— სუ, კაცო, — ქალმა ვეღარ მოასწრო გაეფრთხილებინა, ცოლ-შვილი აგერაა მისი, ესმით, შე ადრე და მალე დასადუმებელოო. — როდის იყო, პრამონა დარახველიძის აუგად მოხსენიებით აქაურობას იკლებდი!

— მილიცია ეძებს. თუ სადმე იპოვნეს, მოსაკლავად არ დაინდობენ. რაიონიდან ხალხია ამოსული. ვინძახა ჩემი ცოდვით სავსეს ამოესწავლებინა და სამკალში დამეცენ!

— რაიო მაინც, თავისი მოზვრები ხომ წაიყვანა იმ კაცმა.

ნათლიდედამ თავი ძლივს შეიკავა, კინაღამ ამასაც „თავისი ოხრად დასარჩენი მოზვრები“ წამოსცდა.

— დააჯერებ? შეაგნებინებ რამეს?

ცოლ-ქმრის ლაპარაკზე ღარიბული სუფრიდან წუთის წინ წამომდგარი ცაბუ და შიუნა გამოვიდნენ. კაკლის ქვეშ ბრტყელ ქვაზე ჩამომჯდარმა, მზეზე თორნესავით გაფიცხებულმა სვიმონკამ ზემოთ ამოიხედა, ჯერ ვერ შეიცნო სტუმრები, მერე იცნო, ნეტავი თუ გაიგონესო, გაიფიქრა, სიმწრის ოფლი დაასხა და საშინელი დარცხვენა რომ როგორმე მიეფუჩჩინა, დედა-შვილს საყვედურით ასძახა:

— ვიცოდი მე, მეც დამღუპავდა და თავსაც დაიღუპავდა! რა გზას დავადგე ახლა, სად ვეძებო? წასვლით წავალ, წასვლა მე არ მეზარება, არც ჩემს სიარულს, დაღლას და მოცდენას დავამადლი ვინმეს, მარა, პირი ქვისკენ მიქნია, სა ოხრობაში ვეძებო, სად ვიპოვნო! იმან იქნება საწალიკეც ქე გადეიარა და იმერეთში გადავიდა, იქნება აქეთ, ოკრიბისაკენ ქნა პირი! ათასი გზა და კვალია ქვეყანაზე! ნემსს თივის ზვინში შენ იპოვნი? ორი მოზვრის გულისთვის, ბაჯაღლო ოქროდ რომ გადაიქცეს ორივე, ამას რავა ვიზამ კაცური კაცი, სვინდისზე ხელს რავა ავიღებ!

— ბოდიში მომითხოვია და ეგ არ გვეკუთვნის შენგან, სვიმონკა, — გამწარებული მასპინძლის კიდევ უფრო გამწარებას აღარ მოერიდა ცაბუ, რითაც იქვე ატუზული შვილის ენით აუწერელი მადლიერება დაიმსახურა, და ქმარს გამოესარჩლა. — პრამონა უსვინდისო კაცი არ არის. ეს შენ ჩემზე უკეთ იცი, თუ არა ნათლიად არ მოიკიდებდი. უსვინდისო და სვინდისისაგან გარეცხილი ის არის, ვინც ასე გაამწარა და ცხვარივით თვინიერი კაცი ამ ზომამდე მიიყვანა.

— გაჩუმდი, ქალო, რას მიედ-მოედები, არავინ გაიგონოს, აქ ჩემი ოჯახის ამოსაგდებად მოხვედი?

— ბოდიში, ჩემო ბატონო, აღარ შეგაწუხებთ აწი! წამოდი, შვილო! დამხმარე და ხელის გამმართველი კაცს ამ დღეში უნდა, ჩვენ რომ ვართ ახლა!

— სად მიხვალ, სად? — თუმცა გულში ნაწყენი იყო, ქმარი გამილანძღაო, ნათლიდედა წინ გადაუდგა. — მაგის ლაპარაკს რა ყურს უგდებ! არ იცი კაცების ამბავი? ამაღამ არსად არ

გაგიშვებთ. არ გამიწყდეს შვილები! გათენდება და წახვალთ!

— არა, რატომ... — ცაბუმ გაიწია, თუმცა კარგად იცოდა, რომ წასასვლელი არსაით იყო, სვიმონკა მაცაბერიძის იქით გზა არა ჰქონდა. — რისთვის შეგაწუხოთ თუ არა კი.

— კაი ახლა, ბოვშებს გაფიცებ, პატარაზე ნუ დაგწყდება გული. რა ქნას მაგანაც, კაცია, გაჭირვებამ თქმევინა. თითო კვაწია ყველა ოჯახში დუღს!..

შუაღამე რა ხნის გადასული იყო, ქვევა უბანში მამლები ყიოდნენ, სადღაც წასული, საკუთარი წინდაუხედავი საქციელის გამო დარცხვენილი სვიმონკა მაცაბერიძე რომ დაბრუნდა და პირდაპირ უკანა ფიცრულ ოთახში ავიდა, სადაც ზაფხულობით ცოლ-ქმარი ათევდა ღამეს. ცაბუ სმენად გადაიქცა. არ გაუვლია დიდ დროს, რიკლედ მიხურულ კართან ახალი დაგებული იატაკი აჭრაჭუნდა.

— ცაბუ, გძინავს, გენაცვალე?

ეს ნათლიდედა იყო.

— არა, ბატონო, რა დამაძინებს, შემობრძანდი.

—მოვიდა ი კაცი. ტყუილა მოვკვდიო. ყველა სათიბი და საძოვარი ფეხდაფეხ შემოვიარე, მონასტერშიაც ავედი, იქნება ბერებმა მითხრან რამეო, მარა რა დაგიკარგავს, რას დაეძებ!

— გავუწირივართ გამჩენს და ეგ არის! ადე, დედა, შიუნა!

ბიჭი უმალ წამოხტა. ერთი სული ჰქონდა, ამ არასტუმართმოყვარე სახლიდან როდის გავიდოდა, რათა უკან არასდროს აღარ მობრუნებულიყო.

— უიმე, ქვე წასვლას აპირობ? ადრეა ჯერ, ცაბუ, ბნელა, გზას ვერ გაიგნებთ. ერთი ორი საათი შეიცადეთ, ინათლებს და...

— არა, არა, რაღაი იმედი აღარაფერის არი, აწი რაღას გოვუჩერდეთ, ისედაც ერთობ შეგაწუხეთ. თქვენი დარდი მიმყვება მე. ვაითუ ჩვენი გულისათვის თქვენც ახალი უსიამოვნება შეგახვედრონ! სვიმონკასთან, თუ და იყო, ბოდიში მომხადე. უკადრებელი ვაკადრე. რა ვქნა ბეს უბედურმა. მეც ჯოჯოხეთის ცეცხლი მიკიდია!

ოლუფის სასოფლო ბოსელთან, გასული შემოდგომაზე ახლომახლო სოფლებში დანგრეული ეკლესიებისა და საფლავის ქვებისაგან რომ ააშენეს, თავზე დაათენდათ. მწყემსებს ბოსლის კარი გაეღოთ და ბალანგაბურძგნულ, მოუვლელობისაგან გაძვალტყავებულ, ნეხვში ამოსვრილ საქონელს გარეთ ერეკებოდნენ. ნაჯახით გათლილი მოუდე ლარტყებისაგან შეკოწიწებულ ჭიშკართან ბორტებგადახსნილი სატვირთო მანქანა იდგა და უკანსვლით ეზოში შედიოდა.

დედამ და შვილმა ფეხს აუჩქარეს და იქაურობას ისე უჩუმრად გაეცალნენ, მათთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ ელოდათ თურმე მოულოდნელი ამბავი, რასაც ოცნებითაც კი ვერ წამოიდგენდნენ. ატეხილ ბუჩქნარში, რომლის შუაგულშიაც წუმპით სავსე ღრმა ორმოებით დახრული, ოდესღაც საგულდაგულოდ მოკირწყლული საურმე გზა გადიოდა, მამაკაცის ხმამ თითქმის ჩურჩულით დაიძახა:

— შიუნა!..

ორივეს ეგონა, რომ მოეჩვენა, ვარაუდის შესამოწმებლად ერთმანეთს შეხედეს, ხოლო შემდეგ, როდესაც ჩურჩული თუ ხმადაბალი ძახილი ხელახლა განმეორდა და საეჭვო უკვე აღარაფერი იყო, ორივე მიწაში ჩარჭობილივით. გაჩერდა. განცვიფრებისა და სიხარულისაგან ენაჩავარდნილ ბიჭს დედამ დაასწრო:

— პრამონა ხარ? ვის ემალები მანდ, ვის, შე შეჩვენებულო? გამოდი ჩქარა გზაზე!

ბიჭი ადგილს წყალს ასხლეტილ ქვასავით მოსწყდა, გაუვალ ბუჩქნარში შევარდა და მალე წვერმოუპარსავ, ჩვეულებრივზე მეტად გაჭაღარავებულ მამასთან ერთად მინდორში მზის გულზე გამოვიდა. ცაბუც გაიქცა, ქმარს შეეგება, ამდენი ხნის ნაგუბარი ცრემლები ღაპაღუპით წამოუვიდა.

— ჩუ, რა გატირებს, სირცხვილია, — წამოზრდილი შვილისა მოერიდა და მოუხერხებლად დაუყვავა მონატრებულ ქალს ქმარმა.

— აბა, ვიცინო? რა მაქვს სასაცილო შენს შემხედვარეს! ვის ემალები აქ, გულები რატომ დაგვიხეთქე?! რამდენიც არ უნდა დაიმალო, თუ გინდა, მიწაშიც ჩაძვრე, შენი მტერი და დამაწყევარი ჩაწვა მიწაში, არ იცი, შე უბედურო, რო თავრობის თვალს ვერსად დაემალები? ქვესკნელში რა არი, ის იციან! თუ ასე ახლო იყავი სახლთან, ხმა რატომ არ მოგვაწვდინე, აგრე უნდა?

— არ ვიყავი, — პრამონას ცრემლი ახრჩობდა. — ახლა მოვდივარ.

— მოზვრები რა უყავი?

— ეგერ ჩირგვებში მიბია.

— ასე შემოგითვალეს, რომე ბეწვი არ ჩამოვარდეს არც ერთს თუ არა პასუხს აგებთ კანონის წინაშეო.

— მეძებენ განა?

— ორჯერ ზედიზედ ამოგაკითხეს. ერთხელ მე ჩამახათქუნეს საბჭოში და ხელწერილი დამდებინეს, ან თავისი ფეხით მოგვიყვანე, ან კვალზე დაგვაყენეო. ნათლიმამას მილიცია დასცემია სამკალში. კოლამ ისიც დოუჭერიათ. ალარ მეგონა, თუ ცოცხალს გნახავდი, — ქალს ისევ გული ამოუჯდა, ცხელი კურცხალი გადმოუვარდა და წამწამზე დაეკიდა. — ბოვში ჯავრით გადამერია. ვეღარ ვაკავებდი. ხომ იცი ამისი ამბავი!..

— წადით ახლა, ნუღარ დაიღამებთ. მე ან მოვალ ამაღამ, ან არა!

— პრამონა! — ცაბუმ ხმაში მთელი თავისი ქალური ძალაუფლება ჩააქსოვა. — ცოცხალი თავით არ დაგტოვებ! არ მომიკვდეს შვილები, რაკიღა ცოცხალს მოგაგენი, მე შენ აქ ალარ დაგტოვო! რაც იყო, იყო, ბოდიში მოვუხადოთ, შეუგნებლობით, სიბრიყვით მოგვივიდა-თქო. შენ თუ გრცხვენია, მე ჩოვუვარდები სამსოფაკას ფეხებში!

— მერე მე რაღა კაცი მერქმევა! — პრამონამ საწყლად გაიღიმა.

— გერქმევა! ქვეყანა მაგათ ხელშია. რავარც უნდათ, ისე ატრიალებენ. ძველი დრო არ გეგონოს. თავისი გამოზრდილი პირუტყვი ვის არ უყვარს და არ ეცოდება, შე კაცო! შენგან არ მიკვირს? დაფიქრდი, უგუნური კაცი არ გეთქმის. ორ კინკალა მოზვერს, მართლა იმისი არ იყოს, ბაჯაღლო ოქროდაც რომ გადაიქცნენ, თავი ვანაცვალოთ? ვინ მოგვიწონებს ამას? გინდა, მტერი გაახარო. ქვეყანა გააცინო? იცოდე, ყველა ჩვენ დაგვძრახავს და გაგვამტყუნებს. ანამყოლ ჭკუა არ ქონიათ და ახია მაგათზე, რაც მოუვიდათო. მართალს არ ვამბობ, შვილო, შიუნა?

— მაგას რას ეკითხები, ახლა ბღარი გინდა გარიო საქმეში?

— ორივეს გეკითხებით, პრამონა, კაცები ხართ და ისე გადაწყვიტეთ საქმე, რავარც კაცის ჭკუასა და გონებას შეფერის!

— ერთი თვალი მოგაკვრევინა, რა სანახავები არიან! — პრამონას აღტაცებული მზერა ბუჩქნარისაკენ გაექცა, სადაც ხეზე საბლით მიბმული წაბლა და ნუგეშა ეგულებოდა. — იტყვი, სულ არ შევაბამ ამ მალბაზებს უღელში, ბალახზე მივუშვებ, ასე ვიყოლიებ და მარტვა ვუყურებო! ეს სამი დღე მაინც ნამეტანი დალაღდნენ. ნოყიერი ბალახი მაგათ არ მოკლებიათ და მლაშე წყალი!

— სამაგიეროდ, შენ ამოგხდა სული შიმშილით, შე საცოდავო, ნახევარი ყველი და ჭადის ნატეხი როდემდე გეყოფოდა. ასე, ვახსენოთ ღმერთი და წავიდეთ ბარემ, ალარ გვეგვიანება. ბოვშებს თვალები მოექცათ ჩვენს ლოდინში. მარტო მეზობლების მრცხვენია.

— თქვენ წადით, ცაბუ. მე ამ ორ დღეში ან ასე გადაწყვეტ, ან ისე. ბიჭის ხელით ხარჯი გამომიგზავნე. აგერ ახლოში ვიქნები. ბევრი ძებნა არ დაგჭირდება, მამა. რავარც ახლა, მე თავად გამოგეხმაურები.

— არ გეყურება კაცის სიტყვა?

შვილებს გაფიცებ, პრამონა, — ცაბუმ ვერ გაბედა, წამოზრდილი შვილის თანდასწრებით ეთქვა, ჩემს თავს გაფიცებო. — წამოდი და მოზვრებიც წამორეკე. სოფელია, ხალხია, მეზობლები. ყველა მხარში ამოგვიდგება. შენი თქმის არ იყოს, ქვეყანა მართლა ჩალით კი არ არის დახურული, ზოგიერთს რო გონია. თავრობასაც, რო დაინახავს, მივზედით ჩვენს დანაშაულს, გული მოუბრუნდება. იქნება სულაც შეგვიცოდონ და რაღაი ასე ვირევით, სულაც დაგვიტოვონ მოზვრები. გამონაკლისებიც ხდება. არ ხდება, ბგონია? სახელმწიფო მაგით არ გაღარიბდება!

ქალის ცრემლმა, ღაპაღუპით რომ ჩამოსდიოდა, შვილების დაფიცებამ და ხვეწნა-მუდარამ გასჭრა, პრამონამ ფარჯმალი დაკიდა.

— რა გაეწყობა, მოსახდენს ვერ ასცდები. — თქვა საწყალობლად და შიუნას ჩვეული ალერსით მიმართა: — გაიქეცი, შენს გაზრდას. ეგერ არიან კვინცხაზე გამობმული. ოუშვი და გამორეკე შენებურად!

— აგრე, შე კაცო, — დააშოშმინა იძულებით მიღებული გადაწყვეტილებით გულმოკლული ქმარი ცაბუმ. — ნეტავი კი გულს მოიბრუნებდნენ და გლახა თვალით არ დაგვიწყებდნენ ყურებას, მოზვრებს მისტირი შენ? ვერ ხედავ, რა ამბავია? ისეა დიდი და პატარა გადარეული, ძაღლი პატრონს ვერ ცნობს!

4.

ნიკორწმინდაში დაალმადათ. ჩაბნელებულ სახლს რომ მიაღწიეს, მანამდე კი ულუმპასას ბავშვები დაალვიძეს და შინ წასაყვანად უმცროსები ხელში აიყვანეს, მაღალი ვაზშმობა გადასული იყო. პრამონამ სიფრთხილე გამოიჩინა, ალმადალმა კუნტრუშით გაელურებული მოზვრები ბოსელში არ შერეკა, სადაც ახალი ნახბოვარი მეწველი ძროხა, ამათი დედა ნოთია, ყავდა დაბმული, სასიმინდის ქვეშ, მოწნულში შეიყვანა და კარი გამოიკეტა. თუ ვინიცობაა ვინმე მოვიდოდა დასმზვრების ძალით წაყვანას მოიწადინებდა, ის სასიმინდესაც ადგილად მიაგნებდა, მაგრამ პრამონამ მაინც გასწია თადარიგი, რომ მომხვდურს მოსელის უმალვე მოზვრები ბოსლიდან არ გამოერეკა. იქნებ ამასობაში რაიმე მხსნელი აზრი მომივიდეს თავშიო.

ცაბუ დაფაცურდა, შუაცეცხლზე რძე შემოდგა ასადუღებლად, წყთხიდან ყველი ამოიღო, ნაკვერცხლებს წინადღეს გამომცხვარი ჭადი მიუფიცხა და მამამთილის ხელით გამოთლილი ტაბაკიც იქვე დადგა. ამასობაში გვარიანმა დრომ განვლო. ახალი ჩაძინებული იყვნენ, ულუმპას ეზოში ფეხმტკივანმა მამალმა რომ იყივლა.

— პრამონა! — შეაღვიძა ქმარი ცაბუმ. — ადექი აწი, შე საწყალო. თუ კანტორაში ადრიანად არ ჩახვედი, მერე ვაითუ ყველა თავის საქმეზე წავიდწამოვიდეს და ვეღარავინ ნახო!

პრამონას ხმა არ ამოუღია, მორჩილად წამოჯდა და ჩაცმა დაიწყო.

კანტორასა და საბჭოში, რომელთა ძელური შენობები ერთ ეზოში გვერდიგვერდ იდგა, გაუკვირდათ მისი დანახვა. სოფელში, გაღმა-გამოღმა, ხმა იყო დავარდნილი, სეფე დარახველიძის ბიჭი, პრამონა, ყაჩაღად გასულა, ნათლიმამა სვიმონკა მაცაბერიძე აუყოლებია, სხვა თავზეხელაღებული ხალხისაგან რაზმი შეუდგენია და ჯერჯერობით, სანამ გამვლელ-გამომვლელის ძარცვა-გლეჯით ხელს მოითბობდეს, ადგილობრივ დათარეშობს, მერე კი მგონი აჭარაში აპირებს გადასვლას, რათა იქიდან თათარში გავიდესო.

პრამონას ბევრი გულწრფელად იცოდებდა: სეფე დარახველიძის შვილს რა უჭირდა ტყეში გასავარდნი, პური აკლდა თუ ჭადი, ჩასაცმელი თუ დასახურავი, პროლეტარი: ცოლ-შვილი თავზე ეზვია, ერთი ულელი მოზვრისათვის რავა უნდა გადაკარგულიყოო. ზოგი მთავრობის მხარეს იჭერდა, პრამონას აშკარად ადანაშაულებდა და

ნიშსაც უგებდა. სხვებს ეს ამბავი საერთოდ არ სჯერდა და ხან ერთთ ემხრობოდა და ხან მეორეთ.

საბჭოში საგანგებოდ დაბარებულმა მილიციელმა პრამონა იმავე დილას რაიონში გადაიყვანა. სიმართლე რომ ითქვას, პრამონა ამას არ მოელოდა. გულის სიღრმეში დარწმუნებული იყო, სამილიციო და თოფიანი კაცის წინ აღმადგომა საწოწიალო მე არაფერი დამიშავებია, თუ არა გზასაც ვიპოვნიდიო. პოლიცია-მილიციისა და სასამართლოს კარზე არც ის და არც მისი მამა-პაპა არასოდეს არ ყოფილა და ამიტომაც საყვედური დასცდა:

— ქვეყნის ამომგდები ყაჩაღი არ გაქაჩეთ, ბიჭო? აფერუმ თქვენს ვაკაცობას!..

— ყაჩაღი ხარ თუ წმინდა წყლის დამქცევი, იქ გამოარკვევენ. შენ კი, თუ თავი არ გენანება, ზედმეტ ლაპარაკს და ჩვენს საცინად ადდებას თავი დაანებე! — ცხენიდან ჯიქურ გადმოსძახა სამსომ, რომელიც აგრეთვე ცხენზე ამხედრებულ საბჭოს თავმჯდომარესთან, ლასიკო დვალთან, და რაიონიდან საშიში დამნაშავის გადასაყვანად მოწვეულ მილიციელთან ერთად პატიმარს სოფლის ოღოროჩოღრო, მტვრიან შუკაში მიაცილებდა.

პრამონა მიხვდა, ბედს განწირული ჰყავდა. გამაღიზიანებელი სიტყვითა და უკმაყოფილების გამომჟღავნებით აწი მხოლოდ თავს ავნებდა და ამის შემდეგ ათი თუ თხუთმეტი კილომეტრი ისე გაიარა, ენაც აღარ დაუსველებია. მხედრები წმეუჩერებლივ მიერეკებოდნენ აქოშინებულ ცხენებს. პრამონა ხან მირბოდა, ხან ნაბიჯით მიდიოდა, რათა ბადრაგისათვის არც წინ გაესწრო და არც უკან ჩამორჩენოდა.

მიყვანით ჯერ მილიციის სამორიგეოში მიიყვანეს, მაგრამ სამორიგეოში, სადაც მის გარდა სხვაც ბევრი ვინმე იყო და თავისი ბედის გადაწყვეტას უდრტვინველი მოთმინებით უცდიდა, დიდხანს არ გაუჩერებიათ, იმავე თავგადახტრილმა ხანშიშესულმა მილიციელმა, მთელი გზა ნამანევიდან აქამდე უნაგირზე რომ ყვინთავდა და სამსოსა და ლასიკო დვალს ხელი რომ დროზე არ წაეშველებინათ, ერთი ორჯერ კინაღამ გადმოვარდა, ამჯერად ქვეითად მოაკითხა, მკლავში ხელი ჩასჭიდა, თითქოს გამქცევი ყოფილიყოს, და შორეული თუ ახლო სოფლებიდან მოსული, გაუთავებელი ლოდინისაგან ფეხზე ჩამოშეშებული მთხოვნელებით სავსე მისაღებ ოთახში ჯიკავ-ჯიკავით გაატარა.

— გვარი? — ჰკითხა საუფროსო განიერ მაგიდასთან მჯდომმა ულვაშებგადაგრეხილმა, სუფთად წვერგაპარსულმა, ნახევრადსახეხერო ზაკისფერ გიმნასტურაში გამოწყობილმა, ღვედებით მხარბეჭგადაჯვარედინებულმა რაიაღმასკომის თავმჯდომარემ თედო დავლიანიძემ, რომლის წინაც, მწვანე მაუდგადაფარებულ მიდგმულ მაგიდასთან, აქ უფრო ადრე შემოსული ნამანევის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სამსო ბიჭაშვილი და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ლასიკო დვალი ისხდნენ.

— დარახველიძე, — მიუგო პრამონამ და ორივე ხელით გულზე მიხუტებული ნაბდის ქუდი მოჰმუჭნა.

— სახელი?

— პრამონა.

— მამის სახელი?

— სეფეს ძე.

— დაბადების წელი?

— არ მახსოვს...

— არ მახსოვსო? როგორ თუ არ გახსოვს? შენი დაბადების წელი არ გახსოვს, შე ყურუმსაღო, შენ? რა გახსოვს, ამა?

— მგონი ცხრაას ექვსში თუ შვიდში უნდა ვიყო დაბადებული.

— იქნება არც დაბადების ადგილი გახსოვს?

— რაჭის მაზრა, სოფელი ნამანევი.

— დღეს მაზრები აღარ არის, აღარც

რევაზ ჯაფარიძე
ზაბლა და ნუბეშა

გუბერნიებიან! შენ ეს არ გაგიგია?

— როგორ არა, უფროსო, როგორ არ გამიგია. მართლა აგრე ყრუ და ლენჩები კი არა ვართ!

— უყურე შენ, რავარი მწკლარტე ენის პატრონი ყოფილა?! აბა, რას გვაჩრი ცხვირში. მაგ შენს მაზრას, ძველ დროს შენატრი?

— არა, ბატონო, რავა გეკადრება!

— მაგ „ბატონოსაც“ მოეშვი! ქვეყანა გადაბრუნდა. ალარ არიან ბატონები, ჭირი მოგჭამეს. ყველა ბატონი და მყვლეფელი დაამხო მშრომელმა ხალხმა! ჩახვდი?

— დიახ, ბატონო!..

— ახლა მითხარი, ოღონდ ტყუილი არ გაბედო და თავი არ გაიფუჭო, რას გიჩივის ეს ხალხი? რას ურევ შენ იქ, ნამანევში, რა დაკადაკა და აურზაური აგიტეხია?

პრამონამ ნაბდის ქუდი გულზე მიიხუტა და საწყალობლად გადახედა მაუდგადაფარებულ მაგიდასთან მსხდომ სოფლის თავკაცებს, გადახედა ისე, თითქოს შველას სჭირედ იმათგან ელისო. თითქოს კი არა, პრამონა როგორღაც დარწმუნებული იყო, რომ სამსო და ლასიკო მის მხარეს დაიჭერდნენ. ერთიც და მეორეც, ვისაც ამჟამად მშობლიური სოფლის სვე-ბედი ეკითხებოდა, აგრეთვე პევრი სხვაც, პრამონას ძველ ამხანაგად და მეგობრად მიაჩნდა, რადგან ბალღობა და სიყმაწვილე, თითქმის მთელი სიცოცხლე, მათ გვერდით გაეტარებინა. ყრმობის თანაზიარნი მხოლოდ დროებით თუ შორდებოდნენ ერთმანეთს. ზოგი სალდათში მიდიოდა თავისი ჯარისკაცური მოვალეობის მოსახდელად, ზოგი საბუღალტრო ან სამოანგარიშო კურსებზე ეწერებოდა რომელიმე მახლობელ ქალაქში, ზოგიც ორი კაპიკის საშოვნელად მისდევდა გარე სამუშაოზე გაჩვეულ კაცებს, ბოლოს ისევ იყრიდნენ თავს და სოფელიც ძველებურად მთლიანდებოდა. სულ უკანასკნელ ხანს რაღაც მოხდა, სულ სხვა ქარმა დაუბერა და ადამიანებმაც ფერი და ზნე იცვალეს. გუშინდელმა თანაკლასელებმა, იჯრას ერთი ჯამიდან რომ ჭამდნენ, სამწყემსურში და წირვაზედაც რომ ერთად დადიოდნენ და უერთმანეთოდ დღე დღედ არ მიაჩნდათ და ღამე ღამედ, ერთმანეთს ალმაცერად დაუწყეს ცქერა, გულში ბოღმა ჩაიხვიეს და გაიმიჯნენ. რა ხდებოდა? დროთა განმავლობაში ერთნი გავლენას იპყრობდნენ, სოფლის თვალში თანდათან ზევით და ზევით მიიწევდნენ, მეორენი კი პირიქით, საიდანღაც კანონიერად თუ უკანონოდ მოპოებულ მათ ნებას ჯერ ძალისძალად, შემდეგ კი სიტყვაშეუბრუნებლად ემორჩილებოდნენ და ველარ გაებედათ, სამუდამოდ წარსულს ჩაბარებული გუშინდელი დღე ვისთვისმე გაეხსენებინათ. ძველი დრო რომ ყოფილიყო, სამსოუკა და ლასიკუნა აუცილებლად ეტყოდნენ თავისი შეუზღუდველი ძალაუფლებით აღჭურვილ ამ ქამრებიან კაცს, რომ გაუგებრობა მოხდა, რომ ის გაუგებრობა უკვე გაფანტულია, რადგან პრამონა დარახველიძე, მათი თანასოფლელი და სიყრმის ამხანაგი, საკუთარი ფენით გამოცხადდა და მზად არის, საბჭოთა ხელისუფლების ყველა მოთხოვნა და განკარგულება უყოყმანოდ შეასრულოს, მაგრამ, წინაალმდეგ გულის სიღრმეში ჩამარხული მოლოდინისა, ეს ასე არ მოხდა, სოფლის თავკაცები ენაგადაყლაპულებივით ისხდნენ და არც ავს ამბობდნენ და არც კარგს.

— გისმენთ!.. — პაპიროსის ნამწვავებით პირამდე გატენილი თიხის საფერფლე თედო დავლიანიძემ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადადგა და მერე ისევ თავის ძველ ადგილზე დააბრუნა. — რა ენა ჩაგივარდა? თქვი! იმ მოზვრების ამბავი მართალია?

— მართალია.

— გადამალული გყავდა?

— მყავდა.

— მერე?

— მთიდან ჩამოვრეკე და ახლა ბოსელში მიბია. რავარც მითხრეს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ესე იგი, რავარც გითხრეს, არა? ის თუ გითხრეს, მოქალაქე დარახველიძე, რომ კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ საერთო კრებამ შავსიაში შეგიყვანა? თავს ნუ იკატუნებ! ვითომ არ ესმის, რას ეუბნებიან! ვიცნობთ ჩვენ შენნაირ გაიძვერებს, ისიც კარგად ვიცით, სად არის შენნაირების ადგილი! ის ხომ არ გეშლება, კოლმეურნეობის კუთვნილი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი სად გადამალო და მანებლურად ზარალი მიაყენო კოლმეურნეობასაც და მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსაც?!

— მე ვის რა დავუშავე, ვის რა ზიანი მივაყენე, ამხანაგო დავლიანიძე, მოზვრები ჩემია, თელი სოფელი დამემოწმება, ამ ხელებით გავზარდე, ვინმეს წავართვი ან მოვპარე თუ? ამეიღეთ ხმა, კაცო, რას გაჩუმებულხართ?! ლუკმას პირიდან ვიღებდი და იმათ ვაჭმევდი!..

— დღეს შენ-ჩემობა რომ აღარ არის, პირველად გესმის, თუ თვალს გვიბამ? მაგტომაც გადაგიწყვიტა სოფელმა შავსიაში შეყვანა და გაკეთება! ასე ვექცევით ჩვენ, ბოლშევიკები, კლასობრივ მტერს! ჩვენ მოვითათბირეთ და უკვე დავნიშნეთ შენი უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვის დღე. წინააღმდეგობის გაწევა არ გაბედო შენებურად. დაგკარგავთ, იცოდე, აქაურობის ნახვას მოგანატრებთ! მადლიერი დარჩი, თუ, როგორც ხალხის მტერი, სოფლიდან წვრილშვილიანა არ გაგაძევეთ და თავი ვირის აბანოში არ გიკარით!

პრამონას მსხვილი ტუჩები აუცახცახდა, თვალები ცრემლით აევსო. ესღა თქვა:

— რას მერჩით, ხალხო, სამართალი აღარ არის? ერთი მშრომელი კაცი ვარ, ნაარმი ლუკმა პირში არ ჩამიშვია. რას მემართლებით? ღმერთისაც აღარ გეშინიათ? ვის რა დავუშავე? სამსო, ლასიკო!..

— ხმა! კრინტი!.. — რაიაღმასკომის თავმჯდომარეს სუფთად გაპარსული და პუდრით შეფრქვეული ყბები აუფორეჯდა. — გინდა, აქ ხალხი შეიკიბა მიყარო? შენ ებრძვი, ბიჭო, საბჭოთა ხელისუფლებას? შენ აპირებ წინ აღუდგე მშრომელი მასის ნებას? რითი მერე? არ იცი, რწყილივით რომ მიგასრესთ კედელზე?

პრამონას ნერწყვი გაუშრა, გონება დაებინდა, თავის გასამართლებლად და თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა არც კი უფიქრია, რომ ის მხოლოდ თავისი გაზრდილი მოზვრების სიბრალულმა ჩააგდო გაწამაწიაში და ნუთუ ეს საბჭოთა ხელისუფლების წინაღმდეგ ბრძოლად უნდა ჩაუთვალონ, პირიდან სიტყვაც ვეღარ ამოუშვა. სახლამდე სული ძლივს მიიტანა. იმდენი ღონე კიდევ ეყო, ზღურბლს გადააბიჯა, აქ კი ღონემ საბოლოოდ უმტყუნა და მთელი დღის უსმელ-უჭმელი და აღმა-დაღმა ნაწყნწალები მოჭრილ ხესავით წყიტა. ცოლმა იკივლა, მიშველეთო და ზედ ქორივით გადაეფოფრა. გულგახეთქილმა ბალღებმა ზიაქი მორთეს. მათი საცოდაობა ცას სწვდებოდა. ალაგეს მეზობლის უსინათლო დედაბერი ულუმპა მოადგა. არიქა, ვინა ხართ ქრისტიანი, გვისაშველეთ რამე, ნამდვილად უპირთ რაღაცაო.

სოფელი პირში წყალჩაგუბებული დუმდა. გარეთ არავინ გამოსულა. ის, რაც პრამონასას მხოლოდ ახლა შეიტყეს და მწარედ შეიცხადეს, მეზობლებმა დღენახევრით ადრე იცოდნენ. კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ საერთო კრებას, რომელზედაც პრამონას გარდა კიდევ სამი გაღმელი და ორიც ქვემოუბნელი შეძლებული გლეხი გამოაცხადეს კულაკებად და კენჭიც სათითაოდ უყარეს, ვინ არის თანახმა, ეს სოფლის მყვლეფელი ბობოლები შავსიაში შეეიყვანოთ და სადაც ჯერ არს საკითხი დავსვათ სოფლიდან მათი გასახლების თაობაზე, ვინ არის წინააღმდეგი ან თავი ვინ შეიკავა, თითქმის არავინ დაჰკლებია.

ამგვარ ამბებს უჩვეცი ხალხი დუმდა, ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო, კვერი დაეკრა მეზობლის დაქცევისათვის, ხელი საწინააღმდეგოდ აეწია თუ თავი შეეკავებინა. ბოლოს, ერთი ორმა, სულ უკანა რიგში მსხდომმა, სადამდეც პრეზიდიუმის მაგიდაზე შემოდგმული ლამპის შუქი თითქმის არ აღწევდა, ხელი ასწია. ჰე, რაღას უყურებთო, თავზე ხომ არ უნდა დავითენოთო, შეუტია კრებას სამსომ, ესენი რომ დაინახა, ნუთუ ის, რაც კოლმეურნეობისა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა ნათლად და ყველასათვის გასაგებად ვთქვით, ვინმეს საჭუმანოდ მიაჩნიაო?

უკანასკნელმა სიტყვებმა სასწაულებრივად იმოქმედა, ბევრის გულში ცხოველური შიშის მარცვალი ჩააგდო და რამდენიმე კაცმა და ქალმა, ახლა უკვე წინა რიგებშიაც, ხელი გაუბედავად ასწია და ამით ფამოყენებულ წინადადებას მხარი დაუჭირა. სხვებმაც ხამუშ-ხამუშ გასტეხეს ნავსი. კრების მონაწილეები ერთმანეთს თვალს არიდებდნენ, თუმცა გულით უნდოდათ შეეტყოთ, კიდევ ვინ სწევდა ხელს მათთან ერთად, თავად კი, თავიანთი წარმოდგენით უჩინმაჩინის ქუდს იხურავდნენ და ლამობდნენ, სხვებისათვის შეუმჩნეველი დარჩენილიყვნენ.

— ერთხმად!.. დოუშვით!.. — ამბობდა თავმჯდომარე და ლასიკო დვალს ანიშნებდა, ახალი გვარ-სახელი საბედისწერო სიაში შეეტანა.

პრამონა მალევე მოეგო გონს, ცოლისა და შვილების დახმარებით წამოდგა და ტახტთან, რომელზედაც ამ სამი წლის წინათ სამუდამოდ დადუმებული სეფეს კუბო იდგა, თავისი ფეხით მილასლასდა.

— გაგვაკულაკეს, ცაბუ... შავსიაში ჩაგგწერეს...

ელდისაგან ფერწასულ ცაბუს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ ხელები ჩამოისვა ღაწვებზე და როცა ორივე ძირს უსიცოცხლოდ ჩამოუვარდა, ბავშვებმა დაინახეს, რომ მჯიღებს ბღუჯა-ბღუჯა თმა ჩამოჰქონდა. რაკი სხვა მშველელი არავინ გამოჩნდა, ამანაც ძლივსა-ძლივობით მოიკრიბა ღონე, ქმარს გულისპირი გაუხსნა. წყაროდან ახალი მოტანილი ცივი წყალი დაასვენინა, ყვრიმალები წყალგარეული ძმრით დაუსრისა და თან შეშლილი სახით ეჩურჩულებოდა:

— ოღონდ შენ იყავი კარგად... ოღონდ შენ ნურაფერი გეტკინება... რა ვუყოთ, მარტო ჩვენ ხომ არა ვართ ამ შავ დღეში. როგორც სხვა, ისე ჩვენ! ნუ გეშინია, შე უბედურო, არ მიგატოვებთ, ქვესკნელშიდაც რომ გაგვგზავნონ, მაინც შენს გვერდში ვიქნებით! ოღონდ შენ გვეყოლე კარგად, ოღონდ შენ ნურაფერი გეტკინება!..

5

გაკულაკებული, შავსიელი პრამონა დარახველიძის ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა პარასკევ დღეს, 12 საათისათვის დაინიშნა. საგანგებოდ გამოყოფილმა უფლებამოსილმა კაცებმა, რომლებთანაც ერთად პრამონა ოდესღაც ნამანევის შვიდწლიან სკოლაში სწავლობდა, სასოფლო საბჭოს დეპუტატებმა, ქონება წინასწარ აღწერეს, რათა გადამალვა არავის მოეხერხებინა, და რაიონის საფინანსო განყოფილებიდან მოვლინებული ინსპექტორის პავლია ღვალაძის დახმარებით გასაყიდი ფასიც გვერდით მიუწერეს.

გაყიდვას ექვემდებარებოდა ყველაფერი, გარდა მიწის ნაკვეთისა, რომელზედაც სახლი და სხვა საოჯახო ნამშრალები იდგა.

ზალაში, ხვანჭკარელი დურგლის ნახელავ გასაშლელ მაგიდაზე, ეწყო ცაბუს მზითევში მოყოლილი გახამებული ჭრელი სუფრები, ვერცხლის დანა-ჩანგალი, ქორწინების ბეჭედი, დედამთილისეული ოქროს საყურეები, ორი სინი, სამურაბე ტაშტი, ზინგერის საკერავი მანქანა, ოქროსწყალში გავლებული ჯვარცმის ხატი, სეფეს ნაქონი ბალთებიანი ქამარი, ქარქაშმოსევადი-

ბული ხანჯალი, წითელსარჩულიანი ჩატეხილი ბოხოხი, მარტო სტუმრობისას და კვირა-უქმედღეებში რომ იხურავდა, მის მიერვე ვლადიკავკაზში ნაყიდი უცხოური ჯიბის საათი, ვერცხლისა, ძეწკვითურთ, რომლის უკანა ხუფზეც მონადირის ტყვიით გულგანგმირული ხოხობი იყო ამოქანდაკებული. კუთხეში ერთიმეორეზე შეეწყოთ ორი წყვილი სპილენძის ქვაბი, სასოფლო დღეობებსა, ხატობებსა, ქორწილებსა და ქელეხებში ხორცისა და შილაფლავის მოსახარშად რომ იყენებდნენ, დანარჩენ დროს კი შიგ ლობიო ან გაფშვნილი სიმინდი ეყარა. იყიდებოდა ორი საწნახელი, ერთი დიდი და ერთი პატარა, ექვსი ახალთ-ახალი ცაცხვის კოდი, თელის ბეღელი, ნალია, საღორე, სამი ნიკელისთავიანი რკინის საწოლი, ქვეშაგებელი, ფარდაგი, აჩაჩა ურემი, კევრი, მარხილი, მიწაში საშვილიშვილოდ ჩაკირული შვიდი სხვადასხვა ზომის ქვევრი, ხის ნიჩბები, კერიის ჯაჭვი, თუჯის ხელიანი ქვაბები, ქვევრის მოსახდელი ხის ბარი, ორსამგან საკერველდადებული სპილენძის ორშიმო, რუსული სამოვარი, დერგები, ქოთნები, ჩაფები და ათასი სხვა საოჯახო წვრილმანი.

ბოსელში გამომწყვდეული მშიერი მოზვრები, ახალი ნახბოვარი მეწველი ძროხა და წვრილფეხი, ჩვეულებისამებრ, საძოვარზე არ გაურეკათ. აღმასრულებლის ხელით სასოფლო საბჭოდან გამოგზავნილი ფიცხელი მოწვრილობის თანახმად, პირუტყვისათვის ხელი არ უნდა ეხლოთ, საჯარო ვაჭრობის დაწყების დროისათვის ყველა შინ ეყოლიებინათ, ვინაიდან კოლმეურნეობიდან ოჯახის გარიცხვის გამო, რაც იმავე საერთო კრებაზე მოხდა, რომელმაც პრამონას გაკულაკება გადაწყვიტა და დაადგინა, არტელს მათი მიღება და შემოსავლის დავთარში გატარება არ შეეძლო და ამიტომ ისინიც, როგორც კულაკის კუთვნილება, სხვა უძრა-მოძრავ ქონებასთან ერთად უნდა გაეყიდათ.

ერთი მხრივ თვალისსეირის მოყვარულმა და მეორე მხრივ ხელის მოთბობის მოწადინე ხალხმა ადრიან დილადანვე დაიწყო დენა. ჯერ შორეულ სოფლებში აიდგეს ფეხი და ხალხის დაუძინებელ მტრად შერაცხულ პრამონა დარახველიძის ჭიშკარს კითხვა-კითხვით მოაგნეს, მერე ამათ თვით ნამანველებიც მოჰყვნენ. თუ მართლა საჯარო ვაჭრობა გაიმართებოდა, როგორც ბარე ხუთჯერ მეზობელ სოფლებში — ხონჭიორში, პატარა ონსა და აბანოეთში გაიმართა, და ქონებას ჩალის ფასად გაჰყიდდნენ, დარახველიძის ნაჯახირევი და ნაოფლარი, რაკი ღვთის რისხვას, ხატსა და ჯვარს აღარავინ ერიდებოდა, რაღა მთორეული გადამთიელისათვის გაეტანებინათ, განა მათ კი აწყენდა რისამე შეძენა და ხელმოკლე ოჯახისათვის შემომატება? აკი თქვეს ძველებმა, ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო!

მზე რომ საშუადღეოზე შეიმართა და თორმეტს ბევრი აღარაფერი აკლდა, ბედაური ცხენებით მოთქიფინდნენ სამსო ბიჭაშვილი და ლასიკო დვალი. მათ ხიშტწამოგებული შაშხანებით შეიარაღებული სამი მილიციელი ახლდა, რომლებიც ყოველგვარი მოსალოდნელი! უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად რაიონიდან წინადღეს დაებარებინათ. აქვე იყო რუსული ნაჯახივით სახეგათხელებული ფინინსპექტორი პავლია ღვალაძე, ვინც სასოფლო საბჭოს დეპუტატებთან ერთად წინადღეს დარახველიძის უძრავ-მოძრავი ქონების აღწერა ჩაატარა, აქვე მოყვრულად ისადილა, ჭერი დალოცა და ახლა, საჯარო ვაჭრობის დროს, ვალდებული იყო ყოველივე ერთხელ კიდევ აღერიცხა, რათა დარახველიძეებს არ ემამაძაღლათ და მეზობლებში, მოკეთეებში ან ნათელ-მირონებში არაფერი მიემალმოემალათ.

სრულ თორმეტზე რაიონის პირველი უბნის მოსამართლე, შინსახკომის უფროსის მოადგილე და პროკურორის თანაშემწე მობრძანდნენ.

სოფლის საერთო კრების მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც შავსიელი, კულაკი პრამონა სეფეს ძე დარახველიძე ხალხის მტრად და სოფლისაგან მოკვეთილად ცხადდებოდა, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ლასიკო დვალმა წაიკითხა.

ლასიკო ოდის აივანზე იყო გადმომდგარი და, თუმცა ცენტრიდან გამოგზავნილი ნიშუშის მიხედვით შედგენილი და საბჭოს მდივნის გარკვეული ხელით საერთო დავთარში შეტანილი გადაწყვეტილება ზეპირად იცოდა, მაინც დამარცვლით კითხულობდა.

ლასიკოს მხარმარჯვნივ მრისხანედ კოპებშეკრული სამსო უდგა, მარცხნიდან კი ხისუდიანი მაუზრით შეიარაღებული შინსახკომის უფროსის მოადგილე და მოსამართლე ამოსდგომოდნენ. უკან, მეორე რიგში, იდგნენ პროკურორის თანაშემწე, ამბაკო ბრიგადირი, ბრიგადელი, როგორც სოფელში ეძახდნენ, და ფინინსპექტორი პავლია ღვალაძე. ხალხი, წვრილფეხობა, ნამანეველებიც და გარეშენიც, ცაბუს მოუღლელი ხელით სანიმუშოდ დაგვილ-დასუფთავებულ ეზოში დამდგარიყო ჯარად და გულხელდაჯდომილი მორჩილად უგდებდა ყურს, რასაც ქარწვიმისაგან შელანძღული ოდის აივანზე გადმომდგარი ტანმორჩილი ლასიკო დვალი, უღარიბესი მშრომელი გლეხობისა ანუ სოფლის პროლეტარიატისა და საბჭოთა ხელისუფლების სახელით, მარცვალ-მარცვალ კითხულობდა, თუკი მის ჯახირსაც, რასაკვირველია, კითხვა ერქვა.

საჯარო ვაჭრობის დროს განუხრელი საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად მოწვეული ფორმიანი მილიციელები ეზოში დაბორიალებდნენ, ხალხისაგან ოდნავ განცალკევებით, რათა აქედან თვალი მოუშორებლივ ედევნებინათ პრამონასა და მისი დამეხილი ცოლ-შვილისათვის, დასანგრევად განწირული მამაპაპეული ბეღლის წინ რომ დაეყენებინათ და თავიანთი ბედის ბანაკ ჩენს იქ ასმენინებდნენ. დაღვრემილ მილიციელებს, მსგავს ცოდვისკითხვასა და ეკზეკუციებს, ვინ მოსთვლის, მერამდენედ რომ ესწრებოდნენ, ღმის მორიგეობის შემდეგ მოსწეოდათ აქეთ წამოსვლა, რადგან რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში ბოლო დროს თანამშრომლები არ ჰყოფნიდათ, შიმშილიც უდროო დროს შემოსჩენოდათ და ხემსზე ყლუპი ღვინის დაყოლება ახლა ერთ რამედ უღირდათ, მაგრამ საქმე, რისთვისაც ნამანეველი ამოვიდნენ, ის იყო იწყებოდა და ისე ჰგავდა, კარგა დაღამებამდე არც დამთავრდებოდა.

ლასიკუნა დვალი რომ ბოლოში გაჩაქჩაქდა, ცოდვა-მადლის დავთარი რომ რაჰული აუჩქარებლობით მოკეცა, იღლიაში ამოიდო, ორიოდე მჭექარე სიტყვა კიდევ თქვა თავის მხრივ და სამსოს მხარეს ჩაიწია, რათა რიკულებიან მოაჯირთან მომდევნო ორატორისათვის დაეთმო ადგილი, წინ რუსული ნაჯახივით პირწამახული ფინინსპექტორი პავლია ღვალაძე გამოვიდა. ლასიკო დვალისაგან განსხვავებით, პავლე გვარიანი მწიგნობარი აღმოჩნდა. თაბახის მოყვითალო ქაღალდზე ჩაწიკწიკებულ გრძელ სიას სულ სხაპასხუპით კითხულობდა. ეს გახლდათ პრამონა დარახველიძის უძრავ-მოძრავი ქონების სია, როგორც სათაურიც მიუთითებდა, დაწვრილებითი სია იმ ქონებისა, თვით პრამონას და მის მაშვრალ მამა-პაპას შვილისა და შვილიშვილისათვის გადასაცემად უხსოვარი დროიდან დღემდე რომ მოენაგრებინა, ანდა ცოლის მზითევში მოჰყოლოდა.

— საყოლებელი რამდენი სულია?

— ვიღაცამ სულწასულად იკითხა მოჯარულ ხალხში.

პავლია ღვალაძემ სიაში ჩარგო თითქოსდა ჩარხზე ალესილი ცხვირ-პირი და, რომ არ შეშლოდა, საქმიან კითხვას სიაში სახეწარგუმლა უპასუხა:

— ორი ძროხა... ვინ მეკითხებოდა?

— მე გკითხე, მე. რავა, არ შეიძლება, თუ?

— რავა არა და ახლა შენს საყურადღებოდ ვამბობ: ორი ძროხა... ერთი მეწველი, ახალი ნახბოვარი, შენ ხარ ჩემი ბატონი, ერთიც ბერწი. გასაგებია?

— სხვა, სხვა?

— ერთი თოთო ხბო, ერთიც მოზარდი, ერთი უღელი სახარე მოზვერი...

აქ ხალხი ახმაურდა. ეტყობოდა, რაღაც კიდევ იყო გაუგებარი თუ ბუნდოვანი. ღვალაძემ განაგრძო:

— ორი ტახი. ერთი გოჭებიანი დედა-ღორი. თერთმეტი გოჭი. თერთმეტივე ძუძუზეა. ხუთი ცხვარი!.. ასე არ არი, პრამონა?

ხალხმა ერთბაშად იბრუნა პირი და იქით გაიხედა, სადაც პრამონა და მისი ჯავრისაგან დამეხილი ცოლ-შვილი ეგულებოდა.

— აგრეა, — თავი არ აუწევია, ისე უპასუხა თითქოსდა ჭარხლის წვენში მოხარშულმა პრამონამ.

— სია ხომ სრულია? ხომ არაფერი გამოგვრჩენია?

— აგერ არ იყავი?

— თუ რამე არ ჩაგვაწერინე და განზრახ გამოტოვე, პასუხს აგებ, იცოდე!

— მეტი რაღა პასუხი უნდა ვაგო, პავლია, ეგ არის და ეგ!

— რაფრად მოვიქცეთ ახლა? — ფინინსპექტორმა ჯერ შინსახკომის უფროსის მოადგილეს შეხედა, მერე კი, როგორც სოფლისა და კოლმეურნეობის ბატონ-პატრონებს, სამსოსა და ლასიკოს მოუტრიალდა.

— ამხანაგებო! — საბჭოს თავმჯდომარემ პავლია ღვალაძე ნიდაყვით უკან დასწია და მისი ადგილი დაიკავა. — საჯარო ვაჭრობა გახსნილად ცხადდება. როგორც ამხანაგმა მოგახსენათ, ქონება შეფასებულია. დავიცვათ წესრიგი. ნუ გაგვხდით-ყე იძულებულს, მილიციის მუშაკებს მივმართოთ. ნაღდი ფული ხელზე იქონიეთ. ეს ფული დღესავე უნდა შევიდეს ბანკში. ხომ, ამხანაგო პავლია? თუ რამე გაუგებარია, ან ასახსნელია რამე, აგერ ვართ და შეგვეკითხეთ!

— ყველაფერი იყიდება, კაცო?

— ყველაფერი, როგორც თავსავე მოგახსენეთ, სახლი, კარი, ბოსელი, ბეღელი, საბძელი, მარანი...

— ამ უბედურებმა რაღაში უნდა იცხოვრონ, თუ ღმერთი გწამთ?

— ეგ შენი ჭკუის საქმე არ არის, ენას მოუკელი, ვინძახა ხარ!

— ბეღელი ჩემია! პირველად მე დავადგი თვალი. არავინ შემედავოთ, თუ არა...

— თუ არა, რაი?

— ჩემია ბეღელი! მე დევიმისე პირველად!

— მამა გიცხონდა! ნამანევში გაწყდა მყიდველი, აბანოეთში რომ არ გაგატანოთ?

— რა ამბავია, ხალხო, რომ მიესიეთ მა ქვაბებს და ტაშტებს, არ უნდა გავიგოთ, ვის რა მიაქვს, ფულს გადახდა არ უნდა?

— გადევიხდით, ბატონო, გამქცევი ვინ არის აქ!

— ქვეშაგებს და თეთრეულს ასე სათითაოდ ნუ დევიტაცებთ, ერთი და ორი ბალიშისპირი და ზეწარი გინდა ქე გქონია და გინდა არა!

— აბა, ყველას ერთად ყიდვის თავი ვისა აქვს, ქალო?

— არა გაქვს და თავი დაანებე, გამოუჩნდა მაგას მყიდველი!

ცაბუმ სხვისი ქონების ჩალის ფასად დაპატრონების სურვილითა და აქამდე წარმოუდგენელი სიხარბით ჭკუაზე შეშლილი მეზობლების ცქერას ვერ გაუძლო, შიშმა აიტანა, მთელი სხეულით აცახცახდა, სახეზე თავსაფარი ჩამოიფარა და მწარედ აზლუქუნდა. თვალებს ჭუჭყიანი მჯიღებით ისრესდნენ და ტიროდნენ ბავშვებიც, მხოლოდ ერთადერთი პრამონა იდგა გახევებული, ცრემლგამშრალი, ერთ ამოჩემებულ წერტილზე უსაგნოდ მიშტერებული, თითქოს ვერც ვერაფერს ხედავს და არც არაფერი ესმისო. ის უცებ მოირღვა ადგილიდან. ეს მაშინ მოხდა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დესაც ამდენმა ხალხმა პირი ბოსლისაკენ ქნა, რათა მთელი დღის მშიერ-მწყურვალი საქონელი გამოეშვა და ერთმანეთს შორის გაენაწილებინა. პრამონა საზარელი დასანახავი იყო. ასე გამხეცებული და საშიში ის ჯერ არავის ენახა. ვინც თვალი შეასწრო, ქალი იყო თუ კაცი, გულგახეთქილი უკან მიაწყდა კივილითა და ვაიუშველებელით, უი, უი, უი, უიო და გზა დაუთმო.

— პრამონა!.. — ძლივს ამოუშვა ყელს ზემოთ ცაბუმ, ქმარი რომ ამ დღეში დაინახა. — მიშველეთ, ხალხო, ქრისტიანები არა ხართ? რას შვრები, შე ჩემი ცოდვით სავსე!..

სად იყო და სად არა, გავეშებული პრამონას ხელში მამამისი, სეფეს ნაქონი ხანჯალი გაჩნდა. ბოსლის კარზე ფუტკრის ნაყარივით მისეული ბრბო უმალ შუაზე გაიპო. ხანჯალმომარჯვებულმა პრამონამ გულდაგულ კარს მიაშურა, რაზა, რითაც ის იყო გარედან დაკეტილი, ახსნა და შეაღო. დადარაჯებული მოზვრები წაბლა და ნუგეშა კარს მოსცვივდნენ, პატრონი, დილის მსუყე საკვები და წყალი ასე რომ დაუგვიანათ, გვერდზე მიაგდეს და მზის კაშკაშა სხივებისაგან დაბრმავებულები გარეთ გამოცვივდნენ. პრამონა მოზვრების უდიერობამ კიდევ უფრო გააშმაგა. შემოტრიალდა და ნუგეშას, რომელიც უფრო ახლოს იყო და მჭიდროდ შეკრული წრის გარღვევა ვერ მოეხერხებინა, შეუბრალებლად და გამეტებით ჩასცა ხანჯალი მარცხენა ბეჭში და თითქმის ტარამდე გაუტარა. საანახაობით შეძრწუნებულ ადამიანებზე არანაკლებ გაკვირვებული და შემცბარი ნუგეშა ჯერ კიდევ ფართხალებდა და პირიდან და ხელისდადება ჭრილობიდან სისხლი ღვართქაფად გადმოსჩქეფდა, როცა პრამონა წაბლასაც ერთი ნახტომით დაეწია, ყურში ხელი ჩაავლო, თავი უკან გადაუდრიკა და ყელში ნუგეშას სისხლში გასვრილი ხანჯალი გამოუსვა.

— მამა!.. ეს რა ქენი, მამა!..

შიუნა იყო. მისი სასოწარკვეთილი ხმა და გულამომჯდარი ტირილი პრამონამ მაშინღა გაიგონა, როცა გაოგნებული მეზობლის კაცები, ღმერთო, დიდებულო, ამას რას ხედავს ჩვენი თვალებიო, გონს მოეგნენ, მილიციელებთან ერთად პრამონას მისცვივდნენ და საყვარელი სულდგმულების სისხლში მოთხვრილი მამისეული ხანჯალი, ფინინსპექტორ პავლია ღვალაძესა და სასოფლო საბჭოს დეპუტატებს 8 მანეთად და 92 კაპიკად რომ შეეფასებინათ, ხელიდან წაჰგლიჯეს. პრამონას წინააღმდეგობა არ გაუწევია. მან თავისი საქნელი ქნა: მოზვრები მტერს არ დაანება, მტერი არ გაახარა. ახლა ისინი თავისსავე სისხლში ცურავდნენ, საცოდავად ხრიტინებდნენ და გაკვირვებულები, ალბათ, იმასღა ფიქრობდნენ, რად ქნა, რად მოიმოქმედა პრამონამ ეს, ალერსიანმა, დაუზარელმა, მათთვის თავგადადებულმა პრამონამ, რა მოხდა დღეს ისეთი, რა ცა ჩამოიმხო, რომ კაცი მხეცად გადაიქცა და ყველაფერს, რაც აქამდე სანუკვრად და ხელშეუხებლად მიაჩნდა, ზურგი ერთბაშად, ერთი დაკვრით შეაქცია.

— სად მიგყავთ, თქვე ურჯულოებო, ულმერთოებო, საკაცეთში გამოსხლეტილებო, სად, თქვენ არ გახვედით ცოხალი მაგ ჯიშკარში, რა დაგიშავათ, ვის რა დაგიშავათ, ვის რა დავუშავეთ, ვის წინაშე რა დანაშაული მიგვიძღვის?! ასთმა აქვს მაგ უბედურს, სულს ვერ იბრუნებს. ხელში ჩაგაკვდებათ. ვაიმე, რაღა ვქნა! ღმერთო, თუ სადმე ხარ, შენ მოკითხე ჩვენს გამტიალებლებს, ჩვენს ამაოხრებლებს, ვინც ჩვენი შვილების ცოდვაში ჩადგა! ღვთიშობელო დედა, ველიეთის წმინდა გიორგი!..

ცაბუს წყევლა-მუდარას და გულ-

შემზარავ კივილს, ბთელ სოფელს რომ ესმოდა, ყურის გამბერტყავი და ხელის გამომღები კი არავინ იყო, რადგან უკლებლივ ყველას თავისი პატარა თუ დიდი საწუხარი აწუხებდა, უსაქმო ბორიალისაგან თავგაბეზრებულ, მთელი ღამის უძილარ მილიციელებისათვის ხელი ოდნავადაც არ შეუშლია. მათ პრამონას მკლავები გადაუგრიხეს, საბლით საიმედოდ გაუკრეს, გზაში გაქცევა და მიმალვა არა სცადოსო და წინ გაიგდეს. პრამონას წინააღმდეგობა არც ახლა გაუწევია. თავისდა სამარცხვინოდ ცრემლები ახრჩობდა. უნდოდა, რაღაც დაებარებინა, ცოლ-შვილი დაეიმედებინა, არ შეშინდეთ, მე მალე მოვალ, დანაშაული, ღმერთმა ხომ იცის, არაფერი ჩამიდენია და ვინ რას მერჩისო, მაგრამ რამდენიც არ ეცადა, პირში ენა ვერ მოაბრუნა. ისიც კი ვეღარ დაუბარა მოსწრებულ შვილს, შიუნას, აბა, შენ იცი, მამა, ოჯახს შენ გაბარებ, შენ იცოდე და შენმა ვაჟკაცობამ. რა ვუყოთ. მტერი მოგვერია, დაგვაქცია, დაგვავსო. ცეცხლზე წყალი დაგვისხა, მაგრამ დიდია ღვთის ნება, დაილოცოს იმისი სახელი, ერთი დღე არავის შერჩენია და არც შერჩებაო.

და, წარმოიდგინეთ, არც შერჩა. ზუსტად ორი კვირის თავზე რაიაღმასკომის თავმჯდომარე, მთისა და ბარის შეუზღუდველი ბატონ-პატრონი თედო დავლიანიძე წაიყვანეს. მას სწორედ მაშინ ჰყარეს იარაღი და დაპატიმრების ორდერი წარუდგინეს, როცა ცხენზე ჯდებოდა და ცენტრიდან გამოგზავნილი გადაცმული მუშაკების თანხლებით ახალაღმოჩენილი შეთქმულების ჩასაქრობად მიდიოდა. გაიოცა, გადაირია, პირიდან ცეცხლს ყრიდა, ვის უბედავთ, მე თედო დავლიანიძე ვარ, ნუთუ ჩემი საბელი ჯერ არ გაგიგონიათო. როგორ არა, გაგვიგონია და სწორედ შენ გვინდიხარო, მშვიდად უპასუხეს და სხვებისათვის განკუთვნილი შავი მანქანის კარი გამოუღეს.

თედო, როგორც საჯაროდ გამოცხადდა და ჩუმ-ჩუმად ხალხიც ლაპარაკობდა, ინგლისური დაზვერვის დაქირავებული ჯაშუში ყოფილიყო, რაჭაში საბჭოთა ხელისუფლების ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდა. უცხოურ ვალუტას, დოლარებს, თურმე ნუ იტყვით, ფოთში არალეგალურად მომუშავე რეზიდენტისაგან იღებდა. მოდი და ამის შემდეგ დაიჯერე კაცის სიტყვა! თედო დავლიანიძის მიერ საქმეში ჩათრეულთა შორის აღმოჩნდნენ სამსო ბიჭაშვილი და ლასიკუნა დვალი. ცოტა ხნის შემდეგ ამათ რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი, მიწგანის გამგე და ფინინსპექტორი პავლია ღვალაძეც მიაყოლეს. შიშისაგან ენაჩავარდნილ ხალხში ხმა დაირხა, ამათ თურმე წყალსადენის მოწამლვა ჰქონიათ მინდობილი, დიდძალი დარიშხანი უპოვნეს და კაცმა არ იცის, სათავეში ჩაყრილი საწამლავი როდის იმოქმედებსო.

რაც შეეხება პირადად პრამონა დარახველიძეს, ის მესამე თუ მეოთხე დღეს, სხვა თორმეტ პატიმართან ერთად, რომლებსაც ბრალი აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული მავნებლური საქმიანობა ედებოდათ, ქუთაისის ციხეში გადაიყვანეს. ქათქათა ხელსახოცში გამოკრული ხარჯი პირზე თავსაფარახვეულ ცაბუს მორიგე მილიციელმა უკან დაუბრუნა და საიდუმლოდ უთხრა, თან აქეთ-იქით იყურებოდა, ღმერთი არ გამიწყრეს, ყურს არავინ გვიგდებდესო:

— წაიღე, დაუნა, წვრილშვილს აჭამე, იმას აწი თქვენი აღარაფერი დასჭირდება!

ამის გამგონე ცაბუს ცეცხლი წაეკიდა:

— რას ამბობ, კაცო, გასაგებად მითხარი, მტრისა და ავისას, უჭირს რამე?

— ჩუმად, ქალო. ასაყვირებელი რა გითხარი!

— სად არის პრამონა?

— რომ ვიცოდე, არ გეტყვი?

— მითხარი, კაცი არა ხარ? ბოვშებს თვალები გამოუღამდათ ლოდინში.

— წადი, დაო, შარს არაფერს გადამკიდო, ამდენი მიეთმოეთის ნება კი არა მაქვს მე. შენისთანა აქ დღეში ათასი მოდის!

— არ მეტყვი, აბა?

— მე რა უნდა გითხრა, ქალო, მე პატარა კაცი ვარ შენსავით. გინდა, მეც მამახსნან და ჩამაყუდონ? წადი, მიხვედე ბოვშებს. ასე გირჩევნია. როგორც დას... რა ქვია შენ ქმარს!

— პრამონა!

— ჰო, პრამონა. წადი, წადი! თუ მობრუნება უწერია, მობრუნდება, თუ არა და მე და შენი ტირილი და ვაი-ვიში ვერაფერს უშველის. ასეა ეს!

ამ სიტყვებით მორიგე მილიციელმა აშმორებული სარდაფის კარი შეიხურა, რომელსაც ახალდაკავებულთა დროებით მოსათავსებელ სადგომად იყენებდნენ, და იმედგადაწყვეტილი ქალი ქუჩაში დატოვა.

ლექსი — მახვილი

მცხეთასთან ახალ სასწაულებს გუმანით ვეძებთ,
როცა ანათებს ღრუბლებიდან ჩვენი მზე და სვე,
ქართლის ძუძუა ხეკორძულა და არსუკისძეს
უფსკრულებიდან ამოფრქვეულ ტაძარს შეასმევს.

არსუკისძეა საქართველოს სახელიც, გვარიც,
გამოუვლია წამებაში, ცეცხლში, კრულვაში,
უფსკრულებიდან უწმინდესი ამოდის წყალი
და ტაძარივით იმართება ხეკორძულაში.

ჩვენც აქ მოვედით, აგვითრთოლდა მზეში ხელები,
ტანჯვას და წუხილს სხვანაირი გვაჩვევს ხილვები,
როგორც კრწანისში დაცემული არაგველები,
ჩვენც ისე ვკვდებით ეჭვის ხმლებით დაჩეხილები.

ბრძოლის ველია ჩვენი წიგნის ყველა ფურცელი,
ხეკორძულიდან მოდის ჩვენსკენ ეს გზა ტეხილი,
ლექსი — მახვილი ორლესული და შეუცვლელი,
საკუთარ გულში დაკოცნილი და ჩატეხილი.

მარიამ საკმეველა

ამ ყვავილს, ამ დარდს, მინდვრის თვალზე ცრემლად
მოწოლილს,
ახსოვს მრავალი, მახსოვრობა რჩეულთ ვალია,
მისი სურნელი წარმართების ძველი კოცონის
იბერიაში დარჩენილი ცხელი კვამლია.

მე ვცნობ ამ ყვავილს, სიყვარულის პაწია მშობელს,
ყვითელ მარიამს, სავსეს სევდით, ფიქრით და მადლით,
მისი სურნელი იბერიის უძველეს სოფლებს
და ძველ ქალაქებს, ძველ სახელებს ეტრფის და ასდის.

არ ეკარება სილამაზე, თავისი ეშხი,
ნაზია ისევ და ამაყი ძველი ფერითა,
მაგრამ როდესაც ჩამოჭკნება გრძნობების ტევრში,
ნეტავ რა ლოცვებს გამომიტანს დროის ყელიდან,

მაშინ, როდესაც ცივი ზეცის გრილი შხეფები
კვლავ მომაგონებს არსებობას შორეულ ყინვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს კი მის სითბოს, როგორც ჩემს გულს ისე ვეხები,
მამულის სუნი ტკივილივით ძარღვებში მივლის.

და იცის მიწამ, პაწაწინა ღრუბლის ბორცვები
დროდადრო რატომ იფარება ყვითელი ნისლით,
კაცის გულიდან განდევნილი ძველი ლოცვები
მხოლოდ ყვავილთა გადამალულ ტაძრებში ისმის.

შენ გინდა ლექსი

ჩვენ რასაც ვიგრძნობთ და რასაც
ვიტყვით,
იგრძნეს ორგულის და მტრის ურჩებმა,
სიტყვაა ჩვენი მთრთოლვარე კვირტი,
ბოლოს სამშობლოდ რომ იფურჩქნება.

გადავიწყება მტვერს ვერ მიაყრის
იმედს ყვავილად ამოსულს ველად,
სიტყვის გზით, როგორც სისხლის
წიაღით,
ჩვენ სამშობლოში უთუოდ შევალთ.

მამულო, ჩვენგან ითხოვ გულს და
სულს,
ლექსს ტკივილებით, ტანჯვით და
დარდით,
ქეთევანივით უღვთოდ წამებულს,
დაშანთულ ტანზე სისხლი რომ დასდის.

ზეცას მზესავით რომ გადაუვლის,
შენ გინდა ლექსი ნაქსოვი ელდით,
აელვებული და დადაღული
ბგერები, როგორც მარტვილის მკერდი.

●

მდინარის გაღმა დიდი ტყეა. ბავშვობის წლები
მის ბებერ ასაკს შეემატა ზარით, ზრიალით
და მესმის ხშირად სიბნელიდან თავზარდამცემი
ხეთა სამეფოს ბობოქარი, მძლავრი შრიალი.

მე ვხედავ ხშირად, ცა ჩამოდის ელვარე თვლებით,
ამკობს ბუდეებს — უცხო ხმების და ფერის აკვნებს.
შეიფრთხიალებს ცეცხლოვანი, ყვითელი ფრთებით
და მზე მიფრინავს ფასკუნჯივით ზესკნელისაკენ.

დიდი ტკივილი უძლებს მხოლოდ მზის სიახლოვეს,
იქაც, სულ მაღლა, ცეცხლის რკალშიც, რაღაცას დაობს,
ხოლო პატარა ტკივილები ცრემლით და გლოვით
იტრუსებიან სულ ადვილად და სათითაოდ.

ვით შემოდგომის მოლივლივე ყვითელ ბალახებს
ანდაც ქარისგან გადაზნექილ, დაბრეცილ წნორებს,
მეც იმედიდან სიგიჟისკენ მკვეთრად გადახრილს
მამულის მიწა მაბრუნებს და მაწონასწორებს.

და როცა ზეცა მიიძინებს გალაღებული,
ვინც მზე გვაჩუქა და იმედის შუქი მოგვფინა,
მე ვხედავ წუთით სიბნელეში ზარდაცემული
ცეცხლოვან ფრთებით მზე კვესავს და ჩემსკენ მოფრინავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშანს ვადებდე

ყელზე მკიდია ნადირის ეშვი,
ძველი ცა ცდილობს სხვა ცა დამხუროს,
საუკუნეთა ბნელ უღრანებში
დანახშირებულ მზეებს ვნახულობ.

მშობელი ტრფობა არწევს გზას —
აკვანს
და სინათლეებს ვნახულობ თუმცა,
მამულის ცამ და მისმა ასაკმა
დიდი ხანია მეც მომახუცა.

მე მინდა უკვე სიზმრების ეშხი
არც მაწუხებდეს, აღარც მართობდეს,
საუკუნეთა ქარვისფერ წლებში
ქოხივით ჩავდგე და განვმარტოვდე.

გადამიყვითლდეს, გამიხმეს თმები,
ტკივილს ნელ-ნელა მოედოს ობი
და ჩემში, როგორც მღვიმეში თხემი,
სასწაულების შერბოდეს ჯოგი.

იდგეს სურნელი ასული ცამდე,
რომელიც ახლა სიზმრებში მახლავს
და როგორც ბურნუთს, ისე ვყნოსავდე
მკვდარ სიტყვას ყვითელს, ნაზსა და
გამხმარს.

მეპკურებოდეს სიცოცხლის შხეფი,
ტკივილს ეძებდეს განუკურნებელს
და დანაცრებულ მზის თბილი
ფერფლით
ნიშანს ვადებდე საუკუნეებს.

ტაძარ-ჩიტები

რათა სამხრეთი ქარვისფერში მარადის თრთოდეს,
ფერი აჩუქა შემოდგომამ, სევდამ და მთვარემ,
ტაძრები თითქოს ჩიტებია კორდიდან კორდზე
და მთიდან მთაზე ჟრიამულით რომ მიფრინავენ.

ზოგი მერცხალი, ზოგი შაშვი, ზოგიც ქედანი,
ამოუფრინდნენ საქართველოს — ოქროსფერ ბუდეს,
იქნება ერთი იმთგანი გაუბედავად
ზედ ხელისგულზე დაგისკუპდეს და აყღურტულდეს.

მზე კი დიადი, უკვდავი და მიუკარები
ცაზე უხვად ფენს ცხელ ყვავილებს და
ცეცხლის ბარდებს,
საგულდაგულოდ გადურაზა ტაძრებს კარები,
რომ ზეცის მუქ-ლურჯ მღვიმეებში არ
შეფრთხიალდნენ.

სამხრეთის მზეში კვლავ ცრცხლობენ დაღლილნი წლებით,
ბედით შემკრთალნი, მაგრამ არა გაუბედავნი,
მთებიდან მთებზე მონავარდე ტაძარ-ჩიტები,
ზოგი ბულბული, ზოგი შაშვი, ზოგი ქედანი.

●

მზე როკვას იწყებს ისევ თავიდან,
მის ცხელ ყვავილში ფუტკარი არ ზის,
სამარხის ცივი ჭუჭრუტანიდან
მიცქერის ვიღაც ეჭვით და ბრაზით.

მინდა ვიყვირო: გამოდი, გათბი!
ძველი იმედით, ძველი ხალისით
გამოდი გარეთ და შენი ლანდი
გამოიყვანე, გვერდით დამისვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალი შეავლე შენს თავს აწმყოში,
როგორც სიცოცხლის ძველისძველ
ნაწერს,
დე, შენს ნესტიან, სუსხის საწოლში
შეშინებული მზის სხივი ჩაწვეს.

გამოდი გარეთ, იყავი თუკი,
გამოიხედე ჩამქრალი თვალით,
გულის ადგილას, ვით ბნელში
შუქი,
ხომ ბრწყინავს დიდი სიცოცხლის
კვალი.

მითხარი, ძველი რა დარჩა შენში,
რა განუგეშებს, რა გსურს, რა მოგწონს
თვალის ღრმულებში — მჭკნარ
ყვავილებში
შევა ფუტკარი და შხამს ამოგწოვს.

ამოგწოვს სიკვდილს, წაიღებს ლხენით,
იფრენს არყოფნის ყვითელ ველამდე,
ძვლებს კი მზის ცეცხლი და მარწყვის
წვენი
ახალი სისხლით აგიფერადებს.

დატკბება ცით და ქუშით ულევით,
დამჭკნარ ყვავილთა წამწამებს გაშლის
შენი თვალები შენახულები
ცივი სამარხის ქარვისფერ თაფლში.

ცეცხლივით იწვის

ვინ განიწმინდოს დიდი სული ზეცის ნათელით,
ვინ ააღერებს მძლავრი ხელით ნეტავ სხვა ზარებს,
სად არის ნერსე ერისთავი, დიდი ქართველი,
მცხეთას თუ თბილისს, იქნებ ბაღდადს, იქნებ ხაზარეთს.

მამულის სულო, სულნათელი ხანძთელის გზნებით
რად არ იჩქარი, რად არ მოგდევს ლანდი დიდების,
როცა მზის ძველი მონასტრიდან ცის მონაზვნები
კლარჯეთის მთებზე წითელ ვარდებს გადმოკიდებენ.

კიდევ ხომ ცოცხლობს სიყვარული, ძველი სურვილი,
ხომ ისევ ეტრფი ამაყ წარსულს, დიადს და ნაქებს,
კლარჯეთის გზებზე ბერის დაღლილ კარაულივით
ჩვენი იმედი მიბაკუნებს და მიჩაჩქებს.

ვინ ანუგეშოს, ვის აქვს გული მძლავრი და უხვი,
როცა ტკივილი გაათკეცდა მარტვილი მიწის,
სამხრეთის მთებზე დიდი ვარდის უკვდავი შუქით
ხანძთელის სული სანიშნებელ ცეცხლივით იწვის.

●

ამ ბაღში მხოლოდ შაშვი გალობს, ვით ნაღვერდალი
მისი ხმა ხშირად ნაცარწყარილ ყელიდან კვესავს,
საღამოობით ბულბულის ხმას მოიტანს ქარი,
უცხო ბაღების ამოსუნთქვას და ამოკვნესას.

აქ არის ვარდი, ნაღვლიანი სახით და ბედით,
მის ბასრ ეკლებზე სატრფოს ნაზი ბუმბალი არ თრთის,

ზურმუხტის თითზე ჩამოცმული ლალის ბეჭედი
თავის ციმციმში შხამს ინახავს ბულბულისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ახსოვს შაშვი. შაშვს კი ტრფობა მუდამ ეყოფა,
ზამთრობით, როცა ბაღს გადუვლის ღრუბელთა რიგი,
ის არსად მიდის, მშიერსა და ღატაკ დედოფალს
უყვარს სამშობლო, გაძარცვული, მხნე და ღარიბი.

ჯერ კი ზამთრამდე შორი არის, გული ვნებული
სიმღერად უხმობს, დიდი ცეცხლის დასდევს არილი,
ჯერ ვარდის ბუჩქი მაისის მზით გალაღებული
ანათებს სისხლის გაქვავებულ შადრევანივით.

ᲘᲡᲔ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲩᲐᲜᲡ

ასაკი უცნობ იმედით მავსებს,
ახალ ტკივილით და ახალ შვებით,
გრილ ტალღებივით მეღვრება თავზე
და წყლის ქალივით სველი ვარ წლებით.

აღტაცებული ვდგავარ ჯებირთან,
დრო მართლა მკურნავს და მაწვდის
წამალს.
მე ვერ გამოვალ ჩემი წლებიდან
და სამარხისკენ ნებით ვერ წავალ.

ვერ ვუერთგულებ არყოფნის დუმილს,
არ არის შუქის ტოლი და წყვილი,
რა მტანჯველ სურნელს გამოსცემს
გული
ფეხდანადგამი, მწიფე მარწყვივით.

ისე მცირე ჩანს სიკვდილი მზეში,
როგორც ბეღურას და ლაჟოს ჩრდილი,
ან ტკივილები სისხლივით ლექსში
ჩაქცეული და ვერ გაჟონილი.

●

მცირე ნაწილი მთების დიდების,
წევს ლოდი, ფიქრის აჩნია კვალი,
ის არის სახლი მფრთხალი ხვლიკების,
მათი შვილების ცხელი აკვანი.

ის იმახსოვრებს დღეებს ჩავლილებს,
შეჰყურებს ზაფხულს უჩინარ თვალით,
ლოდთან ამოსულ ველურ ყვავილებს
მის ამაყ ტანზე მიუდევთ თავი.

მე კვლავ ამამღვრევს სევდა ყვავილთა,
მათაც მოსძებნით სურვილი ძველი,
საუკუნეთა ცხელი ტანიდან
გამოსულთ ყვითლით და ვარდისფერით.

მე მათ ძალიან დიდხანს ვეძებდი,
ვუსმენდი მათ ჰანგს და მათ მოძახილს,
ახლა პატრონობს ვეება ლოდი
და ხვლიკთა ძველი, დიდი ოჯახი.

ფესვს ულოკავენ ყვავილთ ალერსით,
თრთის მათი თავი, მათი სხეული
და საუკუნე ხვლიკთა თვალებში
ვერ ჩატეული და ჩამსხვრეული.

●

ისევ ჩაბერეს გაზაფხულს სული,
ისევ ათრთოლებს ზურმუხტის აფრებს,
მთა გამობარი და ძალმიცემული
ცეცხლის პირიდან ყვავილებს
აფრქვევს.

მაგრამ ქვესკნელის ძალები სდუმან,
გაიღვიძებენ ვინ იცის რა დროს,
იქნებ მთავარ ფერს მთა მალავს ჩუმად,
მხოლოდ უსახო ყვავილებს ანდობს.

არის ყვავილი, სახელიც ჰქვია,
ქვესკნელს მოსული ცად და მზის
სხივად,
გამთბარი მიწის საყვარელ წიაღს
ის სიკვდილამდე ბევრჯერ იხილავს.

ხოლო სულ მაღლა, დიდი მთის წვერზე,
სადაც მზე მუდამ გალობს თვალებით,
დგანან მკვდარ ფერთა ანაბეჭდებზე
ყვავილთა ძველი სალოცავები.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მივეგებები სიყვარულით ყვავილებს გაშლილს,
თეთრსა თუ ცისფერს, ზოგს კი ყვითელს და
ზოგსაც მზისფერს
და ჩემში, როგორც უძველეს და გაძარცულ ბაღში,
ბულბული ზოგჯერ შორი გზიდან ხმამ შემოიფრენს.

შორი ტყეების მესიზმრება დიდი ჩრდილები
და სიზმრის ფსკერზე გარდაცვლილი მთის ბინდებია,
ჩემი თვალები — ჩემი სულის ტყუპი შვილები,
მამულის წმინდა მდინარეში რომ გრილდებიან.

გამოვიღვიძებ ნიავის და ხეების ხმაზე,
ისევ იქ, იმავ ბილიკებზე და იმავ მხარეს,
ცაზე კი, როგორც კერიის ძველ, უწმინდეს ქვაზე
ასაკდაკარგულ მზეს უვლიან და ინახავენ.

საღამოები, ნაღვლიანი ცეცხლის დილები,
კვლავ გრძელდებიან და არავის ნუგეშს არ თხოვენ,
ჩემი თვალები — ჩემი სულის ტყუპი შვილები,
ჩემს ბაღში ზოგჯერ შემოფრენილ ბულბულს აფრთხობენ.

კვლავ თავბრუს მახვევს მოზეიმე ზეცის სურნელი,
ისევ დაეძებს ჩიტი ბუდეს — დაშლილს ქარებით,
და დაქანცული, გათიბული საუკუნენი
მკვდარ სიტყვებსა და მკვდარ სახელებს აშრიალებენ.

იმ გზებით

მინდორთა სურვილს ვინც ოდესმე გულში გაივლებს,
მეც მომიგონოს, მოგონება კაცთა წესია,
სიზმრები იყო ჩემი გზები, ველურ ყვავილებს
ვუნოსავდი, მათ ძველ სამყოფელში რომ შემეღწია.

მახსოვს ყვავილი ერთი ჯიშის, თეთრიც, ყვითელიც,
მეტრფოდა ძლიერ, მტვრად მაყრიდა მზის დიად სევდას,
როგორ ვღელავდი, მოხატული და ჭრელი ველი
დიდი მთებისკენ შემკრთალი რომ მისრიალებდა.

მახსოვს ყველაფრის დავიწყების, დაკარგვის შიში,
მწიფე ყანების ქვითინი და მზის ცეცხლის კალო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთო ძლიერო, რა იქნება თავად სიკვდილშიც
ყვავილების და სიზმრის გზებით რომ შემიყვანო.

იმ გზებით, სადაც იმედები ტოკავენ ქარში,
სადაც ცა ცდილობს ველებს სევდა და მზე აწვიმოს,
სადაც ჩემს სახელს ყვავილივით ფერადს და გაშლილს
ყნოსავენ, სულ სხვა სიზმარეთში რომ შეაღწიონ.

●

არის ზაფხულში ალუბალი მინდვრის გრძნეული,
მის სასწაულებს ბაღი უმზერს, მიწა და კორდი,
თითქოს ხის ტანში მზე ცხოვრობდა და დამსხვრეული
ახლა ნაყოფის უფსკრულიდან ნელა ამოდის.

წასულა უკვე ყვავილობის სევდა და ეშხი,
როცა აპრილის მზე თბილ ოქროს ნელ-ნელა ცრიდა,
დგას ალუბლებში ალიონი, მწვანე ტოტებში
ისმის ტოროლას ტკბილი ხმები ალუბლის ციდან.

მეწამულ ფერში დამალული ტოროლა ვერ ძლებს,
ის გრძნობს ყველაფერს, რის ნახვასაც ვერ ბედავს თვალით,
უფსკრულებიდან გაჰირვებით ამოსულ ფესვებს
მზეს დაუმალავს ალუბლის ხე მზის დედასავით.

ო, ეს სიმწიფე გაჟღენთილი უცნობ ხმებითა
ჩაჰხედავს ზეცას გამჭვირვალეს, ვით წყაროს სიღრმეს
და ალუბალი ორთქლის ტკბილი უფსკრულებიდან
გულის სისხლივით შედედებულ მზეს ამოიღებს.

●

ქარვისფერ მთებში დილით ადრე მზის გამოჩენას
მოაქვს სურნელი ცის ქვეყნების, ღრუბელთა ჩქამი,
ყვავილებიდან ფეხაკრეფით გადმოდის, ღელავს
და მზის სხივებით ზეცისაკენ მოცოცავს ნამი.

მზე კი მოსული უცხო ციდან, შორი ღამიდან
წვეთავს მიწაზე ისე, როგორც გამდნარი ცვილი,
გადმოხვეწილი იდუმალად თავისთავიდან
ვისი სისხლია მზე ცხელი და ხორცშემოცლილი.

გადაბსნილია ზეცის გული, სუყველა კარი,
ყველგან მზე მოჩანს, ყველგან ცეცხლი გიზგიზებს შვებით,
დასავლეთისკენ მიმავალი სიკვდილის კვალი
გენთიადისას წაშლება ტოროლას ფრთებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც მინდა ავყვე სხივებს ბინდში მიმავალთ ცისკენ,
დროიდან გარეთ გამოსული, წუთით მოცლილი,
როცა იცილებს მტანჯველ ღრუბლებს და მტანჯველ ნისლებს
მზე. ზეცის სისხლი, ცოცხალი და ხორცშემოცლილი.

მე კი იქა ვარ

ყველგან თან მახლავს, როგორც ჩემი მეორე ჩრდილი,
კვლავ მაცალკევებს სიცხადისგან ტკივილის კბოდე.
მე ვარ ქადაგად დავარდნილი და ჩემი პირით
სხვა ლაპარაკობს ტაძრის კართან, ტირის და გოდებს.

შეპყრობილი ვარ, შეკრული ვარ უცნობი სენით,
კვლავ მზეს შევყურებ, ძველ სასწაულს და ზეცის მროკავს,
გვესვრიან ყვავილს მე და ტაძარს და ცეცხლის ენა
მიახლოვდება, მაბრუებს და ხელებს მილოკავს.

ცეცხლის ატლასი, ცეცხლის ენა და ფარდაგები,
კიდევ სხივები: მზის ძაფები და მთვარის ძნები,
მე ვლაპარაკობ გარკვევით და ცრუ ქადაგები
არ მიხსენებენ, არ მისმენენ, თვალს მარიდებენ.

მე კი იქა ვარ, სადაც ელვის პატარა ეტლებს
მზე სადღაც გზავნის მუდამ, ღელავს, დარდობს თუ როკავს.
და ტკივილების აღტაცებულ წინასწარმეტყველთ
ყელსა და ბგერებს მოგიზგიზე ცეცხლი ულოკავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობები

ერთი მილიმეტრი

(მნიშვნელოვანი მოვლენა)

ჩემი ვაჟიშვილი ხუთი წლისაა. სოლიდური ასაკია — ამხელა კაცის მოტყუება არც ისე ადვილია. მაგრამ იგი კარგა ხანია უკვე ღრმადაა დარწმუნებული, რომ მე მის თვალებში შემიძლია წავიკითხო ყველაფერი, რასაც დღის განმავლობაში ჩაიდენს.

ეს ამბავი ასე დაიწყო:

სარკის წინ ვიპარსავდი. სარკეში მეორე ოთახის კუთხე ჩანდა. ჰოდა, შევნიშნე, რომ ჩემი ვაჟიშვილი ფეხშიშველი დარბოდა, არადა, სულ ახალი გადატანილი ჰქონდა ფილტვების ანთება.

— ჰეი, — გაბრაზებულმა დავუყვირე, — რატომ ხარ ფეხშიშველი?!

სარკეში დავინახე, სასწრაფოდ ჩაიცვა ფეხზე და გამომძახა:

— არა ვარ ფეხშიშველი, — და, ვითომც აქ არაფერიაო, გამომეცხადა. მარცხენა ფეხსაცმელი მარჯვენაზე ეცვა და მარჯვენა — მარცხენაზე.

— ჩაწოლა მოგენატრა? — ვკითხე.

— ხომ მაცვია! — თავისზე იდგა ის.

— ეს წუთია ჩაიცვი!

— არა, — თქვა მან. — სულ ყოველთვის მეცვა.

— რატომ იტყუები? — ხომ ვიცოდი, რომ ტყუოდა.

— არ ვიტყუები, — რა იცოდა, რომ სარკეში ყველაფერს ვხედავდი.

ჰოდა, სწორედ მაშინ მომივიდა აზრად ეს ხუმრობა და ვუთხარი:

— აბა, თვალებში შემომხედე.

შემომხედა, დავიხარე და დაკვირვებით ჩავხედე დიდრონ, შავ-შავ თვალებში.

— შენს თვალებში ყველაფერი წერია. დაიხსომე — ყველაფერი.... ასე რომ ფრთხილად იყავი.

ამ ამბავმა საგონებელში ჩააგდო. ერთხანს ჩაფიქრდა, რაღაც მოიფიქრა და მკითხა:

— თუ ეგრეა, ის რატომ არ წერია, დღეს დედას რომ მოვეხმარე სახლის დალაგებაში — ცოცხი და აქანდაზი მივუტანე, ჰოდა, კიდევ მტვერსასრუტიც ჩავრთე.

— როგორ არა... ეგეც წერია, აი, წავიკითხოთ: „ცოცხი“, „აქანდაზი“, „მტვე...მტვე...“ კარგად გააღე თორემ ვერ ვხედავ. აჰა... „რასასრუტი“. აი, თუ არ წერია. ყოჩაღ, დედას რომ დახმარებიხარ. ოღონდ იცოდე, თუ ცუდად მოიქცევი, თვალები ყოველთვის გაგამხელენ. მამებმა იციან შვილების თვალებში კითხვა.

დაიჯერა...

●

მას შემდეგ, შინ რომ მოვდიოდი, მუდამ „ვკითხულობდი თვალებში“. ვკითხულობდი, როგორ ამტვრევდა ფინჯნებს, ბებიკოს აბრაზებდა, ცუდად ჭამდა, ოფლიანდებოდა, სათამაშოებს აფუჭებდა... ვინ მოთვლის, რამდენი „დანაშაულის“ ჩადენას ასწრებდა მთელი დღის მანძილზე. „ვკითხულობდი“, რაღა თქმა უნდა, ისევ ბებიკოს ან კიდევ დედიკოს დახმარებით.

ხანდახან ეს თამაში ძალიან მკაცრი მეჩვენებოდა.

ერთხელ, როდესაც „მძიმე დანაშაულის“ გამო (თავის მეზღვაურ „მიკლუბოს“ თავი გადაბოტრა) მთელი დღე სახეზე წიგნაფარებული დადიოდა, დიდხანს ვითმინე, მაგრამ საღამოს მაინც თავს წავადექი მხილების მტანჯველი მოლოდინით კუთხეში მიყუჟულ პატარა „ბოროტმოქმედს“. ხელი მოვკიდე და სასწრაფოდ, ცრემლებისათვის რომ დამესწრო, ვუთხარი:

— მე შემიძლია წავშალო, რაც შენს თვალებში წერია. თუ გინდა, დღეს წაუკითხავად ამოვშლი. დახუჭე თვალები.

ქუთუთოებზე ხელი გადავუსვი.

სულგანაბული იცდიდა, სანამ უკანასკნელ სიტყვას „წავუშლიდი“.

— მორჩა, წაშლილია, — ვუთხარი.

შვებით ამოისუნთქა და თვალები გაახილა.

— რა აზრი აქვს თვალების დამალვას, — ვუთხარი, — ასე ხომ ყველა მიხვდება, რომ რაღაც დაგიშავება. მთელი სიცოცხლე თვალდახუჭული ხომ არ ივლი.

რამდენიმე დღის შემდეგ სარკის წინ მდგარს წავაწყდი — დაკვირვებით ჩასცქეროდა საკუთარ თვალებს.

— მამა, კითხვას როდის მასწავლი? — მკითხა.

— მალე, — ვუპასუხე მე.

●

ამქვეყნად არც ერთ ხუთი წლის ბიჭს არ შეუძლია ისე იცხოვროს, რომ მთელი დღის მანძილზე ერთი „დანაშაული“ მაინც არ ჩაიდინოს.

ჰოდა, იგი გულმოდგინედ ეძებდა გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან.

და იპოვა კიდეც...

სამზარეულოში შევედი და რას ვხედავ... მაცივრის თეთრი კედელი წითელი წვეთებით იყო ჩამოწინწკლული. წვეთების კვალი მაგიდამდე მიდიოდა, მაგიდაზე კი ხენდროს წვენის ტკბილი, ბლანტი ლაქა გათხაბილიყო.

თვითონ კი ისე სუფთად, ალალმართლად ამომცქეროდა, თითქოს ტუჩები ტკბილით არ ჰქონოდა მოთხუპნილი. მისმა უდანაშაულო მზერამ დამაბნია და შემაეჭვა კიდეც, თუმცა ფაქტ!ად გავექცეოდი.

— რა ქენი?

— არაფერი, — ურცხვად მიპასუხა.

— რა ვქენი?

— ვითომ არ იცი.

— მე?

— ჰო, შენ.

— მე არაფერიც არ მიქნია.

— აბა, შემომხედე თვალებში.

ისედაც თამამად, ამომყურებდა, გამომწვევად მიცქერდა.

ყოველი შემთხვევისათვის, ისევ მაცივარს მივუბრუნდი. წვეთები ნამდვილად იყო... შიგნით შევიხედე. მაცივარში ცარიელი თეფში იდგა. იმ დილით მთელი კილოგრამი ხენდრო მოვიტანე, „ბებიკომ“ კი დაშაქრა, რათა სადილობამდე ხენდროს ტკბილი, სურნელოვანი წვენი დაემზადებინა.

ამ წვენის კვალს პატარა დამნაშავესთან მივყავდი.

მივედი, მის წინ ჩავიჩოქე. ახლა ჩვენი თვალები ერთმანეთის პირდაპირ აღმოჩნდა.

— ჩვენ ხომ შევთანხმდით, — მოთმინებით დავიწყე მე, ვცდილობდი აღმზრდელობითი ტონით მელაპარაკა, — ხომ შევთანხმდით, რომ დედიკოს დაველოდებოდით, მასთან ერთად ვისადილებდით და ხენდროს კი სადილს დავაყოლებდით, ყველანი ერთად — შენ, დედიკო, ბებიკო და მე.

— მე არ მიჭამია.

— გიჭამია! არ დავუთმე მე, — გიჭამია კი არა, შეგიყლაპია! — თანაც სადილის წინ, და თანაც მარტოს.

— არა, მე არ მიჭამია! თუ არ გჯერა, თვალებში ნახე.

— უკვე ვნახე. სწორედ მანდ წერია, აგე!

— არაფერიც არ წერია.

— აი, თუ არ წერია: „შე-ყლა-პა“, „მა-და წა-ინდი-ნა“, „დე-დას არ და-ელოდა“.

იმედგაცრუებულს შეეცალა სახე, — თვალები ცრემლით აევსო.

— კი მაგრამ, როგორღა დაიწერა, მე ხომ თვალდახუჭული ვიყავი... თვალდახუჭულმა გავიღე მაცივარი, თვალდახუჭულმა გამოვიღე თეფში, თვალდახუჭულმა წამოვიღე. თვალდახუჭულმა შევჭამე და თვალდახუჭულმა შევდე და მაცივარი როცა დავხურე, მარტო მერე გავხუჭე თვალები.

და გული ამოუჯდა

ისღა დამრჩენოდა, განზოგადებისთვის მიმემართა:

— ჯერ ერთი, გაეხუჭე კი არა, გაეახილე, მეორეც — სიმართლეს წინ ვერაფერი დაუდგება. დახუჭულ თვალებშიც კი ატანს. გინდ თვალდახუჭულმა ჩაიდინო ცუდი საქციელი, გინდაც თვალღიამ — სულ ერთია, მაინც შენი ჩადენილია და პასუხიც შენ მოგვთხოვება. გაიგე?!

მობუზული, თავჩაქინდრული იდგა ჩემს წინ პატარა ადამიანი, მაგრამ მომეჩვენა, რომ იგი სწორედ ახლა, ამ წამს პირდაპირ ჩემს თვალწინ ოდნავ გაიზარდა.

სულ რაღაც ერთი მილიმეტრით...

ჩემპიონი

გარბოდა. სუნთქვა უჭირდა. ხედავდა გაქცეულის ზურგს. თანდათან კარგავდა ტემპს. ამ თავზეხელაღებული ბიჭის დასაჭერად რომ იყო საჭირო. ტემპთან ერთად კი, იმედსაც...

— დაგიჭერ, შენი... — ამოიქოშინა და პროფესიული ჩვევით უმატა სისწრაფეს. უმატა, მაგრამ მალე შენიშნა, რომ მანძილმა ბიჭის გაცრეცილ ყავისფერ კურტაკამდე იმატა. ინტერვალი იზრდებოდა.

...გუშინწინაც ზუსტად ასე გაიჭრა წინ ბოლო მეტრებიდან ფინიშამდე, მთავარი მეტოქე, ახალბედა, ცხრამეტი წლის მორბენალი მთელ დისტანციაზე ლიდერობდა. მარლენი განზრახ უშვებდა წინ და ფხიზლად ადევნებდა თვალს მის ყვითელ მაისურს. ბოლო წრეზე დანარჩენი კონკურენტები საგრძნობლად ჩამორჩნენ. კვალში მიჰყვებოდა ახალბედას. იცოდა, რომ აღარავის ეპარებოდა ეჭვი ყვითელმაისურიანის გამარჯვებაში. „ვეტერანი... ალბათ, ფიქრობენ, რას დაეწევა ეს ჩამოსაწერი, ათი წლით უმცროს ბიჭსო“, — ეს აზრი თუ რაღაც ამგვარი გაკრთა მარლენის ქოშინით სავსე ფიქრში, როდესაც ფინიშის სწორზე გავიდნენ. ბოდა, სწორედ მაშინ წამოიწყო თავისი პროფესიული გარღვევა და მოხდენილად მოიტოვა ყვითელმაისურიანი. მოიტოვა და ჩემპიონიც გახდა. ხალხი აალაპარაკა, მარლენს ვეტერანობამდე ჯერ ბევრი ეკლიან.

გუშინ კი ხუთი წლის უნახავ ბონდოს შეხვდა ქუჩაში. გაუხარდათ ერთმანეთის ნახვა. ლუდხანაში შევიდნენ, თითო დალიეს, ერთად გატარებული სტუდენტობა გაიხსენეს, ტანვარჯიშის პროფესორი და ფიზთერაპიის მყვირალა ლექტორი მოიგონეს და იცინეს. ამან თავისი თქვა, იმან თავისი უთხრა. გამოირკვა, რომ ბონდოს სამი წელი იყო, კრივისთვის თავი მიენებებინა. ახლა სექციის ხელმძღვანელად მუშაობდა — პატარა ბიჭებს წვრთნიდა. თხოვა კიდევაც მარლენს, ვინმე თუ გყავს ან იცი კარგად მოჩხუბარი ყვინჩილა, გამომიგზავნე, სექციაში ჩავწერო.

— შენ რას შვრები? ისევ დარბიხარ? გავიგე, ჩემპიონობაც გაგიკრავს.

— ჰო, — მოკლედ უპასუხა მარლენმა. არადა რაღაც საიმაყოს თუ ბედნიერების გრძნობამ მოიცვა. ბონდოზე უფროსი თუ არა, უმცროსი მაინც

არ იყო. ჰო, ზუსტად თანატოლები იყვნენ და მარლენს თავისი გაუხუნებელი სპორტული ფორმა ეამაყებოდა.

დღეს კი ბიჭების ჩხუბს შეესწრო ქუჩაში, ეს ყავისფერკურტკიანი უცებ მოუვიდა თვალში. ერთ წამში მიაწვინა სამი მასზე გაცილებით მძიმე წონის მოქიშპე. ბიჭი ცამეტის ან თოთხმეტის იქნებოდა. ბონდოს თქმის არ იყოს, ყვინჩილას გავდა. მამლობაში ფეხჩადგმულ ყვინჩილას და მარლენს სწორედ ბონდო გაახსენდა. იფიქრა, ურიგო არ იქნება, ამ ვაჟკაცს სექციაში თუ გავუგზავნიო.

— ბიჭო, მოდი აქ! — დაუძახა აქეთ-იქით მიმოფანტულ მოწინააღმდეგეებში ამერიკული კინოს გმირივით მდგარს. — სამე მაქვს, მოდი!

ბიჭი მოულოდნელად შეშინდა და უკან დაიხია.

— დაიცა, მოდი-მეთქი, რომ გეუბნები!

— წადი, შენი... — ხუთსართულიანი გინება შეაგება ბიჭმა მარლენს, მოტრიალდა და მოუსვა.

მარლენი გაბრაზდა, თან გული გაეცინა, სად გაიქცევაო, რა იცოდა ტუტუცმა, ვისთან ჰქონდა საქმე. გაეცინა მარლენს და ბევრი აღარ უფიქრია — გამოუდგა.

ჰოდა, მოსდევდა. უკვე სუნთქვაც კი უჭირდა. ხედავდა გაქცეულის ზურგს. ბიჭი ქარივით გარბოდა, მარლენი კი თანდათან კარგავდა ტემპს, და, ტემპთან ერთად, იმედსაც... პროფესიულმა გარღვევამ ვერ უშველა. მანძილმა ყავისფერ კურტკამდე იმატა და მარლენი მიხვდა, რომ უბრალოდ ვერ დაეწია, ვერც დაეწეოდა ბიჭს.

აქოშინებულმა შეანელა ნაბიჯი, სიმწრის სიცილი თუ სიცილნარევი ბოღმა ყელში უჭერდა. ხელი ჩაქნია და გაჩერდა.

— ის დროა, სექციის შეგროვება დაივიწყო, — თქვა და მძიმედ, სუნთქვა-სუნთქვით გამობრუნდა უკან.

საინტერესოა, რა მოუვიდა პეტოს

დაინტერესებული პირი. ხომ ვერ ამიხსნით, რა მოუვიდა პეტოს?

1. სტომატოლოგი. პეტო, ანუ, როგორც ჩვენი პოლიკლინიკის სარეგისტრაციო ბარათში რეგისტრირებული, ავადმყოფი კობა იოსების ძე წითლიშვილი, 37 წლის, ზედა ყბის მეოთხე საღეჭი კბილის ანთებითია და პროგრესული ვირუსით დაავადდა, რამაც გამოიწვია მკვეთრი ტკივილი და ავადმყოფის საერთო მდგომარეობის საგრძნობი გაუარესება.

დაინტერესებული პირი. საინტერესოა, რატომ უწოდებდნენ მოქალაქე კ. ი. წითლიშვილს მეტსახელად „პეტოს“?

2. ფრანგულის მასწავლებელი. ეს, სიმართლე გითხრათ, ჩემი ბრალია, ერთხელ, როდესაც მეექვსე კლასში იყო, გამოვიძახე. მან გაკვეთილი არ იცოდა, რამაც გამაბრაზა და დავუცაცხანე, გაკვეთილი ხომ არ იცი და არ იცი-მეთქი, ერთი სიტყვა მაინც თუ იცი, ფრანგულად, ბიჭო, აი, მაგალითად, პატარა როგორ არის, ის მაინც მითხარი-მეთქი! როგორც აღმოჩნდა, მან იცოდა, მაგრამ აღელვებისგან თუ სირცხვილისგან ენა დაება და „პეტის“ ნაცვლად, „პეტო“ — მითხრა. მთელი კლასი ახარხარდა და გაკვეთილი კინაღამ ჩამეშალა. თუ არ ვცდები, იმ დღიდან დაარქვეს ამხანაგებმა „პეტო“. მერე ვწუხდი, — უნებლიედ უტაქტობა მომივიდა, ეს შეკითხვა კლასში ყველაზე ტანმორჩილ ბავშვს რომ დავუსვი.

დაინტერესებული პირი. განა რა ისეთი დაბალი იყო?

3. ბავშვობის მეგობარი. მართლა ძალიან დაბალი იყო. რაც თავი მახსოვს, არასოდეს არავისზე მაღალი არ ყოფილა თავის სიცოცხლეში — საბავშვო ბაღშიც, სკოლაშიც, ინსტიტუტ-

შიც, სამსახურშიც ქალიან-კაციანა ყველაზე დაბალი იყო, ფიზკულტურის გაკვეთილზე სიმაღლის მიხედვით რომ ჩავმწკრივდებოდით, სავარცლის მომტვრეულ კბილს ჰგავდა ხოლმე.

დაინტერესებული პირი. სიდაბლის გარდა, სხვა განსაკუთრებული თვისება თუ ჰქონდა რაიმე?

4. დედა. სხვა მაინცდამაინც არაფერი ჰქონია უცნაური, ყოველნაირად ჩვეულებრივი ბავშვი იყო. თუმცა ერთი ახირება ადრევე შევატყვეთ — ზღვა არ უყვარდა, ჭირის დღესავით ეჯავრებოდა. პირველად ათი წლის იყო, მე და ჩემმა მეუღლემ გაგრაში რომ წავიყვანეთ — გვირჩიეს, — ცურვა ასწავლეთ, ტანს აიყრისო. ზღვა რომ დაინახა, ტირილი ატეხა და გაიქცა — მეშინიაო. რის გეშინია, დედა-მეთქი. „დიდიაო, დიდიაო!“ — სლუკუნებდა და, ძლივს დავამშვიდეთ. ჩვენ მაინც ყოველწლიურად დაგვყავდა ზღვაზე. მაგრამ ვერც ცურვა ისწავლა და ვერც ტანი აიყარა. ყოველ წასვლაზე, გამგზავრების წინ გვეჭირვეულებოდა: იცით, რომ ვერ ვიტან და ძალით მიგყავართო. რაც სკოლა დაამთავრა და, ისე თუ ისე, დამოუკიდებელ ცხოვრებას მოეკიდა, ზღვაზე ერთხელაც აღარ ყოფილა ჩემი სწყალი ბიჭი.

დაინტერესებული პირი. მთაში თუ დადიოდა?

5. მამა: არა, ბატონო, არც მთაში... საერთოდ, იშვიათად გადიოდა ქალაქიდან.

დაინტერესებული პირი. საქმის მიმართ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა?

6. ცნობილი მეცნიერი. წითლიშვილი კარგი სტუდენტი იყო, საბოლოოდ კი ჭკვიანი და დაკვირვებული სპეციალისტი გახდა.

დაინტერესებული პირი. საქმეში ხელს თუ უშლიდა რაიმე?

7. უახლოესი მეგობარი. ჩემი დაკვირვებით, საქმეშიც და, საერთოდ, ცხოვრებაშიც. პეტოს თავისი მუდმივი სატკივარი უშლიდა ხელს; სულს ულრღნიდა, ასე პატარა რომ იყო, მას ჩვენი — ესე იგი, დიდებისა შურდა და ერთგვარი ბავშვური ნატვრით ოცნებობდა, რომ რაიმე სასწაულს ყველა დიდი დავეპატარავებინეთ. პეტოს დიდი არაფერი უყვარდა — არც დიდი ამბავი, არც დიდი სიხარული, არც დიდი ზეიმი, არც დიდი დავიდარაბა. მხოლოდ დიდი ქალები მოსწონდნენ პეტოს. ცხოველურად იზიდავდნენ ჯიშიანი, ზონზოროხა, მაღალ-მაღალი, დიდმკერდა და გავასქელი ქალები... ამაზე თვითონ უთქვამს ჩემთვის გულახდილობის წუთებში. მეტწილად მთვრალს. მაგრამ, სიმართლე ითქვას, ქალები — მსუქნები თუ გამხდრები, — ზედაც არ უყურებდნენ პეტოს. ამიტომ მას არც ის კაცები ვეხატებოდით გულზე, ვინც ქალებს მოვწოხვართ. ეგ კი არა, კინოფილმების ყურებაც კი არ სიამოვნებდა, რადგან იქ ხშირად, ქალთაგან მოწონებული მსახიობი კაცები ასრულებდნენ როლებს. სიმთვრალეში ჩემთვის თავისი პატარა ფილოსოფიაც ჩამოუყალიბებია პეტოს: დიდები ცოდვილები ხართო, ცოდვასო, რაღა თქმა უნდა, ადამიანი უნდა ებრძოლოსო. ჰოდა, ამიტომ დიდებს ჩემებურად უნდა გებრძოლოთო, ოღონდაც საამისოდ პატარა ეშმაკობა, პატარა ჭკუა და პატარა გამჭრიახობაა საჭიროო. ამ თეორიას, მე თუ მკითხავთ, იგი პრაქტიკაში წარმატებითაც კი ატარებდა და ასე „პატარ-პატარობით“ დაწინაურდა კიდეც სამსახურში, რადგან ნიჭიერი, პერსპექტიული სპეციალისტის მარკა მიიწება. ეს წინსვლა იმით დამთავრდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩემი მეგობარი თავისი პატარა დაწესებულების დირექტორად დანიშნეს.

დაინტერესებული პირი. მერე და, როგორი განწყობით შეხვდა იგი ასეთ წარმატებას?

8. დაწესებულების მთავარი სპეციალისტი. რა თქმა უნდა, ძალიან გაუხარდა. ასე მგონია, მისი ცხოვრების ახალი წელთაღრიცხვა დეკემბრის იმ დალოცვილ დღეს დაიწყო, როდესაც

ხელმძღვანელის პოსტი, სკამი და კაბინეტი ჩაიბარა. პეტოს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, თუმცა დირექტორული ღირსების შესაბამისად არაფერს იმჩნევდა, მაგრამ მე რას გამომაპარებდა, მე ხომ მას მოხარშულს ვიცნობდი. ყველაზე უცნაური ის იყო, რომ იგი სიცოცხლეში პირველად აღარ განიცდიდა თავის სიპატარავეს. ჩემთან დამოკიდებულებაში აქამდე არასოდეს ყოფილა ასეთი თამამი და ძალდაუტანებელი. „შენ ხომ მხოლოდ ჩემი თანამშრომელი და ხელქვეითი არა ხარ, ჩემო ელენეო, —— მითხრა ერთხელ, შენ ჩემი ოცნება ხარო, თუ წინააღმდეგი არ იქნები, ისე მოვაწყობ, რომ მე და შენ ამ ზაფხულს ზღვაზე ერთად დავისვენოთო". მე ვუთხარი, რომ ეს შეუძლებელი იქნებოდა, რადგანაც, ჯერ ერთი, ზღვაზე დასვენება არ მიყვარს, რადგან ჩემი სიმსუქნისა მრცხვენია — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ას ოცდასამ კილოს ვიწონი. მეორეც, რაც მთავარია, ქმარშვილიანი ქალი ვარ. პეტოს ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან ჩავუვარდი გულში, თუმცა მე მას არასოდეს თანავუგრძნობდი. მაგრამ პირდაპირ სასწაული იყო მისი სახეცვლილება. გამოგიტყდებით, თავისი ახალი, დირექტორული სიმაღლიდან მან ისე ენერგიულად და მომხიბვლელად შემომიტია, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობა შეუძლებელი გახდა. ჩემმა ნებისყოფამ ვეღარ გაუძლო გულისთქმას და ზაფხულისათვის აღარ გვიცდია, იმ ბედნიერ დეკემბერშივე გავიხარეთ, ო, რარიგ ვნებიანი სიყვარულით, ღმერთო რა ტკბილი იყო ეს დაცემა. მაგრამ იმ უნამუსომ მთელი ერთი თვე გული მოიჯერა, შემდეგ კი რაღაც წვრილმანზე შარი მომიდო და ბოლო მოეღო ჩვენს ტრფობას, რომელსაც მე პატიოსანი ქალის სახელი ვინაცვალე და ოჯახის ერთგულება ვამსხვერპლე. ეტყობა, საშიშად მიიჩნია „თანამშრომელთან", „ხელქვეითთან" სახელის გამტეხი კავშირი. ისიც კი მითხრა, შენ ვინა ხარო, შენზე ჯიშიანი ქალიც უამრავი მგგზავლებაო და, უსულგულოდ მიმატოვა.

დაინტერესებული პირი. რატომ შეწყდა ეს ეშხში შესული ბედნიერება?

დირექტორის მდივანი. აი რა მოხდა: ახალი წელი მოახლოვდა და ბატონმა პეტომ, როგორც შვენოდა მის ღირსეულ მოვალეობას, დამავალა მომემზადებინა რამდენიმე კოხტა ღია ბარათი, რათა მისალოცები მიგვეგზავნა იქ, სადაც საჭირო იყო. მან ამოარჩია საუკეთესო ბარათი (ზედ ეხატა ვეება აბრეშუმიალებული საახალწლო საათი, რომლის ისრები თორმეტს უჩვენებდა), ჩვენ იგი საუკეთესო კონვერტითურთ, რაღა თქმა უნდა, იქ, ზემოთ, „მთავარ სამმართველოში" ვიფრინეთ, ჩვენი ცენტრალური უწყების ხელმძღვანელთან, რომელსაც ბატონი პეტო თუმცა პირადად არ იცნობდა. მაგრამ მთელ თავის ბედნიერებას, ეგონებ მას უმადლოდა.

დაინტერესებული პირი. საერთოდ, თუ ჰყავდა ნანახი პეტოს მთავარი სამმართველოს უფროსი?

10. მთავარი სამმართველოს უფროსის თანაშემწე. ჰყავდა, თუმცა მხოლოდ ერთხელ, როდესაც გასაცნობად ეახლა დანიშვნამდე ცოტა ხნით ადრე. მართალია, უფროსი ფეხზე ადგომით არ შეჰგებებია პეტოს, მაგრამ ხელი ჩამოართვა და გულთბილად გაესაუბრა, რის გამოც პეტოს, როგორც თვითონ მითხრა, საკუთარ მამაზე მეტად შეუყვარდა იგი

დაინტერესებული პირი. საინტერესოა, მერე რა მოხდა?

11. კანცელარიის უფროსი. ნაახალწლევს, ბატონი პეტოს სახელზე ჩვენს დაწესებულებაში მოვიდა მშვენიერი ბარათი, რომელსაც თოვლიანი პეიზაჟი ეხატა და მთავარი სამმართველოდან იყო გამოგზავნილი. ბატონი პეტოსი რაღა ვთქვა, როდესაც მის მაგივრად მეც კი აღვივსე სიამაყით —თვით დიდი უფროსი ულოცავდა ახალ წელს, ჯანმრთელობასთან ერთად, სამმავლო წარმატებებს უსურვებდა და პატივის-

ცემას საკუთარი ხელმოწერით ადასტურებდა. პირადად მივართვი ბატონ პეტოს ეს ბარათი და ჩემი ოვალით ვნახე, რა სიხარულით გადაიკითხა იგი. მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე და მთავარ სამმართველოდან კიდევ ერთი ბარათი მოვიდა (ზედ საახალწლო სუფრის ფრაგმენტი ეხატა) ისიც ბატონი პეტოს სახელზე იყო: უფროსი მადლობას უხდიდა მილოცვისათვის. ბატონი პეტო დაიბნა: მითხრა „არც კი ვიცოდი, საერთოდ თუ არსებობდა ეპისტოლარული ეთიკეტის ამგვარი ფორმა, აქამდე არც კი გამიგონია ასეთი რამ: „მადლობა მილოცვისთვისო". არც მე გამიგონია. არადა, ფაქტია, არსებობდა, რასაც მშვენივრად გამომზირალი უფროსის — თვით უფროსის— ხელმოწერილი ბარათი ბედისწერასავით ადასტურებდა. რაკიღა არსებობდა, მაშ თავად ბატონ პეტოსაც უნდა გადაეხადა ასეთივე „მადლობა მილოცვისათვის" და თუ ზრდილობას ვკითხავდით, ცოტა ადრეც უნდა გაეგზავნა, ვიდრე ამას უფროსი — თვით უფროსი — გააკეთებდა, რადგანაც სალამქალამი უმცროსმა უნდა დასწროსო უფროსს — ასე წერია ზრდილობის წიგნში. ამას ბატონი პეტო მყისვე მიხვდა, რადგანაც ასე მითხრა: „ჩავიჭერით, ჩემო მერი, სასტიკად ჩავიჭერითო". საჭირო იყო შეცდომა სასწრაფოდ გამოგვესწორებინა. მან დაწერა მადლობა მილოცვაზე და გამაგზავნინა მთავარ სამმართველოში. მერე დამიძახა კაბინეტში და მთელი საათი მეთათბირა, მეორე ბარათზე — ესე იგი, მილოცვის მადლობაზეც უნდა მოვაბმინოთ რეაგირება თუ არაო. ამგვარი თავაზიანობის ეთიკეტი მოითხოვს დიალოგი მე — ხელქვეითმა დავამთავროო. დავეთანხმე ბატონ პეტოს, თუმცა მან მაინც რამდენიმე დღე იფიქრა, ჩანს, ტექსტს ალაგებდა. ბოლოს მაინც გადაწყვიტა. „რას ვაგებო, მითხრა, დიდი-დიდი გადაჭარბებულ გულმოდგინებაში ჩამეთვალოსო, ეს კი უზრდელობას სჯობსო". მე ამაშიც დავეთანხმე ბატონ პეტოს. „მადლობის მადლობის" თუ „მოარაფრების" გამომხატველი ტექსტი კოხტა ბარათზე ჩავიწერეთ და მთავარ სამმართველოში გაფრინეთ... კაცი ბეჭობდა, ღმერთი იცინოდა... სულ მცირე ხანში მოგვივიდა მადლობა პირველი მადლობისათვის, ხოლო კიდევ რამდენიმე დღის მერე — მადლობა მადლობის მადლობისათვის. ამ დროისათვის კი ჩვენ უკვე გაგზავნილი გვქონდა კიდევ ერთი ბარათი — პირველი მადლობის მადლობისათვის მადლობა...

დაინტერესებული პირი. საინტერესოა, როგორ იმოქმედა ამ უცნაურობამ პეტოს გუნება-განწყობაზე?

12. პეტოს და. ჩემთან ჩემი ძმა მუდამ გულგახსნილი იყო. მე თითქმის ერთადერთი ადამიანი ვიყავი მისთვის, ვისაც, ასე თუ ისე, გულის ვარამს უმხელდა. იმ დღეებში ვგრძნობდი, რომ ერთობ დაფიქრებული იყო, აფორიაქებული და ამღვრეულიც კი. რა მოგდისმეთქი ვკითხე. ორში ერთიაო — ან მასხარად მიგდებს უფროსიო, ან სხვებზე ცუდად არის ჩემი საქმეო — და ბარათების ამბავი მიამბო. პასუხები მაინც მისწერა — სიფრთხილეს თავი არ სტკივაო. ყველაზე მეტად პეტოს იმის ეშინოდა, ვაითუ, უფროსი მოხსნას მიპირებსო, მთელ დღეებს ფიქრში ატარებდა, გონებაში სინჯავდა შესაძლებელ ვარიანტებს — ნეტავ რისთვის და რატომ უნდა მიშორებდეს თავიდანო. ამასობაში იგი ისე გაერთო მადლობის მადლობის მადლობის მადლობის მორიგი ვარიანტით, რომ საპირველმაისო მილოცვაც კი გამორჩა მხედველობიდან. მის უფროსს კი ეს არ გამორჩენია და მიულოცა. პეტო იძულებული გახდა, სიყალბე ჩაედინა — ძველი რიცხვით გაგზავნა საპირველმაისო მისალოცი — დაე, ფოსტას დაბრალდესო. უკვე ადარცერთ თანამშრომელს ადარ ენდობოდა, მეღა მიზიარებდა თავის გასაჭირს. მან მადლობა საპირველმაისო მილოცვისათვის და საახალწლო მილოცვისათვის მადლობის

მადლობის მადლობის მადლობა, გაგზავნა კიდეც, ორი დღის მერე კი უკვე საპირველმაისო მადლობაც მოუვიდა. ამრიგად, როგორც ხედავ, ამ ბარათების კუდი გაორმაგდა, ორი ვარიანტი გაიხსნა — საახალწლო და საპირველმაისო.

დაინტერესებული პირი. სადამდე აპირებდა ამ უაზრო თამაშის გაგრძელებას?

13. პეტოს მძღოლი. ხაზეინი დარწმუნებული იყო, რომ ნაჩალნიკი მემუქრებაო და ეტყობა. ცნობებს აგროვებდა მის შესახებ. მეც კი მკითხა, ხომ არ გაგიგია, რა კაცია ხასიათით, ხუმრობა ხომ არ უყვარს ჩემსავითო. თვითონ პეტო-ხაზეინს მართლაც ხანდახან უყვარდა ბეზაბიდნი პატარ-პატარა ანგლობების შეთხზვა. ჰოდა, ფიქრობდა, ეგებ ნაჩალნიკს ჩემი ამბავი გაუგია და იუმორში მეჯიბრებაო. ნაჩალნიკის შოფერს მე კარგად ვიცნობ, მეკედუგაროდნით დავურეკე და ვკითხე. მითხრა, ჩემი შეფი ხუმრობაზე ძალიან მწყრალად არიო. მე ეს ამბავი პეტო-ხაზეინს ვუთხარი. ეგრეაო, სხვებმაც ეგრე თქვესო.

დაინტერესებული პირი. განა სხვებსაც ჰკითხა?

14. მომიჯნავე ტრესტის მმართველი: დიახ. მე, მაგალითად, არა თუ მკითხა, ყველაფერი მიამბო და როგორც კოლეგამ და მეგობარმა მთხოვა, რაკიღა გზა იქით გაქვს (იმხანად ცენტრში მივემგზავრებოდი), თუ შემთხვევა მოგეცემა, რაიმე გამირკვიეო. მე პირადად მომიხდა შეფთან, ანუ ჩვენი მთავარი სამმართველოს უფროსთან შეხვედრა და ისიც კი მოვახერხე, პეტოზე სიტყვა ჩამოვუგდე, მაგრამ უფროსმა პეტოს პიროვნება საერთოდ ვერ გაიხსენა. ასე რომ მასხრობის ვერსია, ჩემი დასკვნით, სინამდვილეს არ შეეფერებოდა. თუ ხუმრობა არაა, ესე იგი, ან ჯიბრია, ან აბუჩად აგდება, ან წვალებაო, დასასკვნა პეტომ. ეს არაფერს სასიკეთოს არ ნიშნავდა. მე შემიძლია დავასკვნა, თუ რაოდენ საზარელ ვერსიებს ადგენდა პეტო გუნებაში, თუმცა არც მე და არც სხვას არ უმხელდა ხვაშიადს.

დაინტერესებული პირი. ამ ამბებმა მის ხასიათზე ხომ არ იმოქმედა?

15. მეზობელი. ის ხანებში პეტო გულჩათხრობილი და დაბნეული გახდა.

დაინტერესებული პირი. სამუშაოზე როგორ იქცეოდა?

16. პეტოს მოადგილე. პეტომ სამსახურებრივი საქმე სრულიად დაივიწყა, მთლიანად ამ ბარათების წერას გადაჰყვა, განსჯებში, ფრთხილ გაკითხვებსა და ნაირ-ნაირ ექსპერიმენტებში დაინთქა. დაწესებულების გაძღოლა მთლიანად ჩემს მხრებზე გადმოვიდა. იგი იოლად კარგავდა წონასწორობას. ერთ ადგილზე გაჩერებაც უჭირდა. მოუხშირა ქალაქში ხეტიალს, მათ შორის, სამსახურის საათებში. ხშირად ხედავდნენ სხვადასხვა ადგილას ფიქრებში გართულს.

დაინტერესებული პირი. მაინც სად დადიოდა?

17. პეტოს ყოფილი კლასელი, ზოოპარკის დამთვალიერებელი. მე, მაგალითად, ზოოპარკში შევხვდი, სპილოს გალიასთან იდგა და აშკარად აღელვებული მეჩვენა. რა დაგემართა-მეთქი, თავზარი დამეცა ამ უზარმაზარი, დიდი და მახინჯი ცხოველის შემყურესო. მე ლუდზე მივიპატიჟე. ერთმა კათხამ დაათრო, საშინელი ნაღველი მოერია — შეჰყურებდა სპილოს და ბავშვობას იხსენებდა, მეტწილად მშობლებთან ერთად ზღვის პირას გატარებულ დღეებს. მიამბო თავის ბალღურ სიძულვილზე ზღვის მიმართ და ეს გრძნობა რაღაცნაირად სპილოს დაუკავშირა, ოღონდ სპილოს მიმართ გაცილებით უფრო დაუოკებელ სიძულვილს ამეღვნებდა. მე მომეჩვენა, რომ მას ერთგვარი მარაზმის შეტევა ჰქონდა.

დაინტერესებული პირი. სპილოსთან ეს ურთიერთობა ხომ არ გაგრძელებულა?

18. პეტოს დაწესებულების დარაჯი. მე მგონი, იმ დღეებში ბატონ პეტოს ერთთავად სპილო ელანდებოდა, რად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან ერთ დილით, სამსახურში რომ შემოდიოდა, გამარჯობის მაგივრად მითხრა, შენ სპილოს ვავბარო.

დაინტერესებული პირი. საინტერესოა, სადამდე მივიდა ეგზოტიკური ცხოველის სიძულვილი?

19. საგალანტერიო მაღაზიის გამყიდველი. ერთ დღეს ჩვენს მაღაზიაში ძალიან დაბალი კაცი შემოვიდა და სამართებლების მთელი შეკვრა იყიდა. ესე იგი, ათი ცალი „ბრიტვა“.

დაინტერესებული პირი. ეს რა შუაშია?

20. ზოოპარკში მდებარე სასოსისეს გამყიდველი. მაგ დაბალმა კაცმა ჩემთან მთელი პური იყიდა, თუმცა ჩვენ დაუჭრელ პურს არ ვყიდით, მაგრამ მთხოვა და მეც მივეცი.

დაინტერესებული პირი. რა კავშირშია სამართებელი პურთან?

21. პატარა ბიჭი. მე ამ დროს ფრინველების გალიასთან ვიდექი და კონდორს ვეჭყანებოდი, ამ დროს კაცი დავინახე — მთლიანი პური ეჭირა და შიგ თითით რაღაცას ტენიდა. მერე წავიდა, მე კი კონდორს კენჭი შიგ თავში მოვარტყი.

დაინტერესებული პირი. ამიხსენით, რას ნიშნავს ეს ყოველივე?

22. სპილოს მომვლელი. როდესაც მკვდარი ცხოველი გაკვეთეს, მუცელში ათი ცალი სამართებელი უპოვეს. დღემდე არ ვიცით, ვინ ხელგასახმობმა ჩაიდინა ასეთი ბოროტება. ძალიან კეთილი სპილო იყო, მე და ის ხშირად ვსვამდით ხოლმე ლუდს ერთად. სპილოს დაკარგვა ძალიან განვიცადეთ ზოოპარკის ყველა თანამშრომელმა, აგრეთვე ბუნების ყველა მეგობარმა.

დაინტერესებული პირი. ნუთუ პეტოს არ შეეშინდა, რომ პასუხს მოსთხოვდნენ ამ დანაშაულისთვის?

23. სამეურნეო განყოფილების უფროსი. არ ვიცი, სპილოს მოკვლისათვის მოსალოდნელ დანაშაულს გაურბოდა ბატონი პეტო, თუ სხვა რამეს, მაგრამ ფაქტი ისაა, თავისთან მომიხმო და დამავალა, თვითმფრინავის ბილეთი დამეჯავშნა — ცენტრში, მთავარ სამმართველოში უნდა ჩავიდეო, — მითხრა თავგზააბნეულმა. მე მაინც მგონია, სპილო აქ არაფერ შუაშია — უბრალოდ, იგი საბოლოოდ დარწმუნდა, მთავარი სამმართველოს უფროსი მოხსნას მიპირებსო.

დაინტერესებული პირი. საინტერესოა, რა მოხდა მთავარ სამმართველოში, როდესაც პეტო იქ ჩავიდა.

24. მთავარი სამმართველოს უფროსის მდივანი. ამხანაგი პეტო გამოცხადდა მისაღებში და, ღია ბარათთან ერთად, რომელზეც მადლობის მადლობის მადლობის მადლობის შესახებ რაღაც უცნაური ტექსტი ეწერა, განცხადებაც მომცა საკუთარი განთავისუფლების თხოვნით. მე ეს ძალიან გამიკვირდა, მაგრამ შეკითხვა მომერიდა, მით უფრო, რომ ამ დროს პეტომ კომპლიმენტიც მითხრა, ძალიან ლამაზი ბრძანდებითო. განცხადება უფროსს შევუტანე, მან წაიკითხა, მხრები აიჩეჩა და თანხმობის რეზოლუცია დააწერა. იგი ამ დროს უკვე ჩაცმულ-დაბურული იყო და სამინისტროში წასვლას აპირებდა, ასე რომ მე და უფროსი ერთდროულად გამოვედით მისი კაბინეტიდან მისაღებში.

დაინტერესებული პირი. პეტო ამ დროს მისაღებში იყო?

25. დაწესებულების დირექტორი. მე მისაღებში ვიყავი, როდესაც ზონზროხა მდივანი და ჩვენი მთავარი სამმართველოს უფროსი კაბინეტიდან მისაღებში გამოვიდნენ, იქ კიდევ ერთი დაბალი კაცი იყო, თუმცა თვით მთავარი სამმართველოს უფროსთან შედარებით იგი არც მთლად პატარა ჩანდა, უფროსზე მთელი თავით მაღალიც კი იყო. მე მეცნაურა, რომ ეს კაცი უფროსის დანახვაზე გაშრა, თითქოს მეხი დაეცაო, გახევებული იდგა. უფროსმა ზედაც არ შეხედა, თავისი გზა განაგრძო. ერთხანს დადევნება დავაპირე, რადგან საქმე მქონდა, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ გადავიფიქრე, რადგან უფროსს შევატყვე, ეჩქარებოდა, ამასობაში ის დაბალი, შავგვრემანი კაცი მდივანმა გამოაფხიზლა, თქვენი განცხადება დაკმაყოფილებულიაო. უთხრა. „ეს რატომ არ შეუტანეთო, — რაღაც ღია ბარათზე ანიშნა პატარა კაცმა. „თქვენ უფროსი მოცლილი ხომ არ გგონიათ, უკვე ერთი წელიწადია, რაც ასეთი საზეიმო მიმოწერისათვის სამმართველოში სპეციალური სექტორი არსებობსო". — უპასუხა მდივანმა.

დაინტერესებული პირი. ესე იგი, ეს მილოცვები მთავარი სამმართველოს უფროსს საერთოდ. არ ეხებოდა?

26. მიმოწერის სექტორის მუშაკი. რა თქმა უნდა, არა, ჩვენი სექტორი გასული წლის დეკემბერში ჩამოყალიბდა. აურაცხელ მისალოცს ვგზავნიდით. ვაგზავნიდით აგრეთვე მადლობებს მილოცვისათვის, მაგრამ როდესაც წითლიშვილისგან მადლობის მადლობა მოვიდა, ამან მე და ჩემი მეგობარი ჟანა გაგვამხიარულა და გადავწყვიტეთ მასთან ეს საობუნჯო მიმოწერა გაგვეგრძელებინა, როდესაც ყველა ბარათზე პასუხი მივიღეთ. ამან გაგვართო და ბოლომდე გავაგრძელეთ ეს უცნაური შეჯიბრება. მე მეგონა, ორმხრივ ხუმრობასთან გვქონდა საქმე. როგორც გაირკვა, შევმცდარვარ და ადამიანი საგონებელში ჩამიგდია. ერთიანად კაკალებდა ის უცნაური კაცი, როდესაც ყველაფერი ავუხსენით და ბოდიშიც მოვუხადეთ, ხმა აღარ ამოუღია, ისედაც ერთი ბეწო, სულ მოიბუზა, ხელი ყბაზე აიფარა და წავიდა.

დაინტერესებული პირი. ხელი ყბაზე აიფარა?

27. სტიუარდესა. მგზავრმა წითლიშვილმა რამდენჯერმე დამიძახა — მას საშინლად სტკოდა კბილი. სამჯერ დალია დამაყუჩებელი წამალი, თუმცა ამან არ უშველა. გადავწყვიტეთ, აეროპორტში მისთვის სასწრაფო დახმარება გამოგვეძახა და ასეც მოვიქეცით.

დაინტერესებული პირი. სასწრაფო რას უშველიდა?

28. სასწრაფო დახმარების ექიმი. რატომაც არა. ჩვენ თვითმფრინავიდანვე შეგვატყობინეს, რაშიც იყო საქმე, ამიტომ თან წავიყვანეთ კბილის ქირურგი, რომელმაც ადგილზევე, ანუ აეროდრომზე ამოუღო მტკივანი კბილი. შემდეგ კი შინ წავიყვანეთ.

დაინტერესებული პირი. მიუხედავად ამისა, იგი რამდენიმე დღის შემდეგ მაინც საავადმყოფოში მოხვდა.

საავადმყოფოს ექიმი. დიახ — მას ჭრილობა გაუმიზეზდა. სისხლი მოეწამლა.

დაინტერესებული პირი. სიცხემ აუწია?

30. ექთანი. რა თქმა უნდა, ეს ხომ დაგვიანებული მწვავე სეფსისის აუცილებელი სიმპტომია. სიცხიანი, უცნაურად ბორგავდა, გვიმტკიცებდა, ავად კი არა ვარ, ეს უბრალოდ, ჩემზე ძაან დაბალი უფროსისა და ვიღაც გოგოების ხუმრობააო...

დაინტერესებული პირი. მე მაინც, წესიერად ვერ გავიგე, რა მოუვიდა პეტოს?

ყველა ერთხმად. იგი, უბრალოდ, კბილის ტკივილის გამო გარდაიცვალა.

გიგლა სარიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილ ქართველ პოეტს, მთარგმნელსა და კრიტიკოსს **გიგლა სარიშვილს** დაბადების 50 წლისთავი შეუსრულდა. ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია გულითადად მიესალმება იუბილარს, უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლესა და ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

ნასოფლარი

რომ ვუყურებ ამ ნათურქალ,
ამ ნოხარ ნახშირგორას,
ვტირი — საუკუნის უკან
აქ დამარხულ ნაზიბროლას...
ვტირი უცხო ქართველ სატრფოს,
აწ საფლავს და გველთა ბუდეს...
სიყვარულის სათამადოდ
ეს საფლავი მომაკუთვნეს.
ვინ დავლოცო — მტერი არ ჩანს, —
ჩემი მკვდრების თამადა ვარ;
ვინ დავლოცო — ერი არ ჩანს, —
მისი ბერი ავადა ვარ...
ვინ დავკოცნო, — ჩემი სატრფო!
მე საფლავი თავადა ვარ...
კი —
თუ რამეს შველი ამით,
კი —
თუ რამეს შველი მოთქმით,
კი...
კი მოვთქვამთ ამ ბნელ ღამით
მე და ბუ...
და ბუკიოტი!

●

როგორ დაღლილა შენი წვალება,
როგორ დაღლილა იმედის ფიქრი...
აღარად გიღირს გარდაცვალება
და კოსმიური კუბოთი მიჰქრი
გულმხიარული უგნურ ბალღივით...
თითქოს ამქვეყნად არაფერს ჰკარგავ...
დაგირწევს კუბოს შენი ბალდახინი,
ვით ობოლს ქარი გირწევდა აკვანს.

ლენინგრადის ძველ უბანში

ზ. ხ-ხ.

როს მიიმართნენ ცისკენ ხიდები
და შუბლს შეეხო წვიმის სისველე,
შენ გამახსენდი მე დამშვიდებით,
ვით პართენონი...
და დავისვენე.

ოცნება ვისიც თითქოს ნისლია,
ისლიან ქოხის ნატვრის სენია...
სადღაც სამხრეთში ვით დილის ია,
ვით ტირეზია
ტირის ზეია.

აქ კი არქონას საზღვარი არ აქვს,
ეძებ მას, რაც გაქვს, მაინც არ ცხრები...
ნისლები ბურავს პიტერის ქალაქს
და...
შრიალებენ ნევის ცაცხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგაი „ე“-სადმი

მე — ხეიბარი ჩემს საკუთარ გულზე ვკიდივარ,
სიყვარულისთვის წრფელიც ვარ და —
ფლიდზეც ფლიდი ვარ...
შენი მაღალი დალალების სახრჩობელაზე
ამ სიყვარულის დასასჯელად დასაკიდი ვარ!

●

ე-ს.

გურიის
გურიის ღამე.
სიმინდები.
ღამე და მთები.
ეს, ვერცხლის ღამე ოქროს მთვარით მოკამკამეა.
ამ ღამის მთვარეც შენ ხარ თითქოს და
მთვარით ვთბები.
მთვარის ჩარჩოშიც ჩარინდული შენ ხარ კამმეა.

მ ს უ რ დ ა

მსურდა შემექო მე სამშობლო კეკლუც რითმებით,
რომელმან პურით და სიტურფის ყვავილით მკვება.
შემექო მისი ველ-მინდვრები,
მთები და ზღვები...
მაგრამ მასხრობად მომეჩვენა სამშობლოს ქება.
შენს ტანჯულ დედას
აბა შენი ქება რად უნდა.
ღალატის შხამით არ მოუკვდე ოღონდ უდროოდ.
ის მაინც შესძელ პატიოსნად მოუკვდე...
თუნდაც
შენგან დარგული ერთი ძირი ხე დაუტოვო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო წერილი

მინდა მოგწერო... (შენ შორს ხარ ახლა!)
რომ: მზის ჩასვლას და ამოსვლას
ვუძღებ,
რომ: ხელი ზოგჯერ თუ ეძებს ჩახმახს,
ზოგჯერ მწედ მიდევს დაფლეთილ
გულზე...

რომ თავს დაცილდე ერთი ნაბიჯი,
ვერ დაბრუნდები ათასი წელი...
ბოლოს გწერ... ბოლოს ძალიან მიჭირს
რწმენა... ღიმილი.... თვალები... ხელი...

ძალიან მიჭირს... მაცდურ ზმანებებს
ბოლო კარებთან ტოვებენ მხოლოდ...
ბოლოს არასდროს იგვიანებენ,
ტყუილს არასდროს ამბობენ ბოლოს.

უჭირისუფლე მხოლოდ შენ ერთმა
რწმენით, ჩემეულ „ბოლოს“
სიმართლეს:

ბოლოს ნუგეში სისხლივით წვეთავს
და იმეორებს გზის ათინათებს.

ყველას ბოლო დღე გვავსებს
სინათლით,
ბოლოს გადავწევთ წარსულის ფარდებს.
ბოლოს ვიღაცის ნახვას ვინატრით,
ცხოვრებას ბოლო სურვილში ჩავტევთ.

ვაგროვებთ ბოლო ფიქრსა და ამბორს,
თავთან პირისპირ დგომას: „ვინა ხარ?“
ყველაზე მართალს ბოლო დღეს
ვამბობთ,
ბოლომდე ბოლო ტყვიას ვინახავთ...

„ბოლოს“ თავდებით მიჭირს და მოგწერ
ცხადის სიზმრით და სიზმრის სიცხადით
და ბოლო ფიქრის ერთადერთ მოწმეს
გულს, როგორც ღია ბარათს —
გიგზავნი...

მ ა მ ა

სანადიროდ ვართ მე და ბეწიკა, მოვკალით
ორი ჯიხვმაზვერი და ერთი შუნი.
დავით გაბური

(წარწერილი ქვაზე სახარის მაღლის
გადასასვლელში)

როდემდე ვზიდო ლოდების გროვა,
ანდა ამ ხვედრით რა პასუხს გავცემ:
ზამთარს და ზაფხულს, წვიმას და თოვას
ერთხელაც შენი აქ ყოფნის მაცნეს.

ისევ ის ქარი მწეწს და ამომყეფს,
ისევ ის ჭერი ექცევა დუმილს...
მამავ, შენც ამ თხემს თურმე ამოჰყევ
მგლის მუხლებით და ამბოხი სულით.

რა ნაფიქრალი ჩაუთქვი ლოდებს,
ლტოლვა სხეულში თუ ვერ დატიე...
არ მაპატიე, რომ უკან მოგდევ,
შენი შვილობა არ მაპატიე.

წვიმს... ცა ამღვრეულ თვალებს
დაიღლის
და ღრუბლებს მირეკს ქარების შოლტი.
თავს სად წაუხვალ, აქაც დამიხვდი
ფიქრით, ტკივილით, ოცნებით...
ლოდით.

დღეს შეიხიზნებს სახარის ყელი
გამოქცეული ბედს და... დანარჩენს,
როცა მოგივალ, მანდ გეტყვი,
წყენით...
ამ გახსენებით რატომ დამსაჯე?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი და გოგი ოჩიაურებს

მე შეგქმნი... ფერებს შორი ძახილის
სისხლის ღამეულ ხმიდან შევარჩევ,
გადავიცილებ დუმილს თალხივით
და ათას მწარეს გავკვნეტ შენამდე.

ბინდისფერ დღეებს გადავანათებ,
ჩქროს გზას გავუხსნი, ძარღვში რომ
მიცემს
და შენს სიზმრებთან ღამე განათევს
ცისკრის თვალებით აგიწევ სივრცეს.

გავწურთნი ფერებს ტალღებით, გეშით
და გარდასული ლანდების ჩქამით.
რიჟრაჟს დავუნთებ ჭკვიანს და
შეშლილს
რომ უკვდავება ვიტვირთო წამის.

მიჭირს თუ მილხინს, ვმღერი თუ
ვტირი,
ჩემს ბედს დავამჩნევ შენს ნათელ
თვალებს.
ცას შემოგირღვევ ოლოლის კვილს,
დუმილს დაგიფენს იანვრის ღამე.

მთათა ლოდინს და მდინარის წუხილს
ზღვად დაიგუბებს ყდებით რვეული.
და დაგიბედებ დღის ნათელს მწუხრით,
ობლის მოთქმას და დუმილს მეურმის.

მე რომ დამტანჯავს იმ ღიმილს ვეძებ
და დიდ იმედთან ვმარხულობ იქვით.
ჯერ გეფერები თვალებზე, თმებზე,
როდესაც შეგქმნი, მე მერე მიჭირს...

მოვარღვევ სხეულს მომსკდარ
ლოდივით,
სიცხადითა და შორი მითითა
რომ გამოგიხსნა ჩემი ლოდინის,
ჩემი სიცოცხლის ლაბირინთიდან.

ასე წვეთ-წვეთად შენამდე მოვალ
მთვარის გზით, დახრილ ჩრდილების
ლოცვით,
ცას დაგიკიდებ ცხელ ფიქრს და თოვას,
გაცდუნებს ჩემი ფერი და ხორცი.

ჯერ გაუმჭელი ხაზები მტკივა,
მოდი, მიხსენი... მფლანგე და მხარჯე
და გაგითენებ ორბისფერ დილას
ჩემი დაცლილი სიცოცხლის ხარჯზე.

და მოგაწყდება დიდი მინდორი
სიხარულის და ტკივილის ნიჭით
ბოლოს დამტოვებ, შენს თავს იპოვი,
ჩემიდან წახვალ და მერე მიჭირს.

გზებს დაგიბედებ, როგორც მე მინდა,
სხივი დახრის თუ ბინდი დანისლავს.
აგიფრიალებ ლაჟვარდს თხემიდან,
ყაყაჩოს წვეთებს გატკენ კრწანისთან.

გულებს დავამჩნევ შენს მადლს და
ნაბიჯს
და მაღალ რწმენის დირესთან დაგსვამ,
შეგქმნი და მერე ისევ მე დამსჯი
ჩემი მაღალი ოცნების ფასად.

გაგინაწილებ ჟრუანტელს დილის,
წყაროთა ჩურჩულს, ხალისს და
ცისფერს
და დაგაბრუნებს ხელები თბილი
როცა ზაფხულის მზე გადაიფრენს.

შორი გზითა და ღმერთით დაღლილი
ბედი მობჯენილ ღამეებს მიფრთხობს
და დავუწვები კართან ძაღლივით
გარეთ გაგდებულ ლოდინს და სითბოს.

ავყვები მთებზე რიჟრაჟის ყივილს.
მოვაქარგვინებ ლტოლვას ქარის
ფრთებს
და გადაგაცლის ბურუსს მზის სხივი
და შენს ცხელ სუნთქვას წყლულში
დავიფევ.

ვლეწავ ღამეებს — დარჩენილს
ბერწად,
ვახამებ ფერებს ცითა და მიწით.
ჯერ არა მიშავს, შენს ნაკვთებს
ვძერწავ,
შეგქმნი და მერე... ო, მერე მიჭირს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ გამომიხსნით ჩემი თავიდან,
მე აქ მოვიხდი განკუთვნილ სასჯელს.
აქ დაუკაწრავს თვალებს ამინდი
ჩემი საკანის დაგმანულ ფანჯრებს.

„შეგცოდე“, რწმენა რახან წამომცდა
და პირველყოფილ განცდით ისევე
მე აქ ვიბარებ ყოველ გამოცდას
წარსულს — ქარით რომ ამოვიშენე.

ოთხივე მხრიდან კედლებად მე ვარ,
თავისკენ ფორთხვით მუხლებს ვიოსებ.
ვერ გამოვაღწევ დარაჯის მზერას,
ნეკნებს — ჩაკანგულ რკინის გისოსებს.

გულთან ჩავლილი ღამეთა ჩქამით
ავიყვავილებ ვარსკვლავთა კვირტებს
ჩემი სიმართლის მოწმედ მყავს წამი,
წამი, რომელიც ცხოვრებას იტევს...

თავისუფლება დამისჯის ყოფნას
მსუყე სურვილებს თუკი მივნატრი.
ჩემამდეც აღწევს ნოემბრის მოთქმა
და ფერადოვან ველთა ჭიატი.

ცნობისმოყვარე მომწვდება თვალი
და შეირხევა დღეების რიდე.

●

აი, ქარებით ავსილი სახლი,
ლოდინი — ოთხი კედლის ამარა
და სიხარული შემწყდარი ძახილს:
„ტყუილად მოხვალ, მე აქ არა ვარ!“

სხვა რა მოგელის, ვერაფერს ვათქმევ
ამ მწირი სივრცით გაზომილ მზერას.
მივერეკები შუადღეს თავქვე
და მწუხრი ყვავის სინგურისფერად.

●

... და ზღაპრის ბოლო: ჩემს დღესთან
შემდგარ
ვნებებზე ჩამქრალ ღამეებს ვითვლი
და გულისწყლად წარსული ფეთქავს,
სუნთქვა ჩემს მძიმე ხელებში გითრთის.

მოვედი, რომ შენს ცხადის წილ დავრჩე
და ცრემლიანი გზა გაგიკვალო.

მიცავს გატანით შეკრული კარი
და ეროგულება „ურდულად“ მიდევს.

ცოდვა და მადლი გვერდს ვერ
ამიქცევს,
ყველა ჩამვლელი ჩემს თვალწინ მოვა.
მე თქვენ მჭირდებით, რომ არ დავიქცე,
რომ არ დამშალოს ქარმა და თოვამ.

რომ მოვიშუშო წყურვილი წვეთით
და „ჰო“ და „არას“ ტკბილ-მწარით
მხარჯოთ.
მანდ უნდა იდგეთ, გაყოფილ ბედით
მიზიდოთ ჩემი სიცოცხლის სარჩო.

ამხადოთ ზეცა თქვენი მარჯვენით
და ჩაუაროთ მოლოდინს მშვიდად.
თქვენსმიერია ჩემი სასჯელი,
თქვენს გამო მძიმე ბორკილებს
ვზიდავ.

ხანდახან უფლის თვალი დამხედავს
და შემიბრუნებს ფიქრებს სამადლოდ...
მე აქ ვიქნები, რომ თქვენ გარედან
ჩემს კედლებს თითო ლოდი დაადოთ.

თუ მოგინატრებს, შემოკარ ზარი
წარსულის, სადაც ტკივილი წვეთავს.
მე მაინც ვფხიზლობ, ღია მაქვს კარი,
ან ღმერთი მოვა, ან მოხვალ ღმერთად.

ისე კი... ჟამთა ფლოქვები კრული
გადამწვარ მკერდზე მატყვია დამღად.
... თუ შეგიძლია, მიუდგი გული
ჩემთა დღეთა და ღამეთა ბალღამს...

გზადაგზა ჩუმად შემომეხარჯე
და ავსებამდე უნდა გიკმარო.

ზეცის წყალობა და წყალდიდობა
მიგვახვედებს და ისე ჩაივლის.
სად წავალ... შენი ღამის ჭრილობას
ანათებს ჩემი ცრემლის ყვავილი.

ნანა გოგუაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

არიან გზები: გვირგვინით, ეკლით,
გზები უვრცესი, გზები კვეცილი,
გზები — დაცემის და დამარცხების,
გზები — უფსკრულზე გადაკეცილი...

ჩემო ძნელო გზავ, გადაჰკვეთ რომელს
გრძედსა და განედს, სად
აღვსრულდები,
გაფითრებული ზესკნელს ჩავშლი
თმებს,
თუ გრიგალებით გავსულდგმულდები?..

●

გზად შევეყარე იახსარს,
აბჯარმორღვეულს, ნადევარს,
რომ ჰგავდა თოვლზე ამოსულს,
ველარ ზიდავდა სატევარს.

თვალად რომ ესხნა იანი,
პირად — ყვავილი ხატისა,
იმას არ ჰგავდა, დავღონდი,
ფერი რომ ჰქონდა ნატისა.
. . . . . .
წამი და წამი გაზიდნა
მთოვარემ შარავანდისამ,
არც როს სცნობდია ბრიყვისა,
არც რა სცოდნია ფანდისა.

ამ გზით შეხვდება მგელ-ლომ ვაჟს
არ მოჩვენების ტყუპია,
ვინაც და ვისაც მაჯაზე
ეშმაკ არ დაუსკუპია.

არ გაიყოფა ფიცრებით
ყოფნა-არყოფნის სამანი,
არ შებრუნდიან ჩრდილები,
რაც უნდ ყიოდეს მამალი.

ყელს ნუ წაიხდენ, ღამეო,
მუცელს მოიშლი კიდენა,
ამ ცარგვალს ერთი ფერი აქვს,
ჩრდილს რას გრგებს ეტლის მიდევნა.

ერთ სიბრტყეზე არს სამთავე —
აწმყო, მომავალ-წარსული,
სამთავეში ვარ, სამთაგან
ნაგვემი, ძელზე გასმული,

გარდამოვედ რა მესამედ,
მსურს, რომ გიხილო, გხედავდე,
თავებს სჭრიდი და მისდევდი
ვინც დევებს ჩაბალხეთამდე.

თვალ წავატყუე სამჯერ და...
იახსარ ჯდა ნაზჯვაურში,
სამჯერვე გამოვიღვიძე
თოვლში და თოვლის აულში...

●

ყვავილებისთვის მზე აღარ მზეობს,
ცა ჭირვეულობს, ჩატყდნენ ქარები,
წვიმს... და სურს ერთად ათას ჭიანურს,
რომ გააჩინოს გულში ბზარები.

სანამდე შენთვის ხმაურობს გული,
ვიტან ჭიანურს და ცას — უარესს,
მაინც ვიცოდე, სად ჩატყდა ხიდი,
ან რა მეწყრებმა გადაუარეს?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

იციმციმე წამწამ — ფრთაზე,
როგორც ფთილა ნეკრესზეა,
ხარ ცასავით სალოცავი
და ცისფერი ეკლესია.

მეშინიან, თვალს არ ვახელ —
არ ვშლი ყორნის ბოლო ფრთასა.
მოსატანად არ გამგზავნონ
წყალსა უკვდავებისასა.

●

შევმუსრე, ვძლიე და უფროისად
ცეცხლი დავისვი, რღვევად ცხედრისი,
შევმუსრე, ვძლიე და ფერფლზე
დავდექ,
ფერფლიდან აღვსდექ, როგორც
ფენიქსი!
დავეც, აღვგავე პირისგან მიწის
ძველი შენობა, ვმუსრე ქორედი!
მე შენ გელოდი, აწ უნდა აღჩნდე
და გამინათო მრუმე შორეთი.
ნუ შეშინდები ჩემს ობოლ ცაზე,
მიცქერს შური და მომდევს წყევლები,
ჩემო ვარსკვლავო, გასჭერ სიბნელე
და სოსნისდარი ჰყარე ელვები!
რად გვინდა ტაში, სიმშვიდის ლეთა,

ქვეშ ჯოჯოხეთი ქშუის, ყაყანებს
და ყველა გარსში ლანდებისხელა
ყორნები დაფრენს, ყვავი ყრანტალებს.
ქვის სახით აღვსდექ. ცა თავსამტვრევად
გავხადე და თუ გადიკრის ვენებს,
ქარიშხლის ლანდი ზეშთაგონებას
ყელგამოღადრულს შემოასვენებს.
მაშინ დაქანდეს ჩემს ობოლ ცაზე
ბნელი სატურნის შავი ქორედი,
ჩემო ვარსკვლავო, თუ არ აღმოხდი,
არ გამინათე მრუმე შორეთი.
გეჰენიაში ყვავის აწკარები,
მე ამოვზიდავ ცეცხლოვან ვარდებს,
მომისინათლე ზესკნელის ბჟენი,
ოღონდ გიხილო, ოღონდ გიყვარდე!..

●

ვიარე მწვანილოვანი
ველი, არ ნათილისმარი,
ტანზე მოვისხი მინდორის
უმსუბუქესი სიზმარი.

მგგონა, ქვეყნის ოთხი ფრთე
შემოვიარე, ვით ზვარე,

დავღონდი, როცა გიხილე,
რისთვის მივლია ცისმარე?

რისთვის ვიარე, თუ აქვე
ედემის წყარო მღეროდა
და მოშიშთვალეს დაისის
წინ კელაპტარი მელოდა?..

●

ზაფხულის წვიმას წუთიერს — მეტად ხანმოკლე იერს,
გადავლილს, არდაბრუნებულს, დაბინდულ თვალსაწიერს
და ფეხაკრეფით გაპარულ ზეფიროსს ლურჯფარფლიანს,
უდაბნოსებურ სიჩუმეს და ჩემს სიყვარულს. გვიანს,
როგორი მწუხრი შეხვდება, ნუთუ უეცრად მოთოვს,
როგორი ხვატი შეხვდება, შუბლს ვინ დაიფენს ფოთოლს,
რაგვარი გზები ელიან, ვარდისფერი თუ შავი,
ჩამოეშლება მთოვარე და გადაუსწრებს შვავი,
თუ გადარჩება განგებით გულის შემკრთალი სხივი,
თუ ცრემლად დაიფანტება, როგორც გამწყდარი მძივი?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩრდილი

მზე დაისის ფერდობს შეუდგა თუ არა, ხვიჩაანთ ოლამ ამოიარა. შავი შალის კაბა ეცვა, შავი თავსაფარი ეხვია და როგორც ყოველთვის, სამძიმარზე წასვლის წინ, ყვრიმალები ჩუმი ტირილის სიწითლით შეფერებოდა და მისი სევდაჩაქცეული თვალები ტუჩებთან შეყრილ ღარებს უკმეხად ჩამოჰყურებდა.

ვარდისფერმა ქეთომ მხარზე ხელი გადაუსვა, ჭაღარა თმების კულული ააცალა და ჩურჩულით უთხრა:

— ნეტავი შენ, ვინც მოკვდება ყველას მამიდა შენა ხარ...

— ეეხ, ჩემი ტოლი იყო თეთრი ოლაც, ერთად დავიზარდენით, ბუერას ფოთლებით ჭარებულას წყალიც გვისვამს, ჭინჭარზეც ერთად წავსულვართ. რა ლამაზი იყო. ცხონებული...

— ამოდენა ფულის პატრონმა ერთი შავი კაბა ვეღარ შეიკერე?.. შაჰის ხასასავით რომ ჭრელებში გამოწყობილხარ — მიუბრუნდა ქალებს შემომატებული მარია და ისე გაუღიმა, ქალებმა ერთმანეთს იჭვნეულად გადახედეს.

— ტყუილს ვამბობ თუ... ორმოცი წელიწადია შავი არ გამიხდია.

—მაშ შენ, ოლა, სასიკვდილედ კარგა მოჩიტული იქნები. — ახლა მარია შეასკდა.

— დაგირჩეს თავი აჰა, ჩემი ტოლი მაინც არ იყვე. თუმცა შენ რაღა გახსოვს რა... შენი შაქროს ორმოცამდე კუნძ პავლიას გადაეკიდე და ორმოცზე ისიც საიქიოს გაისტუმრე. ეხლაც კი მახსოვს შენი ღადღადა კაბა, კეზურასავით რომ დაგემკრახებოდა ხოლმე ლოყები. მე კი 25 წლისა დავქვრივდი და მერე ამ ქვეყანაზე კაცი თუ კიდევ დადიოდა ისიც აღარ ვიცოდი...

— არ იცოდი აბა... შენს აშაღლარა დედამთილს სულ დღეობებში დაჰყავდი. შენზედ ამბობდნენ, სიმონას დაინახავდა თუ არა თვალები ნაწვიმარი შავი კუნელივით აუბრდღვიალდებოდა ხოლმეო... ვერ შეგეჭამა ხვაშიადმა?.. ისე შენც კაი გასაქრობი იყავი, ოლა...

ოლამ ამოიოხრა, ტუჩის ღინღლზე თავსაფრის ბოლო გადაივლო და სევდიანად გაიღიმა. მერე ყოჩივით მოხედა ქალებს და მათი კაბების ფერით უკმაყოფილომ ჩაღუნა თავი.

წიწაკაანთ მელანო პირგადაქონილი რატრატებდა:

— ქალო, ამ ბოლო დროს ძაან ცუდად არის ჩემი კაცი, რაღაც გაშტერებები ემართება. მოვა საღამოს ვენახიდან, ტაშტში ცივ წყალს ჩამასხმევინებს, საათობით ზის, აღარც ტელევიზორს უცქერის, აღარც მე. ერთხელ მიცქერა, მიცქერა და მეუბნება: აი, მე მგონია, რომ შენი ქმარი არა ვარო. გული გადამიტრიალდა, მეგონა გაგიჟდა-მეთქი. მეორედ კიდევ დამაშტერდა, დამაშტერდა რომა კინაღამ მზერით სახის კანი გადამაძრო, ნიკაპთან ორი თითი ამომკრა და მითხრა: მაშინ ე მაგ ნიკაპთან ეგ ხალი რომ მენახა, სულ ერთია, არ მოგიყვანდიო. მესამედ კიდევა, გული მტკივაო. როგორა-მეთქი? აი, ისე, შენ რო დაგინახავო...

— ეგა თქვენი ქორწილის მეორე დღეს უნდა ეთქვა. — შეაწყვეტინა მაგალომ.

— აი, მეხი კი დაგაყარე. შენი ქმარი ხო ისეთია შენს ალერსში ჩითი-

ვით გაცვდა. შენ ქმარზე ამბობენ რუსეთში ერთი საბავშვო ბაღი მარტო იმისაგან არისო...

— მორჩით რატრატს!... ბრძანა ოლამ და ყველა გაიცინა.

ასფალტიან გზაზე გავიდნენ და კაბებზე მტვერი და ტუჩზე ღიმილი ერთად ჩამოიბერტყეს. ოლამ მარიას ხელკავი გაუკეთა, რაღაც ჩასჩურჩულა და მერე ჩუმად აჩურჩულებულს მკლავზე უჩქმიტა.

— საწყალი, რა ლამაზი იყო ოლა... რა ლამაზი. მაგას და შაქროს აკვნიდან უყვარდათ ერთმანეთი.

— აკვნიდან არა? — დაეკვდა რუსიკო.

— აკვნიდან-მეთქი! ოლა რომ აკვანში წოლილა შაქრო 8 წლისა ყოფილა. მეზობლები იყვნენ. აკვნიდან ხელებს ამოუთათებდნენ თუ არა შაქროსკენ იწვდიდაო, შაქროს დაინახავდა თუ არა იცინოდაო, ჭყლიპინებდაო...

— სიბერემდე ეგრე უწვდიდაო ხელებს არა, ოლა?

— გაგიხმეს ენა, მიცვალებულზე ფინთი ვინა თქვა. მერე არ გააყოლეს, მაგისთვის კი არ ვზრდიდითო.

— აკი შაქრო ზრდიდაო?! — ამოისისინა ისევ რუსიკომ.

— კარგი ერთი, საცაა სახლი გამოჩნდება.

შესახვევში ოლა შედგა. ქალებიც გაჩერდნენ. ოლამ კაბაზე დაიხედა, თავშალი შეისწორა და მარიას მიუბრუნდა.

— სახეზე ხომ არაფერი მეტყობა?

— რა ექნა, შენ რა, ოლას გასასინჯად ხომ არ მიდიხარ....

მიდივარ, დაიჩურჩულა ოლამ, მიდივარ. შევღერდით თუ არა მეტოქეები ვიყავით. შაქრო ორივეს მოგვწონდა. მე კი არ მომწონდა, ისე, თვალი გამირბოდა ხოლმე. შაქრომ ჩემზე თქვა: ნამეტანი წითელი ლოყები აქვსო. ოლა ფერმკრთალი იყო, ფერმკრთალი კი არა, თეთრ ვარდს შემოდგომით ოდნავ სიყვითლე რომ შეეპარება ხოლმე, ეგეთი. რძეც იყო და ღვინოც, და ისე შეზავებული, ვეფხვ ქალი ინდომებდა მარტო რძეს და ვერც კაცი —მარტო ღვინოს მისი ცქერისას. ბარე რვას უყვარდა. მაგას შაქრია ერჩია ყველას. ხოდა, ის შაქრია აღარც მე დამრჩა და აღარც იმას, ომში წაიყვანეს. ეგ უკვე გათხოვილი იყო, მეცა. მე მესამეზე, ელენეზე ვიყავი ფეხმძიმედ, ეგ კიდევ — ნუნუზე. მაგისი ქმარი ჯერ არ იყო წაყვანილი, რა ვიცი, ფილტვებს იტკივებდა ხოლმე... ხოდა გავიხედოთ, შაქრია წაიყვანეს. საღამოხანია. ჭარებულიდან ძროხა მომყავს, ვხედავ, ასკილის ძირში ვიღაცა ზის. მიველ და რას ვხედავ, მაგ ოლას მუხლებზე თავი დაუდია და ტირის. ტირის რომა ქვაც კი წამოისლუკუნებდა მაგისი ცოდვითა. რათა ტირიხარ-მეთქი, გრიშა წაიყვანეს? არაო. მაშა, მაშა-მეთქი... ფეხისგულში ეკალი შემერჭოო. დავიხარე და უცბად გამახსენდა: იმასაც ის ეკალი ჩხვლეტდა რამაც მე მთელი სიცოცხლე გამიმწარა.... ორივეს გული გვტკიოდა. მერე რცხვენოდა ხოლმე ჩემი... აი, მოვედით, მგონი ეს სახლი უნდა იყოს.

ოლა შეჩერდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, თვალები დახუჭა და თავის გასაგონად წაიჩურჩულა:

— ჩემი ტოლი იყო, ჩემი...

ქალები მიჰყვნენ. ოლას მარცხენა ხელი უკანკალებდა, ყელთან ძარღვი გასკდომაზე ჰქონდა. ორი საფეხური აათავა თუ არა, თვალები კედელზე მიყუდებული კუბოს სახურავს გაუშტერა, წამწამებიდან ორი კურცხალი მოსწყდა და ნიკაპთან გაეხასკვა. ოთახში შევიდა თუ არა, ოლას გოგო წამოდგა, ხელები გაშალა და შეღაღადა. ოლამ ამოიკვნესა, ოავი გადაკნინა და ჩამოჯდა. ბედად სკამი იყო. თავი დაღუნა და პირდაპირ ხორბლიან ლამბაქზე ჩასაღვენთად გამზადებულ სანთელს მიაშტერდა. მერე წამოდგა, ახალი სანთელი ჩადო და მოუკიდა...

ნუნუ ტიროდა, ათას რამეს იგონებდა, ზოგსაც თვითონ თხზავდა და თვა-

ლებიდან წამოსულ ცრემლებს არ იმშრალებდა.

ოლას შეეხარბა ლამაზი ოლას ბედი. შეეხარბა და ნუნუს შესტირა, რა კარგად გლოვობ დედასო, ეგრე ტირილი ყველამ კი არ იცისო.... მერე ოლას გაცივებულ სახეს დაუშტერდა, ღიმილიან სიკვდილს თვალები ალმასივით ჩააჭდო და საკუთარი აღსასრულის სურათი მოთალა...

სოფელში ყველამ იცოდა: ოლას უკვე კუბოს გარდა ყველაფერი ჰქონდა ნაყიდი, საცვლები, სანთელი, ხორბალი, გადასაფარებელი, ყველაფერი ჰქონდა შავი დღისთვს გამზადებული, კუბოსაც იყიდიდა, ისეთი უცნაური იყო, მაგრამ ადგილი არ ჰქონდა სად დაედო. თუმცა კარგად იცოდა მისი ორი ბიჭი ამას არ ანატიებდა, მაგრამ ვერც ამ სურვილს შეუცვლიდნენ უკეთესით, რადგან სულ ორჯერ ნახულობდნენ წელიწადში: გაზაფხულზე და შემოდგომით.

ხვიჩაანთ ოლამ კარგი ქსოვაც იცოდა, კარგი კერვაც, სადილს ისეთს მოამზადებდა, სულ გინდოდა მისი ბარვის მუშა ყოფილიყავი. მარილიანი იცოდა ყველაფერი, ტრილიც და სიხარულიც. მხოლდ ერთი წუხილი ჰქონდა მთელი სიცოცხლე — რად ამჯობინა შაქრომ ეს თეთრი ოლა... რად ამჯობინა... ეხლა კი იწვა თეთრი ოლა და შავ სიკვდილს ისე ჩაეხვეოდა, როგორც ქმრის ძველ პალტოს, როცა მისი დაღუპვის ცნობა მოუვიდა. სამი დღედაღამე ეცვა თეთრ ოლას ქმრის ჯუბა. მერე გახადეს, სადაც გადაუგდეს. ვიღაცამ მაინც გამოიტანა, ის პალტო შაქრიას მიუცია გრიშასათვისო...

ახლა იჯდა და უცქეროდა სამუდამოდ დადუმებულ მეტოქეს, მის ჩაცვენილ ლოყებს, დახუჭულ თვალებს და თითქოს ოლას ჯიბრზე სიკვდილთან შეუღლების სამუდამო ღიმილს... ისიც ასე დაწვებოდა მალე, გულზე ხელებს დაიკრეფდა და დღემდე უჩინარ მეტოქეს სიდიდისფერი ღიმილით გამოაჯავრებდა... ვინ იცის, იტირებდა ელენე? რა თქმა უნდა იტირებდა... და რატომღაც შეენანა, თეთრი ოლა, რომ ვეღარ დაინახავდა მის უკანასკნელ მშვენებას. ეს ქალი ყველაფერში ჯობნიდა, ყველაფერში და ისე ამოიტრიალა გულგვამი ტირილში, რომ ქალებმა გოოცებულებმა გადახედეს.

ნუნუ გაჩუმდა. ოლა წამოდგა, კუბოსთან ოდნავ დაიხარა და უსიტყვოდ, დიდხანს იბუტბუტა. დიდხანს... მერე ტირილი შუაზე გაწყვიტა, შვებას ოხვრა გაურია, დაჯდა, ისევ კალთაში ჩაიწყო ხელები და ისევ დაღონდა, გაირინდა...

ახლა თეთრი ოლას მული ატირდა. რძლის მოყვანის დღიდან რაც ახსოვდა ადრე დასწავლილივით ჩამოარაკრაკა. მერე კაკლის ტოტი აიღო და კუბოს თავზე გადააქნია.

სიკვდილშიც დედოფალივით იმსახურებდა მულს თეთრი ოლა. მულს, რომელმაც კარგად იცოდა მისი ძმა სამუდამოდ განწირული იყო ოლასათვის. სამუდამოდ დაკარგული და დავიწყებული... თეთრმა ოლამ თავისი ყადრი იცოდა. თავისი ფასი იცოდა და არც მულს, არც დედამთილს, გრიშას ხომ არა და არა, არასოდეს არ მისცა მისი სწორად შეფასების საშუალება. ეხლა კი იწვა და ეძინა, თეთრ ოლას შავი ძილით ეძინა...

ყველა გაჩუმდა, ყველა თავის საფიქრალს ჩაეძია. ზოგმა ჩაილიმილა გულში, ზოგმა ჩაიწყევლა სიკვდილზე, ზოგმა ჩაილოცა უკანასკნელ სალამაზეზე. მერე ისევ მულმა ამიღო ხმა. ენა ხშირად კბილებს აქეთ უვარდებოდა და მარიამმაც რუსიკოს წასტუტუნა:

— ამასაც იმასთან ექნება გაკეთებული კბილის პროთეზი.

რუსიკომ თვალებში ჩაიღიმა და აკრუსუნდა.

— ხოდა, — ყვებოდა მული, — მადლიანი ქალი იყო ოლა, მაგან გადამატანინა ჩემი უბედურება. ქალებო, მე რომ ქმარი მყავდა, მტრის კარს. ეგრე სულით დაფეხვილი არავინ მი-

ნახია. სულ ქალები უყვარდა, სულ საყვარლები ჰყავდა. შეჯდებოდა ფაეტონზე, შემოისხავდა დამკვრელებს, ამოიყვანდა, ქვევრის თავზე დამისხავდა და მეტყოდა: ეგენი ღმერთის მოციქულები არიანო. ჭადი გაპირვებით გვქონდა. მარტო ქვა გვქონდა და კაკალი. წაიღებდა ერთ ხუთ ტომარა კაკალს, დაიფარებდა კარაკულის ბოხოხს, გამოეწყობოდა „აზიანცკებში“ და ვიღას ახსოვდა ბედდაწყევლილი შენი მარო. ერთხელაც მამიყვანა დამკვრელები. საკმელი არაფერი მაქვს. აქეთ ვეცი, იქით ვეცი... თანაც ომახიანად შემომძახა, დატრიალდიო. გავშტერდი. ვიფიქრე, ვიფიქრე და... უცებ ჩამოვუარე... ჩემი კაცი წამოხტა, ეგონა გაგიჟდაო. შენ არ მითხარი დატრიალდიო... ერთი შემომბღვირა და მითხრა: ქვა მომიტანეო. ვიფიქრე, ეხლა კი შეაბა წისქვილის დოლაბი ჩემს მხრებსა-მეთქი. შემოვუტანე. ქვევრთან ახლოს დამსვა. დამიხვევა კაკალი და მამტვრევინა. ჭამენ ის ჩემი ცოდვით სავსენი, მეტკინა ხელები, ჭამენ და თან მღერიან. ეხლაც აღარ მახსოვს, მეკლარნეტემ ქვევრში როგორ მოადინა ზღართანი. აქეთ მე ვეწევი, იქით ჩემი ქმარი. მედოლე და მედუდუკე სხედან და იცინიან. მომეშალა ნერვები და ერთი ისეთი ვუთაქე ი მედუდუკეს, ჩემს ქმარს ომში წასვლამდე სუ იმას ეუბნებოდა თურმე, ეგრე გამოწელილი რო ხარ, აღარ მიკვირსო... იი, კიდევ რამდენი... ამას იმიტომ გიყვებით, რომა ცოტა ყამს სიკვდილს დავცილდეთ. სუყველა იქ არ წავალთ? მე შენ გეტყვი გაპრანჭვას სიმორცხვეში ჩაგითვლიან. ი ქვეყანა თუ არსებობს ნეტა...

— არსებობს მარა!.. — ნერვები მოეშალა ოლას, მაროს მწყრალად გადაწვდა და თქვა:

— ღმერთმა გაანათლოს იმ ქვეყანაში...

— ხოდა, — ისევ განაგრძო მარომ, — ერთ დღესაც მოკვდა ჩემი ქმარი. არც არაფერი დამიტოვა, არც არაფერი წაიღო. უკანასკნელად მისი ნაუეტი ბეჭები ორმოცამდე გამყვა. ღმერთმა აცხონოს, სიკვდილის წინ მაინც მითხრა: ჩემს ხელში არაფერი გაგიხარია და ჩემზე შავს ნუ ჩაიცვამო. ფული მე არ მქონდა და არაფერი, ერთ დღესაც არა მცმია შავი. დღემდე ძაან მეჯავრება, თანაც გაბოს ანდერძი იყო... მაგრამ...

— მიწამ კი გიყოს პირი... — ჩაიტუტუნა მაგალომ, — შენც კი აშაღლარი იქნებოდი...

—მაგრამა, — ამოიკვნესა მარომ, — ერთ ღამეს, ორმოცის წინა ღამეს სიზმარი ვნახე. ეგეთი სიზმარი ჩემს მტერს: იმ ქვეყანაში ვიყავი, ლამაზი იყო ეგრე ლამაზი, როგორც ჩემი თეთრი ოლა... ყველაფერი ყვაოდა, ეგ იყო ძაან ცხელოდა, ეტყობა მზე სულ შიშველი იდგა ბანზე. ვხედავ, ჩვენებური მიცვალებულები ხის ჩრდილში სხედან, ეგრე გაფანტულები, სხედან და იღიმებიან, ბედნიერად, მშვიდად. გავიხედე, გამოვიხედე, ჩემი კაცი ვერსად დავინახე... მეუცხოვა, მართალია, ქალები უყვარდა, მაგრამა ღმერთი ეგრე როგორ გაწირავდა ჯოჯოხეთში გადაეგდო-მეთქი... რამდენიმე მანძილი გავიარე. ვხედავ, ცხელ ქვიშაზე ზის და ოფლს იწმენდს. შემომხედა, ისე საცოდავად შემომხედა, მისი ნახვის სიხარული ბალღივით ამიტირდა. არც გადამეხვია, არც მაკოცა. ფეხებთან დავუჯექი და ვუთხარი: კაცო, ამ პაპანაქება მზეში რას აკეთებ-მეთქი. ისევ ცრემლიანად გამიღიმა და მითხრა: მარო, მე ხომ სიკვდილის წინ გითხარ შავი არ ჩაიცვა, მართლა ისე ჰქენი თუ არაო. აბა, სამოთხეში ღმერთთან ვიყავი და ტყუილს ხომ არ ვიტყოდი, ეგრე ვქენი, ანდერძი შეგისრულე-მეთქი. ამოიოხრა, მარა რა ამოიოხრა, გულის ბღავილი ქვიშაში ბარივით ჩაარჭო. მაგის ბრალია, მაგისიო. ვისი-მეთქი. შენ რომ შავები არ ჩაიცვი ჩემზეო. იცი რა არის ძაძა მკვდრისათვისო? ჩრდილიაო, მარო, ჩრდილი... ისინი იმიტომ სხედან იქ მყუდროდ, გრილად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგათი ჭირისუფლები შავებმა გაცვივთეს, მე კი საჩრდილობელი არა მაქვსო. ვზივარ ამ ცხელ ქვიშაზე და ვფიქრობ: რითი სჯობია უჩრდილო საშოთხე ჩრდილიან ჯოჯოხეთს, რითი?

გამომეღვიძა ოფლში გაწურულს. გული ბაღის კარივით მიჯრიალებდა. ავდექ და მეორე დღესვე შავი ჩავიცვი. მერე აღარ მინახია, ეტყობა იპოვა ჩრდილი...

ოლამ ამოიოხრა, ქალებს გადახედა... უპეებთან დაგროვილი ცრემლი ცხვირსახოცის წვერით ამოიგდო და ამოიმშრალა.

ქალებიც წამოდგნენ, ნუგეში სცეს ჭირისუფლებს, გარეთ გამოვიდნენ და ღრმად ამოისუნთქეს.

ოლამ ბოლო საფეხური ჩამოათავა თუ არა, შედგა, აივანს იქით გაიჭვრიტა, მერე ცას ახედა და თქვა.

ღმერთო, არ მოაკლო ყველა ცოცხალს მზე და ყველა კვდარს ჩრდილი!

შავი გოგიას ნატვრისთვალი

სველი აღმართი რომ ამოათავა, ერთგან, ცოტა შემაღლებულ ადგილზე დაჯდა და უზარმაზარი „ბაშმაკები“ ზოზინით გაიძრო, დაფერთხა, გადმოყრილი წებოვანი გოროხები მუჭაში მოიქცია, ჩაფიქრდა, მერე ისევ გაშალა და დახედა: „გარეთაც და შიგნითაც ჩემთვის მხოლოდ მიწაა...“ ცოტა ლექსივით გამოუვიდა ნაფიქრი, მოეწონა და მერე ხმამაღლა გაიმეორა, გაეღიმა, დიდხანს გაირინდა და როცა წამოდგა, ცას ახედა. ჭარებულას ხეობის თავზე გოგიას საყვარელი იისფერი ღრუბლები ხელჩაჭიდული მიჰყვებოდნენ ერთმანეთს და მიწაზე უღიმღამო კაცს შვების მომცემად ჩაჰღიმოდნენ წუთისოფლის მტვრით ჩაშავებულ სულში.

პავლესეულ ბაღის გვერდზე, ახლად მორწყული ბაღიდან გამოჟონილი წყლით დასველებულ ბილიკზე მიშავდებოდა შავი გოგია...

ამ სოფელში მოსვლის დღიდან მისადმი მომართვის თანასოფლელებისეულ ლექსიკონში გოგიასავით მოხრილ-მოჟანგული ქართული თავადობდა ყოველთვის, ისეთები, როგორიცაა: „მოშავდა“, „მოჯლახუნდა“, „მოძვალტყავდა“. ყოველ ამ სიტყვას მისი ღიმილი მურივით ეცხებოდა, სოფელლებიც კეთილად იღიმოდნენ და უკვე კარგა ხნის გიჟად მონათლულ გოგიას ბავშვივით ელაზღანდარებოდნენ.

სიგიჟის ძონძებში გახვეული და გადამალული მისი ოდნდელი სიბრძნე კი, თავად გოგიასაც რომ აღარ ახსოვდა, დრო და დრო თავს ახსენებდა, ისიც მხოლდ მაშინ, როცა საკუთარ სიშავეს პირისპირ შერჩებოდა თავისი გაუხარელი არსებობით. გოგიასათვის ეს ერთგვარ საფარველს წარმოადგენდა, რადგან, სწორედ, ამ სიგიჟის წყალობით შეეძლო, როცა უნდოდა და, როგორც უნდოდა პირში ეთქვა სიმართლე ყველასათვის და მერე, მარტოდ დარჩენილს, იმაზე სჭეროდა გული ხელით, დაიჯერებენ თუ არაო...

სხვისი გულის ატკივების ჭია კი არ უჭამდა გულგვამს, არა, პირში წყალჩაგუბებული ადამიანები მასზე საცოდავად და უბადრუკად გამოიყურებოდნენ მის თვალში. გოგიას თვალთა სიშავეში კი ირმები უბღაოდნენ და ისეთ სევდიან მზერას იცვარამდნენ ყოველი სახილველის ხილვისას, გული ამოუჯდებოდა კაცს.

უმთვარო ღამესავით შავი იყო გოგია და ლოყებზე, ღრმა ღარებს შორის სიშავეში შეზავებული ჭუჭყი ისე ჩაჰკვროდა, როგორც მისი დედ-მამა იმ მიწას, საიდანაც მოვიდა გოგია და რომლის სახელიც არავინ იცოდა.

სოფელში მისი მოსვლის დღე ყველას გუშინდელივით ახსოვდა. უზარმაზარი „ბაშმაკებით“, პაპანაქების სიცხეში დაბამბული „ტელეგრეიკითა“

და ზურგზე მოკიდებული, ძველი, პირდაღებული ტომრიდან ისე. საპატიოდ იმზირებოდა მისი ავლადიდება, რომ სოფელში მაშინვე მიხვდნენ მისი წარმოშობის დიდებულებას და „ბირჟაზე“ მოლაზღანდარე ბიჭ-ბუჭებმა სტვენისმიერი მარშით მიაცილეს სოფლის ბოლომდე, სადაც ჭარებულას ხეობის იქით, დაისში ჩაგორებულ მზესთან ერთად ყველას თვალთაგან ჩაშავდა და ჩაიკარგა გოგია.

არც გვარი იცოდა მისი არავინ და არც სახელი. ვიღაც დათიასაგან, მეზობელი სოფლის მოანგარიშესაგან გაიგეს, ეს კაცი ადრე წყალტუბოში ბუღალტრად მუშაობდა და გოგია ერქვაო. ასე შემოვიდა გოგია სოფელში და მისი დაუდგენელი ვინაობით აღძრული ცნობისმოყვარეობა მასთან სახალისო საუბრებით გაანელა.

ჯერ ერიდებოდნენ, თითქმის გაურბოდნენ. მერე, როცა უქმე დღეები მასავით მოულოდნელად გამოიჭყიტებოდნენ სოფელში, გვერდით მოისვამდნენ და ამ მთისას და იმ მთისას გოგიასეული სიბრძნით ფეხქვეშ გაივაკებდნენ. მისი ჩავლისას ეზოს კარს მომდგარნი ერთმანეთს აღარ აცდიდნენ მასთან გამოლაპარაკებას, სულ მალე სოფელმა იოწმუნა, რომ უამკაცოდ აღარ შეიძლებოდა სოფლის დღეთა ფურცვლა.

დღეები კი ისე გარბოდნენ, როგორც გოგია მირბოდა მხარზე ტომარაგადაკიდებული ავტობუსის გაჩერებიდან სოფლის ბოლოსკენ, სადაც ერთ ძნელად მისადგომ ადგილზე პაწაწინა გომური ედგა. რას არ ნახავდა კაცი აქ, გამონაცვალ ძონძებს, ცხვირამოჭრილ რეზინის ჩექმებს, ნაფოტებს, კონსერვის ყუთებს, ხორცშემოცლილ საბორშე ძვლებს, სანთლის ნატეხებს და, ვინ იცის, კიდევ რას. გომურიდან ამოშვერილი საკვამლე მილი თუ მიგანიშნებდათ, რომ აქ შეიძლებოდა ვიღაცას ეცხოვრა. შიგ შესული ცხრაჯერ უნდა მოხრილიყავით და მერე იქიდან გამოსულს ერთი ამდენი უნდა გაგავლოთ, რომ პირვანდელ მდგომარეობას დაბრუნებოდით. სწორედ ამიტომ ერთთავად თავდახრილი და მოკუზული დადიოდა ზურგზე ტომარამოკიდებული გოგია, დადიოდა და როცა თავს დაიმარტოხელებდა, ხმამაღლა ფიქრით ლევდა გზასა და მისთვის ძაღლმადურად ღვთისაგან ბოძებულ დღეებს, უძველძირიდ, უსახლკაროდ, უსიხარულოდ გადაგებული.

სიცოცხლემოძულებული სიკვდილსაც შიშით მოელოდა. ღმერთისა რა ხანია აღარ სწამდა, აღარ, რადგან მისთვის არასოდეს მოუცლია გამჩენს. მისთვის ახლა ყველაფერი სიგიჟე იყო, რომელიც ყველაფერს აძლევდა, რათა წუთისოფლის მტვრიან შარაზე დანთებულ მისი სულის სანთლებს ეწრიატა და ენავლა...

ამოივლიდა, ჩაფსკვნილ, შემკვრივებულ ტანზე სოფლის მტვერსა და ათასგვარი საგნებით გამოტენილი ტომარამოკიდებული და გამვლელ-გამომვლელს ქვემოდან შეჰღიმილებდა. ყბედი თედო სიმონას კაკალთან გაჩერებდა, ჭიშკარზე გადმოკიდებულ დათიას გადახედავდა, მერე ნაყვავილარ ლოყაზე ხუთივე თითს მიიხატავდა და ბოღმით ამოჰკბეჩავდა:

— ვაჰმე, დღეში შვიდჯერ ვჭამ, სამჯერ მძინავს და ბაღის საფრთხობელასაგან მარტო იმით განვსხვავდები ჩემზე მაღლა რომ დგას. ეს კი კაცოოო... საფერავის მტევანივით შეკრული, გეგონება მაგაზე ზრუნვით დედამისს მეორე მუცელი მოსწყვეტიაო. მაშ ღმერთს სამართალი აქვს?

— აქვს. — მოუჭრიდა ღიმილით გოგია — შენ შიგნიდან შური გღრღნის და ბოღმა გფიტავს, მე კი ამ ცასავით ნათელი გული მაქვს. შენ შენი ქონებისა გეშინია, მე კი მარტო მიქელ გაბრიელისა — ტომარას შეიბურთავებდა, შეისწორებდა და შარვლის მტვრიანი ტოტებითა და თედოს ბოღმიანი ღრენით აღმართს აჰგვიდა.

დარდი კი ტომარაზე მძიმე ჰქონდა შავ გოგიას, რადგან ის, რაც მასში

იყო. მის ხელთ არ იყო და არც ამ შეგებისმომცემ სიგიჟეს შეეძლო რაიმეს შეცვლა. ყველაფერი უკან იყო და მაინც ის დავიწყებული სიცოცხლის ნახევარი ეთერას კუზივით დასწოლოდა გამრუდებულ ზურგზე, დასწოლოდა და სულ ქვევით, ქვევით, მიწისაკენ ეზიდებოდა თავისი სიმძიმით. ტომარის მოხსნა თავად შეეძლო, იმ ტვირთისა კი მხოლოდ მიქელ გაბრიელს და ისიც გზაბანეული მგზავრივით იჯდა წუთისოფლის სიპ ქვაზე და დედიშობილა სულით უცდიდა არსთა გამრიგის განაჩენს. ეგ იყო მხოლოდ, ამ ქვეყნად ყველასაგან მოძულებულს და მიტოვებულს იმ ქვეყნად მარტოდ დარჩენისა ეშინოდა, მარტოობისა და სიშავისა, მის არსებობას რომ განივთებოდა უმზეოდ დაბადებულივით.

მიდიოდა და ტომარასავით მიჰქონდა მძიმე ნაფიქრი. „ყველაფერი, რაც გარშემოა, ცა, მიწა, წყალი, ტყე ჩემშია და მე მასში. ხმამაღლა რომ ვთქვა, გაიღიმებენ, ეგ არი... მე კი რა ჭირად ვაქნევ ასეთ პასუხს, როცა მოვკვდები ბოლმა თედო ჩაიჭირქილებს, ან რა მოიტანა, ან რა წაიღოო. მე კი მოვედი და გიჟად მომნათლეს, ყველას ყველაზე დიდი სიმართლე რომ ვუთხარი, იმიტომ. მერე რა, რომ ნაჭუჭებიდან თვალებგადმოჭაჩულებმა სათითაოდ დამგესლეს და ისეც შეიკეტნენ, განა მძულან? არა, ღმერთო, გულის მაგიერ ქვა ხომ არა მაქვს, შენს უნებური ცოდვა-ბრალი მატლივით მივიჭყლიტო, დავიფერთხო და გავიარო. განა ასე ადვილია ადამიანად ცხოვრება... მე კი მქვია ადამიანი? მქვია, აბა, გიჟს ცხოველს ხომ არ შეარქმევდნენ, ეტყობა, მქვია, გიჟია... ასე სჯობია. ვიდრე ჭკვიანის ხალათი მეცვა, რომელ სამეფო აბანოში ვიწმენდდი ჩემი ყოფის ცოდვა-ბრალს, ყველამ ფეხი დამკრა და ნატერფალი დამამჩნია. როცა კაცობის თვდაცვის გარსი შემეფოთლა მათი ნაფეხურებით, ზიზღიანი მზერა ღილებად დამაკერეს და მიუკარებლობის, სიცივის და განდევნილობის აშკარა გამოხატულება — ეიჟის ხალათი მომიჩითეს, ჩამაცვეს და ბაბუა აქეთ დავდივარ ასე მზეშეტრუსული. ჩინალანძული. სულში ბალლამჩაქცეული. საკუთარი თავის დამვიწყებელი, საკუთარი თავისაგან დავიწყებული... მერე თითქოს შეეშინდაო. გონების მტვერს თავის კანტერით ჩამოიფერთხავდა, ტომარას აიბურთავებდა „ბირეაზე“ პირდაფჩენილ ბიჭებს ჩვეულ ღიმილით შეაცქერდებოდა და ს

— რაო გოგი, ლოცულობ?.. ლოყაწითელა ოლამ ვარდისფრად შეჭლიმა და ჭრელი წინსაფრის ბოლოთი ტუჩიდან ღიმილი მოიწმინდა.

— ვლოცულობ კი არა, ვიწყევლები. აბა შენისთანა ქალი უპატრონოდ უნდა იყოს?..

— ენა კი გაგიშავდეს გოგი, ჩემი შვილების აუგი არ გაიფიქრო თორეეე... მერე ისევ მოლბა, ნაბიჯი შეანელა და გოგიას სინანულით მოხედა, გეტყვი, თუმცა მაინც ვერ გაიგებო. — რა ვქნა გოგი, ბიჭი ხარისხზე მუშაობს, გოგო კი, თვალი ჩაუშავდეს მის ბებერ ქმარსა, დღედაღამ რაღაცეებს ჯღაბნის. ქალი იძახის მწერალიაო, დღეში ცხრანაირ საქმელს უკეთებს და ასუქებს, დილით კი ეს ჩემი უბედური გამოიტანს ერთ სანაგვე ქაღალდებს და დაწვავს, იმ საცოდავს კი სჯერა... თვალს უვსებენ ქალაქსა... მერე ისევ ხელი ჩაქნია და გზა ჩურჩულით გააგრძელა. გოგიას კი გული ეტკინა, თვალებში ჩამდგარი სისველე ბეჭდის თვალივით წვრილად აუციალდა, მერე შავი ხელისგული მოისვა და ის ცრემლიც თვალის მიღმა ჩაუშავდა.

სახლს კარგა ხანია გამოსცდენოდა, უკან გაბრუნება იფიქრა, მერე კი ისევ სოფლისკენ მომავალ გზას ამოჰყვა. ოციოდ მეტრზე ფეხისგული მწვავედ ეტკინა, შებარბაცდა, ჩამუხლა და „ბაშმაკების“ გახდა დაიწყო. მარცხენა ფეხიდან წაიძრო თუ არა, მოისვენა, „ბაშმაკი“ დაფერთხა, შიგ ჩაიხედა და ჩარეჩნილი გოროხები თითებით ამოყარა. უეცრად ხელში გლუვი, პრიალა ბურთულა მოხვდა. სწრაფად ამოიღო, ხელისგულზე დაიდო და დაჭყიტა. დიდხანს უყურებდა, მერე დაიორთქლა, გადაწმინდა და ბურთულის ბზინვარებას გულდასმით ჩააკვირდა. ვერ მიმხვდარიყო, შუშის უბრალო ბურთულა იყო თუ...

— „ნატვრისთვალი!“ ამოუტივტივდა გონებაში და გვამში ისეთი სითბო ჩაეღვარა, თავი ვეღარ დაიღწია დღემდე განუცდელ სიამეს, დიდხანს, უზროდ გარინდებული დასჩერებოდა ღვთით გვიან ნაბოძებს. გვერდით ცინდლიანმა სულიკომ ჩაუარა და კენჭივით დაუგდო სათქმელი:

— იპოვე რამე გოგი?

— ვიპოვე არა, შენცა... სწრაფად წამოდგა და გაშორდა. გზის გაგრძელება აღარ შეეძლო, გონებას სტკენდა ახალი, ჯერ განუცდელი სიხარულის გამონაშუქი, უკან შებრუნდა და სახლისკენ მიმავალ ბილიკს სირბილით დაადგა. გომურის კარი მაგრად მოიკეტა, ვიწრო, მტრედის გასაძვრომ სარკმელთან მიჯდა ტაბურეტზე, ნატვრისთვალი მზის სხივებს გაუფინა ხელის გულზე და დაუშტერდა. მზემ ჯერ მზერა აარიდა, მერე სინათლის ღერები ნატვრისთვალს პაწაწინა სანთლებად ააგლიჯა და სული გაუთბო. „ჩემი სული საყდარია, თეთრ სანთლებში მოციალე“, გაახსენდა გოგიას ლავრენტას ქორწილში, მეგარმონე ხარხელის ნამღერი და თავადაც გული აუმღერდა. მოციალე, მოციალე, ეკვეიატა ეს სიტყვები და გომურიდან გამოსულს კერიასეულ სითბოდ ფეწდაფეს გამოჰყვა. მდიდარი იყო გოგია, მდიდარი. განაცა მარტო სატანების სამფლობელოა, გოგიასათვის ღმერთიც არსებობდა ახლა და ანგელოზიც, და არც იმას იდარდებდა თუ სატანას, როგორც ოსი ნანო ეუბნებოდა, მართლა მისი სახე ექნებოდა. ახლა მიწაც ემსუბუქებოდა და ეს სველი „ბაშმაკებიც“. ისევ მორწყულ ბილიკზე მოდიოდა, დიდრონი „ბაშმაკები“ დრო და დრო თავს ახსენებდდნენ და ამდენი ფიქრით დამძიმებული ადგილს ეძებდა, რომ სადმე ჩაემუხლა და სული მოეთქვა, იქ, სადაც არავინ შეამჩნევდა. მელანოს ვენახს მიუახლოვდა თუ არა, ნაბიჯი შეანელა, გარემო დაზვერა და მუხლამდე აჩონჩხლილ, უსწორმასწორო ღობეს ღონივრად გადააბიჯა, კაკლის ძირში გულალმა გადავარდა და ცას შეჰღიმა თვალდახუჭულმა.

„განა ღმერთს ვინმეს გაწირვა შე-

ეძლო? ისიც ჩემისთანა უბედური. განა ოამბელა თვალები გაქვს უფალო, რომ მეც დამხედე. ამ სიშავეში ჩემი სულის ცალი შენიშნე და ჯერ კაცს რომ არ შემოუხედია. ჩემს გომურში ჩამოიბერტყე შენი ფრთების სითეთრე... რა უნდა ვინატრო ახლა, როცა ცხოვრების უმეტესი უკანაა და თანაც დასაიერყებლად გამეტებული. განა გაუხარელ დღეებს იგონებენ? თუ იგონებენ და ილამაზებენ, ისე კი არა, ასე იყოო. წუთისოფელმა ეს ერთი შავი ფერი მიბოძა და რა საღებავი მოვცხო ჩემს უფერულ დღეთა ჩავლას უფალო. მოვკვდები და გიჟი გოგიას სახელით დარჩება ამ სოფელში ყველაზე სასაცილო, ყველაზე სალაზღანდარო მოსაგონებელი და არასოდეს არავის მოუვა აზრად, გულზე რომ ზარი მეკიდა და ყველას ტკივილისა და მწუხარების მიზეზს ჩემს ტაძარში ვალოცვინებდი... ნუთუ არავის დავჭირდი ღმერთო, ვიღაცას გავხსენებოდი, თუკი შენ... თუ შენც ათასი პირვარამით დამძიმებულს ჩემით გართობა მოგეგუნება..." მერე წამოჯდა, დამძიმებული თავი მუხლებზე ჩამოსდო, ხელები ფეხებზე შემოიტმასნა და საკუთარ სულს პირიველად ჩაჰღიმა. „ეს რა ქადაგი მიზის გულში ღმერთო, შენთან რომ ასე მალაპარაკებს, იქნებ ესაა ჩემი ცოდვებისა და აღსარების თქმის ადგილი და დრო, იქნებ ჩემი არსებობის აღდგომა დღესაა და საკუთარ თავს პირველად ჩემს სიცოცხლეში სიხარულის წითელი კვერცხი უნდა ვუგორო, თუ მართლა შევიშალე და გარეთ გასული ხალხის თვალში სიბრძნით მირონცხებული, დედიშობილი ჩავივლი და ისევ ზიზღით, უკარებლობით დამიბრუნებენ იმ დღეებს, მეც რომ აღარ მახსოვს... აღარ მახსოვს კი?".

და გაახსენდა ამდენი ხნის შემდეგ, კი არ გაახსენდა, თავს ნება მისცა გაეხსენებინა. გულშავი ქალის თვალთმაქცი სახე დედინაცვლად რომ დაუტოვა მომაკვდავმა მამამ ალიზის ქოხთან და ერთ გაბერწებულ ძროხასთან ერთად. მერე დედინაცვლის დაკრეფილი. ცხელ საჩხრეკელს შეგებებულ ხელისგულიც აეწვა. მერე ოდინდელმა რისხვამაც ლრუბლებივით აისხა ავისმომასწავებელი სიმწვავე და შავ გოგიას ის გასროლაც გაახსენდა, რომელმაც მეთექვსმეტე გაზაფხულზე, ფერთაშობის თვეში, დედინაცვლის გული და მისი თავისუფლების კარი რომ გაანგრია... თვალებზე ხელები აიფარა. სული და სხეული ერთიანად დაუმძიმდა, მერე ისევ გულალმა მოწყვეტით გადავარდა და თვალებიც ცრემლში ჩაუშავდა. „ხომ მოვიხადე ჩემი, ღმერთო, ხომ ვეწამე. ისიც რომ არ ყოფილიყო, განა ეს სასჯელიც არ იყმარებოდა? არც ჩემი სისლლისა და ხორცის გუნდა ათავთებულა კაცად, არც ჩემს ღობეზე შემომჯდარ მამალს უყივლია შობა დღის პირველ თოვლზე, არც მანოს ხელით დაკერილი შარვალი მცმია. მაშ რად ვეოხრე ამ ქვეყანაზე, ღირდა კი ჩემი არსებობა სუნთქვად, გულისფეთქვად. სხვა რაღაა ამ წუთისოფელში ადამიანური, რა?..

დაიყვირა და გამოერკვა. მერე ისევ ნატვრისთვალი გაახსენდა, საკუთარ თავს მიაფურთხა და მჭმუნვარე ფიქრი ჩამოირეცხა. განა ახლა დარდად ღირდა ეს დრო? ახლა, როცა შეიძლებოდა... არა, ახლავე წვავ აქედან, აიკრავს გუდა-ნაბადს და წავა, ლამაზდ ჩაიცმევს და ცხოვრებას ხელმეორედ დაიწყებს. ეხლა მაინც იცხოვრებს თავისთვის ღმერთო, თავისი დარდითა და წუხილით. მამის სახლს ჩააკითხავს, საჭიოდან დაბრუნებულივით გააკვირვებს ქვასა და კაცს, მერე იმ ქვას ქვაზე დადებს და... იცხოვრებს, რაც დარჩენია ადამიანურად იცხოვრებს, ყველაფერს აპატიებს საკუთარ თავსაც და ადამიანებსაც მიუტევებს ამ მონობას, თვითგვემას, ღალატს, სიცრუეს, ფეხის დაკვრას. ორი დღის საკუთარ დასამარხ მიწას ჩამოიჭრის, სიმინდს დათესს და გესლითა და ტკივილით ამოლესილ მუცელს ადამიანურ საზრდოს მიაწვდის, და გაიტანს, თავის კვალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიტანს, სამარის კარამდე ადამიანური სიკვდილით მივა... ისევ გაეცინა, საკუთარ სულს ახლა იქედნურად ჩაჰღიმა და წამოდგა. ახლა კი დრო იყო რამე ენატრა, რამე... მერე გაახსენდა, რომ ნატვრას ღამე უნდოდა, მთვარიანი, ვარსკვლავებით უბეგავსილი ღამე, სწორედ ისეთი, ახლა რომ ამოიხედავდა ღვთისმშობლის ცრემლიდან და ისევ გომურისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგა.

ჭარებულას ხევში მზის სხივები უკვე საბუდარს ეძებდნენ. გრილი ნოტიო ჰაერი ფილტვებს პირთამდე უვსებდა და გოგიაც ისე სუნთქავდა, როგორც არასდროს. აღმართს აუყვა თუ არა, კუნელის ბუჩქთან ვიღაცა შენიშნა, ბუჩქის ტოტებს აქეთ-იქით სწევდა და შიგ იჭვრიტებოდა. მიუახლოვდა. ბრუტიანი სოლო იცნო. სოლომ ცერად, ცალი თვალით მოხედა და აბურტყუნდა:

— ე ვერანა, ხან სად ჩამეკარგება და ხან სად. ჩემი ქალისაა თორე სულაც არ ჩავიდებდი. ძილის წინ ამოვიღებ თუ არა, ქოქოლას მაყრის და მეტყვის ხოლმე სატანა სულ შენი სახით. მესიზმრებაო. ნეტაი სად ნახა ის სატანა კაცოოო... დილას ამ გზიდან ავიარე, ჩავიარე, მოვდევ და ვეძებ. სოფლის გზაზე თუ იპოვიდნენ ხო იციან რაც არი, ჩემს მეტს ვისა აქვს...

გოგიამ შეჰღიმა, თავი ჩაღუნა, მერე შეცბა და ბურთულა ხელით მოსინჯა, ძებნაში გართულ სოლოს ისევ ღიმილით ამოჰხედა და გულიდან ამოტანილ ოხვრას ღმუილი გაურია.

სოლომ გაოცებულმა მოჰხედა, გოგიამ ხელისგული გაუშალა და სოლოს მიწით ამოლესილ მუჭაში ჩაუგორა.

— ალალი ხარ გოგი, ვინც შენ გიჟი გითხარს, ნატვრის თავი გაუწყდეს ჰაა და აღმართი თავის კანტურითა და ბურტყუნით აათავა.

დიდხანს იდგა გოგია თავჩაკიდული. მერე ისიც იმ აღმართს აჰყვა და ჩვეულებისამებრ ჭარებულას თავზე ცას ახედა.

აღარსად ჩანდნენ შავი გოგიას იისფერი ღრუბლები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნიდან „საღამოები“

თითქმის ავტოპორტრეტი

ტანი — ბეღურის...
არც ჭიკჭიკი
ნამეტნავად გადასარევი.
გამოსარჩევი არაფერი —
გარდა თვალების!
სისხლიან ბრჭყალებს მიკოცნიან როცა
ეკლები,
ჩემი ბუმბული სასაცილოდ აიფხორება.
რადგან ქარებით გამშრობია ხმელი
ნეკნები,
სწორედ ამიტომ მშვენიერად... გადის
ცხოვრება.
ბინაა ჩემი — ეკლესია... სამრეკლო...
ქუჩა
და ხარბად ვკენკავ გაქვავებულ
ცრემლის ნაფშვნებს.

ერთადერთია მსუქან დილით — წივილი
ურჩი,
რაც მე მამშვენებს.
სხვა არარაი.
დასერილი ზამთარში ავად,
ისე... უბრალოდ... სხვათაშორის —
ყინვით სხეული.
ცხვირი-ნისკარტი სულ ცოტათი ზე-
აწეული,
სამაგიეროდ... ქართულია და
ღირსეული!
გული ბურთივით
და არც ფრთები
ასე რომ ვთქვათ: ოი, რა ვნახე!..
ღმერთო, გაუთბე ბეღურები,
შიშველ ქალაქებს!

ანტილექსი

რა მოხდებოდა იმნაირი, მითხარით ერთი,
თუ არ იაგო...
თფუი ეშმაკს, თქვენ კი ბოდიში...
დაივიწყებდა ყოველივეს ოტელო ქვეყნად,
ჩაუწვებოდა დეზდემონას გამთბარ ლოგინში!
რა მოხდებოდა იმნაირი, მითხარით ერთი,
რომ არ დალილა,
რას იზამდა ვითომ სამსონი?
მიმოანგრევდა დიდი-დიდი ერთ-ორ სასახლეს
და ჩაითვლიდა დარჩენილ წლებს ძილის საზომით.
რა მოხდებოდა იმნაირი, მითხარით ერთი,
თუ არ მურმანი,
საპოჭმანო რაღაი დარჩა,
დაინახავდა აბესალომ ეთერში ცოლს და
მუხლებზე გვირგვინს დაუდებდა იქნების... ხარჭას!
რა მოხდებოდა იმნაირი, მითხარით ერთი,
რომ არ ამაყი ჰეროდეა...
(თქმაა ადვილი!)
ამოიყვანდნენ იოანეს ციმციმ ხაროდან,
მერე ეძებნა მზისქვეშ უფრო თბილი ადგილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . . . . .

უარყოფითებს. ბედისაგან მსხვერპლად მიტანილთ,
ვუცქერი მუდამ სხვა ტკივილით, სხვა ინტერესით,
ალბათ. ამიტომ მეცოდება ასე იუდაც,
ალბათ, ამიტომ დაიწერა ეს ანტილექსი!

●

სულ იოლად გამოდის
ჩემი ყოფის წესი —
რა მდიდარი ვყოფილვარ:
ვწერ... ვხმაურობ... ვკვნესი!
ღმერთო, მომნატრებია
ბრძოლა, ჩხუბი, დავა.
ესე იგი, ვვარსებობ:
ვწევარ... ვკვდები... ვდგავარ!

და მივათრევ ცხოვრებას
თოკით... სისხლით, ხვნეშით.
გამჩნევ, როგორ არ გამჩნევ:
მზეში... ქვაში... ხეში!
მაგრამ, ომი ომია
და ყველა ხიდს მიწვავს,
ასე ავი მეტოქე —
მიწა... მიწა... მიწა!

ვიგონებ თამაშს

ძვირფასო მკვდრებო! დაღლილ
გონებით
ვიგონებ თამაშს მარტივს და ადვილს:
სიამოვნებით, სიამოვნებით,
სიამოვნებით გაგიცვლით ადგილს.
მე მიყვარს მიწა, ამიტომ იგი
იქნება ჩემთვის უცხო ესოდენ.
თქვენ გქონდეთ ჩემი საბანი ლიგვი,
თქვენ ქუჩის მძიმე ხმები გესმოდეთ!
მე მიყვარს მიწა და ბოლო წუთი.

მე მიყვარს თოვლი და თოვლზე ყვავი.
სხვას თუ არაფერს, ცეცხლიან
სუნთქვით
გავუთბობ საბანს გაყინულ ყვავილს...
ძვირფასო მკვდრებო! დაღლილ
გონებით
ვიგონებ თამაშს მარტივს და ადვილს:
სიამოვნებით, სიამოვნებით,
სიამოვნებით გაგიცვლით ადგილს!

ცხოვრება გამოდის მარტივად

გუნება მემღვრევა მარტივით,
ყურს ვუგდებ შორეულ მოძახილს:
ცხოვრება გამოდის მარტივად:
ბავშვები... მეუღლე... ოჯახი!
მე ვიცი, მოგეცათ ცხონება,
რას ნიშნავს გზაში რომ გარჩები.
მარტივად გამოდის ცხოვრება:
მეუღლე... ოჯახი... ბავშვები!

მხრებს უჭირს ამდენის დატევა,
მხრებს ასე ძლიერს და მოუღლელს.
ცხოვრება გამოდის მარტივად:
ოჯახი... ბავშვები... მეუღლე!
ღამდება. ვიძინებ წვალებით
და როცა დილაა თამამი —
თვალებით... სხვანაირ თვალებით
მიცინის პატარა თამარი!

●

გამაყრიალოს ლამის ტკივილმა,
ისე ჩამოჰგავს ჩემი ერი ხარს —
რქებდაგრეხილს და სანთლებანთებულს,
„მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ“!...

ღმერთო, გამწირე საკურთხეველთან,
სადაც სასტიკი ქურუმნი დგანან...
რადგან „რამდენად მშვენიერი ხარ“,
იმდენად უფრო ლაპლაპებს დანა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა საჭართველო საღაა

ქართველი რომ ვარ,
ადამიანისაც ამიტომ მჯერა.

ქართველი რომ ვარ,
სიყვარულის და სიკეთისაც
ამიტომ მჯერა.

ქართველი რომ ვარ,
იმიტომ მოვდივარ
თქვენსკენ, ხალხო,
თქვენიცა მჯერა!

და თუკი ჩემს სამშობლოში
მაინც მიმტყუნებენ —
ადამიანები, სიყვარული, სიკეთე,
ხალხი, —
მე სხვაგან წავალ
საქართველოს საძებნელად.

მთელ დედამიწას მოვივლი
საქართველოს საპოვნელად.

მთელ სამყაროს მოვივლი
საქართველოს საპოვნელად.

სამოთხეში მაინც ვიპოვნი მას.

ის და მე

ის თუ გამოგაცალეს
უხერხემლო ცხოველად იქცევი,
სულაც ხორცის გროვად.

რაღას დაეყრდნობი —
მთებს, რომელიც შენი აღარაა?
ნაბადს სად გაშლი —
გზებზე, რომლებიც აღარაა?

რომელ ბუჩქთან ჩამოხტები,
ცხენს სად მოაძოვებ,
თვალს სად მოატყუებ,
გამოღვიძებული — შუბლს სად
განიგრილებ?

სად მონახავ კუნძს,
რომელზეც კისერი უნდა დადო?

აღარც ცა-ფირუზი?
აღარც დაბინდული ქლიავი!?

ის თუ გამოგაცალეს —
ვიღას ეტყვი — შენი ვარო!

ის თუ გამოგაცალეს
მონჯღრეული სკამივით,
უხერხემლო,
ახალზე როგორ მოკალათდები?

ის თუ გამოგაცალეს
ის თუ გამოგაცალეს
ის თუ გამოგაცალეს....

სიკვდილის სხივები

მზის სხივებზე კოცონივით ანთია თქვენი სახეები.
თქვენ ახლა ქუჩებში დაგაბიჯებთ, სეირნობთ, ანდა სადღაც მიიჩქარით,
რათა თქვენი სურვილები დროებით მაინც დაეწაფოს სინათლის წყაროს;
მაგრამ რა დააცხრობს თქვენს სურვილებს?!
სიცოცხლის ბოლომდე ისინი თქვენი ერთგული მეგობრები იქნებიან.
ჰოდა, დაგაბიჯებთ, ცხოვრობთ ამ ქალაქში, ამ მიწაზე
და შეიძლება ზოგიერთმა არც კი იცოდეთ,
რომ თქვენით სიკვდილი ანათებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენით გვიჩვენებს სიკვდილი საბეს,
თქვენით მდიდრდება სიკვდილი.
თქვენით იდგამს ფესვებს სინათლეში —
ოათა მოსპოს თავისივე თავი!
თქვენით ზეობს ის,
თქვენით ისხამს კანს.
თქვენ ხართ მისი ნაყოფი და პური, რომლითაც იგი არსებობს.
თქვენ ხართ სიკვდილის ხის: ტოტი, ფოთოლი, სიმღერა —
განუმეორებლად ერთადერთები და იმდენად საყვარლები მისთვის,
რომ ვერც ერთს ვერ გელევათ.
სიკვდილი, ყველაზე ერთგული მეგზური თქვენი ცხოვრებისა,
ცხოვრებისა, რომელიც სულ რამოდენიმე წელი შეგიფერებთ,
სიკვდილი კი —
ეს უგულითადესი დამპყრობი —
ძარადისობას გპირდებათ,
გპირდებათ სიმშვიდეს და გაუოკეველობას,
ნებისმიერ კრისტალზე უფრო უსპეტაკეს სიწმინდეს
და გულგრილობით, მთელს სამყაროზე ბატონობასაც.
სიკვდილი, ჩვენი ერთგული თანამეინახე,
მზის ბადიდან რომ გამოგვიხსნის, უცნობ სამყაროში გასამგზავრებლად.
რამდენნი იყვნენ ჩვენამდე,
ყველანი წავიდნენ:
ყველამ უერთგულა სიკვდილს,
ყველამ შეიყვარა სიკვდილი,
ყველამ შეიფერა სიკვდილი,
ყველამ დაივიწყა სიცოცხლე!
ბაგრამ იმათთაგან, რომლებმაც იციან სიკვდილის ყადრი,
რომლებმაც იციან, რაა სიკვდილი — ვინ დაივიწყებს სიკვდილს!?
ყოველი ჩვენთაგანი ხომ, ერთი ამოსროლილი სხივია სიკვდილისა,
განუმეორებელი სპექტრი.
მზერის ამტყორცნი ვარსკვლავებისკენ,
რათა მერე სამუდამოდ ჩაესვენოს დედიდ მკლავებში,
როგორც მზე ჰორიზონტზე, გარდუვალობის ყანონებით.
რამდენი ხანია, რაც სიკვდილი ბრწყინავს დედამიწაზე?
რამდენი ხანი გავიდა იმ პირველი სიკვდილისწინა ამოკივლებიდან?
ვინ იყო ის პირველი ფერადი სვეტი,
საგნების წარმოსახვის ბუდიდან, რომ ამოაფრინა სიკვდილმა?
სიკვდილმა მას უშურველად აჩუქა ფანტაზიის ფრთები,
ჩაუსხა მომაკვდინებელი სითხე ძარღვებში,
შემოსა სუორუპოვარი ნაკვთებით
და დაახვედრა სიცოცხლე, როგორც სიზმარი.
ვარსკვლავიანი ცისა და მწვანე ხეებისა.

ამჟამად, ხუთი მილიარდი აკლერებული ზანზალაკით,
ხუთი მილიარდი თკალით
იგი გასცქერის დედამიწის იქით დადუმებულ სამყაროს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადებს იქით დადუმებულ სამყაროს
და გაუწვდია ხელი მომავლისაკენ.

ის დედამიწის საშოში ამწიფებს, ჩვენგან ამოტყორცნილ სიცოცხლის ატომებს,
რათა მომავალმა მაინც იგემოს არსებობის უზენაესი ნაყოფი.

მაგრამ გავიგებთ

(მომავალი საუკუნეების პოეტის ფიქრებიდან)

ჩვენ ხომ ვისწავლით,
ჩვენ სუყველაფერს ვისწავლით კარგად.
ვისწავლით როგორ დავტკბეთ, დავნაყრდეთ,
როგორ ჩავიცვათ და როგორ ვიყოთ გრაციოზულნი.
აღმოვაჩენთ ესთეტიკის და სიყვარულის დიად კანონებს,
მეგობრობაშიც არ გვეყოლება, მჯერა, ბადალი,
სიჩქარით, მალე, ჩვენი სამყაროს
ნებისმიერ წერტილს დავიპყრობთ.
ბოლოს მოვუღებთ დროისა და მანძილის პრიმატს,
მოლეკულაშიც, ვიცი, წავალთ სამოგზაუროდ,
წარსულს დღევანდელ დღესავით ვნახავთ,
მოგვიყირჭდება ალმასის და ბროლის კოშკები,
თუ დავიღლებით, გიპნოზოლოგი
მილიონი წლით გამოგვაძინებს.
ერთგულ ცოლთან და შვილებთან
სამარადისოდ შევძლებთ სიცოცხლეს...
მაგრამ გავიგებთ,
როდისმე მაინც გავიგებთ იმას —
ჩვენს წინ ზვავივით დახვავებულ სასწაულებში
ვის უძევს წვლილი?
როდისმე მაინც გავიგებთ იმას,
ვინ დგას ჩვენს იქით?
ბოვა დრო? — როცა არ დავსვამთ კითხვას:
სად თავდები ნეტავ, უფალო?

ემზარ ომანაშვილი

ქალტამი

მოთხრობა

ვალივალალეოო... თალითალალეოო... შენ გენაცვალეოო. ჩემო პირიმზეოო... თავთუხო და ბზეოო...

ხელებგაშლილი, დილის მზეში ამოვლებული, ბუკუკატაანთ სანდალა ბუკიან შარაგზაზე მოირბენდა. ცახა და მიწას შეჰხარის, ხანაც ჩოკინახავით შეიფუნდრუკებს და მაღლა-მაღლა ხტის...

გაზაფხულია. სოფელი გადაეკენტილ ხეხილნარში შეუყუჟულა და სანდალასა დედობრივი სითბოთი მიელის. გზა მოხნულ მიწებში მიძვრება, მაგრამ ცალ მხარეს წლითიწლობით ეონავს ხევის წყალი, სოფლის თავზე გადმოდის და ამ უჩვეულო სანახაობას დატბორილი ეალტამი აუგებმურებს.

სანდალას დაძახილზე გზისპირა ჩირგვნარიდან შაშვი ამოსრიალდება, იქვე მდგარ ალვის ხის ტოტებს ჭაბვახით აუყვება, მერე სულ მაღლა, კენწეროზე მოეკცევა და ომახიანად დაიჭკრიალებს.

— თქვენ გენაცვალეთ, შაშვებო, თქვენი ჭირიმეთოო... თქვენ გენაცვალეთ, იეზო, თქვენ გენაცვალეთ, ხარებო, თქვენ გენაცვალეთ, მინდვრებო, თქვენი ჭირიმეთოო...

სანდალას ფილტვები ცინცხალი ჰაერით ეხერება და ლამის არის, მოსწყდეს მიწას.

— თავთუხო და ბზეო, შენ გენაცვალეოო... ჩემო პირიმზეოო...

ეალტამს გაღმიდან ნახირს ასხლეტილი, ყურებწამოყრილი ფურკამეჩი მოადგა და სანდალას გაოცებული თვალებით გამოსცქერის. ერთხანს იწრიალა ბუერასა და ლელეაშში, მერე თავთხელი საფლობი დგაფადგუფით გადმოლახა და ქიქვივით გაუყვა სოფლისაკენ მიმავალ შარაგზას.

იმავ წამს, შარვალაკარწახეული მწყემსი ბიჭიც გამოიჭრა საფლობიდან და კუდებაწარახავით გაედევნა სოფლის კარს მიტანებულ ფურკამეჩს. თანაც აკანკალებული, წკრიალა ხმით უტეევს მინდორზე დაკუმშვით გამოფრენილ ნაგაზს.

— ჰარიქა, ბახარავ! ჰარიქა ტა, ტა, ტა, ტა! ჰარიქااა!

დილის ცა ისეთი ლურჯია, ისეთი ლურჯი, როგორც მაღალი მთების უძირო ტბა. ირგვლივ მტკაველზე წამოსულ ჯეჯილში შელგა ყვავის. აფუებული მიწა ფურივით ფშვინავს და ირგვლივ გაზაფხულის მძაფრ, სურნელოვან ოხშივარს აყენებს. შორს, კავკასიონის ხეგხუვებში ჩათვლემილი ზვავები ქათქათებენ, ხოლო თავად მთებს დათოვლილი კონწოხები უფრო თეთრ ლრუბლის ქულებში შეურგვიათ და მიწიდან ერთბაშად წამოვარდნილება, კლდეკარად გახდევენ თვალწვდენელ ვაკეებს.

— ჰალიჰალალეოო... თალითალალეოო. შენ გენაცვალეოო...

სანდალა სიმღერ-სიმღერით შევიდა სოფელში.

— გამოგიშვეს, ბიჭოო!.. — პირველივე ეზოდან ეხმაურებიან სანდალას მეზობლები.

— გამომიშვეს,.. ძალო, მაშა, გამომიშვეს...

— რამდენი სუტკა გაეურეუუტეს, შვილო?

— თხუთმეტი სუტკა მაეურეუუტეს, ძალო, მაგრამ არა უშავ რა, სულ ერთია, ჩემი გულის წადილი მაინც უნდა ავიცხადო.

— კიდე რო ჩაგაეუდონ, მერე რაღა უნდა ჰქნა?

— ვეღარ ჩამაეუდებენ!

— რათა ვითომაო, პაწილაანთ შუაკაცები ხო არ გამოგიგზავნეს?

— შენა ხუმრობ, მარუსა ძალო, და, ეგეც მალე იქნება, აბა, ნახე თუ არა!

— ღმერთმა ქნას, შვილო, მაგრამ საციხეთ კი გაგიმეტეს, აგრემც ის ღვთის ნაგიფარი ზაქარა გამეტებული საშავიმწეთა. ნეტავი რისთვის გინდა იმათი თვალებდაჭეეტილი გოგო. ადექი და მიაფურთხე.

— რას ამბობ, ძალო! ნინელოსთანა გოგო აბა, ერთი მითხარი, სხვა რომელი დაიარება ჩვენ სოფელში, მიფურთხება რა ხახსენებლია, ერთ-ორ კვირაში დედაჩემს უნდა მოვგვარო!

—მაგვრით კი მოგგარო, მაგრამ, რო არ გატანენ, შენც უნდა აზდგე, შვილო, და იმ ალიველა ზაქარას ჭიბრით, უფრო ლამაზი და ზავთვალება გოგო მოიყვანო.

— ვისია, გოგოო!.. — ბოსტნის კართან ჯირკზე წამოსკუპებული ჯავახა დიდედა რის ვაიღაგლახით წამოდგება, აცახცახებული მარჯვენა ხელით ჯოხს ებჯინება, მარცხენას კი ბეცე თვალებზე იჩრდილებს და ჩაძიებით ეკითხება რძალს: — საიდან გამომიშვეს, გოგო! ჩვენებიანთი ხომ არ არი, სანდალა?

— სანდალა ვარ, ანა დიდედო, სანდალა!

— აგრემც შენ გაგაბარებს ღმერთი, შვილო, და აგრემც პაწილაანთ ზაქარა ნუმც მოყრილა ჩემი ხნობისა, როგორც თქვენ იმან აგაკრიახათ და კარჭი ელდა გამოგატარათ. იქნებ ჯერ ჩვენ-

კენ შემოგეკლო. ბიჭო!.. დილი არაუს დალევდი და მერე შინ გადახვიდოდი, დედასთან.

— არა, დიდედო, არა, მადლობელი ვარ, ეგრე ჩათვალეთ, ვითომც დამილევნია... ჯერ შინ უნდა მივიდე, შინა!

გადამწვანებულ ეზოში თეთრი ხალებით დაფოთლილი ბიჩოლა დაფუნდრუკებს. მეზობლიანთან ხელუხაჭი რძლები იქვე, თონესთან, ახლად გაჩირალი ფურცლის ქირას გულხელდაკრეფილები დგანან და აკვიებულ ენას ამზეურებენ. ღობის ძირში გოგრის ჩითილებში მოკუტკუტე კრუხს ერთი ვეფრის ნაჩეკი, აწიოკებული წიწილების კუდი აუთრევია. თონიდან მაღალი ცეცხლი ამოპრიალებულა, კეკელას ნაცარტუტი აუფშრუკია და დოინჯშემოყრილი ფიჩხის ამოწვას ელოდება. რომ ნაღვერდლის დროულად წააყაროს. ეშინია, თონეშ არ იხურვოს და ძირის პური არ დაეწვას. გზის გადაღმა, ეზოს შიკკართან, რეის პირზე, წლების სიმძიმით დაკარული ტუსალა პაპა სიპ ქვაზე ჩამომჯდარა და აგერ უკვე რამდენე წელია, ცოხნია კამეჩივით ატარებს თავის საწუთროს. ცა მოღრუბლულია. წუხელვე შეკრა კოპები, მაგრამ გაუწყია ღმერთი და, წვეთი არ ჩამოუშვა. მთელმა აპრილმა მშრალად გაიარა, აგერ, მაისიც ჩამოდგა, მაგრამ ცურდამშრალი ღრუბლები ტუოილუბრალოდ ფაბაფუზობდნენ. ერთი მეათედ მაინც წამოზავთდნენ ლეკის მთის კონწოხებიდან, კიდით კიდემდე გადარანდეს ცის კამარა, მაგრამ ყოველ დილაცისპრე აიკრავდნენ გუდა-ნაბადს და უშველებელი ფოილებივით კვლავინდებურად კვეკასხონის საჩეჩელებზე ეგებოდნენ.

— აბა, თუ გახსნას პირი და წვეთი გადმოდგაროს!

ტუსალა პაპა უარეს გვალვებსაც შეხვწრებია, მაგრამ მაინც ასეთ დროს, ამ გაზაფხულის პირზე ისე გაგორმახდა ბაღ-ვენახი, სადღა ჰქონდა იმისი თავი, ხელი წაეშველებინა. მალიმალ უკვრიტინებს ტუსალა პაპა ნეზვივით მუცელდაშვებულ ყომბალს და გუნებაში ჰკვრობს.

— აბა, თუ გაბედოს, აბა, თუ გაბედოს, ამ ვერანამა, ამანა!

სოფელი ნამეტნავად გამზეურდა, ქორფა ნათესებმა ნესტი ვერ იღირსეს, ხათუთი წვეროკინები წაეწეთ და ფირუზისფერ ქათიბებზე ახლა მოუღალო, ფანგისფერი გადაიკრეს.

— ღმერთო, მოგვე ტალახი, აღარ გვინდა გორახი. ნავი მცურავსაო, წყალი მწყურვალსაო. ღმერთო, ნამი გვაღირსე.

ტუსალა პაპა დღენიადაგ ეკედრებოდა ლაზარეს, ამ დილას კი ხასიათი გამოუკეთა წყლით გაპიპინებული ღრუბლებით დაჯარულმა ცამ და გაბეხრეკებული მიწის დარწყულებამ დიდი მოთმინებით მოელის.

— კეკელ!.. იგრე აგიცხადდეს ყველა კეთილი ხიზმარი, როგორც ეხლა აგიცხადდა, აბა, მიმბედე, დედაკაცო, ეზოში ვინ შემოსულა!

სანდალა შუა ეზოში დარჩობილა და იკრეჭება.

—აგრემც თვალი კი დამიდგება, ჭა! — კეკელას ხელიდან თონის საჩხრეკი გაუვარდა. მოულოდნელობისგან ჯერ მოლანდება ეგონა ბიჭი. მერე, თითქოს გონს მოეგო, ხელები გაშალა, ქადილით დაიძრა შვილისაკენ და კისერი ცრემლით დაუსველა. გულამოსკვნილმა გარდაცვლილი მეუღლეც გაიხსენა!

— ლაშიანი ზაქარა ყელგადაგდებით ეხვეწებოდა ხოლმე მამაზეს, მეც წამიყოლე ბატეის დასამზადებლადო. აგრემც ხე და მეხი დასთხლეშია პაწ�-აანთ ჯიშსა და განაგისს. ეხლა კი საციხედ არ დაგინდო. არავის ხათრი იქონია მაგ სულძაღლებულისშვილმა. მაგანა, მაგათი ტატო კი არა. წმინდა ფქვილიც აღარ მინდა. კრინტი აღარ გამაგონო იმ გოგოზე თორემა, მიწას დაგაყრი!

გულჩათუთქული, გაშეშიშეშული სანდალა გოკვივით აკვესარდა:

— პირობა გვაქ-მეთქი, დედი, მე და ნინელის ერთმანეთისთვის მიცემული, აბა, ეხლა როგორღა იქნება იმისი თავის დანებება, ერთხელ და სამუდამოდ გიგიე, ზაქარა ეიმ ფეხებზდაც არა მკიდია!

—აბა, თუ გაიგონოს ამ მიწის ლუკმამ! ვის აყვნიაზეს, ბიჭო, შე ეჯერ ასატეხო, რითა ხარ იმაზე ნაკლები, თვალტანადობა გაკლია თუ გვარიშვილობა, უბედური მამაზენი რაგო ხირცხვილით არ გადაბრუნდება საფლავში.

— თავს ვერ დავანებებ ნინელოს, ვერა გაიგეთ!

სანდალამ გაცეცხლებულ დედას ზურგი შეაქცია და ეზოს კარისკენ გაუტია.

— განა ეუურება, ჭა? ვითომც ძაღლი დავდაებს! გამომზადი, ბიჭო, უკან, სახრე არ მაპოვნინო, თორემა, მზეს დაგიბნელებ, შენნათქვამო!

— რა გინდა, კაცოო!.. დამაცა, აგე ტუსალა პაპა უნდა ვნახო.

— დაანებე თავი, ნათლიდეეედ, დღეკანდელი ახალგაზრდებისა არ იცი, როგორებიც არიან, უტეხები? მაგანაც რა ქნას, ჭა, უყვარს ხო არ ეჯავრება.

კეკელას ერთბაზად გადაუარა სიბრაზემ. ხელები გადაიბანა, მერე ჩამწვარ ჩინჩხვარს ჩაუჩხრიკა და ანაპერწკლებული ცეცხლი დენივით ამოვარდა თორნიდან.

ტუსალა პაპა რუის პირზე ზის თავისთვის და მისკენ მიმავალ სანდალას გალიმებული შეჰყურებს. ორი თავბომბორა ნაგაზი ღობეს მისდგომია და გაავებით ღაღადავებენ.

— გამარჯობა ტუსალა პაპავ, ხაიდან მოგიბრეკნიათ ე კვერცხაპარია წუკლაკენ! გარეკე, თორემა, კუდებით გადავბაბ ერთმანეთს.

— გაგიმარჯოს, ტუეგლეჯი, რახან იტყვი, გაიკეთებ. რაო, რა ამბავიაო, ეგრე დაზურგული

რომ ჩამოხვედი. უარაღად ხომ არ აპირებ გაღვარდნას?

— ჯერ თქვენი შაშინებული რობიზონა მოაბრუნეთ და მერე მე გავარდები.

— რობიზონას ქვალი ნუ გადგება, განა ისიც შენსავით მილიციის ეზოებსა ხეტავდა, ღორი ფერმაშია, ნამატზეა გადასული.

— ნამატზე ვერ ოქნება, მჭამელი ბევრი ყავ.

— რასა ბრძანებ, ნამჯი ღეჭი, შენ მაინც შენსას არ იშლი?

დასაშელელი რა მაქ, რო, იქ ჩაუბრძანდები რობიზონას და გაუჩენ თავის სატკივარს.

— ვინ მოგახსენა!

— თავმჯდომარის ბრძანებაა.

— თავმჯდომარემ ეგ ბრძანება მილიციაში გამოგიგზავნაა?

— არა, მილიციამდე გამომიგზავნა.

— ილუშა თავადვე არ აიტეხს შუცლის გვრემას, დაგავიწყდა, საერთო კრებაზე რა დღე დაიყენე? შენ, ალიველ, ამ ქვეყანას ვერ გადააკეთებ, ტუილია, როგორიც იყო, ისეეა იგეთი დარჩება.

— ისევ იგეთი ვეღარ დარჩება, გამოჩნდნენ გადამკეთებლები.

— შენი თავი გაკვ სათვალავში?

— ჩვენი თავი მყავ სათვალავში, მჭამლები ეხლა თოხზე უნდა გავუშოთ, ერთი იმათაც იმწვნიონ, როგორია გაგანია სიცხეში ბოლოებზე ბუღრაობა.

— ვითომაო?

— ეგრეეო.

— დაგინახავ.

— უკვე დანახულია.

— ღმერთმანი, რა ჯიბეში ჩაიყოფ ხელსა, ბუკეატანთი არა ხარ, დიაკვანივით დაქოქილიი...

— გახლავარ.

— დახე, დახე. დაჯე, რა მარგილგადაყლაპულივით დამადექი თავზე, შენ, შვილო, ჯერ იმ თავს მოუარე, დღეინადაგ ნიავი რომ გიბერავს, და მერე ქვეყნის საქმეს მიჰხედე. სასიმამრო ჯერ არ გინახნია? თურმე, დამაღი ჩამომსვლია შენი სინატრულით ზაკარას.

— შენი გამოცდილებიდან მელაპარაკები, პაპავ?

— გაკერე ხმა, დიდი და პატარა იცოდე!

— იცი, ილუშამ რა მითხრა თქვენ შაშინებულზე?

— რაო?

— რობიზონას გედეეცეო, დედა ღორებს რომ აბრალებს და ყოველდღე ვითომ უსულადო გოკის ხორცს მიირთმევს, ზედ კისერზე უნდა წვავწეროვო.

— რას არაკუნებ არ ვიცი!

— დაგინახავთ, რასაც ვარაკუნებ, მალე დეგენატრულება ცვრიანი სუკები და ნეკნის შაშხი. შენ, პაპავ, თვალში რო გემცრევები, განა მართლა ეგრეა საქმე, ყველაფერსა ვხედავ: საშრობის გამგესაცა ვხედავ და საწყობის გამგესაცა ვხედავ. თავმჯდომარესაცა ვხედავ და ბუღალტერსაცა ვხედავ. ხილულსაცა ვხედავ და უხილავსაცა ვხედავ.

— ვაა?!. უუურე, უუურე. აბა, ერთი არსაითო, მე როგორღა მხედავ, იმისიც მითხარი.

— შენ აგრე გხედავ, პაპავ, ცხვირი ცხვირზე მიდებულხარ. ჯერ პატარა ვარ და არაფერს მიჯერებენ, თორემაა... დამაცათ, ჯარი მოვიარო, მერე ნახეთ, როგორი ზურგის ქვეილი უნდა ავუტეხო ჩვენი სოფლის მელა-ტურებს.

— პატარა ხარ, შენი თავის გახეთქვამ, ჯერ არ აგიქნევია, თუ პატარა ხარ, შარიხვეტი, რაღას ეტორლიალები პაწილაანთ გოგოს, იმ მილიციაში ჭკვაზე ვეღარ დაგარიგეს, სხვათა საქმეში ცხვირი არ წაჰყოფო? შენ, შვილო, მალე შასალოცი გაგხდები, მე და ჩემმა ღმერთმა.

— ერთხელ უკვე შამილოცეს, პაპავ, მილიციაში. ჰოდა, იმათვე დამარიგეს, ადექი და შენ სხვებს შაუოლიცეო.

— ვიცი, ვიცი, ყოჩაღი ხარ, გააკეთებ, მაწვნის ქილაში იგრე წაჰყოფ თავსა, ქილი პირებს ყურებს არ მაახვედრებ.

ეზოდან უცებ ქალებმა დაიძახეს:

— ტუსალა ძიავ!.. აქეთ გადმობრძანდი, ბიპის ჩამობრუნებისა მიირთვი რაგე.

— დიდი მაქნისი ვინმე კი ჩამოგვიბრუნდა, ამის ყველაუისამ. იმ ალიველა ზაკარას რაღაზე აურეენე ღვინტიკები, ჭიგოს ვეღარ გაუძელი?

— მოსაკლავად გამიმეტა.

— რაშიც მართალი ხარ, იმაში ვერ გაგამტყუნებ.

ტუსალა პაპა გაჭირვებით წამოიკაკვა, ჩახუთული მუხლები ტკაცატკაცით გაშალა, ნაბდის ქუდი კეფაზე მოიგდო და რუზე ხალისიანად გადაბიტა. ერთბაშად დაიკეკა. ცას პირველი წვეთი მოსწყდა და პაპას დამკარნარ ხელის ზურგზე დაეცა.

— შარშან ამ დროს ჩიტის კვერცხისოდენა სეტყვა დაგვიზაპუნა — პაპამ ცას ახედა. — ნეტავი ეხლა რას გვიპირებს? ღმერთო, სეტყვა გვაშორე და არ მოგვაკლო ნამი. აღარ გვინდა გორახი, ეხლა მოგვეც ტალახი.

მძიმე-მძიმედ დაიწყო ცრა.

ბოლოია ეზოს კართან დახსმარტალებს, ირგვლივ ჰაერი ცხელი პურის სურნელით გაუღენთილა. კეკელას აივნის ქვეშ გაუშლია სუფრა, მორწყული სობანე ძირისძირობამდე დაუგვია და დიდი ხნის ნაძეკი მიწა ლითონივით ლაპლაპებს. თითებზე ითვლიდა კეკელა ბიპის ჩამობრუნების დღეებს. დილაუთენია დაკალ ქათამი, ნეკნის შაშხიც მოხარშა, მერე ცომი მოზილა და, როგორც გამოთვლილი ჰქონდა, სწორედ ისე აუცხადდა ბიპის ჩამოსვლის საათი.

პაპა მსუნაგად დაატარებს თვალს სუფრაზე. ნეკნის შაშხზე გიფდება, მაგრამ კბილი აღარ უგრის და, საერთოდ, სადღა აქვს ხაამისო კბილები, მაგრამ გულის არჩევანს არ ერიდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანით მაინც ათლის ძვალს ლოფლოფა, ქონმო. დებულ ხორცს და აცმაცუნებულ პირში დიდ-ხანს ატრიალებს დანერწყვილ ლუკმას. ნაცნობი სურნელით დაგემოვნებული, ამორეცხილ თვალებს ნეტარებით ნაბაგს და შემდეგ დაუდეკავი ხორცი ბებრული სიხარბით გადაჰკვს ყანყრატოში. პირველ ლუკმას მოპუვება მეორე, მეორეს მესამე და გულმოსუყეული და ღიპწამოსიავებული, გუნების ჩასწმენდად ახლა სინგორივით წითელი პამინდვრის მაშარაბს მიადგება. ღმერთო, ბალღი, მოხუცებული და საჭინელი არ დაიშუს და ხხვა აღარაფერი ახსოვს პაპას. თავისი კალო მოულეწნია, ცხოვრების გასამიჯნს მოსდგომია და ახლა ბალღების, საკონლისა და საკუთარი სტომაკის გარდა, ამ ქვეყანაზე სხვა აღარაფერი ანაღვლებს.

ნელი ნიავი ადგა, წვიმამ უხშირა და ჩამობნელდა. აბუზული ფრინველი საჩეხს შეეფარა. ხათივეს ქვეშ დედას დანაკრებული ბოჩოლა ზმუის. ირგვლივ ხველი მიწისა და ბალახის სურნელი ტრიალებს. დედაკაცები ხათონეში ფუსფუსხენენ, ბოლო ცოფის გუნდაც ჩაკრეს და ახლა ვარცლს ჰკანდაზით აცლიან მიმხმარ ცოფს. იქვე, მარნის კართან, ბარეს ზუა, მწითური კრუხი გაფუფული დამზობილა, ეუპრივით ყვითელი წიწილები ფრთებქვეშ მოუქცევია და ძილისპირულს კრეალობენ.

სანდალა ჭიკას იღებს, პაპას არ აცდის ლაპარაკს და სადღეგრძელოს ნაღვლიანად ამბობს:

— მოდი, პაპავ, ეს ოფას გაუმარჯოს, ვინი გულიც გულთან იყოს, უუვარდეს და აჭ არ იყოს.

— ბერიკაცი ფრუტუნებს. ხაანგლო, დამციანავ სიტყვას ეძებს, მაგრამ მისდა უნებურად უცებ ფიქრით შორეულ წარსულს სწვდება, იქ, მიმქრალი მეხსიერების ტბორებს მიღმა ნაცნობი სახე ლივლივდება. მოგონებათა ქუფრ ჯანღებში მკრთალად ჩნდება და ბოლოს, როგორც ხანგრძლივი ავდრის შემდეგ, ნათელმოსილი მზე გამოჩახჩახდება ხოლმე ღრუბლებიდან, იხეთივე სიცხადით უდგება თვალწინ დიდი ხნის გარდაცვლილი მეუღლის არრდილი, მაგრამ მოვარდნილ გრძნობას არტახებში აკცევს და ბიჭს დროული კაცის თავდაჭერილობით ბანზე უგდებს სიტყვას:

— ხიბერე, შვილო, მორეკეში გადაგდებულ, ძირგავარდნილ კარდალასა ჰგავ, აგე, ჰა, სადაც არი, გაივსება წყლითა და ხამუდამოდ დაიძირება. ხიბერეგ, შვილო, ილაჯგაწყვეტა იცის, მაგრამ სიცოცხლის მოხეზრება არ იცის, ხაკონელიც ეგრეა. ჩემი დღე და მოსწრება საკონელს დავდევდი უკან, გლეხკაცი და მუშა ხაკონელი ორნივ ამ ქვეყნის მარჩენალნი არიან, ებრძვიან მიწას და შვილებს უზრდიან ქვეყანას, მაგრამა ერთი თავისი სიკვდილით კვდება და მეორეს კი არ აცდიან სიბერეს. შენი სიტყვაც მიმიღია, შვილო, მაგრამა მე მაინც ჩემებურად ვიტყვი: ხაბრალო ხარის ქედს, მამლის ყივილს და გლეხკაცის მარჯვენას გაუმარჯოს, ჩემი სიყვარულიც ინდე ეგ არი.

ჭიქები გამოცალეს და ახლა ტაბაკზე ფუნტაფუშეკილ, რგვალად მოხარშულ დედალს ამოუგდეს გვერდები.

იქვე, ცხვირწინ თქორავს. ხაწვეთებიდან წყალი ჩამოწყურწყურებს. დაუკავილებული ხეხილი ხარობს. ბაერში ნელი ნიავით დაბრუნებული წვიმის მოძრავი, უცნაური შუქით დაზოლილი ბური დგა. წყალგავლილი ნამჯის, აფუებული ნეხვის და ფუტუტრო ხის მომეკავო სურნელიც ნელინელ გამძაფრდა და იკანფრობა წალეკა. ხახლების კრამიტები ისე დაწითლებულა, თითქოს ზედ დატყავებული ხარები ჩამოუთრევიათო. ჯოკმა აივანქვეშაც შემოიტანა და ტუსალა პაპა დაკუტული ფრინველივით აიბუზა. ბიკი ბერიკაცს ფაცაფუცით წამოაბურებს აცაბაცებულ მხრებზე ქურქს და თანაც გაბანჯგლულ ლოყაზე ლოყითვე ეკენება. პაპას ხიამის ხითბო ერუანტელივით უელის დაძაბუნებულ გულში, მადლიერების ცრემლით დაბერილ თვალის უპეებს დაშაშრული ხელისგულებით ისრეხს და ბიკს გაბზინებული, მოხიუკარული თვალებით შესცქერის.

— შენი იმედი მაქ, პაპავ, შენ და დედაჩემი უნდა გადახვიდეთ ზაჭარასთან და ნინელოს თავი მითხოვოთ.

ბერიკაცი ხითხითებს.

— ეკვიანად იქნები რო, ბალღო?

— სიგიფიანა რა მჭირს, პაპავ, სიმართლეს რო პირში ვაბლი ხოლმე ჩვენი სოფლის ტიკეტრებს, ითხთვინაც ამიმძულვარეს. აგე, ბარშანწინებში ნაბაკრებთან იგეთი ღირღალი, ბერწი მიწა გამიპიროვნეს, ბარს ვერ გაუტარებდი შიგა. ეგონათ, ბოლოს ავიკნეფდი და თავს დავანებებდი, მაგრამ ბარშან სხვათა სიმინდები რო აშამბდა, ჩემსაში მკლავის სიგრძე ტარო დაიყარა. ეგმის ნამატიც ბლომად ჩავაბარე, მაგრამა, ვითომც აჭ არაფერიაოო... არც ჭვეყანას და არც სოფელსო. მართალია, სიმინდით ხავსე ტომრებს ჯიბეში ვერ ჩაილაგებდნენ, მაგრამ ხამაგიეროდ ძაან კარგად იციან გახაძრომი ხვრელები. ჩვენ ვიმუშაოთ და სხვებმა ჭამონ?.. ეგრე არ გამოვა, პაპავ. ეს ქვეყანა მშრომელი კაცისაა და საერთო ხაქმეზეც ყველა მშრომელ კაცს უნდა ეწვოდეს ყარი. აბა, იგრე ვის რას უნდა ვერჩოდე თუ სოფელს მუქთად გასაბაძერო მუცელს არ გამოაკერებენ. კომკავშირის კრებაზედაც დიწუენენ ხოლმე ზოგიერთები ლაქლაქს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, დასაბრმავებელ თვალსა ხუკავენ და ხმაჩაწყვეტილები არიან.

— ეგ შენი საქმე არ არი-მეთქი ბალღო!

— მა ვისი საქმეა?

— უშენოდ არიან ხელმძღვანელები და ისინი მიხედავენ მაგ საქმეს.

— სწორედაც ისინი არიან, პაპავ, რომ ველარა ძღებიან გლეხი კაცის ნაოფლარით. ლაპარა-

კი კი გიყვარდეს, იგეთი მარჯვედ იციან, ქათმის მამალს გოჯებს დააყიწნებენ. პირველად მე არ წამოვაყენე კომკავშირის აქტივის კრებაზე ჯანკრობის ამოშრობის საკითხი? ისინიც იქა ბრძანდებოდნენ, მაგრამა წაგვიყრუეს, სამემრცხო საქმეზე მუშახელის გაცდენა და ხარჯების გაღება არ უნდათ, სოფლის მომავლის ბედი ფეხებზე ჰკიდიათ, სანამ დროა, ვთქვლიფოთო, აი, რასა ფიქრობენ.

ჩვენ კი, პაპავ, ახალგაზრდებს, კეთილმოწყობილი სოფელი გვეკირდება, ერთი გადაფერდებული კლუბი გვაქ და იქაც ქოლგითა ხხედ ხალხი, ბურთი ჩვენ არა გვაქ და მოიდანი. თქვენი სატლინკაო ადგილი კი არა, ერთი ხელის დადება მინდორი ჩვენვე გვეხატრულებაო. იმისთვისაც წამოვაყენე ჯანკრობის ამოშრობის საკითხი. მაგრამა ილუშა იგრე მიბრიალებდა თვალებს, კინაღამ გულის ჯიბეში არ ჩაუცვივდა.

— შენ, შვილო, მილიციაში იჯეკი თუ სახელმძღვანელო კურსებზე იყავ გაგზავნილი? ზაკარამ თუ ერთხელ კიდევ მაიქეკა თავი და თხუთმეტიოდე სუტიკი წაგაყოდა ნაობახტში, მე და ჩემმა ღმერთმა, იქიდან გამოცხადებული რაიკომის მდივანი გამოსჭენდები.

აივანქვეშ კანჭებამოწეწული დედაკაცები შემოტყაპუნდნენ. ტილოწაფარებული პური სავსე ვარცლი მარანში შეიტანეს, დაფქვილული წინსაფრები ჩამოიბერტყეს, ხელები გაიღერინეს და დაქმითებული სუფრას შემოუსხდნენ.

— სულზე მოგვისწრო ამ წვიმამა, ძიავ, ყველაფერი გავერანდა.

კეკელამ ქათამი ბოლომდე აქნა და ქალებს გადაუწოდა.

— ნუღა იტყვი, ადამიანო, ჩემი ხახვი და მწვანილეულიც ერთიანად მოთუშა.

— ჩემიცა.

— შარშან ამ დროს ცხინი გასდიოდა მიწას.

— მაშა, მაშა!

— ბადრიჯანი ჯერ არ გადაგირგვიათ, ძიავ?

— რაღა დროსია, ნახევარზე მეტი დაიწო.

— ჩემიცა.

— კომბოსტომ ძაან გაუძლო, იქნებ სხვებსაც ეშველოს რამე თუ ღმერთი აღარ მოგვაკლებს წუალობას.

— გადაიღებს თუ არა, ვენახი უნდა მოვწამლოთ.

— ძაან აკ ნაცარი.

— ნეტაი კენეკიაანთ ქალაბიჭა ოტელოს საქმე როგოა, ნახირიდან თავიანთი ძროხა მოუპარნია, ოელავს გაუყიდნია და მთელი ფული ავარ-მავარებში ჩაუხეთქნია.

— დასწყევლოს ეშმაკმა, ოტელო რაღა ხახელია, ქა დღესაც ვერ გამიგია.

— რავი, აბა, რას არ გამოიგონებენ. იგრე კი იმები კუდუსუნამდე სცემს, მაგ მიწადასაყრელს, ძაღლები ღაღვავით დასდევენ უკან.

ზარაზე ზარავლაკარნახებულმა, ფეხშიშველა ბიჭმა ჩაიტანტალა და სუფრიდან მაშინვე დაუცაცხანეს.

— საით დაგიჭერია ვზა, არსაქნელო, ბაავ-ზადე გაკვეთილი?

ბალღებში მივალ, მაშ, შენ ხო არ ბაავ-ზადებდი!

— იცოდე, ვირისთაო, სკოლაში თუ კიდევ დამიბარეს, კედელზე გიხლი თავსა.

— ბიჭო, ღვინის სმა, ვერა ხედავ თვალები როგო დაგიბეცდა...

— უმ! მეეე... ტა-ტა-ტა-ტა, — ხანდალა თავს აქეთ-იქეთ აქნევს, მერე სავსე ჭიქას კბილებით აფრინდება და ხელშეუხებლივ ღვინოს ერთბაშად ისხამს ხახაში. კეკელა დაფეთებულ თვალს არ აცილებს ზომაზე გადასულ ბიჭს, ბარემ უნდა კიდევაც, სტუმრებმა დროზე აიკვირაქლონ და წამოდგნენ, მაგრამ ჯერ წასვლაზე არავინ ფიქრობს და ისიც იძულებულია, მარანში შებრუნდეს და გამოწურუაული ხელადა ახლახანს დამაკრებულ, ზვიდჩაფინ ქოცოში ჩაბუუბუყოს.

— მოვკლავ! — ხანდალამ უცებ მაგიდას დასცხო მუშტი.

— ვისა, ბიჭო, შე ჭიკოასატეხო!

— სიყვარულმა უარესებიც იცის, ზოგი ნიფხავ-პერანგიანი სახლის სახურავიდანაც ხტება ხოლმე.

— თქვენი შაშინებული რობიზონა დაარიგე, პაპავ, მაგ ჭკუაზე.

ტუსალა პაპა ხითხითებს და მირთმეულით ნაამები, ულვაშებზე სოდადარიგით ისვამს ხელს.

— უნდა ჩავუვარდე ზაკარას და ბარის პირით გავუმეჭყო თავი.

— ჯერ დაბი, შვილო, თორემა, წიხლი ეცოდინება.

— უკვე შაგისხდნენ ბუზალაკები, ძეძვიგლეჯიი?..

— მას აქეთია, შაიძულა! — იძახის ფიქრში წასული კეკელა.

— როდის აქეთია, დედაკაცო!

ჭალებს მოვარდნილი სიცილი ულლში ულტინებთ. ვინ იცის, მერამდენედ ექნებათ მონაყოლ-მოზასმენი სანდალას ოინები, მაგრამ ახლა, ასეთ დროს, როცა ეს დალოცვილი რჭაწოელიც ძარღვებში მიუგელვებთ, ერთ რამედ ულირთ თავისუფლად იჯეკონ და სიცილით ფერდები დაიწყვიტონ.

— რაც ის ცხენი იყიდა.

— ცხენი რაღა შუაშია?

— იმ შუაშია! — კეკელამ ცხვირჩაბმაგრძელებულ შვილს შეხედა.

— ვთქო, ბიჭო?

— თქვი, რა!

— დიდი ხნის ამბავია. პაწილაანთ ზაკარას ცხენი ეყიდნა კაბალზე, გაჯგიმული შემომჯდარიყო ზედ და თურმე კოოპერატივის წინ ბა-

ქაბუქობს. აემ ჩემ ცაცა-ორგზობა საპალნეს ერთი დადებაზე მოკიდეს და ღრიალაანთ ალმართზე დაუხვევენ ბლიგ ამოვაკანინებო.

ე ჩვენი თავგასაბმობიც იკა მდგარა. უფიკრია, მაგრე არ უნდა ფაბაფუნო, წასულა ლაფეტის ბენზინში დაუსველებია ჩვარი, დაუხვევნია ჯოხზე. მერე უკნიდან წაბაკარეია ამ ცხენსა და შიგ კუდუსუნში ამოუსვია. დასწყეალოს ეშმაკმა, ქაქ ე. ცხენი მაშინვე რაკეტასავით გავარდნილა წინა და გულუკუღმა წამოსული ზაქარა მაჩივვით ჩამძვრალა ქედაანთ ღობეში.

ცქაფუზე შემდგარმა ქალებმა უფრო შელამაზებულად იცოდნენ ეს ამბავი. მაგრამ ახლა კეკელას ხაამებლად გულიანად გადაიკისკისეს. ტუსალა პაპაც იცინის.

— ერთი, ღმერთი გიშველის, ამის გაცამბირებისაცა თქვი, ელო, — სიცილის იშტაზე მოსული ტუსალა პაპა, მეფფუქნიაანთ ეორბიფრო ელუას ეხვეწება და თანაც აცაბაცებებული ხელით დაკუმშულ კორფა მწვანილს სამარილესკენ მიაკანებს.

ჭორდს რა უნდა და, ბნელი ღამეო, ელუა ნიკაპკვეშ შესცვნილ თაკშლის ყურებს გამოიხსნის და იწყებს.

— გავიხედოთ, ქალებო, და, ე ჩვენი ბირსაცემი ზაქარა დილაადუანია შინიდან გამოსულ�ა... ჩამოსულია ეზოში, ქალებო, და, ცხენი აუშვია რო ტაკკაში შაბაააბ. უცებ რაღაცა მოლანდებია ამ სამიწე ზაქარასა და საბძლისაკენ გაუხედნიააა... გაუხედნია და, თვალო ნუ დაინახამ, რაც იმან იქ დაუნახნია. ჭვარი ეწეროს აქაურობას და, ბაერში ადამიანის ფეხები მაგალილებივით არ არი ჩამოკონწიალებული? ვიიმეო, დაღლრილია ამ ნიკედილსაძგერებელ ზაქარასა და გულგახეოქილი გომურში სტაკებია, მაგრამა თანაც რაღაც ხითხითის მაგვარი გაუგონიააა... გაუხედია საკრაქედან ზაქარასა და, ის თოკზე ჩამოკონწიალებული კაცი, ეს ჩვენი არსაკნელი სანდალა არა ბრძანდებაააბ?.. თორმე ნუ იტყვიო, ამ სახიკვდილს ხალათის საუელოში ჩაუტარებია თოკი, წელზე შემოურტყია და ეგრე არა კანაობს ორპირი ჩურჩხელასავით? ვითომ, ან, შენი გოგოს სიყვარულით როგორ ვიტანჯებოდი, თავი ჩამოვიხრჩე და ეგ მგლის გული ეხლა მაინც მოგიბრუნდესო. გულის მობრუნება რა მიქვია, ქაქ ეს ღვთის გიჟი ზაქარა კიდევით გამოვარდნილა გომურიდან, დაუცია შვინდის ეიგოსთვის ხელი და სანამ ეს ჩვენი თავგასაბმობი თოკიდან თავს ჩამოიხსნიდა, მისდგომია და ხაკის პარკვითი გაუბერტყნიააა... ბურწკალასაი ვერხვი ბეი იძახდა, ქა, იგეთი ბაგა-ბეგი გაჩქონდა, მძინარენი წამოვცვიდოთ და შეფიკრიანებულები ტახტის ქვეშ ვეცითო. ბოლოს ეს ჩვენი ალიელაც ჩამომტარა, ცემა მაგრე არ უნდაო, უტაცნია ხელი ამ ჩვენ ზაქარასთვინ, ამოოუდვია ქვეშა და იგრე დაუბეგვნია, გეგონებოდათ, თავ-პირზე ორი ბუდობა ქელა წეეხიაო.

თითქოს ქედიდან რიყის ქვა გადმოცალეს, ისე გადაიკაბკაბეს ქალებმა. კუდაპრეხილი ბლილია ჭიშკარს ეცა. დაფეთებული კრუნჩხ-ჭრიალზე წოწილები დაინახენენ. ტუსალა პაპას ყალიონის წევინაგან წამმკვარტლული ფილტვები სახაწლამე ქვაბივით უთუხთუხებს. ჩაირბინეაანთ თიკუას ეკ, ცრემლები ღაპალაუპით ჩამოსდის და თანაც ისიც ელუას ეხვეწება:

— ელო, ელო! აგრემც ღმერთი გაგაბარებს, იქნება კუნტიაანთ ყაყვიას ამბავიც გეთქო!

ელუას თავაბატეი ადარ ეხაკბიროება, ოღონდაც ალაპარაკეთ და რადიოს გაიჩუმებს.

— გოკვიან ღარში კაცი დაკლებოდათ. ილუშას დაუბარებია კანტორაში ე ჩვენი სანდალა და უთქოს, სანამ თოდოლი ფრაბს ჩამოაბრუნებენ, ჩადი ფერმაში და კუნტიაანთ ყაყვიას წეეხმარეო. ჩასულია ე ჩვენი ნამკოლეტია ფერმაში და იმ საღამოთვიე „ელექტროსნაკეთი“ ფერმის გამგეც დაბარებულვინი ჩამობრძანებულააა... ყაყვიას არც აუდია, არც დაუდია, წინასწარ გაფრთხილებულვინი ოთხი შოლტა გოკი დაუკერია, ჩაუყრია მანქანაში და ეს ჩვენი ფერმი გამგე, ვითომც აქ არაფერიაო, უკანვე გამოუტატუმრებიააა. ძიავ, ი გოკები სად გაატანეო? უკითხია ყაყვიასთვის სანდალას. ყაყვიას კიდე, იმ მარკვენა დასამწეებელს, თავში ჩაუფარებია ამ ჩვენი ბიეიბისთვინ, „რაც შენი საქმე არ არი, იმაზე თვალები დაიბრმავე და ხმა ჩაისლაპე, თორემაოოო...“ კარკი, თუ ჩემი საქმე არ არიო“, უფიკრია ამ ჩვენ სანდალას და იმ ღამეს რო დაწოლილან და დაუძინიათ, ამდგარა სანდალა, ფეხაკრეფილი მისული ყაყვიასთან და ღარის ტალინი გაუსვეფილი მასრა შიგ უბეში ჩაუცლიააა... თორმე მთელი ღამე წუკლაკი ძაღლივით იქეკვნოდა ი, ბოსტნი ჭია, ისა.

სანდალას კისერი ყინტორა ბალახივინთ დაუგრძელდა, ღვინით გახიკნული თვალებს ხულელივით აბლატუნებს და ხმამაღლა ამბობს:

— აეხლა ერთი მაგრათ გავძღები ღვინითა, ჩავალ პაწილაანთა, ფანჯრიდან უჩრმრადა გადავიპარები და ნინელოს შიგ ლოგინში შავუძვრები.

— ხმა ჩაიწყვიტე, ბიჭო! აგრემც შენ კი შაგძრომია სიკვდილი, როგორც შენ სირცხვილისა რამე გაგეგებოდეს.

— სანდალამ სასოწარკვეთით შეჯარა წარბები, ნიკაპი ხელისგულებზე ჩამოიდო, ამდგრეული თვალები ბერს მიაშტერა და ერთბაშად რაც ძალი და ღონე ჰქონდა შემოსძახა.

მეფფუქნიაანთ ელუამ ყურებზე აიფარა ხელები. — აეს ბალელი ოოცა კი სიმღერას დაიწყებს, შაშინ გული ამიკანკალდება ხოლმე, ქა.

— რათა, დედაკაცო?

—რაგი, ამა, თითქოს ყელს აღადრიაანო, იგეთი ხვიელი იცის ამ ცეცხლმოკიდებულმა.

— კარკი, შვილო, კარკი, გეყოფა — ელუას შიში პაპასაც გადაედო და შეძრწუნებულმა ბაბას თავი დაანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჯიგარი მეგლიჯება, პაპავ. ჯიგარი! — ხანდალამ ტუჩები პატარა ბიჭივით წინ გამოიშვირა, ჯერ თვალები აუწყლიანდა. შემდეგ დაალო პირი და უხირცხვილოდ აზლუქუნდა.

— რა გაღლვალებს, ბიჭო! ალუა... ნეკზე არ მიკბინო.

— ჩაძვერ. მთელი დღე რო წალდის ყუა უკაკუნო თავში, იარე გაკერპდები, ცრემლის კურცხალს არ გადმოუშვებს, ნეტავი ებლა რაღა ეშმაკები შაუძვრნენ.

— ყელი უნდა გამოვიკრა!

— რას ამბობს, ჯა?

— აღარ მინდა სიცოცხლე. თონეში უნდა წავყო თავი.

— მართლა თონეში არ წავყოს თავი ამ დასაბრმავებელმა, ჩაიწყვიტე, ბიჭო, ხმა, გულს ნუ მიხეთქავ. თორემა, გომფრში დაგამწყვდევენ.

ტუხალა პაპა ციმციმ უთათუნებს ბეჭებზე ხელს ამორგებულ ბიჭს და ეუბნება:

— დაიცა, ბაღლო. აქ მართლა არაფერმა წამოგიაროს და სკამიდან არ გადამაგდო. თორემა, მაშინვე არყი ბოთლივით ამამკრეხა ხელი.

ხანდალა უცებ ხნედინანივით წამოვარდა სკამიდან და მარნის კარს ეცა.

— არიქათ! დაიკვეთ! ბიჭს ღვინომ დაფრია! — ყვიოდა კეკელამ.

ქალები მაშინვე ეცნენ ხანდალას და გაკავება სცადეს, მაგრამ ამ დროს ხანდალამ დირეს ფიცარს წამოკრა ფეხი, შიგნით გადაიქცა და ქალებიც თან გადაიყოლა. გააფთრებული კრუნჩი მაგიდისკენ გამოკრიახდა, აფათქუნებელ-ფრთა მაშარაბით ხავსე ჯამს წამოკრა და ტუსალა პაპას წყერ-ულვაში წითლად გაუთხვარა. ხანდალას იმ ფხლაკა-ფხლუკში ელუა კბილ ქვეშ წაერგო თავი, გულგამეთქილი ელუა დასაკლავი გოკივით ყვიოდა. ბოლოს მაინც ხანდალამ იმარჯვა. დაუხლტა ქალებს ხელიდან და თავქუდმოგლეკილი ახლა ხათონესკენ გაეწო.

— არიქათ, ჩქარა! თავს დაუარეთ, თორემა შიგ ჩაიბუგუბა ეგ გამჩენძალელი. ეგა — ფრონტის გენერალივით დახვეოდა ტუხალა პაპამ ქალებს. ხანაც ქალები გონს მოეგებიდნენ და ფაცაფუცცით მიხცევიდებოდნენ ჭკუაზე გაღაღნულ ბიჭს, ხანდალამ თონეს წაბურული ფიცრები აქეთ-იქით გადაყარა და თავით მარგილივით წაერკო ღადარში. ელდანაცემი ქალები მაშინვე ეცნენ კანჭებში ხანდალას და რის ვაი-ვაგლახით ამოათრიეს თონიდან. მერე თუნგებს წამოაყენეს ხელი და რამდენიმე გზობა წყალი ნაცარში გაგანგლულ თავ-პირზე დაჟიენეს.

— რას დაემგვანა ეს ჯირსაცემი. ჯა! ჯობის კუპეკვით დაუჯირჭვდა თავ-პირი.

— ეხლა ამ ბიჭს რიგ რიგ რამე დამართნოდა, ცეცხლს მივცემდი პაწილაანთ ხახლ-კარს!

— ჭორარს არა უშავ რა, დედაკაცო. ეშვილება, კიდევ კარჭი, თვალები არ დაეთხარა.

გონზე ოდნავ მოსული ხანდალა დაკოდილი ულაყივით თახთახებდა. გაბრიხებულ ქალებს მეტი ლაციცი აღარ დაუწყიათ. დასტაცეს ხელიდან ძოძინანილ ხანდალას. მაღლა ოთახში აიყარეს. ჩაგდეს ლოგინში და ხანამ ძილეულში დაეწყვნოდა, ბანაშიე ეაკეკეზეიეთ ეხეხნენ ზედა.

ტუხალა პაპას ელდისაგან შეკიკვა წამოეყარა.

— გინდა შავიდოცა, ძიავ? — ეკითხება ელუა.

— რავი. ბაბა, თუ მიშველეს.

ელუა მიუჯდება ტუხალა პაპას და შაკიკის ლოცვას იწყებს!

— შაკიკი შამოპარული ჩვენი ეზოს ბოლოხაო.

იგრე ჰკენტდა რკინასაო, როგორც ბარი თიკასაო, წმინდა გიორგიმ დასწყევლოს გაპარული ფილასაო.

გზიდან უცებ ფოსტალიონმა დაიძახა:

— ჰაი, კეკელა ბაბიდ!

— ხმის ჩაწყვეტა, მოდი, ბიჭო, ახლო, რა შორიდან იძახი.

ეიკანკეკეზ გალუმპული ფოსტალიონი შემოვიდა და კეკელას ქალალდი გადასცა.

— აი, კეკელა, ბაბიდ, უწყებაა, ხანდალას კომისარიატში ეკაძიან.

●

გამარჯობა, დედი! უკრაინის შორეული ქვეყნიდან ხალამს გიძღვნის შენი ბიჭი ხანდალა. შენ ჩემზე ნუ დაინაღვლი, დედავ. აქ იგეთი ჭერია, ერთ კეთრაში ორი კილო მოვიმატე.

— რა ძაან გასუქებულა, კაცოო!.. მაგან თუ ყოველ კვირა ეგრე იმატა, ურმით გაგაკიხდება ჩამოსახატანი.

იქით ვიღაცამ ჭაიფუტკუნა.

აქეთ გააპრტეხტეს, — ებლა წერილის კითხვის დრო არ არის, ცხონებული კეკელა მაინც ვეღარაფერს გაიგებსო.

კეკელა შუა ოთახში დაეხვენებინათ. ცხედარს ხუნი დასცემოდა და ფანჯრები ყოველ მხრიდან უფრწამდე დაეღოო.

არ დასცალდა კეკელას შვილის პირველი წერილის მიღება, პირიკით, თავად მიუტანა დათიას მარტოხულობის სევდით და ჭაფი დალეული სხეული. მეუღლის დაკარგვის შემდეგ, ერთთავად გულს უჩიოდა კეკელა. ახლა ზედ ბიჭის ჯავრიც დაერთო, ავადმყოფობა. ცივი გამთანგავი, ხიმარტოვის ხუხი უფრო ძლიერ ჩაუძერა აგოდებულ სულში და მოულოდნელად თან გაიტანა.

ბუკუატაანი ამოწყვეტილი გვარის უძირძველობას იმოგვითვე უჩიოდნენ. მშობლები ადრევე გარდაეცალა კეკელას. ერთი და ჰყავდა მინდვრის თაგვივით მოკუტული და ისიც პირველსავე მშობიარობას გადაჰყვა. კეკელას მეუღლე დათია ქართლიდან იყო ჩამოსხიძეებული ამ სოფელში და ამისი ხასხლერი განაგისიც არავინ უწყოდა. სოფელმა ისიც კარგად იცოდა,

შორეული ნათესავები თავს მაინცდამაინც არ გრძნობდნენ და მიცვალებულის გაპატიოსნება და სხვა, ყოველგვარი საზრუნავი თავადვე იღებ თავს.

გასულ კვირას გასულიყო ყალტაშში კეკელა ბოჩოლას მოსაბრუნებლად, გასულიყო სბრალო და იქვე ჩარჩენილიყო შამბში. გულაღმა გადაკეცული.

გულზე დარდად შემოაწვა სოფელს სანდალას დაობლება. კეკელას ასეთ უცაბედ სიკვდილს და კარ-მიდამოს ობრად დარჩენას. ილუშას აბრალებდნენ. თავის დროზე რომ ეშუამდგომელა კომისარიატში, ავადმყოფი ქვრივის დედისერთას სამხედროში აღარ წაიყვანდნენო. იმასაც ეკვობდა ხალხი, სულაც შეიძლება მცურავმა დასუნთქა კეკელა, ორომ, მაშ ეგეთი უცაბედი სიკვდილი რაღა იყოო.

იმ დღეს ეუცრემონიდან შეაღაყობინეს დეპეშით სანდალას. ხაჩკარად ჩამოდი დედის უძღებო. კეკელა აღარა გვყავს ცოცხალიო.

სოფელს ჩვენი გული აქვს და საჭიროების შემთხვევაში თავისი გასაკითხიც იცის. საქელბედ უმოცვარ-მოკეთო. ძირამოდგებული ოჯახის სულადისთვის ბარემ ხელის ხლება არ უნდოდათ, მაგრამ ბოლოს გადაწყვიტეს, სოფელში მონაქული ფუღეთი წვრილმან-წვრილმანი რაღაცები ეყიდათ და ფუძის დედისა და მარჩენალი მეწველი ძროხისთვის გამოეკრათ ყელი.

ეგრეც მოიქცნენ. სოფლის ფუღეთი საშილაფლავე ბრინჯი, სოკო, თევზეული და ქალებისათვის თავზე ნახაკავი თალმი იყიდეს და მიცვალებულისათვის საცხედრე შეაკერვინეს. კეკელას ხელზე ნაჩვევ ძროხას კი, ვინაიდან ბორკაკარში გამოდგა, მშრალში აღარ გადაცვალეს, რქებს შუა დასცხეს ნაკაბი, ბარალივით გაეძრეს ტყავი, ზედ მარილი წაეფრქვიეს და იქვე, ბერმის ძირას წვრილი ალოებით გაართხეს.

ოელავიდან ერთი ცერეტტი, ძველი ნახულგნარი, თმაგაჩეჩილი მდედელი ჩამოაკანეს. სანამ სულთათანას იტყოდა, სათონეში მოტრიალეთათვის და მომსვლელ-წამსვლელთათვის ხალელადხელოდ გაშლილ სუფრაზე არყით გაბარუეს და ბაშლამით გაეძღეს, მერე საჭირისუფლოში მუთაქასავით აიტანეს და პატეფონივით დაკოკეს.

მოტირალი დედაკაცები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ.

— კეკეეელ!.. კეკელოოო! დათიას გედეეეეი, ჩვენი სოფლის ხალხმა დამაბარა-თქო, არაფერს გაუჭირვებთ შენს ობოლს, თავიდან ბეწვი არ დეეკარგება სანდალას და ეგრე ვაზნის რქასავით თამამად გვეყოლება-თქოო...

— თავის ბალღებისთვის ვერ მოუვლია ამ ცეცხლმოკიდებულს, გოკალა თევზებივით ტიტვლები დაუდის, ნეტარი ეხლა ვიხან ეპატრონება?

— იმ, ქა, იმან ინადვლოს, ვინცა კვდება,

— ჩაძვერ, როგორა დგა, ქა, ვირივით.

— ვიზზე იძახი, დედაკაცო?

— აგე, დოსბერიაანთ ჯიტუაზე, რო ფანაკეს ჭყარო, დაიზმუვლებს, იგრეა ძროხის ხაშლამით გამამძღარი.

ზოგი გულიანად ტიროდა, ზოგი საკორაოდ ამოსუნთქავ და ენას აწვალებდა. ზოგი საკუთარ კვდარს იხსენებდა და ცრემლებით ისე იწუწებოდა, ზოგს აღარც საკუთარი მკვდარი შველოდა და გუნებაში ჯავრობდნენ: აბა, თუ ხალხის დასანახად წვეი ცრემლი მაინც მოგვადგეს ამ დასაბრელ თვალებზეო.

დღისთვის ვარაუდობდნენ სანდალას ჩამობრუნებას. დღესაც თუ არ გამოჩნდებოდა ბიჭი, აღარ შეიძლებოდა, შვილის დაუტირებლად დამარხავდნენ კეკელას.

ნაშუადღევს ხალხმა ჯგრო-ჯგროდ უმატა დენას, ეზო ისე გაივსო, მუქით ხორცალი რომ გადგეყარა, მიწამდე ვერ დაატანდა.

პაწილაანი უკუღმართობით გაოცებული ხალხი იძახდა: ერთბელაც იქნება, მაგალ კარზეც დაიჩოქებს აჭლემი და მერე ვნახოთო.

მზე უკვე კარგად იყო დასული, რომ კუბოს გაგანა დააპირეს და საჭირისუფლოში სწორედ მაშინ ამოფრთხიალეს ბალღებმა სანდალას ჩამოსვლის ამბავი. მოლოდინით გადაკანცულმა დედაკაცებმა, წივილ-კივილით იკაურობა აიკლეს.

სანდალა თავზარდაცემული შემოვიდა ოთახში, არსაით გაუხედია, პირდაპირ ცხედრისკენ დაიძრა და გულამოჭდარი ზლუკუნით ზედ დაემხო კუბოს. მეფუფქნათანი ელეა ეცა და ძლივს ააგლიჯა ბიჭი დედას. ამის შემხედვარე ქალებმა ზარით და ზათეკნი ლამის სახურავი ახადეს. სანდალას ადამიანის ფერი აღარ ედო სახეზე. საწყალობლად, უაზრად დაეკეცებდა თვალებს ჯერ-იქით და სულის მოსათქმელად ერთ ყლუპ ბაერს ეძებდა.

პაწილაანი არც მიცვალებულის გასვენებისას გამოჩენილან. გაგულისებული ხალხი იძახდა: კეკელას რა უნდა კუბოში, ის ბნედიანი ზაკარა უნდა იდოს შიგამ.

კუბო ხუსხუსით ჩაიტანეს სასაფლაოზე. სამარის პირზე ხალხი შეხორხოცდა და ქალებმა ბოლო გამოსათხოვარი დასძახეს. ყველა თითო სიტყვას აბარებდა კეკელას თავის მკვდართან.

სანდალა მხრებჩამოყრილი იდგა, გრიგალში მოყოლილი წიფლის შიმელასავით და მდუღარე ცრემლები ჩამოსდიოდა.

— ყველანი უფლისანი ვართ, დედაკაცო, მაშ რანი ვართ, თუ არა მიწა.

კუბოს სახურავი დაახუფეს, თოკებით ციმციმ ჩაუშვეს სამარეში და სოფელს გამოკლებული ეს ერთი ადამიანიც ჩადეს შავ მიწაში.

ყველამ თითო მუჭა მიწა მიაყარა კეკელას, შემდეგ ბარებით მოუკოკოლავეს თავი სამარეს, ზედ ლიტრანით წყალი-აპკურეს და ყვავილებით მოაგვირისტეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამინდი კარგი იდგა, ხალხისიანი. სახალხოზე გაფანტული წვრილფეხობა ეიოდა. დაკრძალვის ცერემონიალის შემდეგ ხალხმა პირი სოფლისაკენ იბრუნა და მინდორს შემოეფინა. ყველას თავისი წილი ნაველი მოჰქონდა გულით, ყველას საზიარო ერთი ფიქრი აწუხებდა, ბიჭის უკან, სამხედროში გაბრუნების შემდეგ ვის უნდა ეგდო ყური დაცარიელებული სახლ-კარისათვის.

ქალებს დიდძალი ხალხი დაესწრო, ცოდვის ლუკმისთვის არავის აურიდებია თავი. პირიქით, ყველამ საკუთარ საზრუნავად მიიჩნია ბუკუჟატაანთ კარ-ფანჯარა დაფრიალებული, თვალებგამობნელებული სახლ-კარი.

ტუსალა პაპა და მედუქნიაანთ ელეა გვერდიდან არ იცილებდნენ უსედურებისაგან დარეტიანებულ ბიჭს. ტუსალა პაპას ნაწილი არ ჩაუდვია იმ დღისით პირში. წამდაუწუმ ბეკებზე უთათუნებდა ხელს სანდალას და წარბებმოკრუშული რაღაცას ედუდუნებოდა.

წესისამებრ, ხადღეგრძელოები თვლით დაილია. დამშეულმა ხალხმა ძღომისად ისიამოვნა ქელები და მბოლოდ მეთერთმეტე ჭიქაზე აი შალნენ.

სოფელი იმ დღისით სხვა რაიმე ახალ ამბავს რომ აღარ მოელოდა. სწორედ მაშინ გადაურბინა მაისის ნიავივით ფაქზე მეტად განსაცვიფრებელმა ჩურჩულმა და ხალხი შარაზე გამოფინა.

ვილაცამ დაიძახა.

— დაინახეთ, ხალხო! პაწილაანთ ზაქარას ხელი ჩაუვლია გოგოსთვის და თეონაანთ ნყარო-საკენ აუხვიეო.

— მეხი მაგახაც დასცემია, თელავში მძახლებთან მიედინება.

— ისევე კეკელას სამარის ჭია ჩაუძვრება სულში ზაქარას, როგორც მაგან ბუკუჟატაანთ ეზოში გადაუხვიოსო.

— დაიცა ხალხო! ვინ იცის, იქნებ სოფლის სალაყბოდ არ უნდოდა თავის გახდა და ეხლა ფუძის ანგელოზად მიჰყავ გოგო...

სოფელი ამას ჩუმად, თავისთვის გუნებაში იძახდა. ეს ჩურჩული ყველას ესმოდა, ყველას გულიდან გულში გადარბოდა და იქ რაღაც უმცირეს იმედის ნაპერწკალს უღვივებდა.

ზაქარას ნინელისთვის ჩაევლო ცალი ხელი და მეორე ხელს ნიჩაბივით მიიქნევდა. ჩამავალი მზის მეწამული შუქი ზურგიდან ედგა მამაშვილს და საკუთარ ჩრდილებს ადევნებულნი, თავაუღლელივ, მდუმარედ მიაბიჯებდნენ. როდესაც ისინი ბუკუჟატაანთ გაშარავებულ ეზოში გაუჩინარდნენ, დაუურადებულმა სოფელმა შვებით ამოისუნთქა.

ღმერთმა მაინც იცისო თავის სამართალი, ბუკუჟატაანთ ცოდო-ბრალი კისრით აღარ აზიდვინა პაწილაანთ ზაქარას და თავადაც ბაჯაღლო გული ჭქონიაო დალოცვილს.

„ღმერთო იმ უბედურ კეკელასაც ჩაასმინე სამარეში, სანდალას უმარტოხელოდ დარჩენა და დაუმკვიდრე სამარადისო სასუფეველი". — ასე გაიფიქრა სოფელმა.

ეს ამბავიც იმავე დღეს, მზის ჩასვლისას მოხდა, მაშინ, როდესაც ველებიდან დასაბუდებლად მოფრინავდა ფუტკარი და შარაზე მობღაოდა მსუყე ბალახით დამაძღარი საქონელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარინე ხუციშვილი

თვენ...

შეჩვეული ვარ უსაზღვრო ლოდინს
და როცა სადღაც ტირის მესამე,
მე უკვე ვიცი საიდან, როდის,
მე უკვე ვიცი, სიკვდილს თესავენ.

შეჩვეული ვარ ამაოებას
და როცა ვმღერი, სიცოცხლე მოდის!
მე ისიც ვიცი, მოვა დროება,
ოღონდ არ ვიცი, არ ვიცი, როდის...

●

სურვილები ველად მიმოფანტულან
ჭრელა-ჭრელა ყვავილებად — შენთვის.
ია მღერის მორცხვად თვალებხატული,
ნაკადული იმედის ზღვას ერთვის.

გაზაფხული გულში შემოპარულა,
ასაფრენად ამიშალა ფრთები...
მზის სხივები ამედევნენ მალულად,
თურმე მათი მოფერებით ვთბები.

დღეს ისეთი ლამაზია სამყარო,
გელოდები. სიყვარულო, მალე
მოდი ჩემთან, რაღაც უნდა გახარო,
მერე ჩუმად დაგიკოცნი თვალებს.

დღეს ისეთი გულღიაა ოცნება,
მაპატიე სატკივარო ხვალის.
დედამიწის მკერდი სავსე ბორცვებად
ამომაწვდის ნეტარების ყვავილს.

აღსარება

ხელთ ვიღებ კალამს და ტირის ხელი.
ვითვლი დღეების გარდუვალობას,
როგორც გამხმარი ალვის ხე ელის
შორად წასული სულის გალობას.

ო, მაპატიე. დაგტოვე მარტო.
ტირიფი ტირის: ტრფო-ბა ნა-შა-ლი...
ტრიალებს შმაგი ქარების მარტი,
ალვებში ფეთქავს გული აშარი.

ჩემი წასვლაა ის აღსარება,
შენთან ყოფნით რომ ვერ გაგაგონე.

მიწას დააჩნდა ისევ ღარებად
უტყვი ცრემლების გამონაგონი.

აჰა, ვტირივარ. ნუთუ არ კმარა?!
ჩემი თავი ხომ თვითვე დავკარგე.
მე შენმა გულმა არ მიმიკარა, —
შენით უარყავ ჩემი ავ-კარგი.

არ დაგნებდები ბედო წაღმართო
და შენს დაცინვას არარად ვიღებ.
სულ მალე დაგძლევ სულის აღმართო —
ჩამოვიგლეჯავ ცრუ დროის ნიღბებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს შვილს ზურაბს

თუ გააღწიე უღრანი ტყიდან
და მწვერვალებთან ახლოს მიხვედი,
თუ უფსკრულებთან არ გაიყიდა
თავგანწირული კაცის იმედი...

კლდოვან ბილიკებს მოსინჯავ მუხლით
და მთის აღმართებს აღმა აჰყვები,
გარდასულ დღეებს წყევლას შეუთვლი
ახალი გზებით გულანანთები

ფიცის ერთგული

მე უკვე გჯობნი თმების სითეთრით,
ვებრძვი ვარამის ძირძველ ხვიარას,
მზეო, ღამეებს ვისთან ითევდი,
როცა გრიგალმა გადაგვიარა.
მტერს დაუნდობელს, თავხედს და
თამამს
ვინ გაუძლებდა, სხვა არც მეგულვის,
ზურგს ვუმაგრებდი მეომარ მამას
მე ახალგაზრდა მოხუცებული.
წამების გზებს და გულებს ნატყვიარს
ვითვლი და მაინც ბოლო არ უჩანს,

სისხლის ლაქები დღესაც ატყვია
გადამწვარ ველს და ნამარა ქუჩას...
მამებმა ბეწვის გზებით იარეს,
ყველა დღე ბრძოლის მაგალითია,
ახლა ისინი განა იარებს,
სიკვდილ-სიცოცხლის წამებს ითვლიან.
ომი მრისხანე და შემზარავი
ყველა ჩვენგანის ხსოვნაში იწვის,
ფიცის ერთგული კაცის ვარამი,
ალბათ, ჩვენსავით არავინ იცის.

სიკვდილის ლანდი

აუხდენელი ოცნების შუქით
ლეგა ღრუბელი თავზე დამნათის,
ქარიც ყინულის ყვავილებს მჩუქნის,
შეცვლია გეზი და მისამართი;
ლამის შემშალონ შენზე აუგით,
თვალიდან ჩუმი ცრემლები დამდის,

წაეწყო დღეებს დღეები უქმი
და მუქი ნისლი იჭრება ცამდის...
ვიღას გავანდო ტკივილი თუკი
ყველას თავისი აწუხებს დარდი,
დავალ, დამყევება ხმაწვრილი ბუკით
გაავებული სიკვდილის ლანდი.

●

როცა უღირსი და ულმობელი
გვებრძვის
და გული ბოღმით ივსება.
როდესაც ვბედავთ,
თუ როგორ ვკარგავთ
ფიქრის უწარს და კაცურ ღირსებას.

გროშის ფასი აქვს
ამ წუთისოფლის
გარდასულ დღეთა ყველა დიდებას,
ბრუნავს სამყარო დაუნდობელი
და ჩვენი ბედი არ ეკითხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პშრისმტმეგი

მოთხრობა

პატიმრები შორეულ ეტაპში გასაგზავნად ადგილობრივი ბანაკებიდან ქალაქის ციხეში მიგვლალეს, სადაც ახალნასამართლევებიც დაგვიმატეს. ჩვენ. ბანაკმოვლილი, ძველი პატიმრები: ავქალელები, ღრმადელელები. რუსთაველები, თბილისელები და სხვანი, ბუმბულშეგინგლულ ფიწლებს ვგავდით იმ ახალგამოჩეკილებთან შედარებით, ციხე-ინკუბატორი გამალებით რომ ჩეკდა. პატიმართა უმრავლესობა ტუვედნამყოფები იყვნენ, რომელთაც მკაცრი სასჯელები ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მთგანი საკონცენტრაციო ბანაკებში იჯდა, ზოგი კი პარტიზობდა. მათ ყველას აგებინეს პასუხი იმაზე, რაზეც იყვნენ და არ იყვნენ დამნაშავენი. ომის დამთავრების შემდგომ პატიმრებისათვისაც მოიცალეს. იმ წელიწადს ციმბირსა და ყაზახეთში პოლიტიკური პატიმრებისთვის არსებობდა სპეცბანაკები, რამდენიმე პატიმარმა ყურმოკვრით ვიცოდით, რომ მოვდიოდით ყაზახეთში, № 5 განსაკუთრებულ ბანაკში, რომელსაც „ტეპლაგი" ერქვა. იყო აგრეთვე ბანაკები: „ლუგლაგი" და „პეშჩლაგი". მოხუცები და პატრონიანი პატიმრები შორეულში გამწესებას უფრო განიცდიდნენ, ვინემ უპატრონონი. ეს უკანასკნელნი თვლიდნენ, რომ „თეთრი დათვი" უფრო სამართლიანი იქნებოდა, შორეულში უფრო შეიძლებოდა თავის დარჩენა. იქ არ იქნებოდა ასეთი დიდი განსხვავება სიმაღლრესა და შიმშილს შორის, ქონებასა და უქონლობას შორის. ზოგს მშობლიურ ქალაქში, „სახლში პატიმრობას", თავისიანებთან პაემანზე ყოველკვირეულ შეხვედრას და გრძნობების აფორიაქებას, შორეულში ყოფნა ერჩია. საბოლოოდ მაინც ყველანი იმას ამბობდნენ, „დღეს თუ არა, ხვალ მაინც გაგვაციმბირებენო", „ბოლოს მაინც ეტაპიაო", მაგრამ სჯობდა, ადგილობრივ უფრო მეტბანს ყოფილიყვნენ, რომ შორეულში მოსახდელი დრო რაც შეიძლება ნაკლები დარჩენოდათ.

ისე სწრაფად მოგვიწია ეტაპით გამგზავრებამ, რომ პატრონები ვერ მოასწრებდნენ საქმის გაკეთებას. მე იმათზე ვამბობ, ვისაც შეძლებული პატრონები ჰყავდა და ეცდებოდნენ, თუნდაც ერთი ან ორი ეტაპით ჩამოეტოვებინათ თავისი პატიმარი. თუკი უწინ შორეულ ეტაპში ჯანმრთელებს გზავნიდნენ. ახლა „გულაგი"* პირადად ასახელებდა ეტაპში გასაგზავნებს. უფრო მეტად იგზავნებოდნენ პატარა ეტაპები ტრანზიტით. ციხე-ციხე. სამგზავრო მატარებელს მობმული „სტოლიპინის" ვაგონებით. ავადმყოფებიცა და ზეიბრებიც, ყველა, ვინც ნა-ე მუხლით იყო ნასამართლევი. ასე სწრაფად გაგზავნა იმიტომაც იყო ცუდი, რომ ჭირისუფლები საციმბირო თბილი ტანსაცმელისა და საკვების ყიდვას ვერ მოასწრებდნენ.

ჩვენ ბანაკიდან მიგვლალეს. საკანში აღარ შევუყვანივართ. ციხის ეზოში გასაგზავნად გამოყვანილ საეტაპო პატიმრებს შეგვიერთეს. ბადრაგამ მიღება დაიწყო, კაპიტანი კი საქმეების მიხედვით პატიმრების გვარებით გამომძახებას შეუდგა, გამომძახებულს უნდა ეპასუხა: სახელი და მამის სახელი, დაბადების წელი, ნასამართლევი მუხლი და სასჯელის ოდენობა. თუკი ეს ინფორმაციები დამოხვეოდა პატიმრის „საქმეზე" დაწერილს, მას ბადრაგა გაჩჩრეკდა. გაჩჩრეკილებს ცალკე ჯგუფად სვამდნენ სატვირთო მანქანის მოლოდინში, მერე კი რკინიგზის სადგურში მიიყვანდნენ თავ-თავიანთი ბარგით.

ღრმადელელები, ასე, ათიოდე ვიკავით, ორი მოხუცი იყო ჩვენთან და მგზავრობაში ჩვენი იმედი ჰქონდათ, ახალგაზრდებისა. ამ ორთაგან ერთ. ბრგე კაცს (ჩვენს იქ ყოფნაში, მგონი, არც კი დავლაპარაკებივარ). ბანაკში სადაც შეიძლებოდა შინიდან მოტანილი სამოსის ჩაცმა, ყოველთვის ბანაკის რუხ-მოლურჯო შარვალ-ხალათი ეცვა, შარვლის ტოტები კოჭებს ზევით ჰქონდა, ხალათის მკლავები, კი იდაყვებამდეც ვერ სწვდებოდა. უთოდ ცუდად იკვებებოდა, ძვალმხვილ ჩონჩხს ჰგავდა. მასთან კვირაში ერთხელ დუბკინი ცხოვრებით გამქრალი ცოლი დადიოდა. ქალბატონს, მართლაც დეკლასირებული თავად-აზნაურობის წარმომადგენელს რომ ჰგავდა, ყოველთვის მოჰქონდა ქმართან საჭმელი ბადურაში ჩადგმული მწვანე მომინანქრებული ქვაბით. მე არც გვარი და სახელი და არც სასჯელი, არც დანაშაული ვიცოდი მისი. ბუნებით უტყვი იყო და ლაუბობისთ-

* გულაგი — ბანაკთა მთავარი სამმართველო

ვის არ უნდა მჯდარიყო, ეს დანაშაული მეორე მოხუცს, საოცრად მეტყველს და ენაჯარტელას უფრო შეეფერებოდა. მაგრამ იგი თავისი შინაგანი ბუნების საწინააღმდეგო დანაშაულზე იჯდა. ლაჯბების საწინააღმდეგო დანაშაული კი იქნებოდა უთქმელობა, ესე იგი ის, რომ მან იცოდა რაღაც მთავრობის საწინააღმდეგო და არ გათქვა, არ დაბაზზეა, რისთვისაც ათი წელიწადი ჭქონდა მისჯილი. რადგან მისი შინაგანი ბუნება სრულიადაც არ შეესაბამებოდა დანაშაულის ხასიათს, მეგონა, რომ ეს მეტყველი კაცი სხვის საქმეზე, სხვის დანაშაულზე, სხვის უთქმელობაზე იჯდა და ამის გამო მეცოდებოდა კიდევაც, ზოგჯერ ვფიქრობდი, რომ იქნებ დაპატიმრებამდე მართლაც უთქმელი იყო და უთქმელობისთვის დაპატიმრეს, ხასიათიანი სრულიადაც არ შემცდარა და მხოლოდ მისჯის შემდგომ იქცა მოლაყბედ, ბოღმით ამეტყველდა-მეთქი. მთავარი მაინც ის იყო, რომ იჯდა და არცთუ დიდი მნიშვნელობა უნდა მინიკებოდა საკუთარი ბუნებისა და დანაშაულის ხასიათს შორის შეუთავსებლობას. თავიდათავი ის იყო, რომ იჯდა და არა ის. თუ რამდენად მართალი იყო იმაში, რისთვისაც იჯდა. ამ კაცს ბანაკში ყველა უპირველეს მოლაყბედ თვლიდა, ეძახდნენ მუცლით მეზღაპრეს, მკითხავს, მისანს, მარჩიელს, რადგან სიზმრების ახსნაც იცოდა. პატიმრებს სჯერათ სიზმრების ამხსნელების. ისინი დაცინვახთან ერთად, ნდობას იმსახურებდნენ, ზოგს წინასწარმეტყველებადაც მიიჩნევდნენ. მოლაყბე სიზმრებს ორ ჯგუფად ჰყოფდა — პოლიტიკურად და ყოფითად, ყოფითი იყო: ავადმყოფობა, ამანათის მიღება, თავისიანებთან პაემანი, ბანაკიდან ბანაკში გადაყვანა ან შორეულ ეტაპში გაგზავნა, საქმის გახარკვრება, ან შეწყნარების თხოვნის დაწერა, ღილაგში ჩახმა, შინიდან რაიმე კეთილი ან ხამწყობრო ამბის გაგება და ასე შემდეგ... პოლიტიკური სიზმარი იყო — მსოფლიო პოლიტიკური ვითარება. მტერზე გამარჯვებამ პოლიტპატიმრებს სტალინური ამნისტია ვერ მოუტანა. ზოგი ციხეების დაცლასაც კი ვარაუდობდა. ახლა იმედი გაუცრუვდათ და თავის დღეში ამნისტიას ალარ მოელოდნენ.

კულტურული იზოლაციის პრობლემა რომ საერთო საგანგაშო თავსატეხია, ეს არაორაზროვნად დაადასტურეს ა. წ. 1-ᲐᲜ მარტს გამართულ სსრ კავშირის მწერალთა პლენუმზე გამოსულმა ყველაზე ავტორიტეტულმა წარმომადგენლებმა.

„ბევრი ცილისმწამებელი ზემდგომ ორგანოებში „ნაციონალიზმს“ სწამებს მსოფლიო სახელის მქონე მწერლებსაც კი მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი თავიანთ მშობლიურ ენას იცავენ“. — განაცხადა ცნობილმა უკრაინელმა მწერალმა ბორის ოლეინიკმა.

კიდევ უფრო კატეგორიულად დასვა საკითხი ე. კონდრატიევმა 15-მარტის „იზვესტიაში“ გამოქვეყნებულ თავის სტატიაში „ჩვენი ხალხების დამაკავშირებელი ძაფი“: „...როცა ვინმე იმ ხალხის კულტურისა და ენის მიმართ იჩენს გულგრილობას, ვის შორისაც ცხოვრობს, მისი ყოფა აუცილებლად უფერულდება...“

ზემოხსენებულ პრობლემებთან დაკავშირებით ანალოგიური (თუ არა უარესი!) მდგომარეობაა საქართველოში, რაზედაც სისტემატურად გამოთქვამენ თავის აზრს ქართული საზოგადოების უთავლესჩინოსანი წარმომადგენლები, მაგრამ იმის გამო, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არა კონკრეტული, არამედ ზოგადი კანონებითაა გამაგრებული, ნეგადიური თეორი და შავი თავთავის ადგილზე რჩება.

საქართველოს ცენტრალური კომიტეტის IX—პლენუმზე ე. შენგელაიამ ბრძანა: „რატომ არ უნდა იცოდნენ ქართული ენა, სასაუბრო დონეზე მაინც, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის რუსულ თუ სხვა სკოლებში მოსწავლე სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებმა? რატომ არ უნდა იცოდნენ მათ იმ მიწა-წყლის ისტორია, სადაც ცხოვრობენ?“

თუმცა, რაც შეეხება მშობლიური ისტორიის სწავლებას, სიმართლეს თვალებში შეეხედოთ და ვადიაროთ, რომ ეს საკითხი პირველ რიგში ზრდილ ქართულ სკოლებშია მოუგვარებელი. არც ამის სამაგალითოდ დაგვბრიდება ცხრა მთას იქით წასვლა. ა. წ. 22 იანვრის გაზეთ „თბილისში“ დაიბეჭდა მეტად საინტერესო საუბარი სტუდენტი ალბაგაზრდობის ერთ ჯგუფთან. აი, რა გულწრფელად გაგვიზიარა თავისი მეორე აზრი თეატრალური ინსტიტუტის მე-2 კურსის სტუდენტმა გიორგი მგელაძემ:

„...შენ თუ სკოლაში საქართველოს ისტორიას საერთოდ არ გასწავლიან, ქართულ ლიტერატურას კი ქართველის მასწავლებელი გაძულებს იმით, რომ გეტყვის, დავით ალმაშენებელი ბიბლიური პიროვნებაა, რომელ ეროვნულ პოზიციაზეა ლაპარაკი!... ჩვენი სკოლები კი სავსეა ასეთი არაკვალიფიციური, შემთხვევითი მასწავლებლებით...“

სხვათა შორის, სწორედ ამ ყმაწვილის სიტყვები გამახსენდა, როცა ამას წინათ თბილისის ერთ-ერთი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა სრულიად სერიოზულად შემომჰივლა, ისეთი საძაგელი კლასი მყავს ოცდახუთი მოსწავლიდან ოცდაორიც არ სწავლობს ჩემს საგანსო... და რაც ყველაზე უცნაურია, მას აზრადაც არ მოსვლია თუ რა შთაბეჭდილება შეიძლებოდა დარჩენოდა მე მის მასწავლებლობაზე და სწავლების მეთოდებზე. რა თქმა უნდა, პირველ რიგში ის ოცდახუთი მოსწავლე შემეცოდა...

ახლა კი კულტურული იზოლაციის პრობლემას დავუბრუნდეთ და საქმის გამოსწორების იმედით მეორე აზრს სიმართლითა და კონკრეტულობით გავუკაფოთ გზა.

მორიგი მეორე აზრი კი შემდეგი გახლავთ: ზხრი შემთხვევაში, ნებისთ თუ უნებლიეთ, სწორედ ჩვენ ვუწყობთ ხელს კულტურული იზოლაციის დამკვიდრებას.

ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲖᲠᲘ

იმის გამო რომ მეორე აზრი ვერ იტანს ზოგად მსჯელობას, გამოთქმულ მოსაზრებას უველასათვის ცნობილი მაგალითებით დავასაბუთებთ.

ვის არ მოუსმენია „რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა“. რა ტენდენციებია ამ რუბრიკისათვის ნიშანდობლივი? — მიდრეკილება ე. წ. „საინფორმაციო დისკრიმინაციისაკენ“. თავად განსაჯეთ: თავდაპირველად დიქტორები მიმოიხილავენ ქართულ გაზეთებს („კომუნისტი“, „სოფლის ცხოვრება“, „სახალხო განათლება“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ლიტერატურული საქართველო“.) შემდეგ კი რუსულს („ზარია ვოსტოკა“, „ლენინსკოე ზნამია“, „მოლოდიოე გრუზიი“.) და როგორ გგონიათ ქართულ და რუსულენოვან მსმენელებს ადეკვატურ ინფორმაციას აწვდიან მშობლიური რესპუბლიკის კულტურულ-სამეურნეო ცხოვრების შესახებ? სამწუხაროდ არა.

ქართველებისათვის მსმენელისათვის ვაცხადებთ: „...საზოგადოებრივი ცხოვრების ზნეობრივმა დეფორმაციამ თავის კულმინაციას 30-იან წლებში მიაღწია... იმ ავბედითობის კიდევ ერთ მაგალითზე მოგვითხრობს „კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში დაბეჭდილი გერმანე ფაცაციას პუბლიკაცია სათაურით „დაბრუნება“, რომელშიც ავტორი გვესაუბრება მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის კიტა მეგრელიძის შესახებ...“*

რუსული გაზეთების მიმოხილვაში „კომუნისტში“ დაბეჭდილი ამ სტატიის შესახებ, რა თქმა უნდა, არაფერია თქმული. რატომ? იქნებ რესპუბლიკაში მცხოვრები არაქართველი მკითხველებიც დაინტერესებულიყვნენ ქართულ გაზეთში დაბეჭდილი ამ სტატიით? მითუმეტეს, როგორც ცნობილია, მავანსა და მავანს ჯერ კიდევ არ გაუგია, რომ 30-იანი წლების ქარიშხალმა ყველაზე საბედისწეროდ სწორედ ქართული კულტურის კენწეროები გადაამსხვრია...

იქნებ ანონიმი ოპონენტი შემომედავოს, აქაოდა ამ ცნობის გადაცემა რუსულ ენაზე არ ღირდა იმის გამო, რომ სულერთია, რესპუბლიკაში მცხოვრები არაქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართულ ენას ვერ ფლობს და გაზეთ „კომუნისტს“ ვერ წაიკითხავსო... კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ვითომ მთლად ამაოდ გაისარჯა ცნობილი უკრაინელი მწერალი იური მუშკეტიკი, რომელმაც ზემოთაღნიშნული მწერალთა პლენუმის მაღალი ტრიბუნიდან ყველას გასაგონად განაცხადა: „რუსპუბლიკის ძირეული მოსახლეობის ენის შესწავლის აუცილებლობის სათაოდ ქცევა, უბრალოდ ამორალურობაა“.

ვეჰკვობ, ანონიმი ოპონენტი ქვემოთაც არაერთხელ შეეცდება თავის გასამართლებელ არგუმენტად რესპუბლიკის სახელმწიფო ენის უცოდინრობის დამოწმებას, „ბატონო“ თადარიგს დავიჭერ და აქვე შეგახსენებთ ცნობილი ქართველი მწერლის გურამ გეგეშიძის მეორე აზრს, რომელიც მან გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს ფურცლებზე (29. IV. 88) გამოთქვა: „...ჩვენ მეგობრულად ვეკეცვით ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხოელებს, და ეოველთვის მეგობრულად მოვეკეცვით, თუ ისინი ისწავლიან ჩვენს ენას და ეზიარებიან ჩვენს კულტურას. ადამიანი, რომელიც არ სწავლობს ჩვენს ენას და არ ინტერესდება ჩვენი კულტურით, ვერ ჩაითვლება ჩვენს მეგობრად...“

მართლაც და, პირადად ჩემთვის, მეტი რომ არა ვთქვათ, წარმოუდგენელია კაცი უზბეკეთში დაიბადოს, გაიზარდოს, დაბერდეს და არავითარ შემთხვევაში არ ისწავლოს უზბეკური ენა!.. ვფიქრობ ამას ადვილად ვერც მოახერხებ კაცი. ეს უნდა მოინდომო! ძალიან უნდა მოინდომო, რომ მშობლიური რესპუბლიკის ენა ერთ მშვენიერ დღეს თავისთავად, ანუ ბუნებრივად არ შემოგესწავლოს ხელში!.. თუმცა ამ მიზნის მისაღწევად ეტყობა თვით მშობლიური რესპუბლიკაც უნდა წამოგეხმაროს... ღმერთმანი ანომალიაა — სამშობლოს უწოდებდე იმ ქვეყანას, რომლის ენა, კულტურა და ისტორია არც იცი და არც გინდა იცოდე!

ახლა კი მოდით ისევ გაზეთების მიმოხილვას მივუგდოთ ყური:

„... „სოფლის ცხოვრება“ ბეჭდავს თბილისის მეთოთხმეტე საშუალო სკოლის მასწავლებლის ოლგა ბარდენოვას გამგებლის წერილს „მოლოდინი“, რომელიც დიდ სამამულო ომში საშობლოს დასაცავად წასულ და ალარ დაბრუნებულ თამარ გამგებელს ეძღვნება...“

რასაკვირველია, არც ეს ცნობა გადაცემულა რუსულ ენაზე. რატომ? ხომ შეიძლებოდა ზემოთადნიშნული წერილითაც რუსულენოვანი მოკალაკეებიც დაინტერესებულიყვნენ და რამდენადმე შეეცნოთ თავიანთი ერთობ მოკრძალებული, მწერი ცოდნა ომში დაღუპულ ქართველთა შესახებ. ისიც ხომ ცნობილია, რომ დღესაც კი, ამდენი ხნის შემდეგ, ბარიერს კვლავ არასწორი წარმოდგენა აქვს მეორე მსოფლიო ომში სისხლისაგან დაცლილი საქართველოს გმირულ ბრძოლებზე.

მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება სხვა მიმოხილვიდანაც: „...რუბრიკით „სახეგოთა პატრიოტიზმი“ გაზეთი „კომუნისტი“ მეორე და მესამე გვერდზე აქვეყნებს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის პეტრე შამათავას ნარკვევს სათაურით „პარტიის იდეური მებრძოლები“. ჟურნალისტი დიდი სამამულო ომის ფრონტებზე ბრძოლებში პოლიტიკურ ხელმძღვანელების მამაცობაზე გვიამბობს...“ ნამდვილად გულდასაწყვეტია, რომ

* — აქ და ყველგან სტილი დაცულია (ა. კ.)

ცნობილი ჟურნალისტის ამ საინტერესო სტატიის შესახებ მხოლოდ ქართულენოვან მსმენელს ვაწვდით ინფორმაციას.

და აქვე, სწორედ რომ პარადოქსად აღიქმება რუსულ ენაზე გადმოცემული შემდეგი ინფორმაცია: „...საქართველოს სსრ კონსტიტუციის 10-წლისთავზე „ზარია ვოსტოკა“ ბეჭდავს ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის სერგეი სერებრიაკოვის წერილს: „ყოველი ხალხი, არა მარტო აქვს აფლება, არამედ ვალდებულია გაიკეთოს ყველაფერი თავისი ენის პროპაგანდისათვის...“ და ა. შ. კი, მაგრამ ქართულენოვან მსმენელს რატომ არ ვაწვდით ამ ჟურადღებებ ინფორმაციას? ასე ხელოვნურად რატომ ვყოფთ ინტერესთა სფეროებს?

ამ კითხვაზე ჩვენი მ ე ო რ ე ა ზ რ ი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: როცა რესპუბლიკას საგულდაგულოდ დავეყოფთ რუსულენოვან, სომხურენოვან ქართულენოვან, აზერბაიჯანულენოვან მსმენელებად და მაყურებლებად, როცა მათ სხვადასხვა, ე. წ. „შესაფერის ინფორმაციას“ მივუსადაგებთ, ნებსით თუ უნებლიეთ, კ ულ ტ ურ ულ ი ი ზ ო ლ ა ც ი ი ს წისქვილზე ვასხამთ წყალს. ხოლო თავთავის ნაჭუჭში ჩაკეტილი დასახლებანი, ბუნებრივია, ნაკლებ ინტერესს გამოიჩენენ იმ რესპუბლიკის ისტორიის, კულტურის, ყოფისა და ენის მიმართ, რომლის მიწაზეც ცხოვრობენ, შრომობენ და ჰჩენენ შთამომავლებს. სხვათაშორის, ადგილობრივ კულტურასთან, ტრადიციებთან, ეთნოგრაფიულ თავისებურებებთან ასევე გაუცხოებულ შთამომავლობას... (ქართულ ენასთან და კულტურასთან გაუცხოებას ხშირ შემთხვევაში არც ჩვენი თანამემამშულეები აკლებენ ხელს... ამის დამადასტურებლად, სხვა რომ არაფერი, რუსულ სკოლებში მომრავლებული ქართველი მოსწავლეებიც მეტყველებენ. დროა ამ მოვლენას ყველას გასაგონად დავარქვათ თავისი სახელი! (რა სულისშემძვრელად გაგვიზიარეს თავისი გულისტკივილი და გოოცება ყოველივე ამის გამო ფერეიდანნიდან გადმოსახლებულმა ჩვენმა თანამემამშულეებმა 8 ივნისის გაზეთ „თბილისში“.)

კიდევ ერთი მაგალითი:

ქართულენოვან მსმენელებს ვატყობინებთ, რომ გაზეთ „კომუნისტში“.... წაიკითხავთ დიალოგს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორთან ბესარიონ ჯორბენაძესთან...“ და ა. შ. და ყველაფერი ეს, ისევ და ისევ, მხოლოდ ქართულენოვანი მსმენელისათვის. ვითომ რა, აწყენდათ ამ ინფორმაციის გაცნობა ჩვენს მიწაზე დასახლებულ უცხო ერების წარმომადგენლებს?

მაშ ასე — „თქვენ მოისმინეთ ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა“. მუსიკა. „თქვენ მოისმინეთ რუსული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა“. მუსიკა. ყველა კმაყოფილია, ყველა ინფორმირებულია თავ-თავის ენაზე, თავ-თავისი „სპეციფიური ინტერესების“ გათვალისწინებით და ა. შ. კიდევ კარგი გაზეთების პირველი გვერდების მიმოხილვა მაინცაა ადეკვატური!

ახლა ბარემ ნუ დავიზარებთ და განცხადებებიც მოვისმენოთ. კვლავ ქართულ და რუსულ ენებზე.

ცნობისათვის— რადიოს განცხადებებისა და რეკლამების განყოფილება ე. წ. „შემოსავლიანი რედაქციაა“ და თავის მოვალეობას საკმაოდ კარგად ართმევს თავს. დამკვეთი, როგორც წესი, გარკვეულ თანხას იხდის ხოლმე მათ მიერ დაკვეთილი განცხადებისა თუ რეკლამის ეთერში გადაცემისათვის.

ძირითადი დამკვეთებია: სავაჭრო რეკლამის საქართველოს საადგილო „ივერია“, თბილისის ტექნიკის სახლი, პროფტექნიკური სახლვალლები, სახელმწიფო თეატრები, ხელოვნებისა და კულტურის სხვა დაწესებულებები, შრომითი მოწყობის ბიურო, ქალაქის სატრანსპორტო სამმართველო და სხვ. ასე რომ აქ რადიო და ტელევიზია არაფერ შუაშია, დაკვეთის სტილი და შინაარსია შესაცვლელი.

„დღეს თბილისის თეატრებში...“ ვაცხადებთ ჩვენ და ვიწყებთ ჩამოთვლას სად რა გადის, ქ ა რ თ ულ ე ნ ო ვ ა ნ ი მ ს მ ე ნ ე ლ ი ს ა თ ვ ი ს: რუსთაველის, მარჯანიშვილის, საოპერო, მუსიკალური, იუმორისა და სატირის თეატრები. რ უ ს ულ ე ნ ო ვ ა ნ ი მ ს მ ე ნ ე ლ ი ს ა თ ვ ი ს: გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრი, რუსული მოზარდმაყურებელთა თეატრი, ოფიცერთა სახლი, ზიგადაშიგ შაუმიანის სახელობის სომხური თეატრი, მეგობრობის თეატრი და ა. შ. აქაც, როგორც იტყვიან კეთილს — კეთილისა, ოღონდ არა იმ ძირძველი ბრძნული გაგებით. თითქოს რუსულენოვანი რადიომსმენელისათვის საინტერესო არ უნდა იყოს, თუ რა გადის მათივე მ შ ობ ლ ი უ რ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს ქართულ სახელმწიფო თეატრებში, რა ძვრებია რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში, რა წარმატებებს აღწევენ ქართველი ხელოვნების ოსტატები და ა. შ. ესეც შენი კ ულ ტ ურ ულ ი ი ზ ო ლ ა ც ი ი ს კლასიკური ნიმუში!

სხვა სახის განცხადებებსაც მივუგდოთ ყური. უცნაურია, მაგრამ სამწუხარო ფაქტია, რომ ხშირ შემთხვევაში განსხვავებულ სამუშაოზე იწვევენ ქართულ და არაქართულენოვან მსმენელებს თბილისის შრომითი მოწყობის ბიუროს მესვეურები. რა ვუწოდოთ ამას? „სამსახურებრივი დისკრიმინაცია?“

ერთადერთი, რითაც ამ ბოლო ხანებში გაგვაბარეს შრომითი მოწყობის ბიუროს მესვეურებმა, ისაა, რომ აგერ უკვე ორი წელია, ძველებური თავგამოდებით არ იზიდავენ სოფლიდან ახალგაზრდობას. წინანდებურად არ ჰპირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებიან მათ, არიქა, ოღონდ ქალაქში ჩამოდით და ერთ წელიწადში ჩამოწერილ ტაქსს მოგაყიდით, ექვს წელიწადში კი ბინითაც დაგაკმაყოფილებთო. დიახ, აგერ ორი წელია, რაც ეს „მაცდური კამპანია“ შეწყდა და ღმერთმა ნუ ქნას, კვლავ განმეორდეს!“.

ტენდენციურობით გამოირჩევა მოგზაურობათა და ექსკურსიების თბილისის ბიურო, რომელიც რადიომსმენელებს უმთავრესად რუსულ ენაზე ეპატიჟება სამოგზაუროდ.

და ბოლოს, არ ვიცით, როგორ აფხსნათ ქიმიის საწარმოო გაერთიანება „თეთრონის“ გადაწყვეტილება, რომელიც თავისი ნაწარმის რეკლამას ქართულ და რუსულ ენებზე კი უკვეთავს, მაგრამ თავის საქონელს, რატომღაც მაინცადამაინც „პომოშნიცას“, „ეემჩუგს“, „პოლიროლსა“ და „ბლოს“ არქმევს. გვეუხერხულება კიდეც ამ უცნაური სახელების გამოცხადებაო, გულდაწყვეტით გამანდეს. რადიოს განცხადებებისა და რეკლამების განყოფილების რედაქტორებმა.

რა სახის რეკლამები ემთხვევა უფრო ხშირად ქართულ და რუსულენოვან გადაცემებში? მეტნაკლებად ისევ და ისევ ვაჭრობის სფეროს რეკლამები. თუმცა არა მგონია ამ უკანასკნელმა ოდნავ მაინც შეაკავშიროს კულტურული ცხოვრებით გათიშულ-განცალკავებული სხვადასხვაენოვანი მოსახლეობის ერთობ ჭრელი ფენები.

ნეგატიური სურათის საილუსტრაციოდ, შორს რომ არ წავიდეთ, „„დინამოს“ სტადიონზე სოკოსავით მომრავლებული ვიზუალური რეკლამაც გამოგვადგება. ქართული და რუსულენოვანი აბრების პროცენტული თანაფარდობის შედარება მკითხველებისა და მაყურებლებისათვის მიგვინდია. მე შენ გეტყვი ფეხბურთს ვერ მოწყვეტენ თვალს!...

ისევ ალმანახ „საუნჯის“ ზემოთაღნიშნულ ნომერს დავუბრუნდეთ.

„კულტურულ იზოლაციაში მყოფი ხალხი ჩამორჩენისა და დეგრადაციის კანდიდატია“... გამოთქვამს თავის მეორე აზრს მატი ბინტი და იქვე დასძენს: „იბადება თაობა, რომელისთვისაც მიწა, სადაც ის ცხოვრობს, მხოლოდ ძნელად წარმოსათქმელი გეოგრაფიულ სახელწოდებათა წყებას, ხოლო კულტურული ცხოვრება შორეულ მოვლენას წარმოადგენს“.

და რაოდენ დასანანია, როცა კულტურული ცხოვრების ამ დაშორიშორებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ თვითონ ვუწყობთ ხელს. ამ დაუდევრობას კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით.

მოვიდეთ პირველ სიტყვასა ზედა. ჩვენი მეორე აზრი უბრალოა: რესპუბლიკის არაქართული მოსახლეობის უმრავლესობას ნაკლებად აინტერესებს ჩვენი ენა, ისტორია, ძველი და ახალი კულტურა... და ამ ტენდენციის განვითარება-დამკვიდრებას ხშირ შემთხვევაში, ჩვენ თვითონ ვუწყობთ ხელს.

კულტურული იზოლაცია, როგორც წესი მწარე ნაყოფს ისხამს. მწარე ნაყოფი კი ყველახათვის მწარეა.

რედაქციისაგან: ამირან კალაძის წერილში საუბარია მეტად მტკივნეულ პრობლემაზე, რედაქცია იმედოვნებს, რომ მასში აღძრული საკითხები დააინტერესებს როგორც ქართულ მწერლობას, ასევე მკითხველებს. განზრახული გვაქვს დავბეჭდოთ გამოხმაურებანი, რათა უფრო ამომწურავად დავახასიათოთ ის უარყოფითი მოვლენები, რაც ახლავს ე. წ. „კულტურულ იზოლაციას“.

ლიტერატურული სიახლენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

„ცისკრის“ წინა ნომერში მოკლედ ვისაუბრეთ ლიტერატურულ სიახლეთა. კერძოდ ალმანახების „რიწოსა“ და „ეგრისის“ შესახებ. ამჯერად მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლიტერატურულ-მხატვრულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამეცნიერო პოპულარულ კრებულ „პარალელის“ წლევანდელ ნომერს. კრებული აერთიანებს რუბრიკებს: პოეზია, პროზა, თარგმანი, პუბლიცისტიკა, მეცნიერება, მოგონებები, კრიტიკა, ინსტიტუტის ცხოვრება. წიგნების მიმოხილვა, სპორტი, იუმორი, განძთა ქვაბი და სხვ. ერთი შეხედვითაც ნათელია, რომ კრებულის შემდგენელ-გამომცემელთ დიდი ამოცანა დაუსახავთ და საკმაო გარჯა გაუწევიათ, რათა ალმანახი ყოველმხრივ საინტერესო გამოსულიყო. საყურადღებოა ისიც, რომ ახალ ნომერში გათვალისწინებულია წინა გამოცემის გამო პრესაში გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები. საკმაოდ სასიამოვნოდ გამოიყურება კრებული გარეგნულადაც. ტირაჟიც — 15000, ვფიქრობთ, ამ ეტაპზე ურიგო არაა. ერთი სიტყვით, ხელთა გვაქვს ალმანახი, რომელიც კარგად გადმოსცემს ჩვენი უდიდესი ინსტიტუტის ცხოვრების მაჯისცემას, აქ მოღვაწე ლიტერატურული ძალების მხატვრულ შესაძლებლობებს, იმ პრობლემატიკას, რომელიც საყოველთაოა და საკმაოდ სცილდება ინსტიტუტის ფარგლებს. ალმანახის საფუძვლიან განხილვას დიდი დრო და ადგილი სჭირდება, მაგრამ ერთი თვალის გადავლებითაც ნათელია, რომ გაკეთებულია ფრიად საჭირო და მისასალმებელი საქმე. დღეს, როცა მუშავდება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა, როცა ქართული ენა იბრძენებს თავის კონსტიტუციურ სტატუსს, ამ დიდ ეროვნულ საქმეში თავისი წვლილის შეტანა შეუძლია სწორედ ამგვარი ხასიათის კრებულებს, იგი ხელს შეუწყობს ქართული ენის გათავისებას ჩვენს ტექნიკურ ინტელიგენციაში, სამეცნიერო-პოპულარული ჟანრის განვითარებას, ახალგაზრდობის პუბლიცისტური ნიჭისა და უნარის გამოვლინებას, ქართულად წერასა და აზროვნებას... აღარას ვიტყვით თავისთავად იმ დადებითი ტენდენციის გამო, როცა ტექნიკური ინტელიგენცია მხატვრულ სიტყვაშიც სცდის თავის კალამს. ამ კრებულში შეიძლება ვერ წავაწყდეთ, ქართული პროზისა და პოეზიის შედევრებს, მაგრამ ალმანახ „პარალელის“ ავტორთა შორის ისეთი გვარებიც გვხვდება, რომელნიც უცხო არ არიან ქართული მწერლობისათვის.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ალმანახ „პარალელის“ გამოცემით და ქართული ენის ახლადგახსნილი კათედრით საჭირო ეროვნულ საქმეს აკეთებს და ვიმედოვნებთ, რომ ამგვარი საქმიანობა მომავალშიც უფრო გეგმაზომიერი და მიზანშეწონილი გახდება, რაც უფრო შეუწყობს ხელს ჩვენი სტუდენტი-ახალგაზრდობის ეროვნულ-პატრიოტული გრძნობის, მორალურ-ზნეობრივი სახის სრულყოფასა და ჩამოყალიბებას.

დღევანდელი საჯაროობისა და დემოკრატიზმის ატმოსფერო, მწვავე სოციალურ-საზოგადოებრივ პრობლემებზე სახალხოდ, ხმამაღლა საუბრის უფლებას რომ გვაძლევს, დიდ პერსპექტივას სახავს ყოველი კრებულისა თუ პერიოდული ორგანოს წინაშე. ამგვარი დიდი თუ მცირე პრობლემა მრავლადაა თვით ჩვენი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ცხოვრებაშიც და ვიმედოვნებთ რომ მომავალ კრებულებში ამ პრობლემებზე პირუთვნელ საუბრებსაც ვიხილავთ. დღეს, ტექნიკური პროგრესის არნახული განვითარების ხანაში, რესპუბლიკის ღირსეული მომავლისათვის აუცილებელია კვალდაკვალ მივყვეთ ამ პროგრესს, მხარი გავუსწოროთ მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევებს. როგორაა ჩართული ამ პროგრესში ჩვენი ტექნიკური, სამეცნიერო ძალები? როგორ ერთვება ამ პროცესში ქართული ენა? რა პერსპექტივებია ამ მხრივ და რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ ქართულმა ენამ არ დაკარგოს თავისი ფუნქცია და მთლიანად გამოავლინოს თავისი მდიდარი ამოუწურავი შესაძლებლობები?

ერთი სიტყვით, ალმანახის წინაშე „სამკალი ფრიად არს“ და ვიმედოვნებთ ხვავრიელი იქნება „პარალელის“ სარედაქციო კოლეგიის მომავალი საქმიანობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ ბერძენიშვილი

* * *

მეგობრებო! სულ არ ვფიქრობდი აქ გამოსვლას, მაგრამ არ შეიძლება, ისმენდე ამას ყოველივეს და არ აღელდე, არ თქვა ის შენი სათქმელი, რასაც ამ წუთებში გრძნობ.

პირველ რიგში, მინდა, ახალგაზრდებს მივულოცო გამარჯვება!

ახალგაზრდებს ეკუთვნით ის, რაშიც ზოგიერთებს ეჭვი ეპარებათ: დღეს რომ ქართულად ვსაუბრობთ, მათი მადლით არის მიღწეული!

არ მინდა, მოხდეს ის, რაც გუშინ კავკასიის ჯარების სარდალს დაემართა: ბრწყინვალედ საუბრობდა და ბოლოს ისეთი რამ თქვა, რომ მთელი ღამე ვერ დავიძინე — ასე შემთხვევით შეიძლება რაკეტა დაეცეს თბილისს!... საშინელი რაღაც იყო, აქ ბრწყინვალედ ითქვა ამაზე და მე აღარ გავამახვილებ ყურადღებას...

ჩვენც ასევე არ დაგვემართოს: რა მშვენივრად დაიწყეთ, რა კარგი იყო აქ ახალგაზრდების გამოსვლა. პირდაპირ უნდა იამაყო ასეთი ახალგაზრდებით! მართლაცდა, მშვიდად, ლამაზად ბევრი რამ სასიკეთო თქვეს...

ბოლოც რომ კეთილი იყოს, მინდა, ერთი რამ მოგითხროთ:

ნოქალაქევში ჩასული იყო არქეოლოგებისა და ისტორიკოსების ექსპედიცია. იქ მხატვრებიც იყვნენ და ერთმა მათგანმა, ჩემმა მეგობარმა, მიამბო:

საიდანღაც მოსულა მართვე. ეცნენ თურმე ბიჭები, გაუკეთეს არაჩვეულებრივი გალია და მთელი ზაფხულის მანძილზე აჭმევდნენ და ასმევდნენ; ბოლოს მართვე თანდათან გაიმართა და მიხვდა, რომ მასში არწივი ზის. ერთ მშვენიერ დღეს როგორღაც გამოძვრა, მოემზადა ასაფრენად, აიწია, ავიდა ჰაერში და, რომ ვეღარ შეძლო, დაენარცხა.

ეს რომ დაინახეს ბიჭებმა, მოკიდეს ხელი, მიეხმარნენ, ააგდეს ჰაერში. ისევ შეფრთხიალდა მართვე, მაგრამ ისევ დაეცა. მესამედაც რომ ააგდეს ბიჭებმა, საიდანღაც გამოჩნდა არწივი. არ ვიცი, ალბათ, დედა მართვესი, რომელიც მაღლა აგდების შემდეგ ხან ერთ მხარეს შეუდგა, ხან მეორეს და ასე გაატარა მთელი ხეობა. გაიყვანა, გაიყვანა და ზეცაში თავისუფლებისაკენ გაფრინდნენ...

მე ამას რატომ მოგახსენებთ, იცით?

ახალგაზრდობის ზრდა მაშინ არის მშვენიერი და ლამაზი, როცა ჯაჭვური სისტემით ვითარდება.

რა თქმა უნდა, ყველა ეპოქაში ახალგაზრდობა თავისებურ წნულს ჩააწნავს ამ ჯაჭვში, განსხვავებულს, მაგრამ ის ამით ჯაჭვს არ წყდება, პირიქით, აგრძელებს მას. ნუ შევქმნით ისეთ შთაბეჭდილებას, რომ აქ, თქვენს უნივერსიტეტში, სადაც ივანე ჯავახიშვილი იყო და მისი თაობის აღზრდილნი დღეს თქვენ გასწავლიან, თქვენ კი არ აგრძელებთ გაკვალულ გზას, არამედ წინიდან დახვდით. აი, რაც ძალიან მაღელვებს!

მართვემ, რომელმაც თავისუფლება მოიპოვა, თვითონ ნახეთ, რომ დედის დახმარების გარეშე მაინც ვერ შეძლო სივრცეში აფრენა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენმა ქართველმა დასდო თავი თავისი ქვეყნის თავისუფლებისათვის, რამდენი იქ დარჩა, სადღაც, შორეულში... თქვენ ეს ბრწყინვალედ მოგეხსენებათ და გული გტკივათ... ამ დროს ერთი წუთით მიმოვიხედოთ გვერდით, რამხელა თავისუფლებაა, ვსაუბრობთ, ამისი არ გვეშინია... მაგრამ არანაკლებნი გაკლიათ თქვენ სხვა მიზეზით. რა უნდა იყოს უფრო სავალალო, რომ მშვენიერი ჭაბუკები მორფით ფუჭდებიან! ეს ისეთივე დანაკლისია დღეს თქვენთვის, როგორც, აი, იმ თაობისთვის ისინი, ვისაც ციმბირში ასახლებდნენ... იქნებ ამაზე ვიფიქროთ! იქნებ უცბად არ შეიძლება აფრენა, როგორც ეს მართვემ მოინდომა, იქნებ უნდა მოვემზადოთ და ჩვენი ღირსება უფრო შევიცნოთ...

მე როდესაც გეუბნებით თქვენ, გილოცავთ გამარჯვებას-მეთქი, ვისზე გამარჯვებას? ჩვენზე?! ჩვენ ერთად უნდა გავიმარჯვოთ და ერთად უნდა აფრინდეთ სივრცეში!

სიტყვა წარმოთქმულია ამა წლის სექტემბერში უნივერსიტეტის სტუდენტ-ახალგაზრდობასთან შეხვედრისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

კობა იმედაშვილი

ოთარ ჭილაძის „მარტის მამალი“

ოთარ ჭილაძის ახალი რომანი — „მარტის მამალი“ — („მნათობი“ № 1-4, 1987) თხუთმეტი წლის ბიჭის სულიერ ჩამოყალიბებაზე მოგვითხრობს. მისი ბავშვობა ომს დაემთხვა, ომისა და ომიანობამდგომ მძიმე წლებს, რომლებმაც ნაადრევად დააკაცეს იგი — მარტის მამალივით. ამიტომ ჰქვია რომანს „მარტის მამალი“.

ომის დროს ნაადრევად დაკაცებულ ბიჭებზე ქართულ პროზაში უკვე არის ზოგი რამ ნათქვამი. გავიხსენოთ თუნდაც ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ ზეს“ (ტენდენციაც წარსულის, თუნდაც „ოცდაჩვიდმეტის“ უკომპრომისო შეფასებისა აქ საკმაო სიმძაფრითაა გამოვლენილი), მოთხრობები არჩილ სულაკაურისა, „ვარსკვლავთცვენა“, — ოტია იოსელიანის, „ოლოლები“ — ლადო მრელაშვილის და სხვა. მაგრამ ყოველივე ადრე ნათქვამისგან განსხვავებით ოთარ ჭილაძემ თავისი რომანი სხვაგვარად ააგო, მკითხველის ყურადღების აქცენტი სხვა სიბრტყეზე გადაიტანა. პროვინციის კონფლიქტი საკუთარ მესთან. პროვინციის მიერ საკუთარ თავში ყოველივე უარყოფითთან უკომპრომისო ბრძოლა, საკუთარი თავის ჩამოყალიბება ადამიანად, მეორედ დაბადება არის აქ მთავარი. ძიებისა და ბრძოლის ამ ძნელ გზაზე მწვრალი ჩვენს წინ ადამიანური არსებობის მეტად რთულ და მტკივნეულ ზოგად პრობლემებს აყენებს: სიკვდილ-სიცოცხლის, შიშისა და ჩანი დაძლევის, გაუცხოვების, თავისუფლების, მარტოობის, ხსოვნის, არჩევანის მიღების, საყვარულისა და სიძულვილის, მშობლისა და შვილის ურთიერთობის, დანაშაულისა და სასჯელის... სინამდვილის ყოველი ფაქტი იქცევა მედიტაციის მიზეზად, ყოველივე მომხდარი ან მოსახდენი გმირის შემეცნებაში აირეკლება თავისებურად, უკომპრომისოდ შეფასდება და გაანალიზდება. ყველაფერი ეს ქმნის რომანის პოეტიკას, იგი მთლიანად ცნობიერების ნაკადის გამოვლენაა ყველა თავისი თავისებურებით, ყველა სირთულით.

რა ხდება რომანში?

ამ კითხვაზე ორი პასუხი არსებობს — რა ხდება რეალურ დროში (რომელიც სასრულია) და რა ხდება წარმოსახულ დროში (რომელიც უსასრულოა).

რეალურ დროში თხუთმეტი წლის ბიჭი შეეხვრება მილიციის რეიდის დროს როგორ მოკლა, აკრძალვის მიუხედავად. მასზე ცოტა უფროსმა გოგომ ვიღაც „უცხო“, რომელიც შეიძლება სულაც არ იყო ყაჩაღი, როგორც დასმენის გამო ზოგს ეგონა, უბრალოდ მგზავრი იყო, უბრალოდ ადამიანი, ან სულაც გამორჩეული, ვიღაც, როგორც თვითონ ნიკოს ეგონა.

აბსურდულია ეს მკვლელობა, ყველაზე მეტად ამ აბსურდულობასა და არაადამიანობას ნიკო გრძნობს და განიცდის, იგი ლოგინად ჩავარდება და ერთი თვე ებრძვის ზმანებებსა და ხილვებს, ერთი თვე „იბადება“.

ეს უკვე მეორე დროა, უსაზღვრო დრო, სადაც ნიკო ილიას მკვლელობასაც შეეხვრება, მისი მკვლელის უქმი ცხოვრების მოწმედაც გაგეხდის, მთელი ცხოვრება რომ მკვლელობისათვის ჯილდოს ელოდება. მისი შავი ხისხელი და მისი, კაცისმკვლელის ბედი მიხსავე დისშვილში, გოგიაში, გაგრძელდა, რომელიც ალბათ ახლე მოუთმენლად ელის მკვლელობის საზღაურს. მაგრამ დრო გადის და ყველაფერი ცნობდება — ილიას მკვლელმა „ღმერთი“ მოკლა, მისმა დისშვილმა გოგიამ „ვიღაც უცხო“. მაგრამ ორივე მკვლელობაში დროის, საზოგადოების მანკიერებაც ჩანს და არა მხოლოდ პიროვნებისა. ხაზგასასმელი სწორედ ისაა, რომ პიროვნების თვითჩამოყალიბების იქით, პიროვნების ზნეობრივი კრიტერიუმების დადგენების იქით, თავად იმ საზოგადოების ჩამოყალიბებისა და თვითგანწმენდის ტენდენციებიც ვლინდება, სადაც ცხოვრობს ეს პიროვნება, ყმაწვილი კაცი — ნიკო.

ჩვენი უაბლოესი წარსულის ბევრი უცნობი მხარეა აქ გამომზეურებული, გაანალიზებული და გადაუფასებელი. წინა ხამ რომანში

ოთარ ჭილაძეს ქართული ცხოვრების სამი დიდი პერიოდი შეისწავლა: პირველი — ჩვენთვის მითად ქცეული წარსული ერისა („ბაზაზე ერთი კაცი მიდიოდა"); მეორე — საქართველოს დამოუკიდებელი სამეფოს გაუქმების შემდგომი პერიოდი („ყოველნაი ჩემნაპ მპოვნელმან"); მესამე — მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ვიდრე ჩვიდმეტი წლის რევოლუციამდე („რკინის თეატრი"). მეოთხე რომანში („მარტის მამალი") საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის შემდეგდროინდელი მოვლენებია ფრაგმენტულად აღწერილი. ამ მოვლენებსაც მხოლოდ ის ფუნქცია აქვს, რომ სხვათა მონათხრობის საფუძველზე საკუთარ წარმოსახვაში მოზარდმა დაამყაროს თავისი მიმართება წარსულთან, არა მარტო წარსულის ადამიანებთან თუ ამბებთან, არამედ ზნეობრივ კრიტერიუმებთანაც. ეს ფაქტიურად ჩვენი თაობის, ახალი თაობის, რომელიც ... სამეფოს წლის ადამიანების წარსულთან დამოკიდებულების მოდელია, იმ თაობისა, რომელმაც ზურგი ბავშვობა ნავთისა და პურის რიგში გაატარა, რომელსაც ბევრი რამ აკლდა, მაგრამ ... ადრე ჩამოყალიბდა პიროვნებად, კაცად.

ოთარ ჭილაძის რომანებისგან განსხვავებით „მარტის მამალი" არაა ისტორიული რომანი, თუმცაღა ისტორიის ახლებური, დღევანდელი დღეების შესახებ ამბავი შეგვასენა კ. ... ...

ბიარე, ფანტაზიორებისა და განზოგადებული მსჯელობისადმი მიდრეკილი, ბუნებრივად წიგნის ლოგიკით და ცნობილი ლიტერატურული ფრაზებით რომ აზროვნებს. აკი დიდი ნიკოხი იტყვის კიდეც მასზე — „შეიძლება, ბევრ რამეს წიგნებიდანაც ლაპარაკობს“.

და აი, ეს დაუცველი სული შემთხვევით მოწმე გახდება, დანგრეული ეკლესიის თავშეფარებული უცნობის მკვლელობისა. ნიკოსთვის მოკლული „თითქოს მართლა ზღაპრიდან იყო მოსული, მართლა ზღაპრის გმირი იყო, სულაც ამირანის შვილი, მის მიერ წარმოდგენილი (შეადარე იქვე: „ვანო მასწავლებელი ამბობს, ყველანი ამირანის შვილები ვართო“.), მის წარმოდგენაში გაცოცხლებული და ამტკიცება, სხვებისთვის არარსებული, ყოველშემთხვევაში, სხვებისთვის უხილავი, ძნელად წარმოსადგენი“.

ამირანის, ქართული მითოლოგიის გმირის. ღმერთთან მებრძოლის, პრომეთეს ტოლფარი გმირის მემკვიდრის მკვლელობამ შეძრა ყმაწვილის სული, მისივე სიტყვებით „დღეანდელი, ანუ გუშინდელი დღე თუ არა, ნიკოს ცხოვრებაც სულ სხვანაირად წარიმართებოდა ალბათ (ალბათ უკეთესად), ნიკოც სულ სხვანაირი კაცი დადგებოდა (ალბათ უკეთესი)“.

მკვლელი კი თითქმის მისი კბილა ბიჭი იყო, უწყინარი მილიციელის. უფარაანთ გიორგის შვილი — გოგია. იმ პატარა რაზმში, რომელიც უცნობის დასაპატიმრებლად მოდის, მარტო იგი „არ არის მილიციელი, მაგრამ ამ პატარა რაზმში ალბათ უველაზე მეტად მაინც იმას მოსწონს მილიციელობა, შეიძლება იმიტომაც, მისთვის ყველაზე საშიში და მისაბაძი კაცი, საკუთარი ბიძა, დედის ძმა, მთელი სიცოცხლე მილიციას რომ ემსახურება“.

გოგიას ბიძა ილიას მკვლელია (გაიხსენეთ ილიას მკვლელობა „რკინის თეატრში“, მკვლელობა, რომელიც სცილდება ერთი კაცის ტრაგიკულ ხვედრს, იგი ერთმა „ღმერთის მკვლელობად“ აღიქვა. „მარტის მამალში“ ოთარ ჭილაძე ისევ უბრუნდება „მოკლული ღმერთისა“ და მკვლელის თემას, უფრო ღრმად და უფრო ბოლომდე ამბობს სათქმელს), მისთვის იგი, ილიას მკვლელი, განსაკუთრებული ადგილია. მან, გოგიამ, „მაშინვე დაივიწყა თავისი მილიციელობა და ბიძამისის ერთ-ერთ თანამზრახველად წარმოიდგინა თავი, — ვითომ, აქ კი არ იდგა, ნასვამდრალთან, ვიღაც ბაზრის ქურდისა თუ გატაცებული დეზერტირის დასაჭერად, არამედ ილიას ეტლის გამოჩენას ელოდებოდა წიწამურის ბაღაში, „დაძაბული“, „გახუსული“ — როგორც ბიძა უყვებოდა პატარაობისას. „იმედი რომ გადაგვეწურა, სწორედ მაშინ გავიგონეთ ეკვნების წკარა-წკარიო“. გოგიასაც ჩაესმა თითქოს ის ეკვნების წკარა-წკური.

გოგია, ალტაცებული მსმენელი ბიძამისისა და მისი ალი-კვალი. პოტენციური მკვლელობა და აკი პირველივე შესაძლებლობისთანავე კლავს კიდეც ადამიანს ლიტერატურის აკრძალვის მიუხედავად („არ ესროლოთ, არ ესროლოო“), მისთვის უცხოს, არც იცის რისთვის.

მკვლელობის უნებურ მოწმეს, ნიკოს, შიში დათრგუნავს, მაგრამ როდესაც მკვლელმა გოგიამ მოკლულს თითიდან ბეჭდის ჭაძრობა დაუპირა, „მაშინ კი ვეღარ მოითმინა ნიკომ — ჯაბანარში ჩამალული, დაკაწრული — დაბღირნილი უცეს ფეხზე წამოვარდა: კაცის მკვლელო, გოგია, კაცის მკვლელო, გოგიაო“.

გოგია გველანკბენივით შემობრუნდა ხმის კენ, დამფრთხალი, დაფეთებული თვალები გადმოცვენაზე მჭონდა. მართალია, ნიკო დიდხანს ანადგანა შიშმა ჯაბაში — თითქოს ელექტრონის გაწყვეტილ მავთულზე ეკიდა ხელი, მაგრამ იქამდე, ვიდრე გოგიას თვალებს დაინახავდა, თურმე, საერთოდ არ იცოდა, რას ერჩვა შიში. მერე ალარაფერი ახსოვს, ახსოვს მხოლოდ, თუ როგორ ელოდებოდა თოფის ხმის გაგონებას. მირბოდა და მთელი ტანით გრძნობდა, როგორ უმიზნებდა გოგია თოფს, მირბოდა და უკვირდა, რატომ აყოვნებსო. ეჭვიც არ ეპარებოდა, გოგიას რომ უნდა მოეკლა იგი. დიახაც, რომ იმსახურებდა გოგიას ხელით სიკვდილს, რადგან მარტო მან იცოდა ის, რაც მის თვალწინ ჩადენილ მკვლელობაზე მეტად ადასტურებდა, სულიან-ხორციანად მკვლელი რომ იყო გოგია“, „ნიკო იყო ერთადერთი მოწმე გოგიას ყველაზე დიდი სიდადუმლოსი“, და მისი რწმენით, სწორედ ამიტომ უნდა მოეკლა იგი გოგიას, „სულ უნდა ეძებნა იგი, თავად კი სულ უნდა დამალვოდა, გაქცეოდა გოგიას. — და გაჩერდა კიდეც. გაჩერდა უკანმოუხედავად, თავქუდმოგლეჯილი, პაპასავით“. დაიმახსოვრეთ ეს ბოლო სიტყვა. პაპამისიც მშიშარა მოწმე იყო თავის დროზე, გაქცეული, ზმანებებში დალალული. იგი ხომ ბრძოლას გაექცა. „მტრებმა არც ტყვია დაუბალეს, არც ცხენებს გადაათელინეს — ჩვენ რას დაგვმართეს იმდენს, რაც შენს თავს დამართეო“. ეს შიში მთელი ცხოვრება გაყვება ნიკოს პაპას. მუდმივი შიში არის მისი და მისი თაობის ტრაგიკული ხვედრი.

შიშით პიროვნების, ხაზოგადოების დათრგუნვა ერთი მთავარი მოტივია რომანისა. ნიკოც, ხომ პაპამისივით, შიშით ატანილი, სიზმრებსა და ხილვებში გაურბის სინამდვილეს, პაპამისივით „თვალებს ხუჭავს“, ვითომ ხანიავს, როცა მისთვის ხაშში სიტყვები ესმის... მაგრამ ნიკოს მთელი ავადმყოფობა ამ პირადული შიშის დაძლევის წარმატებითი ცდაა (რომლის უკან გლობალური მასშტაბიც ეკითხება, ნიკო ხომ თაობის განსახიერებაა). და

თუ ნიკოს პაპა უტყვი მოწმე იყო ყოველივისი. თუ მან შიშსა და რაღაც ავბედითის შეუცნობელ მოლოდინში გალია ცხოვრება, ნიკო უტყვი მოწმე არასოდეს არ იქნება. მან დაძლია შიში, იგი აქტიური მოქმედების პათოსით აღვსილი პიროვნებაა, ღირებულებათა ზუსტი ნიბრით.

ნიკოს ამ ერთთვიანმა ავადმყოფობამ თუ ერთთვიანმა სიკვდილმა მართლაც ბევრ რამეზე აუხსნა თვალი. რაც მთავარია, ახლა დანამდვილებით იცის, სიცოცხლეც რომ ისევე ძნელია, როგორც სიკვდილი; ერთი რაღაცის ამოხსნას გვავალდებულებს, მეორე კი რაღაცის დაძლევას". მაგრამ მე ახლა არ გავყვები ამ აღმოჩენების აღნუსხვას, ნიკოს რომ ერგო წილად, მთავარი ისაა, რომ „ის ჯერ მხოლოდ ემზადება სიცოცხლისთვის, წარღვნას გადარჩენილი, ორგზის ზობილი, შემცბარი, დაბნეული, ოღონდ უვიცობითა და ავადმყოფობიდან გამოყოლილი სიხსტატით კი არა, სიბრძნითა და სიჯიუტით, ბუნებისა და ცხოვრების ოხშივრით გაჟღენთილი, გამძღარი".

მეოცრდება რომანი, როგორც ვხედავთ, უმაწვილი კაცის დაბადებით, იგი პირით სიცოცხლისკენაა შებრუნებული, მზადყოფი სამოქმედოდ, საბრძოლველად. წესით მან ალბათ ძნელი და სავსე ცხოვრებით უნდა იცხოვროს. მაგრამ ეს უკვე ჩვენი წარმოსახვაა. ერთი კია, ამ რომანის ბოლო წინა სამი რომანის ფინალს მახსენებს. შეადარეთ:

პირველ რომანში ჯვარზე გაკრულ ფარნაოზს, სიკვდილის წინ ეშმაკება ბიწიერების სადგომიდან გაპარული დარიაჩანის სასწაულებრივი ბაღი და გაქცეული ზღვის დაბრუნება. გრძნობს, როგორ ცქმუტავს ხელში ატაცებული, გაფრენის სურვილით სავსე კუტი ეკროხი.

„— აი, ასეთი იქნება ქვეყანა — ჩასჩურჩულებს ფარნაოზი ბავშვს.

— ასეთი ხომ არის?! — გაუკვირდა ეკროხს.

— ხო, არის და იქნება კიდეც. — უთხრა ფარნაოზმა.

ესაა ჯვარცმა ფარნაოზისა, მაგრამ ფარნაოზის სულის გადარჩენაც.

ასე თავდება „ჯაზზე ერთი კაცი მიდიოდა".

მეორე რომანში ალექსანდრე მაკაბელის ცალხელა მეამბოხის, გადარჩენაა მისი ძმის „ნიკოს შვილი, მისი სისხლი და ხორცი, მისი არსებობის გამმართველები და განმმტკიცებელი, ჯერ კიდევ ხუსტი, ჯერ კიდევ პატარა სიცოცხლე, მაგრამ მაინც სიცოცხლე: ჯიუტი, მზარდი, თამამი, ხალისიანი... ბიძამისის, ამ ცალხელა ამბახის, წყალობით სამუდამოდ გადარჩენილი და სამუდამოდ დაბრუნებული შინ".

ასე თავდება „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან".

მეხამე რომანში ჯერ კიდევ უმაწვილი, მაგრამ ბევრის გადამტანი, და ბევრის დამკარგავი ბელა ასევე სამშობლოსკენ მომავალ გზაზე ადგას. მან უკვე იცის, რომ „სულის მოსპობა გაცილებით ძნელია, ვიდრე ხორცისა", იცის რას გლოვობს, რა მდიდარია ბევრი რამის დამკარგავი, და რა მძიმე, რა საპატიო ტვირთი ჰკიდია ჯერ კიდევ ბავშვურად სუსტ მხრებზე. „მარტო შვილი კი არ იყო ვიღაცისა, არამედ ვიღაცის მამაც. ძე წარსულისა და მამა მომავლისა!"

ასე თავდება „რკინის თეატრი".

სამივე რომანში უმთავრესი პრობლემა — თავისუფლება პიროვნებისა და თავისუფლება ერისა — სწორედ ამ ზნეობრივად უმწიკლო უმაწვილებმა უნდა გადაწყვიტონ.

ნიკოს კაცად ჩამოყალიბება წარსულის მრავალგზისი გადააზრება-გადაფასებით ხდება და პიროვნების სულში მიმდინარე ამ პროცესს რაღაც კი არა, ბევრი, ძალზე ბევრი რამ აჭვს საერთო თავად საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებთან, ბევრი რამის გადაფასებასთან, ახლებურად დანახვასთან, თვითგანწმენდასთან. ნიკოს „რაკი თავისიანებს ოდესმე შიში უპოვიათ, ყველა გადატანილი აქვს, თანაც, თავისიანებივით. ერთხელ და შემთხვევით კი არა, წინასწარ განზრახვით, შეგნებულად და იმდენჯერ. რამდენჯერაც მოეპრიანება, რამდენჯერაც გუნება-განწყობილებისამებრ, წარმოუდგენია, შეუღალაზენია, განუფიცია და, რასაკვირველია, „გაუპოეტურებია" სხვის თავს გადამხდარი ამბავი, ბიფთი, შემთხვევა, ძირითადად თავისიანებისგან მოსმენილი. შეიძლება მის დაბადებამდეც მომხდარი, მაგრამ მის მიერ ხელახლა აღდგენილი, მისგან ხელმეორედ სულჩამდგარი, რის გამოც, ისინი ხშირად, საკუთარ დედნებსაც აღემატებიან ხოლმე სიმძაფრითა და სიხასტიკით, დედნებზეც დიდხანს ინარჩუნებენ ზემოქმედების უნარსაც"... „იმავე ნიკოს გამოგონებულური ნიკისა და უალრესად მგრძნობიარე ბუნების წყალობით, ბევრად აღემატება სინამდვილეს".

ნიკოს გარშემო ვინც არის ყველა ფაქტიურად ორ სივრცესა და ორ დროში, არსებობს — ერთი კალენდარული დროით პირობადებული რეალური სივრცეა, მეორე კი ნიკოს წარმოდგენაში არსებული მუდამ შეკცევადი დრო და უკიდეგანო სივრცე. ამიტომაა, რომ ნებისმიერი გმირი ნიკოს წარმოდგენაში უფრო თავისუფლად, სრულად იგსნება, უფრო რელიეფურად არის წარმოდგენილი. ყოველივე ეს თავად ნიკოს ბასიათს ამრავალფეროვნებს და ამდიდრებს. და ხშირ შემთხვევაში მისი თაობის (ადრე დაკაცებული თაობის) ხასიათს, ფიქრს, ოცნებას, ეკუნი თუ იმედებს გადმოსცემს. ერთი მაგალითი: ნიკოს პაპამ, ჭარბოული ჯარის შეშინებულმა ჯარისკაცმა, მიატოვა თავისი ადგილი და ხალხისკენ გამოიქცა. ამ გამოქცევის შესახებ ჩვენ ძა-

ლიან ცოტა რამ ვიცით. ცოტა რამ იცის ნიკომაც, მაგრამ „გამომგონებლური ნიჭისა და უალრესად მგრძნობიარე ბუნების წყალობით". იგი ქმნის მეორე, გამოგონილ, მაგრამ არანაკლებ რეალურ სინამდვილეს, სადაც ყველა როლს თვითონ, ასრულებს — გენერალი იქნება ის თუ შეშინებული საკუთარი პაპა. ამ გამოგონილ, ნიკოსეულ სინამდვილეში პაპა მარტო შეშინებული კი არა, იმედიანი კაციც სჩანს, რომელსაც ერთმანეთის გამომრიცხავი ფიქრები და ეშვები დაუფლებია: „ვინ იცისო, — ფიქრობდა და მირბოდა, — იქნებ დაადგეს საშველიო, იქნებ ერთ მშვენიერ დღეს, ისევ გამოვიდეს საშუალებაზე უფალანგმით დაბეჩავებული ხალხიო. — ფიქრობდა შიშითა და მოუსვენლად გამომტყვარალი იმედით აღგზნებული, აფორიაქებული, საკუთარი აღსასრულის შეგრძნებით გაღონიერებული და თუნდაც მხოლოდ ამტკივნ, ნებისმიერი სიგრცის, ნებისმიერი სიცარიელის გადალახავი. — იქნება, ჩვენც შეეძლოთ ცუდის მოშორება და კარგის შენარჩუნებაო"... „ვინ იცის, იქნება ჩვენც ვაოქმეგენთო სხვას, აი თუ არ იყვნენ სიცოცხლის ღირსნიო, აი, თუ არ შეიძლებოდა მაგათი აშვებაო". ხშირად გულუბრყვილია განსჯანი სხვის ნიღაბმორგებული ყმაწვილისა, ხშირად კი იმდენად ბრძნული, რომ გიკვირს დაიჯერო, რომ ამ როლის ტექსტი თხუთმეტი წლის ყმაწვილს ეკუთვნის. ამ სიტყვების უკან თაობის სიბრძნე დგას, ზრდადასრულებული, ცხოვრებაგამოვლილი თაობის სიბრძნე და ასახდენი დიდი იმედი.

ნიკოს წარმოდგენაში ორი საქართველო შეერთდა და ორი საქართველო დაშორდა ერთმანეთს, პაპის საქართველო და ნიკოს საქართველო. ფა ჰქ, ორი სამყაროს გასაყართან თუ შესაყართან მაშლის მოულოდნელი ყივილი არღვევს წარმომდგენელის წარმოდგენილი სამყაროს, სადაც სიჩუმეში მეწინავე რაზმი, მაცნე პაპის საქართველოს დასასრულისა, გადმოვიდა ხიდზე... ყველაფერი ეს ნიკოს წარმოდგენაშია და მას შეუძლია მეწინავე რაზმი უკან გადაიყვანოს ხიდზე, „მაგრამ ასე რომ მოიქცეს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ წარმოდგენას გააუფასურებს, რომელიც სწორედ ამით არის მომზიბველლიცა და ძვირფასიც, სინამდვილე, ნამდვილად მომხდარი ამბავი რომ უდევს საფუძვლად და მის მიერ გალამაზებულიც", „გაპოეტურებულიც" საბუთის ძალასა და შეუფალობას ინარჩუნებს ყოველთვის, ასე სურს თუ არა, მოსწონს თუ არ მოსწონს, თავად წარმომადგენელსაც კი".

სინამდვილის ასე გარდატება გმირის წარმოსახვაში და მის შუალობითი ასახვა ის შინაგანი კანონია „მარტის მაშალისა", რომლის გათვალისწინების გარეშე ამ რომანის სრულად გაგება შეუძლებელია.

მკითხველი იმახაც შეამჩნევდა, რომ ოთარ ჭილაძის პროზისთვის ტრადიციული მამალი ახალი სინამდვილის მაცნე, სიმბოლო ანუ მუდმივი თანმყოფელი დასაწყისისა, აქაც, ამ რომაწში იმავე ფუნქციით იჩენს თავს. ასევე სიმბოლური გააზრება ნაწილობრივ იგულისხმება რომანის სათაურშიც, რომელიც მთავარ გმირს, ნიკოს გულისხმობს, მაგრამ იმ ადრე დაკაცებულ თაობასაც, რომელსაც უდაოდ ჰქონდა პრეტენზია რაღაც ოფლობრივად ახალი შემოტანა ჩვენს ცხოვრებაში.

რომანს, თავიდან ბოლომდე ემოციური ლაიტმოტივად გასდევს ოთარ ჭილაძის რომანებისთვის ტრადიციული მოტივი — შვილისა და მამის ურთიერთობის მოტივი — ერთმანეთისაკენ მუდმივი ლტოლვისა და მუდმივად ტრაგიკული დაშორების მოტივი, მამა — რომორც შვილის მუდმივი ოცნებების ობიექტი, შვილი, — მამის მიხწრაფებათა განსახიერება. მტკივნეულია ამ ორი მუდმივად ერთმანეთის მაძიებელი სულის კვეთებანი. მამა-შვილის გარეგნული ანტაგონიზმის უკან აქ დიდი მამა-შვილური სიყვარულიც ილანდება. ეს ხაზი რომანისა და ხაურთოდ ოთარ ჭილაძის პროზისა, ეტყობა, ცალკე და სერიოზული მსჯელობის საგანად უნდა იქცეს. მით უფრო, რომ ეს მოტივი საკმაოდ ტრადიციულია რომორც მსოფლიო, ისე ქართული ლიტერატურისთვის (გავიხსენოთ თუნდაც 20-30-იანი წლების ქართული მწერლობა). ამ მოტივის განსხვავებულ ინტერპრეტაციაში იკვეთება შესაბამის ეპოქათა განსხვავებული ხასიათიც.

აქვეა დედაც ნიკოსი, უნაზესი ქალი, ქმრისთვის თავშეწირული მეუღლე და შვილისთვის მოდამ მონატრებული დედა, რადგან იგი სულ ქმართანაა, ავადმყოფ ქმარს უვლის სხვა ქალაქში. ნიკოსთვის ეს ყოველივე მარტო ძუდმივი და გაუნელებელი სევდის მიზეზი კი არაა, არამედ მამისადმი გაუცნობიერებელი ეჭვიანობის მიზეზიც. ნიკოს იგივე სჭირს, რაც მშობლებს მოშორებულ და მშობლებს დანატრებულ ყველა ბავშვს და ამ სამი ადამიანის ტკივილებს მიღმა თუ ვინმე ოიდიპოსის კომპლექსის ანარეკლს დაინახავს, ეს ლიტერატურას კი არ უნდა დაანმოალოს, არამედ რეალურ სინამდვილეს. ეს ყველაფერი რეალურაში არსებობს.

მეტად მნიშვნელოვან პრობლემად მესახება რომანის ერთი ძირითადი ხაზიც — წარსულთან დამოკიდებულება, რაც ილია ჭავჭავაძესა და მის მკვლელობასთან დაკავშირებული რეალობის, მსხვრევისა და მკვლელის მოტივის ინტერპრეტაციაში ვლინდება.

ესეც ეპოქის ხასიათის გამოვლენაა და დროის პარადოქსი, ილია ჭავჭავაძის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება ხომ არ იყო ერთგვარი, ერთბანს ილია ფეოქტიურად აკრძალულიც იყო (გახსენეთ რაპპელების ანალოგიური დამოკიდებულება პუშკინის მემკვიდრეობასთან. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორკისთან). 1931 წელს ილია ჭავჭავაძის გამოსარჩლებისათვის საქართველოს მწერალთა კავშირიდან გარიცხეს (ნაციონალისტობის დამღით) — კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, იოსებ იმედაშვილი (გაზ. „კომუნისტი", 1931, № 181), ხოლო თვით მისი მკვლელი ბერიბეაშვილი კარგა ხანს პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდა, შემდეგ კი პენსიისაც დებულობდა და მიუხედავად იმისა, რომ იგი ტრაბახობდა კიდეც ილიას მკვლელობას და პენსიის მომატებას მოითხოვდა, მხოლოდ 1942 წელს გაასამართლეს და სიკვდილი მიუსაჯეს. ეს ყველაფერი იყო და ამას ვერსად წაუხვალ. იყო ისიც, რომ 1928 წელს გამოცემულ ილია ჭავჭავაძის მეცხრე ტომს ერთვის ფილიპე მახარაძის წერილი — „თავის გამართლებაც ასეთი უნდა! (პასუხად თ-დ ილია ჭავჭავაძეს) — ეხეა ილიას 1905 წელს დაბეჭდილი წერილის „ნუთუ"-ს გაბიაბრუების ცდა, დღეს ბევრი რამის მთქმელი.

ყურადღება მიაქციეთ, ყველაფერი ეს იაბეჭდება მკვლელობამდე ორი წლით ადრე. ილიას 1907 წელს მოკლავენ. ამ წერილში, მახარაძის წერილში, მომავალი ტრაგედიის კონტურები ილანდება. მახარაძის აზრით, ილია „ნუთუ"-ში „თავის თავს სამარეს უთხრის", ის წერილი „უსასტიკესი საბრალდებელი ოქმია თავისივე ხელით შედგენილი და ხელმოწერილი. ეს არის თავისივე ხელით თავის მოკვლა. თ-დ ი. ჭავჭავაძის წერილში არც ერთი წინადადება, არც ერთი სიტყვა არაა, რომელიც მას არა თუ ბრალდებიდან ათავისუფლებდეს, არამედ ამ ბრალდებას რამოდენიმედ მაინც უმსუბუქებდეს". „ქალამმა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავის დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო, — სწორედ ამაზე ითქმის". ორი წლის შემდეგ სისრულეში მოყვანილი განაჩენი აქ უკვე წინასწარაა გაცხადებული.

მარტის მამალის, თხუთმეტი წლის ნიკოს, ერთი ძირითადი საფიქრალი და პასუხგასაცემი კითხვა სწორედ ამ ეროვნული ტრაგედიითაა დაბადებული. როგორ მოხდა, რომ ერის მამა ქართველმა კაცმა, მოკლა, როგორ მოხდა, რომ წლების მანძილზე მკვლელი დააბიჯებდა ქართულ მიწაზე, საქართველოს პიერით სუნთქავდა და ქართველი ხალხის ლუკმას ხვამდა. როგორ და რაგომ მოხდა, რომ ილიას, „იმ დალოცვილს, ერთ დღეს რომ ტალახში ამოთხვრიდნენ — ბატონია, მტერიაო — მეორე დღეს მეცხრე ცაზე აფაკავდათ ქება-დიდებით, იმის მკვლელმაც, ბუნებრივია, აღარ იცოდა. რა ეფიქრა, რა ეღონა".

ეს მარტო დიდი ეროვნული ტრაგედია არ გახლავთ, დროის ტრაგედიაცაა, იმ საზოგადოების ტრაგედიაც, რომელმაც კარგა ხანს ვერ მოახერხა პასუხი გაეცა დასმულ კითხვებზე, სიმართლისთვის თვალებში შეეხედა. ჩვენ ნიკოსავით ვხუჭავდით თვალებს. როცა რაიმეს დანახვა არ გვსურდა. სწორედ ამიტომაა, რომ წარსულთან გონიერული დამოკიდებულება დღეს ჩვენი საზოგადოების ერთ უმთავრეს არა მხოლოდ ლიტერატურულ, არამედ პოლიტიკურ პრობლემად იქცა და საზოგადოებრივი აზრის მოწიფულობის საზომადაც. ამდენად არაა გასაკვირი, რომ ეს პრობლემა ოთარ ჭილაძის რომანს ერთ-ერთ ძირითად ხაზად გაჰყვება, მაგრამ ყოველივე ეს რომანში ემპირიული ფაქტიდან მხატვრული ფაქტადაა გარდა ხასული. სისხლის. სამართლის ქრონიკის ერთის შეხედვით ბანალურ ფაქტს, სინამდვილეში კი ეროვნულ ტრაგედიას, რომანში დაძებნილი აქვს საწყისები პიროვნებათა (უფრო სწორედ პიროვნების) სულისმიერ სიმპიხნჯეში. რადგან ამ ბოროტების ჩადენა სულიერად ჯანმრთელ ადამიანებს არ ძალუძთ. ისიცაა შეიმჩნევადად ნაჩვენები, რომ გენი ამ სიმპიხნჯისა, კაცისკვლით თავგამოჩენისაკენ სწრაფვისა, ისევ ცოცხლობს. უცნობის უმიზეზოდ მკვლელი გოგია ხომ ბიძამისს იმეორებს, მას ბაძავს, მასავით ელის მკვლელობის ჯილდოს.

აქ უკვე მინიშნებაა ეროვნული ფსიქიკაში მომხდარ არასახეოვნელ ძვრაზე, ანომალიაზე.

რაღაც მოხდა.

ყოველივე ეს არის ნიკოს წარმოდგენისა და განსჯის საგანი, იგი იქ არის — ილიას გვერდით, იქ მკვლელსაც ხედავს, მაშინაც და შერეც. მისთვის დროის საზღვარი არ არსებობს, რადგან მისი ფანტაზია უკოდეგანოა: „ნიკო, ახლა, ამდენი ხნის მერე დახეტიალობს მაშინდელ დროში"... „თითქოს გაჩენის დღიდან დროის დინების საწინააღმდეგოდ მიდიოდა"..

ჩვენ ვხედავთ როგორ ამოიჭამს ბოროტება თავის თავს, როგორ დაატარებს მკვლელი ყველგან ილიას სურათებით სავსე ალბომს, როგორი ავადმყოფური სიამაყით ათვალიერებს, როგორ იდებს თავვეზე სასთუმლად... იგი თავისი ცხოვრების გამართლებას, ილიას მოკვდინებაში ხედავს...

და მართალია, ყველაფერი ეს ეწინააღმდეგება რეალობას, ილიას ნამდვილი მკვლელი, პროტოტიპი ამ გმირისა, სულაც არ ყოფილა ასე დაუმსახურებლად მივიწყებული, მას თანამდებობაც ჰქონდა და პენსიაც, ნუ ვიჭმენით მკაცრნი... ეს ხომ მხატვრული სინამდვილეა. ნურც იმაში განვსჯით ნიკოს მკაცრად, რომ იგი ილიას მკვლელზე, ისევე, როგორც ბევრ სხვა რამეზე, უკვე არსებული მხატვრული ტექსტის მიხედვით ფიქრობს, ეს მისი ხასიათია, ლიტერატურაზე, გაზრდილი კაცის ხასიათი, აკი გამოკრთება ხოლმე მის მეტყველებაში ამა თუ იმ ლექსის ალუზია... ერთი კია ნიკოს მიერ მკვლელის წარმოდგენა და საერთოდ მკვლელის მოქმედება და დადამკიდებულება მსხვერპლთან შემდეგ, მკვლელობის შემდეგ, ორიოდე დეტალით, ზემოთ რომ მივანიშნე, უდაოდ ჰგავს იმ მხატვრული ფილმისა და მხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტვრული ტექსტის პახაეებს, რომელიც არ შეიძლება ნიკოს სცოდნოდა, ისინი ოთხმოცდაინ წლების მხატვრული ფილმის, თუ მხატვრული ტექსტის კუთვნილებაა.

ამაზრზენია მკვლელის ცოცხლად დალპობა — მატლები რომ ეხევიან, მატლებით რომაა გადათესილი — შუშანიკსაც მატლები დაეხვივნენ თუ გახსოვთ („წამებანი შუშანიკისი"), მაგრამ იქ სულიერმა სიმაღლემ დათრგუნა ზორცი და მატლი მაჩვენებელი იყო სულის გამარჯვებისა. აქ კი კაცი სულიან-ხორციანად დალპა.

მაგრამ ყველაზე შემაძრწუნებელი და დამფიქრებელი ის არის, რომ „ღმერთისმკვლელ" ბიძას ჰყავს თავისი შავი საქმის გამგრძელებელი, დისშვილი გოგია. მას ნიკო უპირისპირდება. ბოროტებისა და სიკეთის ყლორტი ამ ორი მოზარდის სულში ხარობს, მათი ერთმანეთის გვერდით არსებობა შეუძლებელია, ერთმა მეორე უნდა მოსპოს. და ნიკოს პირველი ნაბიჯი, შიშის მიუხედავად, მკვლელს თავისი სახელი დაარქვას, აქეთკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. მთავარი ბრძოლები ჯერ წინ არის, მაგრამ ყველაფერი ხომ იქიდან იწყება, რომ თავის სახელს ვარქმევთ მოვლენებს...

ნიკოს მეორედ დაბადებასა და მის სულიერ ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით მის გარშემო მყოფთ. ახლობლებს თუ უცხოებს რომელნიც მისი სულიერი სამყაროს ბინადრებად ქცეულან. ხომ თითქოს ყველასთან გაუცხოვდა ნიკო ავადმყოფობის ერთი თვის მანძილზე, მაგრამ სწორედ ისინი, „უცხონი" — ვანო მასწავლებელი, ექიმი, უსინათლო სანდრო აკავშირებენ მას სინამდვილესთან, წვრთნიან მის სულს, მისი მეორედ დაბადების მონაწილედ იქცევიან. ადამიანი საკუთარ ჭუპრშიც ჩაკეტილი, არაა მარტო. ყოველ შემთხვევაში სულის გადარჩენის გზა თვითიზოლირების გზას არ მისდევს. ნიკომ უკვე ისიც იცის, რომ „სიმარტოვე მარტო ყოფნა კი არა, ყველაფრისგან განდგომაა და არაფერი აქვს საერთო დამოუკიდებლობასთან, მით უფრო თავისუფლებასთან, რადგან დამოუკიდებლობა და თავისუფლება, სწორედ, ცხოვრებისთვის, ბუნებისთვის ფეხის აწყობაა, განსაცდელისთვის თვალის გასწორებაა და არა წუხილით, არამედ საქმით დამტკიცება იმისა, ტყუილუბრალოდ რომ არ გაუღიოთ შენინაგუს ამბელა მსხვერპლი, ღირსს რომ იყავი არა მარტო გაჩენისა, არამედ გადარჩენისაც". ამისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა იმანაც რადაც ცის გადარჩენა დაძსახოს მიზნად.

უდაოდ მნიშვნელოვანია რომანში თვალით უსინათლო, მაგრამ სულიერი მზერით ყველაფრის მხედველის სახე — სახე ბრმებისა, რომელთაც „ცისკვის მიუპყრიათ უსარგებლო თვალები. თითქოს რაღაცას უსმენენ. თითქოს იოსებას ბრინწიან სიმღერასა და ჩარხის ღრჭიალში, კიდევ სხვა, მათთვის უფრო მნიშვნელოვანი ხმის გამორჩევას ცდილობენ. ალბათ იმის ხმისა, თვალის მაგივრობას რომ უწევთ" ეს ხმა ნიკომაც უნდა გაიგონოს, რადგან სულის სიბრმავე ბევრად ძნელია, ვიდრე თვალისა.

ჩვენც უნდა გავიგონოთ ეს ხმა.

კოლორატურული რომანში ექიმი, ნიკოს ექიმი. მას თავისი წინაპარი ჰყავს ოთარ ჭილაძისავე სხვა რომანში — „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან"... — რაოდენი სიმშვიდე, კაცთმოყვარეობა და სიბრძნეა მასში. სხვათაშორის, ამაღ რომანს ოთარ ჭილაძის სხვა რომანებთან რადენიმე სიმბოლო თუ მოქმედების სტერეოტიპიც აკავშირებს (ლიმონა, ლიმონის ხე, ლედვი. საათი, გვამი, გვამთან დამოკიდებულება და ა. შ.), ეს ქმნის სტილის მთლიანობის განცდას, მაგრამ ამის უკან ერთფეროვნების საშიშროებაც მოჩანს, მაგრამ ეს უკვე მეორეხარისხოვანია. მთავარი ისაა, რომ გმირის აღმოჩენები ჩვენს აღმოჩენებადაც იქცევა, ჩვენი საზოგადოების იმ ერთ უმთავრეს აღმოჩენად, რომელთანაც სულ ახლახანს მივედით: ადამიანი ბუნებამ გააჩინა „არა მარტო რაღაცის გამგრძელებლად, არამედ გამხსენებლადაც. მახსოვრობის წყალობით, ხვალინდელში უნდა გადაიტანო დღევანდელი, მომავალს დაახვედრო, რაც დღეს იცი, რაც დღეს განაცხავს, რაც დღეს განგიცდია, მოგიხსენია და დაგიმახსოვრია"... ყოველივე ეს, დღეს ჩვენთვის ასე გამწვავებული, ერთი მთავარი პრინციპია, ოთარ ჭილაძის შემოქმედებისა, რამაც კარგა ხნისწინ მისსავე ლირიკულ პოემებში იჩინა თავი. თუმცა უფრო ადრე განა ეს პრინციპი სამი დროის უწყვეტი ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანსაზღვრულობის დიდი პრინციპი — არ იყო ადამიანური ყოფისა და კულტურის საფუძველი?

ჩვენ მხოლოდ დავიწყებულს ვიხსენებთ.

იქნებ სწორედ ეს გახლავთ ოთარ ჭილაძის ახალი რომანის ერთი სიკეთეც. იგი კიდევ ერთხელ ჩაგვაფიქრებს მივიწყებულ ამბებზე, კიდევ ერთხელ აგვიფორიაქებს მიძინებულ ინდოს.

ადამიანები და ხასიათები

ლეილა მეხსის გმირები უმეტესად საზოგადოების იმ სოციალური ფენიდან მოდიან, დაც წარმატება იოლად მისაღწევი არ არის, საკუთარი უნარის, ნიჭისა და ენერგიის გამოვლენას, მით უფრო ინტელექტუალურ, შემოქმედებით სფეროში, ათასგვარი დაბრკოლება ელობება. ამ წინააღმდეგობათა ხასიათი ზზირად საზოგადოების სოციალური უთანასწორობით, ხელმძღვანელთა თუ გარშემოყოფთა უვიცობით, უსულგულობით. კონსერვატიზმის ანდა ანგარებითი ზრახვებით არის განპიროებული. მწერალი საფუძვლიანად იცნობს ცხოვრებას და ამ ცოდნის წყალობით ქმნის საინტერესო ხასიათებს, ღრმად სწვდება ცხოვრებისეული კონფლიქტების მიზეზებს, და მათ ყოველგვარი ხელოვნური შელამაზების გარეშე, ბუნებრივი მდინარებით, რეალისტური სტილით ავითარებს. ამ განვითარების შედეგად იკვეთება პერსონაჟთა ხასიათების ახალი ფერები, ყალიბდება გმირის სოციალური სახე. ბუნებრივია, გამუდმებული შეხება ცხოვრების პირველ რეალობებთან მათთვის ყოველთვის წარმატებით როდი მთავრდება, ზზირად იგი გულდასაწყვეტი წარუმატებლობით არის აღბეჭდილი ანდა სულაც საბედისწეროა.

„თავდავიწყება“ ჰქვია ლეილა მეხსის ერთ მოთხრობას, ამ მოთხრობის მთავარი გმირის რეზოს ცხოვრების ფონზე მძაფრად არის დახატული სოციალური კიბის სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ადამიანების სულიერი სამყარო, მათი ტკივილები. ვნებები და გატაცებები.

...ცოლ-ქმარი ფანჯარასთან ზის და თვალყურს ადევნებს მახლობლად მშენებარე მრავალსართულიან კოპწია სახლს, იქ მოფუსფუსე მუშებს. ამ სახლს თურმე მუსიკოსებისთვის აშენებენ.. გარშემო მცხოვრებ მობინადრეთა აზრით ეს შენობა გამორჩეული, სვეიდნიერი ადამიანებისთვის არის განკუთვნილი. მეუღლეთა ნაღვლიან მზერაში, მათს ძუნწ დიალოგში არის ხელმოკლეობით, ცხოვრებასთან გამუდმებული ბრძოლით მოკანცული, არცთუ ახალგაზრდა ცოლ-ქმრის სინანული შეუმჩნეველად გაფრენილ წლებზე და მარად მიუწვდომელ ოცნებებზე: „ისხდნენ ღია ფანჯარასთან და ახალ სახლს შესცქეროდნენ, სხვისი ცხოვრებით ტკბებოდნენ და ხალისობდნენ, ჯერაც მოშიშვლებული ფანჯრები, გაფუწყობელი ავეჯი. დაულაგებელი ბინა, უცხო ცხოვრების ახალ ჩვევებს, სამყოფელს, უფენდათ თვალწინ. ცოლი ამბობდა: მობინადრეთა უმეტესობას პიანინო ან როიალი უდგას — მერე დასძენდა: — ყველამ ერთად რომ დაუკრას ნეტავ ხასლს რა დაემართებოდა?

— დაინგრეოდა... ძუნწად პასუხობდა კაცი“.

ეს სახლი „ბედიდისწეროდ“ აღიმართა მათს ცხოვრებაში. როგორც მოთხრობის შემდგომი განვითარებიდან ჩანს, კაცი მხატვარ-კერამიკოსია, უმოშვრეარი, ოდებდაც ეუშაობდა ბილიკატურ ნაკეთობათა ქარხანაში, ნიჭიერი, თავისი საქმისთვის თავდადებული ხელოვანი იყო. ამ გატაცებით მან თავისუფალ დროს შექმნა ახალი სახეობის კერამიკული ნაკეთობანი, რომელთაც აღტაცებაში მოჰყავდა მნახველი, მისი ხელოვნება ძველი ქართული ტრადიციებიდან იღებდა სათავეს, თითქოს ეროვნული ფესვების ძიება, მათთან მიახლოებაც იყო, მაგრამ რეზოს შემოქმედებითი აღმაფრენა წაადუდა ქარხნის დირექტორის გულცივობასა და უვიცობას. მას წვრილმანი ანგარიში მოსთხოვა დირექტორმა: „ერთ დღეს დირექტორმა კაბინეტში გამოიძახა. როყიო ხმა, ფართო ხელები და თავხედი მზერა ჰქონდა დირექტორს, სულ სათითაოდ ჩამომაწერიგებინა გრძელ მაგიდაზე ტანსწერეტა კულები, ძველქართული ორნამენტებით შემკული ჯამები, ბაღალფეხიანი სასმისები, ...მოწონებას, ხელისგამართვას, ოთმ მოელოდა, შეკითხვა მისცეს:

— ეს დანაკლისი ვის დაეწერება? — დირექტორი კითხულობდა.

— რა დანაკლისი?

— თიხა, ჭიქური, ტყვია... ოქრო — ეკეთ მამაშენის დუქნიდან მოიტანე, ვინ მოგცა ნება?“.

ადვილად წარმოსადგენია ის სულიერი ტკივილი, რასაც ამგვარ სიტუაციაში განიცდის ოსტატი, ხელოვანი, სულიერ ღირებულებათა მაძიებელი ადამიანი. მიუხედავად იმისა, რომ მწერალს დირექტორისთვის უარყოფითი გზირის სტერეოტიპული ფიზიკური ნიშნები (როყიო ხმა, თავხედი მზერა, უვიცობა, უტიფრობა) აქვს მოხმობილი, ეპიზოდი მაინც ნაშნდომლივია როგორც სულიერი ინტერესების მკვეთრი დაპირისპირების ილუსტრაციაა. ანგარებითი, ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული სამყაროსა და რომანტიკული, სულიერი ძიებით

დამუხტული მხატვრის ხაბდიხწერო შეჯახება, რაც იმით მთავრდება, რომ რეზო ერთი ხელისწმინით ანადგურებს თავისი გატაცების ნაყოფს — კარამაკელ ქმნილებებს და ბამბაზურს ტოვებს. მას შემდეგ შინ არის გამოკეტული და იშვიათად ეჩინება საზოგადოებაში. ხოლო ოჯახის მატერიალური გაჭირვება სევდითა და ტკივილით ავსებს. ამ მომენტში რეზოს ცნობილი პიანისტი ქალი მოაკითხავს, იმ ხანლის ბინადარი, რომლის შენებლობასაც თვალყურს ადევნებდა ცოლ-ქმარი. პიანისტის ვიდაცის ჩაგონებით მხატვარი ხელოსანი ბგონია და ბინის გარემონტებას თხოვს.

იწყება რეზოს შინაგანი დრამაციზმით აღსავსე ცხოვრების ახალი პერიოდი, რაც ასევე დრამატიზმით ავსებს და აფორიაქებს ორი ქალის — მისი მეუღლისა და პიანისტის ცხოვრებას. თავდაპირველად რეზო კომპრომისზე მიდის ცხოვრების მატერიალურ მოთხოვნილებებთან და უცნობი ქალის თხოვნას ჭოჭმანით დაყვება, რადგან ამ შემთხვევაში საბოლოოდ უნდა უარმყოს თავისი შემოქმედებითი იდეალები და უბრალო ხელოსანად, კაფელის ოსტატად დადგეს. შემდგომში ეთერთან, ცნობილ პიანისტთან, მარტოხელა ქალთან შეხვედრა მათს რომანტიკულ გატაცებაში გადაიზრდება.

მოთხრობაში უპირველესად სამი ურთიერთგანსხვავებული ხასიათია საინტერესო, ერთი მხრივ, მხატვარ-ექვრმიკოსი, მისი რომანტიკული გატაცებების მსხვრევა, მისი აფორიაქებული. გაორებული ცხოვრება, მოკრძალება ხელოვანი ქალის საზოგადოებრივ მდგომარეობასა და ავტორიტეტთან, ამავე დროს ქვეცნობიერი გრძნობა იმისა, რომ ისინი ერთმანეთს სჭირდებიან, რათა ამოავსონ ერთმანეთის სულიერი სიცარიელე. ეს ხასიათები სოციალურად დეფორმირებული საზოგადოების ტიპიური ხასიათებია. პიანისტი ქალის მოჩვენებითი საზოგადოებრივი მდგომარეობა-სახელი ავტორიტეტი, მომხიბვლელობა უარავს მის სულიერ და ფიზიკურ სიმარტოვეს, ლტოლვას ადამიანური სითბოსა და ხიყვარულისაკენ, მისი ბინის უკაცურობას, ჩამსხვრეულ მინებს, უკაცო ხანლის სიცივეს და მიუკარებლობას. ეთერი ტრაგიკული ბედის ადამიანია, ქალი რომლის მსგავსი ალბათ ათასობით არსებობს ჩვენს გვერდით და მათი სიმარტოვე ასევე საზოგადოებრივი მდგომარეობითა და მოჩვენებითი კეთილდღეობით ინიღბება.

მესამე პერსონაჟი სამთა დრამაში რეზოს ცოლია, ხელმოკლე ოჯახის ტიპიური დიასახლისი, მომამენი, ერთგული, ქმარზე მზრუნველი, გაკირვებას შეჩვეული, უპრეტენზიო, იგი მაშინაც კი ინარჩუნებს შინაგან წონასწორობას, როცა ხვდება, რომ ოჯახს დანგრევის საფრთხე ემუქრება, მისი მეუღლე სხვა გატაცებებით ცხოვრობს, და მომხიბლავი მუსიკოსი ქალის სტუმრობაში რაღაც განგებით ბოლოვლინებულ. გარდაუვალობას ამ დრამის ... ლუდიას ზედავს,

ეფილი მეხსის პროზის თავისებურება. მისი მნიშვნელობა და ღირებულ სწორედ საზოგადოების წყაღიდან აღმოცენებული რეალური ხასიათების ბედვაა.

ბუნებრივია მწერლის სოციალური დაკვირვების ფერო მარტოდენ პერსონაჟთა ხასიათებით არ შემოიფარგლება, მას აინტერესებს ის გარემოც, რომლის გაკლენით ყალიბდება ხასიათები. ეს ერთი მხრივ მეშჩანური ოჯახური ატმოსფეროა, უზრუნველყოფილი შეკერობილი, პირად კეთილდღეობას დაბარბებული, ადამიანური ანგარებიანი ურთიერთობანი, მეორე მხრივ მომთმენი, პატიოსანი, კეთილშობილური იდეალების ერთგული ადამიანები არიან, რომელთა შორის სამუდამოდ ჩატეხილა ხიდი, იგრძნობა მათი შინაგანი დაპირისპირება; საზოგადოებრივი, ცხოვრებისეული იდეალები სამუდამოდ შორდებიან ერთმანეთს, გაუცხოებულან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საპირისპირო მხარეს აღმოჩენილან.

ხასიათების ეს განსხვავება სხვადასხვა ვარიანტით მეორდება ლ. მეხსის მრავალ მოთხრობაში: „როცა ბავშვები გარბიან, „ბიჭს მამა ენატრებოდა", „ლტოლვა" და სხვა. ყველა ამ მოთხრობაში მეტ-ნაკლები ფუნქცია აქვს დაკისრებული, მოზარდების, მომავალ თაობას, რომელთა ხასიათის ჩამოყალიბებაზე, დიდ როლს თამაშობს ის ცხოვრებისეული განცადელი, რაც უფროსებს გადაუტანიათ. ხანტერესოდ არის გამოკვეთილი ორი მოზარდის ხასიათი მოთხრობაში „როცა ბავშვები გარბიან". ეს ორი მოზარდის, საავადმყოფოდან გამოპარული ქალ-ვაჟის სევდიანი თავგადასავალია. ისინი თავისი ოჯახების ტრაგიკული ბედის გამო მონატრულნი არიან ბავშვობის ვარდისფერ სამყაროს და მკაცრი ცხოვრებისეული რეალობის წინაშე არიან დარჩენილნი. მამიდას მიერ აღზრდილი ობოლი ბიჭი მშობლიური სითბოთი და ხიყვარულით არის დაკვეშირებული თავის აღმზრდელთან, დანგრეული ოჯახის შვილი — გოგონა, უფრო გრძნობაგაუხეშებულია, შეპყრობილია მეშჩანური, მომხმარებლური ინტერესებით, გოგონას დაკარგვია მშობლიური სითბოს გრძნობა, იგი მიუკარებელი და ჭირვეული გამხდარა.

მოზარდის განცდები, მისი ბედია ნაჩვენები მოთხრობაში „ბიჭს მამა ენატრებოდა". აქაც დანგრეული ოჯახის დრამატული ცხოვრების ფონზე გამოკვეთილია მამისაგან მიტოვებული უმწეო უმაწვილის ხასიათი. დედა და შვილი უცნო ოჯახში მოხვედრილან, პროვინციელის უზრუნველობით დგანან მომაკვდავი მხატვრის საწოლთან, იგი ოდესღაც მათი ოჯახის მამა იყო, მათი განცდები ხანანულის განცდებია ხაყვარელ ადამიანთან ხსმუდამო განშორების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყამს, ორივე სინანულს შეუპყრია იმ დაკარგული სიხარბისა და სიხარულის გამო, რაც მათს ცხოვრებაში ამ მომაკვდავ ადამიანთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული: „გავიდა დ. სწორედ მაშინ, იმ წუთში, როცა კარს გასცდა. იგრძნო, მთელი ამ ხნის განმავლობაში, ამ უსახრულო შვიდი-რვა წლის განმავლობაში როგორ ენატრებოდა მამა... თავიანი მამა! თითქოს არავითარი მოგონებები არ ახლდა ამ ნატვრას.. არც სურვილები... არც ფიქრები, იყო მარტო ტკივილი და გულდაწყვეტა“. მწერალი ზუსტი ტრიხებით ხატავს მოზარდის ფსიქოლოგიური გარდატეხის ამ მძიმე მომენტს, როცა მასში იბუდებს ობლობის და სიმარტოვის განცდა, რაც სამუდამოდ გაჰყვება ცხოვრებაში, მისი სიყმაწვილე დამთავრდა. „მიხვდა, ეს აწოწილი, ხმელ-ხმელი, მტრედის ბუნტულივით შეფიფქული საულვაშეთი და უგემოვნო პარიკმახერის მიერ შემოხოზრილი წვრილკისრიანი ბიჭი ძველებურად ყიეინით ველარ ითამაშებდა ფეხბურთს, ვერ აახმაურებდა მიძინებულ შუკას, ვერ აფრქვევდა ბეზობლების ყურანატურა ძალლებს... ყოველივე ამას ჩაიდენდა სხვა... და არა ის“

ლეილა მეხსის მოთხრობაში პერსონაჟთა უმეტესობა ქალებია. მწერალს ეხერხება ქალთა საინტერესო ფსიქოლოგიური პორტრეტების შექმნა, რომელთა ანალოგია მრავლად მოიპოვება რეალურ ცხოვრებაში და ამიტომ მწერლის მიერ შექმნილი ხასიათები დამაჯერებელი, ზოგჯერ თითქოს ნაცნობიც კია.

ეს ხასიათები არც თუ მარტივია, ხშირ შემთხვევაში გმირი ქალი არ არის ბედის მიერ განებივრებული, შეჭიდებულია ათასგვარ ოჯახურსა თუ საზოგადოებრივ საზრუნავს. მათი შინაგანი სამყარო ავსება რომანტიკული იმედებით და ოცნებებით, რომელთაგ ყოველთვის არ უწერიათ ახდენა, ხშირად ტკივილი, იმედგაცრუება და უნაყოფოდ განვლილ დღეთა სინანულიც ახლავს. ეს მომეტება კარგად არის გამოკვეთილი მოთხრობაში „მწუხარებას სი ჩუმე ერქვა“. ამ მოთხრობაში მოკმედი ქალები ჩვენს დღევანდელობაში აგრერიგად მოძალებული შინაბერების ტიპიური წარმომადგენლები არიან. მათ გააჩნიათ სამსახურებრივი, საზოგადოებრივი საზრუნავი, მაგრამ ყველა მათგანი გრძნობს რომ თავის ძირითად ქალურ მოწოდებას არ ემსახურება, ყოველი მათგანი სიმარტოვისა და სინანულისთვის არის განწირული, მოჩვენებითია საზოგადოებრივი მდგომარეობა, მეგობარია სიმრავლე და ყოველდღიური წვრილმანებით დატვირთული ცხოვრება მხოლოდ ილუზიაა. ცხოვრება შინაბერობის ტვირთითაა დამძიმებული, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს განუკურეი მეგობრისა და თანამშრომლის, ბედით მათივე მსგავსის ლიანის გარდაცვალება. მე არა გავუვები ამ მოთხრობის განვითარებას, მაგრამ არა შეიძლება კიდევ ერთხელ არ აღვნიშნო, რომ მწერალი შესანიშნავ ხიზუნტით გვიხატავს შინაბერა სულიერი პორტრეტებს, ზუსტია მათი დიალოგი, მათი ყოველი მოკმედება ფსიქოლოგიურად შემზადებულია, ატმოსფერია ეალბი. გაჭვიადებული, ყოველივე ამან არ შეიძლება ღრმად არ დაგვიგიეროს ჩვენს ეროვნულ სატკივარზე, იმ შინაბერად დარჩენილ ათასობით ქალზე, რომელთა უმეტესობას ასეთივე სიმარტოვეში, მეგობართა ამაო მოლოდინში დაუდგება წუთისოფელთან განშორების ეამი, როგორც მოთხრობის ერთ-ერთ გმირს. შინაბერა, უკანასკნელ პერიოდში სოციალურ ტიპად ჩამოყალიბდა თავისი ფსიქიკითა და ინტერესებით, თავისი ხასიათით, ეს თავისთავად ხაშში მოვლენაა როგორც ეროვნული, ასევე სოციალური თვალსაზრისით და მწერლის მიერ ამგვარი ხასიათების წინ წამოწევა მისი მხატვრული ხედვისა და ალღოს დასტურია. მწერალს დავიწყებისთვის განწირული ადამიანის, გარდაცვლილის მეგობრების, მისივე მსგავსი შინაბერების ხასიათის ნიუანსები სულ ერთ ამბავში კარგად აქვს გადმოცემული: „ვერც ერთ მათგანს ვერ მოენელებინა, რომ ისე ჩალიეს მთელი თვე, ერთხელაც არ მოინახულეს მეგობარი, არ მოიკითხეს, ღმერთო ჩემო! დარიკვას მაინც რა უდგა წინ, შეხმიანებას, მხოლოდ ორჯერ მოიცალეს, ისიც ნაჩქარევად, გაქცევით, ვიდაცის პანაშვიდზე აგვიანდებოდათ, მაღაზიაში ნაკიდი ნამცხვრები მოუტანეს, მეტრის შესახველლთან შეიდიოდე თავჩაქინდრული მიხაკიც უყიდეს, შვიდიოდე თეორი, წვრილლერა, მოუბოდშეს, მოეფერნენ, ორ დღეში შემოგვლითო, დაუბარეს და მთელ თვეს არ მიაკითხეს“.

ძნელია იმის თქმა ლიანას გარდაცვალებამ უფრო შესძრა და შეაშფოთა მისი მეგობრები, თუ სინდისის ქენჯნამ მათ მიერ გამოჩენილი უყურადღებობის გამო.

სოციალური ტკივილების ასახვა ლეილა მეხსის მოთხრობების ერთ-ერთი მთავარი თემაა, რომელიც ჩვენი დღევანდელი ყოფიდან, იმ ცხოვრებისეული პრობლემებიდან ილება სათავეს, რაც ახე უხვად გააჩნია თანამედროვეობას. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მოთხრობა „სანელი, რომელიც ხვალ უნდა გაიყიდოს“. მე არ მეშინია ამ მოთხრობას მშვენიერი ვუწოდო, რადგან ჩვენი სოციალური და ეროვნული ტკივილების ეგოდენ ზომიერად და ემოციურად ხატვა მწერლური ოსტატობის დასტურია. ზემოთ უკვე ვთქვი, რომ ლეილა მეხსს ახასიათებს მოვლენების რეალისტური ხედვა, რომელიც ზომიერების ფარგლებს არასოდეს სცილდება. ავტორს არ ხვიდდება მხატვრული პირობითობის მოშველიება, არამედ ხატავს რეალურ ცხოვრებას, ხატავს ზუსტი დეტალებით, რომელთა

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲔᲯᲔᲚᲣᲠᲘ
ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲘ

უტეუუარობაში ეკვი არ გვეპარება. ეს კარუნული პროზის ოდინდელი ტრადიციაა. ამ ტრადიციის მიმდევარია ლელი მეხნი, როგორც პროზაიკოსი.

ახლა ისევ ზემოხსენებულ მოთხრობაზე.

სოფლის ავტობუსი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი დიალოგები, ვიღაცის გაჯორავი, ვიღაცის გაკილვა, ძაგება, ქება... ამ ჩვეულებრივი, მომენტისათვის დამახასიათებელი ხმაურისგან განმარტოებული კაცი, რომელსაც ყველა იცნობს, მისთვისაც ყველანი ნაცნობები არიან, მაგრამ როგორღაც გაუცხოებული, გარიყული თავისი თანამოფფლელებისაგან, კაცს ამირანი ჰქვია, ოდესღაც ქალაქში გადასახლებული და უკანასკნელად მიდის სოფელში, რათა მშობლიური სახლი გაყიდოს, ეს იცის ყველამ და ალბათ მოღალატედ სთვლიან, მასთან საუბარს ყველა გაურბის, მზერას არიდებს, უხერხულობის გრძნობა თუ სინდისის ქენჯნა დაუფლებია მასაც. ხანმოკლე და სიტყვაძუნწია შეხვედრა ბალღობის დროინდელ მეგობართან, რომელიც სოფელში სახლის გასაყიდად ჩამოსულ ამირანს ცალუბად შეიპატიჟებს შინ. ამირანს გული თანდათან მოგონებებითა და ტკივილებით ევსება, წარმოუდგება თავისი გაყიდული სახლი, გაპარტახებული ეზოკარი, ეს წარმოდგენა შემზარავია: „სახურავიდან დაიწყებენ სახლის დარღვევას, ცალ-ცალობით ჩამოიტანენ ხავსმოდებულ კრამიტს, ფიცარ-ფიცარ, ღერა-ღერა დაშლიან კედლებს, ეზოში გაიტანენ ზანდუკს, სადმე კუთხეში მიდგამენ მუუდროდ. პეპლები ახატია ზანდუკს, რაც თავი ახსოვს, ჩუჩჩაკუნის, გოზინაყოსა და ტკბილი კვერის სუნი ასდიოდა მას... ნამკვდარ ქონებას ძნელად ეტანება ვინმე, თანაც თუ ძველია იგი, არავის შეაქვს სახლში... წვიმა დაშლის და დაადნობს ზანდუკს... დაიშლება კარადა, კოლმეურნეობა მიიზომავს ეზოს, ღობეს დაარღვევენ და კომლს გააუქმებენ. ერთბანს წვიმა და თოვლი არ დაინდობს ნათლის ხვეტყვით შემორჩენილ ბუხრის მილს, თანდათანობით დაიშლება აგური, ნახახლარზე ამოვა ანწლი და გვიმრა...“ ამ შემზარავი სურათის წარმოდგენა საბოლოო გარდატეხას შეიტანს ამირანის ცნობიერებაში, იგი შეუდგება თავისი ძველი სახლის მოვლას. პირველად ჩაწყვეტილ ელექტროსადენს აღადგენს და სახლს გაანათებს, მორჩა, გადაწყვეტილება მიღებულია, სახლი აღარ გაიყიდება. ამირანის მოქმედებას შორიდან უუკვრეტენ მეზობლები, სულ პირველად გედეონი მოვა, ვინც გუშინ უგულოდ და ცივად მიიღო იგი, გაიშლება სუფრა, აიწევა სადღეგრძელო“.

ეს მოთხრობა ჩვენი დაშლილი საგვარეულო სახლების სევდაა, იმ ტკივილის გამოძახილია, რასაც დღეს განიცდის ქართული სოფელი და ეს მარტო ამირანისა და მის მსგავსთა კერძო გადაწყვეტილებით როდი არის გამოწვეული, არამედ სოციალური უკუღმართობით, იმ ცხოვრებისაგან მოწყვეტილი კანონებითა და დადგენილებებით, რამაც საფუძველი შეურყია მიწისა და ადამიანის მარადიულ კავშირს, გათიშა ისინი ადამიანებს მშობლიური მიწის გრძნობა დაკარგვინა.

ლელი მეხნის მოთხრობები უბრალო ადამიანთა ისტორიაა, მწერალი მოგვითხრობს ადამიანურ ტკივილებზე, აუსრულებელ ოცნებებზე, დანგრეულ ოჯახებსა და მოზარდთა სულიერი ჩამოყალიბების რთულ პროცესზე, მოთხრობებში იგრძნობა ცხოვრების ღრმა ცოდნა, და რაც მთავარია, ლ. მეხნის მოთხრობების გმირები ტიპიური, ჩვენი დროის უბრალო ადამიანები არიან, რომელთა თავგადასავალი უფრო მეტად სოციალური ცხოვრების უთანასწორობიდან მომდინარეობს.

მინდა მოკლედ შევეხო რომანს „ფაიფურის თოჯინა“.

„ფაიფურის თოჯინა“ ხელოვნების მსახური სამი ქალის სევდიანი ისტორიაა. ისინი ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთზე ბედმა ერთმანეთს დააკავშირა. გარდაცვლილმა მსახიობმა ნინო გორდელაძემ უცნაური ანდერძი დატოვა; ამ ანდერძის თანახმად მის ბინაში უნდა შესახლებულიყო უბინაო მსახიობი ქალი, რომელმაც პირველი როლი ითამაშა თეატრის სცენაზე, ბალერინა, რომელმაც პირველი პარტია იცეკვა, მუსიკოსი, ვინც პირველი კონცერტი გამართა.

მოხდა ისე რომ გარდაცვლილი მსახიობის ბინაში თავი მოიყარეს ახალგაზრდა ქალიშვილებმა, მსახიობმა მედეა თურმანიძემ, ბალერინა დუდანა დოლიძემ და მუსიკოსმა ირმა დვალმა.

სამი ქალიშვილი, სამი სხვადასხვა ხასიათი შეხვდა ერთმანეთს და ამიერიდან ძველი მსახიობის მუუდრო და თითქოს იდუმალებით სავსე ბინაში სამი სხვადასხვა ცხოვრება დაიწყო. „ჩვენ ყველანი უცხოები ვართ, შეიძლება ყველაზე ახლობელი ადამიანიც უცხო მოგვეჩვენოს, თუ თავად არ გაიღე შენეული სითბო და მადლი, შენი წილი სიკეთე არ გაიცი“ ამბობს ერთი სამთაგანი და შეიძლება ითქვას, რომ ეს სიტყვები მწერლისეული კრედოცაა, რომელიც მთელს ნაწარმოებშია ჩაქსოვილი.

სანამ ქალიშვილები ერთმანეთს შეხვდებოდნენ, რასაკვირველია, ყველა მათგანს თავისი ცხოვრება ჰქონდა გავლილი, ტანჯული ენახათ და მწარეც, ამ განვლილმა ცხოვრებამ მათი ხასიათის ჩამოყალიბებაზე გარკვეული გავლენა იქონია. მედეკო უსიამოვნობებით აღსავსე ოჯახში აღიზარდა, და თითქოს თავისი სიჩუმით, სევდითა და მორიდებულობით დაუპირისპირდა დედას, დროსტარების მოყვარულ, მხიარულ, ლამაზ ქალს, რომელსაც გულგრილად ვერ უყურებდნენ მამაკაცები. შემდგომში მისი ცხოვრება იმ მრავალთა მსგავსად წარიმართა, ვინც პროფესიიდან ქალაქში ჩამოსვლა და საკუთარი გზის პოვნა გადაწყვეტა, ვისაც ოჯახის სიმდიდრე და ავტორიტეტი არ უმაგრებდა ზურგს.

ერთხანს სამუშაოზე მოეწყო, მალე გამოცდები ჩააბარა თეატრალურ ინსტიტუტში. შემდგომ დაიწყო დიდი სიხარულებითა და დიდი ოცნებებით აღსავსე მსახიობური ცხოვრება. ამ ცხოვრებაში უამრავ ადამიანს შეხვდა ახალგაზრდა მსახიობი, იგემა შური და ეჭვი, სიკეთე და თანადგომა, მისი ცხოვრება თანდათან აივსო დაუვიწყარი ეპიზოდებით, გაჩნდა ახალი ურთიერთობები, ახლებური ხასიათი მიიღო სამი მეგობარი ქალის ურთიერთობამაც.

არც მუსიკოსი ირმა დვალი იყო ბედისაგან განებივრებული, თავისი წილი სიმწარე, დედის გარდაცვალება, სულიერი სიმარტოვე მასაც ჰქონდა გამოცდილი, სიყვარულიც განეცადა და გულდაწყვეტაც, ხოლო მათს მესამე მეგობარს დუდანა დოლიძეს უფრო მძიმე მოგონებები გამოჰყოლოდა, ბავშვთა სახლში აღზრდილმა მხოლოდ კეთილი ადამიანების ხელშეწყობით მიაღწია წარმატებებს, იპოვა თავისი გზა ხელოვნებაში.

მკითხველს თავს არ შევაწყენ რომანის გმირთა ცხოვრების დეტალური მოყოლით, მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ერთმანეთთან დაკავშირებული სამი ქალის, სამი ხელოვანის ცხოვრების ფონზე მწერალმა შექმნა შთამბეჭდავი ხუთათი, სადაც ერთმანეთში არის გადახლართული ხელოვნებისა და ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრების პრობლემები, არის ვნებათაღელვა, ტკივილები და სიხარული, ხელმოცარვა, იმედგაცრუება უიღბლო სიყვარულით და მეგობრული თავდადება. რომანის სიუჟეტი მწვავე და დაძაბულია, ნაწარმოები შეუნელებელი ინტერესით იკითხება, მასში არის ცხოვრება მთელი თავის შუქ-ჩრდილებით, ულმობლობით და სიმკაცრით, არის ხასიათები, მკვეთრი, კონტრასტული... ლეილა მესხის ეს რომანი უსათუოდ უკანასკნელი წლების ქართული პროზის ერთი საყურადღებო ნაწარმოებია. ამ ნაწარმოებში თითქოს შეჯამდა ავტორის შემოქმედებითი გამოცდილება, გამოიკვეთა ახალი თვისებები — სწრაფვა თანამედროვეობის ზნეობრივი პრობლემების ვრცელი და მასშტაბური გადმოცემისაკენ, ხელოვნების სპეციფიკური დარგების ცოდნა და მათი წინააღმდეგობრივი ბუნების ასახვის ტენდენცია. დეტალების გარკვეული სიმბოლური დატვირთვები და რაც მთავარია დახვეწილი ენა, სტილის სიმარტივე და ამავე დროს ფაქიზი დამოკიდებულება სიტყვისადმი.

ლეილა მესხის პროზა ქართული პროზის საუკეთესო ტრადიციების გაგრძელებაა, მწერალი არ განიცდის მოდური მიმდინარეობების გავლენას, თხრობის ხისადავით, ხასიათების რეალისტურობით, ეროვნული და სოციალური პრობლემების ღრმა გაცნობიერებით ლეილა მესხი ერთ-ერთი საყურადღებო მწერალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამაზ გახოკიძე

მეცნიერული და მხატვრული შემოქმედების შრომითგანვლენის საკითხისათვის

ხელოვნება, ისევე როგორც მეცნიერება, წარმოიშვა ბუნებრივად, ადამიანის ინტელექტის განსაზღვრულ მოთხოვნილებათა შედეგად. ხელოვნებასა და მეცნიერებას აქვს საერთო საფუძველი — კაცობრიობის გამოცდილება. ამას გარდა მათ აერთიანებს აზრისა და გრძნობის ერთობა. მათ ახასიათებს „წარმოსახვაც", ე. ი. გამოცდილების ელემენტთა ნებისმიერი კომბინირების უნარი. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მხატვრულ შემოქმედებაში ამ უნარს უპირატესად საქმე აქვს სახეებთან, მეცნიერებაში კი — ცნებებთან. მეცნიერება, ი. პავლოვის თქმით, თითქოს კვეთს, ანატომირებას უკეთებს სინამდვილეს, ხელოვნება კი — მიისწრაფვის მისი მთლიანი ასახვისაკენ, სამყაროს ყველა თვისებათა შეცნობისაკენ.

ტრადიციული ესთეტიკა (იგულისხმება ხელოვნების ზოგადი თეორია) დიდი ხანია სწავლობს ხელოვნის მსოფლმხედველობის საკითხს, სოციალურ ურთიერთობათა გავლენას მხატვრულ შემოქმედებაზე. დღემდე საკითხი ცალმხრივად ისწავლებოდა. ამ მიმართებით თითქმის შეუსწავლელია ბუნებათმეცნიერებანი. არ არის გამოკვლეული ხელოვნების გავლენა მეცნიერების განვითარებაზე.

არსებობს თუ არა რაციონალური კავშირი მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის? ამ კითხვას დადებითად უნდა ვუპასუხოთ. მეცნიერება და ხელოვნება სინამდვილის ასახვის მხოლოდ სხვადასხვა ფორმებია. ერთი ფესვიდან აღმოცენებულნი შემდეგ დასცილდნენ ერთმანეთს. ამჟამად შეინიშნება საპირისპირო ტენდენცია. რაც დრო გადის, ხელოვნება უფრო მეცნიერული ხდება, ხოლო მეცნიერება — მით უფრო მხატვრული. ადამიანის გონებას არ ძალუძს განვკრიტოს, თუ როგორი სულიერი სიდიადით გაცისკროვნდება მომავლის ქმნილებანი. „მეცნიერება და ხელოვნება ისევე არიან ერთურთს დაკავშირებულნი, როგორც ფილტვი და გული, — წერდა ლევ ტოლსტოი, — ასე რომ, თუ სხეულის ერთი ორგანო დაზიანებულია, საჭიროებისამებრ ვერც მეორე გასწევს თავის ჭეშმარიტ მეცნიერებასა და ხელოვნის მხატვრულ ძიებას შორის.

ბაბილონის გოდოლის მსგავსად მაღლა მიიწევს თანამედროვე მეცნიერების ამაყი კოშკი. ტკბებიან მისით მშენებლები და თითოეული ცდილობს მოუოგოს კიდეკ ერთი დეტალი. მაგრამ რაც უფრო მაღლა ადის კოშკი, მით უფრო ცუდად უგებენ ერთმანეთს მშენებლები. ფ. ენგელსი „ბუნების დიალექტიკაში" მიუთითებს, რომ მეცნიერება, ისევე როგორც მოსახლეობა, გეომეტრიული პროგრესიით ვითარდება. თუ არაორგანულ სამყაროში სხეულთა გრავიტაციული ურთიერთქმედება მათ შორის მანძილის კვადრატის უკუპროპორციულია, სულიერი მოდვაწეობის სფეროში, რომელსაც მეცნიერებაც მიეკუთვნება, პირიქით ხდება. აქ პირდაპირი დამოკიდებულებაა. რაც უფრო შორსაა მეცნიერება თავის ამოსავალ წერტილიდან, მით უფრო ჩქარა ვითარდება იგი დროის კვადრატის პროპორციულად.

ადამიანმა გარდაქმნა ბუნება, შეიპყრა ატომის სიღრმესა და სამყაროს თვალუწვდენელ სივრცეში, ასახა სამყაროს სილამაზე მათემატიკურ ფორმულათა ჰარმონიაში, მუსიკალურ აკორდებში და ფერთა გამაში. ჩვენ გვინდა გავიგოთ, როგორ იქმნებოდა სამყაროა, ამოვხსნათ სიცოცხლის ჩახახვის საიდუმლო.

შემეცნების სიუჟეტი საოცრად ემოციურია. ძნელია გრძნობათა სამყაროში სხვა ანალოგიის შერჩევა. სამყარო უსასრულოა მრავალფეროვნებაში, ამავე დროს იგი შეცნობადია, რად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან მატერიალურია. ჭეშმარიტების შესაცნობად მკვლევარს ჭირდება როგორც ფანტაზიის უსაზღვრო ალმაფრენა და იუმორი, ისე ცივი გონება, თვალთახედვის სიფაართოვე და საგანთა არსის ზუსტი მატერიალისტური გაგება.

დღეს ადგილი აქვს არა მარტო სხვადასხვა მეცნიერებათა სინთეზს, არამედ მეცნიერებისა და ხელოვნების სინთეზს. წინა საუკუნე უპირატესად წარმოადგენდა ანალიზის, მასალის დაგროვებისა და შესწავლის საუკუნეს, მეცნიერებათა დიფერენციაციისა და ვიწრო სპეციალიზაციის საუკუნეს. სპეციალიზაცია მომავალშიც განვითარდება, მაგრამ ამასთანავე დაიწყო ჟდიდეს განზოგადებათა დრო. სხვადასხვა მეცნიერებათა მასალაზე მუშავდება ერთიანი შეხედულება სამყაროზე. ახეთ პირობებში მეცნიერება არა თუ საჭიროებს პოეზიას, არამედ, თავის მხრივ, ამდიდრებს მას.

არც ისე დიდი ხანია, რაც დამთავრდა ხანგრძლივი და ხმაურიანი დისკუსია თემაზე — ვის მეტი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს დროში, ლირიკოსებს თუ ფიზიკოსებს? საჭიროა თუ არა კოსმოსში იასპნის რტო? — კითხულობდნენ დისკუსიის მონაწილეები. ამ რიტორიკულ კითხვებზე მათ პასუხი გასცა ცხოვრებამ. თანამედროვე მეცნიერებას არ შეუძლია არსებობა და განვითარება ხელოვნების გარეშე.

ჭეშმარიტების ძიება არ შეიძლება ადამიანური ემოციების გარეშე. „ტუუოლად ფიქრობენ, რომ ფანტაზია ესაჭიროება მხოლოდ პოეტს. — წერდა ვ. ი. ლენინი, — ეს სულელური ცრურწმენაა. ის მათემატიკაშიც კი საჭიროა, დიფერენციალური და ინტეგრალური გამოთვლებიც კი შეუძლებელი იქნებოდა უფანტაზოდ". ფანტაზია მეცნიერს ეხმარება წარმოიდგინოს ჯერ მისთვის უცნობი რამ. როცა ფიზიკოსი მიკროსამყაროს წინაადმდეგობებს აწყდება, მას ჭეშმარიტების შესაცნობად ესაჭიროება საყრდენი, „ფიფული თეორიის" სახით. ჩვეულო ლოგიკის ჩიხიდან გამოსაყვანად. თუ ავტორი უსაზღვროდ მოხუსხული თავისი იდეით და აქვს ღრმა რწმენა, მხოლოდ მაშინ შეუძლია შექმნას უდიდესი ქმნილებანი, როგორც ხელოვნებაში, ისე მეცნიერებაში. ასეთი ფანტაზიური რწმენა განასხვავებს ჭეშმარიტ, ორიგინალურ შემოქმედს დრამოქმედ იდეათა მეასლეთა და ნამბაძველთაგან.

ბუნების ხილამაზე სიმარტივეს და კონკრეტულობაშია. გამოჩენილმა ფრანგმა ხელოვტორმა როდენმა კითხვას, თუ როგორ ქმნიდა იგი თავის ქმნილებებს, უპასუხა: „ძლიერ მარტივად, ვიღებ მარმარილოს ლოდს და ვაჭრი, რაც ზედმეტია".

ესთეტიკური შეფასებანი გამოსადეგია მეცნიერული თეორიის მიმართაც. მეცნიერებას მხოლოდ ის თეორიები შემორჩა, რომლებიც გამოორჩევიან სიცხადით, ლოგიკურობით შეიძლება ახეც ვთქვათ, იმ ხალამაზნით, რომლებიც უპასუხებენ ჩვენეულ ბუნებაგან ესთეტიკურ გრძნობებს. ეი სწორედ ეს მომენტი ეახლოებს მეცნიერებას ხელოვნებასთან. თუმცა მკვლევარის ჩანაფიქრისა თუ თეორიის სიღრმე და უბრალოება, განსხვავებით ხელოვნების ნაწარმოებთაგან, მხოლოდ და მხოლოდ ბუნების კანონების სრულყოფილი შესწავლის საფუძველზე წარმოიქმნება.

ერთხელ გამოჩენილმა ინგლისელმა ფიზიკოსმა პოლ დირაკმა საჯარო ლექციაში ახალგაზრდა ამერიკელი თეორეტიკოსების ერთ-ერთი საყოველთაოდ აღიარებული მიღწევის გამო თქვა, რომ არ სჯერა მისი ჭეშმარიტება, რადგან იგი მახინჯია. როცა დამსწრე საზოგადოების განცვიფრება შეამჩნია, იქვე დასძინა, მეცნიერული თეორიის ხილამაზე მისი ჭეშმარიტების ერთ-ერთი საიმედო მაჩვენებელია. ალბათ, მეცნიერული კვლევისადმი ეროვნულ-ემოციებთმა მიდგომამ შეაძლებინა თვითონ დირაკს, რომ ექსპერიმენტატორებზე გაცილებით ადრე დაემტკიცებინა ანტინაწილაკის — დადებითად დამუხტული ელექტრონის (პოზიტრონის) არსებობა.

როგორც ჩანს, „გარეგანი გამართლებანი" — თეორიისა და დაკვირვების შესაბამისობის გარდა ფიზიკური კონცეფცია უნდა ფლობდეს „შინაგან სრულყოფილებას". ეს კრიტერიუმი ძალიან დიდ როლს ასრულებს აინშტაინის შემოქმედებაში, მის მიერ შექმნილ ფიზიკურ კონცეფციათა გენეზისში. „შინაგანი სრულყოფილება" გამორიცხავს მოცემული ფაქტის ასახსნელად სპეციალურად მოგონილ დაშვებებს. იგი მდგომარეობს თეორიის ბუნებრიობაში, მის ლოგიკურ სიმწყობრეში, სამყაროს, როგორც ჰარმონიული ერთიანი მთელის, საწყის წინაამძღვართა ერთიანობაში. აინშტაინს მეცნიერული აზრის ჰარმონიის და, როგორც თავად ამბობდა, „მუსიკალურობის" გასაოცრად ფაქიზი შეგრძნება გააჩნდა (მას მოთხოვნილებად ქონდა გადაქცეული ვიოლინოზე და როიალზე დაკვრა) და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თეორიის „შინაგან სრულყოფილებაზე" დამოკიდებულ ესთეტიკურ შთაბეჭდილებას. მისთვის „შინაგანი სრულყოფილებრ" კრიტერიუმი სინამდვილის გამომხატველი ცალსახა თეორიის ამორჩევის კრიტერიუმად იქცა.

„მეცნიერულ აზროვნებაში, — წერდა აინშტაინი, — მუდამაა პოეზიის ელემენტი. ნამდვილი მეცნიერება და ნამდვილი მუსიკა აზროვნების ერთგვაროვან პროცესს მოითხოვს". აინშტაინი მხატვრული ლიტერატურიდან იღებდა მეცნიერული მსოფლმხედველობის ელე-

მენტებს, იმპულსებს, კვლევისათვის. ამ იმპულსების ძალა, მათი ისტორიული ღირებულება იმით აიხსნება, რომ ისინი იბადებიან მხატვრული და არა ლოგიკური აზროვნებიდან. აქვთ ფსიქოლოგიური ან ალა ლოგიკური ეფექტი. ცნობიერების, შუამავლობა შეესებამ მეცნიერებისა და მორალის ყველაზე ძირეული პრობლემებით აინშტაინისათვის მახლობელი გახდა დოსტოევსკი. „დოსტოევსკი უფრო მეტს მაძლევს, ვიდრე რომელიმე მოაზროვნე, ვიდრე გაუსი!" — ამბობდა აინშტაინი. ოროვესათვის მახლობელი იყო როგორც მეცნიერული, ისე მორალური ყველაზე მეტად აქტუალური პრობლემები. სიუჟეტის განვითარების პარადოქსულობა დოსტოევსკის შემოქმედებაში მოძძრავი სხეულის პარადოქსულ მოქმედების იმ ობიექტურ დამაჯერებლობას ეთანხმება, რაც ასე ნათლადაა წარმოდგენილი აინშტაინის, ბრომბში. სინათლის სიჩქარის შესადარი სიჩქარით მოძრავი სხეულის ქცევა უკიდურესად პარადოქსალურია, რასაც აინშტაინი სივრცისა და დროის ყველაზე ზოგადი თვისებებით ხსნის და პირველადელი. პარადოქსული ფაქტი, თავის ბუნებრივ ადგილს პოულობს სამყაროს ჰარმონიაში. „მიყვარს რეალიზმი, როდესაც იგი ფანტასტიკურობამდე აღწევს, — წერს თ. დოსტოევსკი, — რა შეიძლება იყოს ჩემთვის უფრო ფანტასტიკური, უფრო მოულოდნელი და დაუჯერებელი, ვიდრე სინამდვილე".

მეცნიერს, ისევე როგორც ხელოვანს, ახასიათებს მისწრაფება ჰარმონიისაკენ, სილამაზისაკენ. თუ მეცნიერებაში ცოდნა მიზანია, ხელოვნებაში იგი თავისებური მიზნის მიღწევის საშუალებაა. მეცნიერების შემოქმედებითი ბუნება ელინდება ბარეშმაცველი სამყაროს კანონებისა და ოვით ადამიანის მოღვაწეობის სულ უფრო და უფრო ღრმა შემეცნებაში. რადგანაც ადამიანის ყოველდღეური შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის დამახასიათებელია ესთეტიკური მხარე, ამიტომ თანამედროვე მეცნიერებას არ შეუძლია არსებობა და განვითარება ხელოვნების გარეშე.

ხელოვნება სინამდვილის შემოქმედებითი ასახვაა. აკადემიკოსი ლანდაუ წერდა, რომ მეცნიერი მეცნიერებას უნდა სწავლობდეს ხელოვნების სიყვარულის გამოო. ცხადია, ეს სიტყვები მეტაფორაა, მაგრამ მასში პირდაპირი აზრიცაა. შემოქმედების შინაგანი მოთხოვნილება მეცნიერს ხელოვანთან ახლოვებს არა მარტო ფსიქოლოგიურ, არამედ ესთეტიკურ პლანშიც. შემოქმედების პროცესი მეცნიერებაში ძალიან ახლოსაა შემოქმედებით პროცესთან ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ზოგიერთს სამეცნიერო მუშაობა წარმოუდგენია ერთფეროვან, წმინდა ლოგიკურ სამუშაოდ. სინამდვილეში კი იგი, ისევე როგორც ლიტერატურა და ხელოვნება, ბევრადაა დამოკიდებული პიროვნების შთაგონებასა და ორიგინალობის ხარისხზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილმა მეცნიერმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა რობერტ ბერნს ვუდვორდმა ასე განმარტა ორგანული ქიმია: „ჩემი აზრით, — თქვა მან, — ორგანული სინთეზი მეცნიერებასაც მიეკუთვნება და ხელოვნებასაც, მაგრამ უფრო ხელოვნებას. რატომ? ამის ახსნა გამიჭირდება, უბრალოდ მე ასე ვუყურებ ჩემს სამუშაოს". მართლაც დიდი გემოვნება, ფანტაზია და ინტუიციაა საჭირო, რომ ხელოვნურად მიიღო ურთულესი ნაერთები: სტრიქნინი, რეზერპინი, ქოლესტერინი, ქლოროფილი, ვიტამინი B_{12}, რომელთა წარმოქმნის საიდუმლოებას ამ მეცნიერამდე მხოლოდ ბუნება ფლობდა.

ქიმია დღეს ლეონონთა მიწების ალქიმიური „ხელოვნებაა" აღარაა. იგი მყარ მეცნიერულ ფუნდამენტზე დაფუძნებული ახლის უტყუარი შემოქმედებაა.

ხელოვნება და ზუსტი ცოდნა — სამყაროს შემეცნების ორი სხვადასხვა მეთოდია. ხელოვნების საშუალებით შემეცნება განსხვავდება მეცნიერების საშუალებებით შემეცნებისაგან. მეცნიერება ვერ ეგუება სუბიექტურობას, ხელოვნება კი ობიექტურ კანონზომიერებებს ასახავს სამყაროს სუბიექტური აქვმის საფუძველზე.

მეცნიერებისა და ხელოვნების ურთიერთობა დიალექტიკური ხასიათისაა. ისინი ადამიანის შემეცნების, როგოც ერთიანი მთელის, დიალექტიკურად ურთიერთგანშეყოფელი და ურთიერთსაწინააღმდეგო ნაწილებია. ფორმალისტური ხელოვნების მიმდევრებს სხვა შეხედულება აქვთ ამ კავშირზე. აბსტრაქციონისტების აზრით, მათი ხელოვნება ბუნებისმეტყველების თანამედროვე აღმოჩენათა დონეზეა. უფრო მეტიც, თვლიან, რომ მე-20 საუკუნის სხვადასხვა ფორმალისტურ მიმდინარეობათა ლიდერები დამოუკიდებლად მივიდნენ იმ აღმოჩენამდე, რაც გააკეთეს რეზერფორდმა, აინშტაინმა, ბორმა, ჰაიზენბერგმა და სხვებმა, ამ დაჯერებელ პარალელს იმით ხსნიან, რომ თითქოს, მხატვრები და მეცნიერები, რომლებიც იკვლევენ მატერიის აგებულებას, ერთსა და იმავე პრობლემას წყვეტენ. სინამდვილეში კი ის რეალობა, რომელთანაც საქმე აქვს მხატვარს, შეიცავს ბუნების, საზოგადოებისა და ადამიანის ცხოვრების მოვლენათა მთლიანობას, ასახულს მხატვრულ სახეებში. მეცნიერები კი, მათი სპეციალობის მიხედვით, სწავლობენ მატერიის აგებულების განსაზღვრულ ასპექტებს, რისთვისაც ანაწევრებენ მას შემადგენელ ელემენტებად და იკვლევენ მათ ურთიერთქმედებას, ნივთიერებებს და ა. შ., ზუსტი ექსპერიმენტებისა და მათემატიკური ფორმულების საშუალებით სწავლობენ მატერიის მოძრაობის ამა თუ იმ ფორმის კანონზომიერებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბსტრაქციონიზმის აპოლოგეტები იმყარებიან რა იმ აღმოჩენებს, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდა ობიექტური სამყაროსა და მისი კანონების შეცნობა, არამედ იმ ე. წ. ფიზიკური იდეალიზმის რეაქციულ-ფილოსოფიურ დასკვნებს, რომლებსაც იზიარებს ზოგიერთი თანამედროვე ბუნებისმეტყველი, ვინც, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ვერ ავიდა მეტაფიზიკური მატერიალიზმიდან დიალექტიკურ მატერიალიზმამდე.

ხელოვნებათმცოდნეები აბსტრაქციონიზმის ფუძემდებლად რუს მხატვარ ვ. კანდინსკის თვლიან, რომელმაც დახატა პირველი „აბსტრაქტული“ სურათი 1910 წელს. იგი თავის მოღვაწეობას ატომის გაყოფადობის აღმოჩენას უკავშირებს. „ამ აღმოჩენამ ისე დამცა თავზარი, რომელიც სამყაროს დასასრულის მოლოდინს შეიძლება შეედაროს მხოლოდ. — იგონებს კანდინსკი, — თვალის დახამხამებაში მეცნიერება ნამსხვრევებად იქცა. ყველა საგანმა დაკარგა სიმტკიცე და გარკვეულობა. არც გავიოცებდი ქვები ჰაერში რომ ასულიყო და გამქრალიყო“.

ეს მეცნიერებით დაშინებული ობივატელის ტიპიური რეაქციაა, რომელმაც, ახალ აღმოჩენათა ჭეშმარიტ არსის გაურკვეველად, თავისი შიში ქაოტური შემოქმედების წყაროდ აქცია.

მოგვიანებით, როცა რეზერფორდის შეხედულება ატომის სტრუქტურაზე, როგორც მინიატურული მზის სისტემაზე, უარყოფილი იქნა, აბსტრაქციონიზმის თეორეტიკოსებმა დაიწყეს ფიზიკოსების — შრედინგერის, ჰაიზენბერგის, დირაკის, ბორის და სხვათა დამოწმება, რომ, თითქოს, სამყარო არაა მატერიალური და იგი სინამდვილეში ტალღათა სისტემას წარმოადგენს. შეირყა ძველი წარმოდგენების მთელი სისტემა. მატერია ენერგიის სინონიმად იქცა, სუბსტანციის იდეამ შეწყვეტა არსებობა.

ამგვარად, „ფიზიკური“ იდეალიზმის თანახმად, ხელოვნებამ უკვე არ უნდა ასახოს ადამიანის გარემომცველი ბუნება, რადგან „მატერია გაქრა“, იგი მხოლოდ ილუზიაა და ყველაფერი მოჩვენებითი არსებობაა. მთები, ხეები, სახლები, ადამიანები მხოლოდ ჩრდილებია. ხელოვნება აბსტრაქტული (ე. ი. უფორმო) უნდა გახდეს იმის გამო, რომ თვით სამყარო გახდა აბსტრაქტული. აბსტრაქტული ხელოვნება ახალი მეცნიერული აღმოჩენების პროდუქტს წარმოადგენს. კუბიზმის თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ საგანი დანახული უნდა იქნას არა ისე, როგორც ამას თვალი ხედავს, არამედ ერთდროულად სხვადასხვა წერტილიდან. ასეთი დასკვნა თითქოს გამომდინარეობს აინშტაინის ფარდობითობის თეორიიდან.

სინამდვილეში მეცნიერებამ აღმოაჩინა მატერიის ახალი ფორმები. ქიმიის, ფიზიკის და მათემატიკის მიღწევებმა გაამდიდრეს ადამიანის ცოდნა სამყაროს შესახებ.

ფორმალიზმის იდეოლოგები აღნიშნავენ რომ

ფორმალიზმის იდეოლოგები აღნიშნავენ, რომ პარატების შექმნამ გამოიწვია რეალისტური ფერწერის უარყოფა. მაგრამ ჭეშმარიტ მხატვარს ფოტოაპარატი ვერ გაუწევს „კონკურენციას“. როგორც არ უნდა განვითარდეს ფოტოტექნიკა, არასოდეს შეიქმნება ისეთი აპარატი, რომელიც გამოსახულების გადატანისას სიბრტყეზე მხატვარივით იფიქრებს და შეიგრძნობს, შეიცნობს ცხოვრებას და შექმნის მხატვრულ ნაწარმოებს სილამაზის კანონების მიხედვით. ეს ტექნიკის ნებისმიერი სრულყოფის დროსაც კი მუდამ დარჩება ადამიანის სულიერი მოღვაწეობის, მხატვრის შემოქმედების სფეროდ.

მხატვარი, თუ იგი ჭეშმარიტი ოსტატია და არა უნიჭო ხელოსანი, აქვს ტალანტი, გული და ჭკუა, უფრო ღრმად აღიქვამს სამყაროს, ვიდრე ყველაზე სრულყოფილი აპარატი. აქ უპირატესობა მხატვრის მხარესაა, სულ სხვა საქმეა — სუბიექტიური და ობიექტური რეალობა. აქ მხატვრის თვალი სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობის იარაღი როდია. იგი სრულიად უმწეოა მძლავრ ოპტიკურ და ელექტრონულ სპეციალურ აპარატურასთან შედარებით. დაისს ჩასვლიდან რვა წუთის შემდეგ ალვიქვამთ ხოლმე. მაგრამ დროში ასეთი განსხვავება (მეტად მნიშვნელოვანი ფიზიკისა და ასტრონომიისათვის) სულაც არ უშლის მხატვარს ასახოს მზის ჩასვლა ნატურიდან.

ბუნება იოლად არ გვიმჟღავნებს თავის საიდუმლოებას: ჩვენ ვიძენთ ცოდნას ბუნების მიერ შექმნილ გარკვეულ წინააღმდეგობათა გადალახვის გზით. შემეცნების პროცესში ადამიანი და ბუნება მეტოქეებად ხვდებიან ერთიმეორეს, თუმცა მათი ქცევა არსებითად განსხვავებულია. ადამიანი მუდამ ჟამს აუმჯობესებს თავდასხმის იარაღსა და ტაქტიკას. ბუნება კი ამ დროს უცვლელია, იგი არც ყრის ფარხმალს და არც აუმჯობესებს მას, არც ავლენს ახალ ტაქტიკას ადამიანის, მოსაკუთუბლად.

ჩვენს დროში სამეცნიერო თეორიათა პოეტური განწოგადება ეპიზოდურად გვხვდება. იშვიათად თუ მოინახება თანამედროვე პოეტთა მეტ-ნაკლებად შესაბამისი სტროფები. წარსულის დიდი მეცნიერები მეტს ფიქრობდნენ მეცნიერულ იდეათა განზოგადებაზე, თავადაც გამოდიოდნენ პოეტების როლში. მაგალითად, ჰომეროსის პოემებში, ძველ ბერძნულ ისტორიოგრაფიასთან შედარებით, ბევრად მდიდარი მასალაა მოცემული. „ილიადასა“ და „ოდისეაში“ ჰომეროსის დროინდელი მთელი მეცნიერებაა მოცემული. ჰომეროსის პოემათა ღრმა ანალიზის შემდეგ აღმოჩენილი იქნა ძველი ტროის ნანგრევები სწორედ იმ ადგილზე, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც მიუთითებდა დიდი პოეტი. ლუკრეციუს კარი ლექსად წერდა ატომებისგან სამყაროს აგებულების, ადამიანისა და კულტურის წარმოშობის შესახებ. მეცნიერული აზროვნება ლომონოსოვისათვის პოეზიის საგანს წარმოადგენდა, პოეზია კი — მეცნიერებაში აზროვნების ერთ-ერთი ხერხი. შემთხვევითი არაა, რომ გამოჩენილი მეცნიერები უძველესი დროიდან-ვე მშიშვნელოვან პრაქტიკულ მონაცემებს იღებდნენ მხატვრული ნაწარმოებებიდან. წერდა კიდეც ფ. ენგელსი: „ბალზაკი გვაძლევდა საფრანგეთის საზოგადოების ყველაზე უფრო შესანიშნავ რეალისტურ ისტორიას, ქრონიკის სახით აღწერს, თითქმის წლიდან წლამდე, 1816 წლიდან 1849 წლამდე, ადამიანი ბურჟუაზიის სულ უფრო და უფრო გაძლიერებულ შეტევას თავდაზნაურულ საზოგადოებაზე... ფრანგული საზოგადოების მთელ ისტორიას, საიდანაც თვით ეკონომიური დეტალების აზრითაც კი... უფრო მეტი გავიგე, ვიდრე იმ პერიოდის ყველა სპეციალისტის — ისტორიკოსების, ეკონომისტების, სტატისტიკოსების წიგნებიდან, ყველა ერთად აღებული“.

თანაბარი ძალით მუშაობდა გოეთე ფიზიკაში, გეოგრაფიაში, გეოდეზიაში, მინერალოგიაში, ბიოლოგიაში (მისი გამოკვლევა განვითარების პრინციპის შესახებ გამოიყენა დარვინმა), ერთი პერიოდი ფინანსთა მინისტრიც იყო და ყოველივე ეს ხელს არ უშლიდა მას უდიდესი პოეტი ყოფილიყო. იგი თავის მეცნიერულ მოღვაწეობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. სიცოცხლის ბოლო წლებში წუხდა კიდეც: „ნახევარ საუკუნეზე მეტია მე ჩემს სამშობლოში და საზღვარგარეთაც ცნობილი ვარ როგორც პოეტი, ყოველ შემთხვევაში, ასეთად მთვლიან, მაგრამ ის, რომ ასეთი დიდი ყურადღებითა და მონდომებით ვიღწოდი ბუნების ზოგადი ფიზიკური და ორგანული ფენომენების შესასწავლად, ის, რომ რუდუნებითა და მაზნებაირედ ვავითარებდი სერიოზულად დაყენებულ ცდებს — არც თუ ისეა ცნობილი“.

ვინ არ იცობს ლეონარდო და ვინჩის, ლომონოსოვის, მენდელეევის (იგი სამხატვრო აკადემიის წევრი იყო) მრავალმხრივ მოღვაწეობას. ლეონარდო და ვინჩიმ მეცნიერულად შეისწავლა ადამიანის აგებულება, გამოიყენა იგი თავის შემოქმედებაში და ამით საფუძველი ჩაუყარა ე. წ. პლასტიკურ ანატომიას. მანვე რამდენიმე საუკუნით ადრე მოხაზა თანამედროვე ტორპედოსნავის კონსტრუქცია (ეს ნახაზი 1517 წ. გამოსცა შვედეთის სამეცნიერო აკადემიამ).

შექსპირმა, გოეთემ, ბალზაკმა და ტოლსტოიმ მეცნიერებას შესძინეს ადამიანის ფსიქოლოგიის მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტები. დოსტოევსკი სამხედრო ინჟინერიც იყო. ვოლტერის წიგნებში ლექსებთან ერთად მოცემულია მზის გარშემო პლანეტის მოძრაობის ამსახველი ნახაზები. დანტე მეცოფთაეკე იყო. პასტერის ნახატები დღესაც ამშვენებს პარიზის მუზეუმებს. ალბათ ამიტომაც ლატმოტივად გაუვლია პასტერის მეცნიერულ მოღვაწეობას აზრი შინაგანი სტრუქტურის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს სხეულთა გარეგან ფორმას, რამაც საფუძველი ჩაუყარა სივრცული ქიმიის (სტერეოქიმიის) შექმნას.

ცნობილი ქიმიკოსი ა. ბოროდინი (გედეევანიშვილი) გმირულ-ეპიკური სიმფონიზმის მამამთავარი და კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკის გამოჩენილი ოსტატია. მისი ოპერა „თავადი იგორი“ წარმოადგენს რუსული საოპერო კლასიკის მწვერვალს. ბ. ჩაიკოვსკი სამართალმცოდნე იყო. პლანკსა და მაიზენბერგს ცოტა დაკლდათ, რომ მუსიკის თეორეტიკოსები და პროფესიონალი მუსიკოსები გამხდარიყვნენ. გამოჩენილი გეოლოგი ობრუჩევი წერდა რომანებს. რომანებს წერდა კიბერნეტიკის უფროფლებელი ნორბერტ ვინერიც. ტელეგრაფის გამომგონებელი მორზე პროფესიით მხატვარი და ნიუიორკის უნივერსიტეტში ფერწერის პროფესორი იყო.

ბოლეცმანის სტატიებში ფიზიკური მეცნიერების ტიტანებთან ერთ რიგში დგანან ჰომეროსი და შექსპირი, გოეთე და შილერი, მოცარტი და ბეთჰოვენი. შემთხვევითია ეს თუ მხოლოდ გარეგნული მხარე? წაიკითხეთ მისი დიდებული შედარებანი ფიზიკოსებისა და მათემატიკოსების სტილისა, ერთის მხრივ, და კომპოზიტორებისა, მეორეს მხრივ! თქვენ იგრძნობთ, თუ როგორი ღრმა და ფაქიზია ეს შედარება. ხელოვნებამ და ლიტერატურამ ღრმა გავლენა იქონია ბოლეცმანის აზროვნების სტილზე, წარმოსახვისა და მეცნიერული ინტუიციის ჩამოყალიბებაზე. „ყოველივე, რასაც მივალწევ, შილერის წყალობაა. — წერდა მეცნიერი, — მის გარეშე, მართალია, იქნებოდა ადამიანი იგივე წვერითა და ცხვირის ფორმით, როგორიც მე მაქვს, მაგრამ ეს მე არ ვიქნებოდი... მეორე ადამიანი, რომელმაც ასეთივე გავლენა იქონია, ბეთჰოვენია“.

დიდ მეცნიერთა შემოქმედებას ჩვეულებრივთან ახლავს სამყაროს მხატვრული ხედვის ელემენტი. შესაძლოა, სწორედ შესაცნობი ობიექტის ბარმონიის, სილამაზის გრძნობა აახლოვებს მეცნიერებას ხელოვნებასთან მის უმაღლეს გამოვლინებაში. ღრმა მეცნიერულ კვლევებში შეიძლება აღმოვაჩინოთ მაღალი პოეზია, ისევე როგორც მაღალ პოეზიასა და მუსიკაში — მკაცრი ლოგიკა და ცოდნისა და მისი გამოსახვის აქსიალუტური სიზუსტე.

მეცნიერული აღმოჩენების პოეზია ხშირ შემთხვევაში რჩება მეცნიერის შინაგან განცდად და არ პოულობს თავის უშუალო ასახვას სამეცნიერო თხზულებათა ფურცლებზე. მიუხედა-

ვად ამისა — ეს მეცნიერების არსებითი ნაწილია, რომელიც ამდიდრებს მის შინაარსს და ხელს უწყობს მის განვითარებას. ემოციის როლი ხელოვნებაში, შემოქმედებით მოღვაწეობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მეცნიერებაში კი ემოცია თითქოსდა თანმხლები ხასიათისაა, იგი არ ძევს თეორიულ ცნებათა და დასკვნების ბუნებაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში ავტორის ემოციური დამოკიდებულება თავის საქმესთან „კადრს მიღმაა", პიესაში, ფერწერაში, მუსიკაში კი ყოველთვის „კადრშია".

ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერი სფერო შეიცავს ურიცხვ პოეზიას. დროა პოეტებმა ანგარიში გაუწიონ ამას. კ. პაუსტოვსკის აზრით, რაოდენ მომხიბლავი და დიდებული გახდებოდა ვარსკვლავებით მოჭედილი ცის თემა, პოეტებს რომ ასტრონომია კარგად ცოდნოდათ! ერთია უსახო ღამე ტყეში და სულ სხვაა იგივე ღამე, როცა პოეტმა იცის ვარსკვლავთა მოძრაობის კანონები. როცა შემოდგომის ტბათა შავ წყალში აირეკლება არა რომელიღაც ვარსკვლავიანი ცა, არამედ ბრწყინვალე და მწუხარე ორიონი.

ჭეშმარიტ პოეზიას უშუალოდ არ მოაქვს არავითარი კონკრეტული სარგებლობა, მისი მიზანია სამყაროში ჰარმონიის აღმოჩენა და შეტანა. მაგალითად, სატრფიალო ლირიკა არ იძლევა რეცეპტებს, რომელთა საშუალებით შეიძლებოდეს სიყვარულში წარმატების მიღწევა, მაგრამ იგი ამ ბუნებრივ გრძნობაში გვიმეღავნებს ადამიანთა მოდგმის გაგრძელების ინსტინქტისა და ტკბობისაგან სრულიად განსხვავებულ რამეს — სიყვარულის რომანტიკას. ხელოვნება მუდამ ისწრაფვის ამხოლუტიზაციისაკენ, მის მიერ ხორცშესხმული განზოგადების ასაყვანად ჭეშმარიტების რანგში. ხელოვნება თავისი ბუნებით პროგრესულია იმიტომ, რომ იგი სუბიექტში ამკვიდრებს სამყაროს ობიექტურ და რთულ კანონზომიერებას, გვიჩვენებს წინააღმდეგობრიობას და მისი დაძლევის გზებს. ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერი სფეროს განვითარება კი, შეუძლებელია წინააღმდეგობათა ფორმების გამოვლინებისა და მათი დაძლევის მისწრაფების გარეშე.

პირველყოფილმა ადამიანმა ლაქა გამოკვაბულის კედელზე მამონტის ფიგურას მიამსგავსა. ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს მხატვრული შემოქმედების უნარს. ხელოვნების წარმოშობა უკავშირდება შრომის წარმოშობას. შრომა კი იწყება არა იარაღის გამოყენებით (რაც, როგორც ცნობილია, ცხოველებისთვისაც დამახასიათებელია), არამედ მათი შექმნით. საბვითი ხელოვნება იწყება არა ლაქისა და ცხოველის ფიგურის მსგავსების კონსტატირებით, არამედ შემოქმედებით, რომლის საშუალებითაც ადამიანი შეგნებულად აღრმავებს, და შემდგომში თავად ქმნის თვალში საცემ ამ მსგავსებას. ეკერმანთან საუბარში გოეთე ამბობს: „ვიდრე იგი (ხელოვანი — რ. გ.) გამოთქვამს მზოლოდ თავის სუბიექტურ გრძნობებს, მას პოეტი ჯერ არ შეეძლება ეწოდოს, ხოლო როცა შეძლებს აითვისოს სამყარო და გადმოსცეს ეს, მაშინ იგი პოეტია".

მეცნიერი, ხელოვანისაგან განსხვავებით, არ ქმნის ახალ სამყაროს, იგი ქმნის ახალ შეხედულებებს სამყაროზე. მეცნიერის მიერ დანახული ბუნება მის მიერ შექმნილი სამყაროა.

თანამედროვე ფიზიკა არ იყენებს ნიუტონის ნატურფილოსოფიურ შეხედულებებს (სივრცეს დღეს არ განიხილავენ როგორც „ცარიელ ყუთს", უარყოფილია ჰიპოთეზა „პირველადი ბიძგის" შესახებ და ა. შ.). ასევე, თანამედროვე ბიოლოგიაში არ განიხილება ლინეის სამყარო, რომელიც დასახლებულია ცხოველთა და მცენარეთა ერთხელ შექმნილი და უცვლელი სახეობებით, თუმცა დარჩა თვით იდეა ორგანიზმების ბიოლოგიური კლასიფიკაციისა სახეობის, გვარის, ოჯახის და ა. შ. მიხედვით. მეცნიერებამ დღეს გამოიმუშავა სამყაროს ახალი ხედვა. მეცნიერი ხელოვანის ტოლფასია, როცა შემოქმედების პირად აქტში სინამდვილის მასალიდან ქმნის მის სახეს.

როგორც მეცნიერებაში, ისე ხელოვნებაში, სინამდვილის შესასწავლი გზების, მისი ახალი მოდელების ძიება არის შემოქმედების აქტი, რაც განპირობებულია გენიოსის უნარით დანახოს რაღაც ახალი სამყაროში და გადაცეს ეს ხედვა სხვებს. ასეთ მოდელებში ვლინდება მეცნიერული შემოქმედების სტილი.

მეცნიერული და მხატვრული შემოქმედება ადამიანის ცხოვრების, მისი კულტურის საფუძველია, ყველა იმ მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა წყაროა, რაც კი შეუქმნია კაცობრობას თავისი არსებობის მანძილზე.

ამ მცირე მოცულობის სტატიაში შეუძლებელი იყო სრულად შევხებოდით მეცნიერული და მხატვრული შემოქმედების იმ აქტუალურ პრობლემებს, რომელთა გადაჭრა გარკვეულ წილად ხელს შეუწყობდა მათ განხილვას სისტემური მიდგომის პოზიციებიდან. მიუხედავად ამისა, ჩვენს მიერ მოკლედ განხილული მასალაც კი ნათლად აყენებს მეცნიერული და მხატვრული შემოქმედების ურთიერთობათა პრობლემის შესწავლის აუცილებლობას.

გურამ ყორანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული და სოციალური განთავისუფლების საკითხი ილიას ნააზრევსა და პრაქტიკულ ნაღვაწში

„დიდება ილიასი მით უფრო იმატებს, რაც უფრო ზედმიწევნით გაიცნობს ქართველობა ნამდვილს ილიას, შეიგნებს იმის დიდებულს და წმინდა ქართულს ენას, მის მაღალ აზრებს, პროგრესიულს იდეალებს, მის დემოკრატიულს მიმართულებას, წმინდა ეთიკას სრულის ადამიანობისასა“.

იაკობ გოგებაშვილი

ილიას ნააზრევისა და პრაქტიკული მოღვაწეობის საზრისის გაგება და შეფასება დიდი ხანია გაცხოველებულ ინტერესს იწვევს. ასევე დიდი ხანია, რაც ამ გაგებასა და შეფასებაში ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები არსებობს. ილია მის მოწინააღმდეგეთა მიხედვით გახლდათ იდეოლოგი და პრაქტიკული მოღვაწე თავადაზნაურთა კლასისა. სიმ. ხუნდაძის თანახმად ილია 60-იან და 70-იანი წლების პირველ ნახევარში იყო ბურჟუაზიული ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების, ხოლო შემდეგ თავადაზნაურული ლიბერალიზმის მომხრე. ა. კიკვიძე, ა. ჭუთელია, ი. კაჭარავა და სხვ. ილიას აზროვნებასა და მოღვაწეობას ობიექტურად ბურჟუაზიული განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად მიიჩნევენ. ზოგიერთი მკვლევარის შეხედულებით კი ილია გლეხკაცობის, როგორც კლასის, იდეოლოგი გახლდათ. ამათგან განსხვავებით ნ. ბერძენიშვილი თავს იკავებდა ილიას მსოფლმხედველობის რომელიმე სოციალურ კლასთან მიკუთვნებაზე (იხ. მისი „ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მთავარი ხაზი“ (თეზისები), თბილისი, 1964). გ. მელიქიშვილი სამართლიანად აღნიშნავს ილიას გაგება-გააზრებისას რომელიმე აპრიორული, ნაცნობი სქემიდან მიდგომისაგან განთავისუფლების საჭიროებას, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ფაქტობრივად წინასწარ შემოშავებული სტერეოტიპით, მხოლოდ ილიასეული ორიოდე აზრით, ამ უკანასკნელის ნააზრევის მთელი კონტექსტის გაუთვალისწინებლად, ცდილობს ილიას მსოფლმხედველობის კვინტესენციის გაგებას. კერძოდ, იგი სათანადოდ ვერ აფასებს ილიას რევოლუციურ სულისკვეთებას თუნდაც სტუდენტობის პერიოდში, მასზე რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების რადიკალური შეხედულებების ზეგავლენას (იხ. „ზოგიერთი განმარტება“, მაცნე, ისტორიის... სერია, 1978, № 4). 1988 წლის 11 მაისს, გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობისათვის“ ლ. გორგილაძე აღნიშნავს, რომ ილიამ რევოლუციურ-დემოკრატიზმთან, რევოლუციურ განმანათლებლობასა, რევოლუციურ-უტოპიურ ჰუმანიზმთან და ა. შ. ერთად „სათავე დაუდო ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობას“, „ეროვნულ დემოკრატიზმს“, „რევოლუციურ ეროვნულ-დემოკრატიულ აზროვნებას“ როგორც იდეურ მიწდინარეობას. მაგრამ სტატიის ავტორი არ შლის, არ ავითარებს სათანადოდ თუ რა აზრი იგულისხმება აღნიშნულ სიტყვებში. თუ ბევრნი ჩვენს დიდ მწერალსა და მოაზროვნეს სოციალურ კოსნერვატიზმს უკიჟინებდნენ, ზოგიერთები მას დიდ რევოლუციონერად სთვლიან (ასეთ შეხედულებას სათავე დაუდო „პრავდის“ 1936 წლის 4 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულმა სტატიამ).

რატომ ხდება ასე?

აი რამდენიმე მიზეზი: 1) ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, კლასობრივად გათიშულ საზოგადოებაში მოაზროვნე და პრაქტიკული მოღვაწე უცილობლად რომელიმე სოციალური კლასის ან ფენის ინტერესებს უნდა გამოხატავდეს. აქედან გამომდინარე, ილიას აუცილებლად თანადროული ქართული საზოგადოების ერთი რომელიმე კლასის ან სოციალური ფენის ინტერესი უნდა გამოეხატა. 2) ილიას შეფასება ხდება იმისდა მიხედვით, თუ როგორი განწყობა ჰქონდათ და აქვთ პუბლიცისტებსა და მკვლევარებს ილიასადმი; ე. ი. თუ ეს განწყობა და მიმართება სიმპათიით ხასიათდება, მაშინ ილია მოწინავე კლასის ან გლეხ-

კაცობის ინტერესების გამომხატველად და რევოლუციონერად ცხადდება, ხოლო თუ შესაბამის განწყობასა და მიმართებას ანტიპათია განსაზღვრავდა (ჩვენდა სამწუხაროდ, უწინ ეს გრძნობა ჭარბობდა), მაშინ ჩვენი დიდი ეროვნული მოღვაწე და მოაზროვნე გაბატონებული კლასის (თავადაზნაურობის) წარმომადგენლად და იმპერიონდელი სოციალური და პოლიტიკური status quo-ს დამცველად ესახებოდათ. 3) შეხედულებათა ასეთ სხვადასხვაობას ნაწილობრივ განაპირობებს თვით ვახაზრებელი ობიეკტის — ილიას მემკვიდრეობის (თეორიულისა და პრაქტიკულის) სირთულე (სტრუქტურის მნიშვნელობით). სათანადო სუბიექტური განწყობისას მკვლევარს ადვილად შეუძლია მონაბოს ისეთი ადგილები და ფაქტები ილიას ნააზრევიდან და პრაქტიკული საქმიანობიდან, რომლებიც „ადვილად დაადასტურებენ" მის აპრიორულ და სუბიექტივისტურ მოსაზრებას. თანაც ილიას აზროვნება ცვალებადობას განიცდიდა. ჩვენს წინაშეა ამ ცვალებადობის პროცესის მდინარება მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე და ამ პროცესს ობიექტურობითა და მთელი სერიოზულობით სჭირდება თვალყურის გადევნება.

ყოველივე ზემოადნიშნული, ე. ი. ასეთი სხვადასხვაობანი ილიას გაგებასა და შეფასებაში, პარადოქსულად გამოიყურება იმის ფონზე, თუ გავითვალისწინებთ ილიას პიროვნების მონოლითურობასა და პრინციპულობას (მოვიგონოთ ვაჟა-ფშაველას სიტყვები: „ილია სამარქადის მთლიან ადამიანად დარჩა, როგორც ზოდი ოქროსი"). საერთოდ, აზრთა ასეთ სხვადასხვაობას არავითარ შემხვედვაში არ ექნებოდა ადგილი, ილია რომ თანადროული ქართული საზოგადოების მხოლოდ ერთი რომელიმე კლასის იდეოლოგი და პრაქტიკული მოღვაწე ყოფილიყო. და რომ ილია მთელი ქართველების წინამძღოლი და მოამაგე იყო, ეს, ბევრი პუბლიცისტისა და მკვლევარისაგან განსხვავებით, კარგად იცოდა ვაჟა-ფშაველამ, არჩ. ჯორჯაძემ, მიხ. წერეთელმა, კ. აბაშიძემ, ი. ევდოშვილმა და სხვებმა.

საპირისპირო მეთოდოლოგიისათვის. როგორც დავინახეთ, ჩვენი დიდი მწერლისა და მოაზროვნის ნაფიქრალ-ნააზრევისა და პრაქტიკული ნაღვაწის გაგებაში შეხედულებათა ნამეტანი სხვადასხვაობა სუფევს. ამ ნააზრევისა და პრაქტიკული ნაღვაწის გაგება და შეფასება საფრანგეთის შესაბამისი ეპოქის (დიდი რევოლუციის წინანახანების) სინამდვილით, სახელდობრ, ვოლტერის ან რუსოს მეშვეობით, ან შესაბამისი პერიოდის რუსეთის ისტორიული სინამდვილით, კერძოდ, ნ. გ. ჩერნიშევსკის ან ნ. ა. დობროლიუბოვის მაგალითებით, შეუძლებელია. ვოლტერისა და რუსოსაგან განსხვავებით ილია, მოგეხსენებათ, ცხოვრობდა სხვა ისტორიულ, უფრო ზუსტად, სხვა მსოფლიო-ისტორიულ ვითარებაში. როცა განმანათლებლობისა და კერძოდ, საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეალებმა კრაში განიცადა, როცა, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ძმობა, ერთობა, თავისუფლება „უკმ სიტყვებად" იქცნენ და ამ კრიზისმა და ახალმა სინამდვილემ ახალი იდეალები წარმოშვა. მეორე მხრივ ილიას, ნ. გ. ჩერნიშევსკისა და ნ. ა. დობროლიუბოვისაგან განსხვავებით, ცხოვრება უხდებოდა არა ისეთ ქვეყანაში, სადაც ძლიერი იყო თემური (სასოფლო-ფორმით) საკუთრება და შესაბამისი სოციალური ფსიქოლოგია (როგორც ამას რუსეთში ჰქონდა ადგილი), არამედ საოგაღიებაში, სადაც გლეხკაცობის მიწაზე კერძო საკუთრების ხანგრძლივი ტრადიცია გაჩნდა და რომელსაც, საფრანგეთისა და რუსეთისაგან განსხვავებით, ეროვნული დამოუკიდებლობა დაკარგული ჰქონდა. განა ეს მომენტი ისეთი უმნიშვნელო გახლავთ, რომელსაც არ შეუძლია სათანადო დაღი არ დაესვა შეხედულებათა ქვეყნის საზოგადოებრივ აზროვნებისათვის? ზემოაღნიშნული ფრანგი და რუსი მოაზროვნეები მიმართავდნენ ფრანგი და რუსი ერების ერთ (მართალია უდიდეს) ნაწილს, მაგრამ, მათი სამშობლო რომ დაპყრობილი ყოფილიყო უცხო მოძალადეთა მიერ, მაშინ ისინი მთელი ერის სახელით ილაპარაკებდნენ. ჩვენ გვაქვს თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორ მოიქცა მსგავს სიტუაციაში საერთოდ მესამე წოდების წარმომადგენელი, ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი ი. ფიხტე ნაპოლეონის საფრანგეთის მიერ გერმანიის ოკუპაციის ჟამს. ამ დროს ფიხტე თავის ცნობილ წერილებში მთელ გერმანელ ერს მიმართავდა.

ერთი სიტყვით, სოციალური და ეროვნული საკითხების თანაფარდობა ერთნაირად როდი ისმის ყველგან და ყოველთვის. ერთია ეროვნულად თავისუფალი ქვეყნის ვითარება და მეორეა დაჩაგრული ქვეყნის მდგომარეობა. საბწუხაროდ, ქართველი პუბლიცისტებისა და მკვლევრების დიდი უმეტესობა ამ გარემოებას ივიწყებდა და ივიწყებს; მათთან სოციალური საკითხი ყველგან და ყოველთვის წინა პლანზე დგას ხოლმე და ამას მარქსიზმის კლასიკოსების ავტორიტეტზე დამყარებით ასაბუთებენ. მაგრამ მოვუსმინოთ თვითონ მარქსიზმის უდიდეს ავტორიტეტს ფ. ენგელსს. იგი 1875 წელს (ე. ი. სრულიადაც არაახალგაზრდულ ასაკში) წერდა: „სანამ სიცოცხლისუნარიანი ხალხი შებრძოლილია უცხოელი დამპყრობელის მიერ, იგი მთელ თავის ძალებს, მთელ თავის მისწრაფებებს, მთელ თავის ენერგიას აუცილებლობით წარმართავს საგარეო მტრის წინააღმდეგ; და სანამ მისი საშინაო ცხოვრება ამგვარად პარალიზებული რჩება, მას არ შეუძლია იბრძოლოს სოციალური განთავისუფლებისათვის. ირლანდია, რუსეთი თათარ-მონღოლთა უღლის ქვეშ და ა. შ. იძლევიან ამ მდგომარეობის ნათელ დადასტურებას" (იხ. К. Маркс и Ф. Эн-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელსი, Соч., т. 18 გვ. 555). აღნიშნულ მაგალითებს ენგელსი უმატებდა XIX საუკუნის პოლონეთის მდგომარეობასაც. სხვაგან იგი წერდა: „ეროვნული ჩაგრის მოშორება ძირითადი პირობაა ყოველი ჯანსაღი და თავისუფალი განვითარებისათვის“ (К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 35, გვ. 221). აქედან გამომდინარე, ენგელსი დასკვნიდა: „მანამ, სანამ არ არის მიღწეული ეროვნული დამოუკიდებლობა, დიდ ხალხს ისტორიულად არ შეუძლია რამდენადმე სერიოზულად განიხილოს რაიმე საშინაო საკითხები“ (იქვე, გვ. 230, იხ. აგრეთვე ტ. 22, 1962, გვ. 220); „... მხოლოდ მას შემდეგ, რაც პოლონეთი ხელახლა მიაღწევს თავის დამოუკიდებლობას, მხოლოდ მაშინ, როცა იგი ხელახლა იქნება განმაკარგულებელი თავისი ბედ-იღბლისა როგორც დამოუკიდებელი ერი, — მხოლოდ მაშინ ხელახლა დაიწყება შინაგანი განვითარების პროცესი“ (К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 18, გვ. 555).

1921 წელს ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ მსოფლიო რევოლუციის მომავალი გადამწყვეტ ბრძოლებში დედამიწის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მოძრაობა წარიმართება ჯერ ეროვნული განთავისუფლებისათვის, ხოლო მიზნის მიღწევის შემდეგ — კაპიტალიზმის წინააღმდეგ (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, IV გამ. ტ. 32, გვ. 314). თითარ-მონღოლთა პერიოდის რუსეთში რუსი ხოსახლეობის გაერთიანებას საგარეო მტრის წინააღმდეგ, შესაბამისად კლასობრივი ბრძოლის გაუფეთარებლობას მიუთითებდა გ. ვ. პლეხანოვი თავის ცნობილ „რუსული საზოგადოებრივი აზრივნების ისტორიაში“.

ამრიგად, ქვეყნის დაჩაგრულობა-დამონებულობის პირობებში ერის ყველა ნაწილის საგარეო მტრის წინააღმდეგ გაერთიანების მიზანშეწონილობასა და ფაქტს არეერთგზის აღნიშნავდნენ ფ. ენგელსი, ვ. ი. ლენინი და გ. ვ. პლეხანოვი. მათი შეხედულება საკითხზე კი, ვიმეორებთ, ქართველ პუბლიცისტებსა და მკვლევარებს ზშირად ყურადღების გარეშე რჩებოდათ და რჩებათ.

ზემოაღნიშნულ გარემოებას მშვენივრად აცნობიერებდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ილია. „აჩრდილში“. იგი წერდა:

ორი რამ იყო, რისთვისაც ძე შენი
იღვწოდა, —
ბედმა უწყალომ სხვა საქმისთვის არ
მოაცალა, —
მამულისა და რჯულისათვის იგი იბრძოდა,
ორივ დაიცვა, მაგრამ ყველა მათ
ანაცვალა.

ცხადია, ასეთი სიტყვაციისას საზოგადოება, ერი სოციალური და პოლიტიკური განვითარების საკითხში აგებს, მაგრამ მაინც ნორმალურ გზად მისთვის რჩება უპირველესად გარეშე მტრის ულლის მოშორება. მწერალს, პოეტს, მოაზროვნისა და ერის თვითონ რეგალია მადგენლის მთელი ძალისხმევის წარმართულებით მიმართულებით სრულიადაც არ ნიშნავს რეტროგრადობას.

აღნიშნული მაინც არ მოწმობს იმას, რომ XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართველ მწერალს, მოაზროვნეს და ა. შ. მხოლოდ ეროვნული საკითხზე ეფიქრა. ჩვენი ქვეყნის საზოგადოების სოციალური მდგომარეობა ისეთი იყო, რომ სოციალური საკითხებიც (განსაკუთრებით ბატონყმობის გაუქმება) საჭიროებდა გარკვეული ზომით ინტერესის გამახვილებას. ვიმეორებთ: დღის წესრიგში იდგა ორივე საკითხი, მაგრამ პრიორიტეტი მაინც პირველს, ე. ი. ეროვნულ საკითხს ჰქონდა.

ეროვნული და სოციალური საკითხების თანაფაარდობის ევოლუცია ილიას ნააზრევში

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლო ხანასა და 60-იანი წლების დასაწყისში რუსეთის იმპერიის ცხოვრება ძალზე დაძაბული იყო. ყირიმის ომში დამარცხებამ კიდევ უფრო გამოავლინა რუსეთის იმპერიის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჩამორჩენილობა. მმართველი ფენების მოწინავე ნაწილმა მთელი სიგრძე-სიგანით შეიგნო სერიოზული რეფორმების გატარების აუცილებლობა. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, რა გორც ინტელიგენცია, ისე გლეხკაცობა, რევოლუციური სულისკვეთებით განმსჭვალა. ასეთივე სულისკვეთება ახასიათებდა პეტერბურგში მყოფი ქართველი სტუდენტობის უმეტესობას, რომელიც უთუოდ განიცდიდა ნ. გ. ჩერნიშევსკისა და ნ. ა. დობროლიუბოვის იდეურ გავლენას. ასეთ განწყობილებას, ცხადია, ვერ გაიქცევდა ახალგაზრდა, დიდი შემართების ილია. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მან სწორედ ამ მიზეზით ვერ დაასრულა სრული საუნივერსიტეტო კურსი. მაგრამ რუს რევოლუციონერ-დემოკრატებისაგან განსხვავებით ილიას მომავალი რევოლუცია წარმოედგინა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლადაც, აჯანყებადაც. იგი კარგად გრძნობდა, რომ სოციალური და პოლიტიკური status quo ხელს აძლევს საზოგადოების გაბატონებულ ფენებს, რომლებიც კლასობრივი ეგოიზმით არიან შეპყრობილნი:

მოძმეთა ხსნისთვის თავის-დადება
წმინდა ხვედრია მხოლოდა გმირთა
და მას ვით შესძლებს თავმოყვარება,
რომელიც იმა დიდკაცთა სჭირთა?
ის რად ინდომებს ქვეყნისა ბედსა,
როს მასა შვილს მის ბედკრულება?
რად შეებრძვის ის სიბოროტესა,
როს მეოხებით მისით თვით ჰრჩება?!

თავის მშვენიერ ოდაში თავისუფლებისადმი ილია წერს, რომ თავისუფლება მშვიდობიანად, უსისხლოდ არ მოდის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით ბარ მშვიდობა, უხვად მადლთა
ქვეყნად მომფენი,
მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა
მიებნელი შენ!
რად არ შენდება უსისხლოდ მისი ტაძარი,
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება
არი?

იგივე ნაწარმოებში ვკითხულობთ:

თავისუფლების მშოვნელი,
ამ ქვეყნად მარტო თოფია,
შინ უდლით გაქნილს მშვიდობას
ომში სისხლის ღვრა სჯობია!

1858-61 წლებში დაწერილ ლექსებში („ჩემი თარიალალი", „ნანა", „მესმის, მესმის", „ქართველ სტუდენტების სიმღერა", „გაზაფხული" და სხვ.) მშვენივრად ჩანს ილიას რევოლუციური განწყობილება, სიძულვილი ცარიზმისადმი, ერთგზული აჯანყების გზით თავისუფლების მოპოვების სურვილი. მოვიგონოთ „ქართვლის დედის" (დაწერილია 1860 წელს, საბოლოო რედაქცია გაუკეთდა 1871 წელს) ეპიგრაფად საბრძოლო განწყობილების ქართული ხალხური ლექსის სტრიქონების წამძღვარება:

გაგვიძეღ, ბერო მინდიავ,
მუხლი მაიბი მგლისაო,
გაიყოლე უმცროსნი,
ვისაც თავი აქვს ცდისაო.

ილიამ კარგად იცოდა, რომ უზარმაზარი იმპერიის — „ხალხთა საპყრობილის" წინააღმდეგ ოდენ ქართველობის შეიარაღებული გამოსვლა არა კმაროდა, საჭირო იყო მთელი კავკასიის გაერთიანება. იმავე „ქართვლის დედაში" მომავლის ასეთი ხედვითაა დახატული:

ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი
მოქმედობს,
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს
ფიქრსა ჰფიქრობს,
და ეგ ფიქრია მთელ კავკასის
თავისუფლება!...
მთელი კავკასი, მტერზედ რისხვით
აღმომქშენავი,
ერთისა აზრით, ერთის გრძნობით
აღელვებული.

მოვიგონოთ პასაჟი „მგზავრის წერილებიდან": სიტყვამ „რევოლუცია" არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირ-დაირიოს და მერე დაწმნდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ".[1] ამავე ნაწარმოებში, როგორც ვიცით, ილიასათვის ბევრად უფრო სიმპათიურია თერგის, ვინემ მყინვარის ხახე. იგი დასძენს: „მოძძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი".

ეროვნული განთავისუფლების პარალელურად ახალგაზრდა ილია აყენებდა სოციალური განთავისუფლების საკითხსაც. ამ მხრივ მისი პოზიცია ყველაზე ნათლად გამჟღავნდა „ჩრდილში". ეს განთავისუფლება ეხება არა მხოლოდ ისტორიულ ანაკრონიზმად კცეულ ყმა-გლეხობას (სოციალურ ჩაგვრას), არამედ „შრომის ახსნას":

შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი
ძლევამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგრ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის...
ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, —
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების.

საზოგადოების ილიასეული იდეალი არ არის რუსეთის იმპერიის რეფორმირებული საზოგადოება, თუნდაც მოწონავე დასავლეთ ევროპის მდგომარეობა. ჩვენს დედ მოაზროვნეს აქ სოციალისტური იდეალი ჰქონდა მხედველობაში. მის. წერეთელი ჯერ კიდევ ოთხმოცი წლის წინათ აღნიშნავდა, რომ ილიას მრავალ თხზულებაში თვით სოციალიზმის პრინციპებიც კი არის გატარებული, რომ „შრომის ახსნა" იყო ილიას იდეალი (იხ. კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, ტფილისი, 1907, გვ. 180). ასეთ ფიქრობდა ვასილ წერეთელი. ამდენად, ილიამ უცილოდ განიცადა უტოპიური სოციალიზმის გავლენა.

მაგრამ საერთოდ ილია პრიორიტეტს ანიჭებს ეროვნულ განთავისუფლებას. ამ პერიოდშიც კი იგი უფრო ხშირად მასზე ლაპარაკობს. შესაბამისად, სავსებით კანონზომიერი გასლავთ, რომ იმავე „ჩრდილში" პოეტი ჯერ ეროვნულ სატკივარს ეხება.

როგორც ცნობილია, რუსეთში გატარებული მნიშვნელოვანი რეფორმებით რევოლუციური სიტუაცია საკმაოდ განმოუხტა, იგივე რეფორმები, თუმცა შეკვეცილი სახით, საქართველოშიც გატარდა. ამით ბოლო მოეღო ანაკრონიზმად კცეულ ბატონყმობის ინსტიტუტს. აქედან გამომდინარე, როგორც იმპერიამ მთლიანად, ისე საქართველომ კერძოდ, განვითარების თვალსაჩინო იმპულსები მიიღო. ალექსანდრე მეორის მიერ განხორციელებულ რეფორმებს, მიუხედავად მისი შეზღუდულობისა, კერძოდ, საქართველოს მამარი, დიდად აფასებდა ილია. ეს მას არაერთგზის აღუნიშნავს. ასე მაგალითად

[1] „საქართველოს მოამბის" პირველ ნომერში „რევოლუცია" უფრო კონკრეტულად, როგორც ჩანს, ილიას მიერ, ასეა განმარტებული: „რევოლუცია არის აღდგომა წინააღმდეგ მართებლობისა". შევნიშნავთ, რომ საფრანგეთის 1789-94 წლების რევოლუციას ილია ჩვეულებრივად „დიდის" ეპითეტით მოიხსენიებდა ხოლმე.

„ცხოვრება და კანონში“ იგი წერდა: „...ამ უკანასკნელს ათს წელიწადში, სახელდობრ 1864 წლიდან, ჩვენში ბევრგვარი ცვლილება მოხდა, რომელთ აზრად ჰქონდათ და აქვთ საზოგადო ურთიერთშორისი წყობილება უკეთესს და უფრო უმართლეს ნიადაგზედ დაედგინა. ამ ცვლილებას ჩვენში ყოველი გონიერი და მიხვედრილი კაცი დიდის სიხარულით და აღდაცებით მიეგება“ (იხ. თხზულებანი, პ. ინგოროყვას გამ., ტ. 6, გვ. 8-9). ამგვარად, ილიას სიკეთეს ეს დროინდელი რადიკალიზმი შერბილდა, მისი შეხედულებანი უფრო რეალისტური გახდა. მან მშვენივრად გააცნობიერა ის გარემოება, რომ ქართული საზოგადოების მდგომარეობა განსხვავდებოდა რუსეთისაგან სოციალურადაც და ეროვნულადაც. იგი აღნიშნავდა: „...ხოლო ჩვენი აზრი ის არის რომ ყოველს სწავლასა და ცოდნას საძირკვლად საკუთარის მწერლობისა და ვითარების ცოდნა უნდა დაედოს... ახლად ფეხადგმულმა საზოგადოებამ საკუთარი ვინაობა უნდა შეისწავლოს“ (იხ. თხზულებანი, ტ. 3, გვ. 315). მაშასადამე, ილიას დასკვნით, საჭირო იყო ერის ძალების გაძლიერება და თავმოყრა ერთიანი მიზნისათვის. თუმცა ძველი განწყობილება, შემართება კვლავ ჩანს 1872 წელს დაწერილ ლექსში „ჩემი კარგო ქვეყანავ“, სადაც ილია ასპარეზზე გამოსული ახალი თაობის მისამართით წერდა: „მათ თვის მკერდით შემამულრონ მტერთა სიმაგრენი“.

საქართველოს განვითარების მთავარ სოციალურ საკითხად რეფორმის შემდგომ პერიოდში ილია თვლიდა გლეხკაცობაზე მიწის საკუთრებად დამაგრებას. ამის თაობაზე იგი 1882 წელს აღნიშნავდა: „ყოველის განვითარების საფუძვლად, სათავედ ყოველის რიგიანის წარმატებისა, — უნდა აღიარებულ იქმნას წვრილ მემამულეების (იგულისხმება გლეხობა, — გ. ყ.) გათავხსირება (ე. ი. გაღატკება, გ. ყ.) კი არა, ბოგანო მუშის გამრავლება კი არა, არამედ ისა, რომ სოფლის მცხოვრებთა მიწა და მიწათმოქმედება მტკიცედ ხელთ ეპყრას“ (თხზულებანი, ტ. 5, გვ. 199).

ცნობილია, რა ვნებათაღელვა გამოიწვია ქართველ თავადაზნაურობაში საკითხმა იმის თაობაზე, თუ როგორ გაეთავისუფლებინათ გლეხობა მიწა-წყლით თუ უმიწაწყლოდ. არსებობს დოკუმენტი „კრიტიკული შენიშვნები საგლეხო რეფორმის დებულების პროექტზე“, რომლის ავტორი გლეხების მიწა-წყლით გათავისუფლებას მოითხოვდა. მაგრამ დაუდგენელია ამ დოკუმენტის ავტორის ვინაობა. ზოგი მკვლევარი „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორად ნ. ბავშვიძეს მიინჩევს, ზოგი კი — ილიას. თუ გავთვალისწინებთ ილიას რადიკალურ განწყობილებას რეფორმის გატარების წინ და რეფორმის პერიოდში, ასევე დოკუმენტის რიგი ადგილების თანხვდენას ილიასთვის ჩვეულ გამოთქმებთან და ა. შ., აღნიშნული დოკუმენტის ავტორი ალბათ, ილია უნდა ყოფილიყო (ამასვე ადასტურებს ქრ. მამაცაშვილის ცნობილი მოგონება). როგორც ვიცით, გლეხთა მიწიანად განთავისუფლება ვერ მოხერხდა. მაგრამ, რაც შეეხება პირადად ილიას, მან ყმა-გლეხებს განთავისუფლების პირველ ხანებშივე მათ მიერ ხმარებული საკომლო (სახნავ-სათესი), კარმიდამო, ვენახი უსასყიდლოდ დაუთმო, ამ უკანასკნელთ ხელშეუხებელ საკუთრებად დაუმტკიცა და ამით მოსპო ყოველგვარი ბატონ-ყმური დამოკიდებულება მახსა და ყოფილ ყმებს შორის (იხ. „ნუ თუ?“, თხზულებანი, ტ. 9, გვ. 279).

ილიას კარგად ესმოდა ქართველი გლეხკაცობის დიდი ნაწილის გაჭირვებული მდგომარეობა თვით საგლეხო რეფორმის შემდგომ ხანებშიც კი, სახელდობრ, მისი დიდი ნაწილის მცირემიწიანობა. ამის შესახებ იგი არაერთხელ აღნიშნავდა. რადიკალურად აგრარული საკითხის დაყენება ჯერჯერობით არ შეიძლებოდა. როცა სათანადო სიტუაცია მომწიფდა, რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, ილიამ ეს გააკეთა (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). თუმცა, რასაკვირველია, ილია არ მისულა თავადაზნაურთა საკუთრების ექსპროპრიაციის იდეამდე.

შევჩერდებით ილიას შეხედულებებზე თავადაზნაურების შესახებ. მისი აზრით, ჩვენს ქვეყანაში ფეოდალიზმის („ფეოდალობის“) წარმოქმნასა და ხანგრძლივად არსებობას საფუძვლად ედო გარკვეული საზოგადოებრივი ფუნქციების შესრულება. თავადაზნაურობას, ილიას მხატვრული გამოთქმით, ხელში ეკავა ხმალი, ე. ი. კლასი უძღვებოდა ქვეყნის თავდაცვის საქმეს, ხოლო გლეხკაცობის მთავარი საქმიანობა გახლდათ გუთანი, ე. ი. უშუალო მატერიალური წარმოება. აქ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება. თვით მეცხრამეტე საუკუნის დიდი პერიოდის განმავლობაშიც კი საქართველოს განვლილი ისტორიული პროცესი მხოლოდ პოლიტიკური ისტორიის შინაარსით ჰქონდათ წარმოდგენილი. ჩვენი ისტორიის ეკონომიკური და სოციალური მხარეები ჯერჯერობით უამრავს წარმოადგენდა. როგორც ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა: „საქართველოს ისტორიოგრაფიას მის (ილიას, გ. ყ.) დროს არამც თუ ამ თვალსაზრისით (ჩვენი უდიდესი ისტორიკოსი გულისხმობდა საქართველოს ისტორიის ეკონომიკური საფუძვლის გამოკვეთის აუცილებლობას, გ. ყ.) ჩვენი ქვეყნის თავგადასავლის გაშუქება აზრადაც კი არ მოსვლია, ის მაშინ იმდენად უმწეო მდგომარეობაში იყო, რომ, ასეთი საკითხის წამოყენების შემდგომაც, პასუხის გაცემა ვერავინ შეძლო“ (იხ. ავტორის „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, ტფილისი, 1938, გვ. 9).

ამიტომაც, როდესაც ილია ხმლისა და გუთნის კონცეფციას ავითარებდა, აღნიშნავდა: „ჩვენგან დიდი კადნიერება იქნებოდა, რომ ამ მძიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმის (ჩვენი ეკონომიური და სოციალური ისტორიის, გ. ყ.) გამოკვლევას შევსდგომოდით გაზეთის მოკლე წერილში. სწორედ მოგახსენოთ, ამისათვის, არც მომზადება გვაქვს და არც საჭირო წყარო. ხოლო ფიქრად მოგვდის ორიოდე აზრი, ისიც ვარაუდმბით ცნობილი, და ვგონებთ მეტი არ იყოს ის ორიოდე აზრი მკითხველსაც გავუზიაროთ" (იხ. 1880 წელს დაწერილი მცირე ზომის სტატია „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ", თხზულებანი, ტ. 4, გვ. 176). ამავე ხარვეზებს გულისხმობდა ილია რვა წლის შემდეგაც, როცა წერდა: „კრიტიკული აზრის უქონლობაა მიზეზი, რომ ვერც ჩვენი ისტორიის შესწავლა და კვლევა ვერ დამდგარა ჯერჯერობით ნამდვილს გზაზე" (იხ. თხზულებანი, ტ. 8, გვ. 256-57).

ცხადია, რაც იმდროინდელ ქართულ ისტორიოგრაფიას არ გაუკეთებია, იმის მოთხოვნა ილიისაგან უსამართლოა იქნება. სწორედ ეს გარემოება ხსნის ჩვენს ეკონომიკურ და სოციალურ ისტორიაზე ილიის შეხედულების ნაკლოვანებებს. მისი წარმოდგენით, საქართველოს ისტორიის უმეტეს სიგრძეზე მიწა-წყალი ძირითადად გლეხკაცობის ხელში იმყოფებოდა, თანაც სათემო (სასოფლო) საკუთრების სახით, ამდენად თავადაზნაურობა მიწის საკუთრებას თითქოსდა მოკლებული იყო.[1] ისე გამოდის, რომ ჩვენში ფეოდალიზმი კი არ არსებობდა, არამედ აზიური, აღმოსავლური წარმოების წესი მისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური ხელისუფლების გაუცხოებით თვით საზოგადოების მაღალი ფენებისაგან (აღნიშნული თვალსაზრისი, როგორც ცნობილია, განავითარეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა. რა თქმა უნდა, ილიამ არაფერი იცოდა აღნიშნული კონცეფციის თაობაზე). დასავლეთ ევროპის ისტორიაში კი ილია სავსებით ნათლად ხედავდა „ფეოდალობას" (ფეოდალიზმს) მისი თავადური ნიშან-თვისებით — საკუთრების კონცენტრაციით გბატონებული კლასის ხელში. ეს მომენტი დასავლეთევროპულმა ისტორიოგრაფიამ დიდი ხანია დღესავით ნათელი გახადა. შემდეგში ჩვენი სოციალური და პოლიტიკური (სახელმწიფო წყობილების) ისტორიის შესახებ, განსაკუთრებით ივანე ჯავახიშვილის შრომების წყალობით, ბევრი რამ გაირკვა, რითაც ისარგებლეს ილიას ოპონენტებმა ჩვენი დიდი მოაზროვნისა და მოღვაწის სახელის გასატეხად.

ეს, რაც შეეხება თავადაზნაურობის სოციალურ ფუნქციას წარსულში. მეფის ბიუროკრატიის საქართველოში გბატონების შედეგად ქვეყნის თავდაცვა, ადმინისტრაცია და სამართალწარმოება ამ უცხო ძალის მეშვეობით ხორციელდებოდა. ამდენად, ჩვენს თავადაზნაურობას საზოგადოებისათვის აუცილებელი, საჭირო ფუნქციები ხელიდან გამოეცალა, რითაც მან თავისი raison d' etre დაჰკარგა. მაგრამ იყო შესაძლებლობა შეცვლილ სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაში აღნიშნულ კლასს ახალი სოციალური ფუნქციები შეეხრულებინა — განვითარებინა სოფლის მეურნეობა ახლებურ საწყისებზე, შეეცვლო ინტელიგენციის რიგები. ამრიგად, ქართველი თავადაზნაურობა, დაჰკარგა რა წოდებრიობის ნიშან-თვისებები, თანდათანობით გაჰქრებოდა როგორც კლასი, მისი შემადგენელი ნაწილი აქტიურად ჩაებმებოდა ახალი საზოგადოების ცხოვრებაში, ისევე, როგორც ეს გააკეთა, მაგალითად, ინგლისისა და პრუსიის თავადაზნაურობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა. თუმცა ილიას მახვილი თვალი კარგად ამჩნევდა, რომ ჩვენს თავადაზნაურობას სოციალური ენერგია კი არ ემატებოდა, პირიქით, აკლდებოდა, რის გამოც მას ხელიდან ეცლებოდა საკუთრება. 1886 წელს ილია წერდა: „ვინ არ იცის, რომ, თუ სადმე უქმობაა მოჰკვენისა და მხნეობა-მოკლებულობა, უფრო მდიდართა შორის არის" (თხზულებანი, ტ. 4, გვ. 353). და ამას აღნიშნავდა იგი სწორედ ჩვენი თავადაზნაურობის მიმართ. უფრო გვიან 1887 წელს, იგი წერდა: „არ არის ქვეყანაზედ არც ერთი ერი, რომლის შემძლებელი ნაწილიც ახე გულაცრუებული, ახე გულგრილი იყოს საზოგადო საქმეების შესახებ, როგორც ჩვენები არიან". (თხზულებანი, ტ. 5, გვ. 145). მაგრამ ილია გულს მაინც არ იტეხდა და მოელოდა თავადაზნაურთა ფსიქოლოგიის მკვეთრ ტრანსფორმაციას, რაც ამ კლასმა ვერ მოახერხა.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ აყენებდა ილია ეროვნულ საკითხს რეფორმიდან მოყოლებული 1905-07 წლების რევოლუციამდე.

ილიას სტუდენტური ხანის ოცნებას, რომ ცარიზმი რევოლუციის გზით დამხობილიყო და შედარებით უსისხლოდ თუ შეიარაღებული აჯანყების გზით შესაძლებელი გამხდარიყო მთელ კავკასიასთან ერთად საქართველოს განთავისუფლება, განხორციელება არ ეწერა. მაგრამ ისტორიამ რეფორმის შემდგომ ხანაში ქართველობისათვის რადაც პოზიტიური მაინც გააკეთა. იზოლირებული, განცალკევებული ქართველობა გაერთიანდა, მას გაუჩნდა საზოგადოებრივი, ეროვნული ინტერესი და მიზანი. გაჩნდა იდეურად ახალი ქართული პრესა, დაარსდა მთელი

---

[1] სხვათა შორის, ილიას ამ შეხედულების თაობაზე ივანე ჯავახიშვილი დელიკატურად შენიშნავდა: „საქმე ის კი არ არის, სწორია თუ არა თვით ილ. ჭავჭავაძის ზემომყვანილი განმარტება. აქ ყველაზე საყურადღებო ის გარემოებაა, რომ მან ჯერ კიდევ 1880 წ. აღიარა ისტორიული პროცესის გასაგებად ეკონომიური საფუძვლის ცოდნის აუცილებლობა (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 10).

რიგი ეროვნული დაწესებულებანი (თავადაზნაურთა საზოგადოება ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის, საადგილმამულო ბანკი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული თეატრის დასი, დრამატული საზოგადოება). ამ ახალი მოვლენების გამო ჩვენი უდიდესი ეროვნული მოღვაწე კმაყოფილებით აცხადებდა: „ერთობის მღელდებელთა არ გაუცუდდათ ღაღადება და ან დღეს იმასა ვმკით. რაც ყმაწვილკაცობის უანგარო ღვაწლით წინა წლებში დათესილი იყო“ (თხზულებანი, ტ. 5, გვ. 75). შეგახსენებთ, რომ ეს სტრიქონები დაიწერა 1879 წელს, „ყმაწვილკაცობაში“ კი ნაგულისხმევია ისტორიის არენაზე ილიას მეთაურობით გამოსული თაობა.

რუსეთის იმპერიაში გასული საუკუნის 60-70-იან წლებში განხორციელებული რეფორმები მეტადაც რომ გაღრმავებულიყო, ილიას, რასაკვირველია, ვერ დაკმაყოფილებდა, თუ ისინი არ შეეხებოდა ეროვნულ საკითხს. 1881 წლის შინაურ მიმოხილვაში იგი წერდა: „ერთს უდიდესს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყოს შინაობაში სათითაოდ, და მერე, როგორ მოთავსდნენ სახელმწიფოსთან“ (თხზულებანი, ტ. 5, გვ. 79). შემდეგ განაგრძობდა: „ყველას უნდა წინასწარ სცოდნოდა, რომ დღეს თუ ხვალ ეს საგანი თავისას მოითხოვდა; რომ დღეს თუ ხვალ რუსეთი იძულებული შეიკნეზოდა დაენშნა სამზღვარი სახელმწიფო მოქმედებისა საზოგადოდ და ეროვნებისა ცალკედ და ერთისა და მეორისა მოედენი ცალ-ცალკე შემოეფარგლა“ (იქვე, გვ. 79-80). ამასვე იმეორებდა ილია მომდევნო წლის მარტის შინაურ მიმოხილვაში (იხ. იქვე, გვ. 141-48). სხვანაირად რომ ვთქვათ, ილია უკვე აყენებდა ფედერაცია-ავტონომიის იდეას.

სამწუხაროდ, ამ იდეის განხორციელება ილიას და, საერთოდ, იმდროინდელ ქართველობას საკუთარი ძალებით არ შეეძლო. ეს ვერ შესძლო უფრმა მრავალრიცხოვანმა პოლონელმა ერმა (მოვიგონოთ პოლონეთის უკანასკნელი, 1863 წლის აჯანყების მარცხი). საჭირო იყო დალოდება იმ დროისა, როცა რუსეთის იმპერიაში რადიკალური დემოკრატიული ცვლილებები მოხდებოდა. ამის თაობაზე ილია 1883 წელს წერდა: „ეხლა კი საათი ქვეყნისა მოშლილია და არ ვიცი ამუამად მამლის ყივილამდე ბევრი დრო დარჩა კიდევ თუ არა. ვწიოვარ და შევეყურე სულთამხუთავს, ვწიოვარ ლოდინით დაღალული და ვნატრობ მამლის ყივილსა. როდემდის უნდა ვილოდინო, რიდემდის! შე დალოცვილო მამალო, რაღას უყურებ და არ დაიყვლეს!“ (თხზულებანი, ტ. 5, გვ. 333. მოვიგონოთ „მგზავრის წერილების“ დასახსრული!). საბედნიეროდ ილია მოესწრო „მამლის ყივილს“, 1905-07 წლების რევოლუციას, როცა ქართველ პატრიოტებს მანამდე არნახული ასპარეზი დაეშალათ ეროვნული და სოციალური ინტერესების გადაჭრის საქმეში. მაგრამ მანამდე კიდევ რამდენიმე მომენტს შეეხებით.

ხშირად, როგორც უკვე მივუთითებდით, ილიას წარმოიდგენენ ხოლმე კონსერვატორად, სახელდობრ, თავადაზნაურთა კლასის დამცველად, უკეთეს შემთხვევაში, ბურჟუაზიულ იდეოლოგად და მოღვაწედ, რომელიც ოცნებობდა ჩვენს ქვეყანაში ბურჟუაზიული საზოგადოების დამყარებაზე და პრინციპულად წინააღმდეგი იყო კლასთა ბრძოლისა.

ზემოთ ჩვენ უკვე ვიხაუბრეთ ახალგაზრდა ილიას განწყობილებასა და ნაზრევზე საგლეხო რეფორმის წინა პერიოდში. ახე რომ, ამაზე აღარ შეეჩერდებით. ილია აღიარებდა და კანონზომიერად თვლიდა კლასობრივ ბრძოლას ფეოდალური დასავლეთ ევროპის ისტორიულ სინამდვილეში, სადაც საკუთრება უმეტესწილად, მისი აზრით, გაბატონებული ფენების ხელში იყო. კიდევ მეტი. ილია ყოველთვის კრიტიკულად იყო განწყობილი ბურჟუაზიის, როროგორც კლასის, მიმართ, აკრიტიკებდა ამ უკანასკნელის ექსპლუატატორულ ბუნებას განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში — ინგლისსა, საფრანგეთსა და გერმანიაში. ახე მაგალითად, საფრანგეთის დიდი რევოლუციის გამარჯვების შედეგად შექმნილ სოციალურ ვითარებაზე, ახალი სახის უსამართლობაზე ილია ამბობდა: „ამ ბურჟუაზიამ კიდევ ისე წარმართა საზოგადო და სახელმწიფო საქმე, რომ ეჩოსავით სულ თავისკენ მოითალა და ის კი, რამაც საკუთრივ შეჰქმნა იგი მოძრავი სიმდიდრე, წრეს გარეთ დარჩა. ის წრეს გარეთ დარჩომილი — შრომა არის და მისი წარმომადგენელი კიდევ მუშაკაცია“ (იხ. „ცხოვრება და კანონი“. თხზულებანი, ტ. 6, გვ. 54). მოგვიანებით, 1895 წელს, ეს აზრი ასეა განვითარებული: „საქმე იმაშია, რომ დღეს საჭიროება ეკონომიურ ცვლილებისა საკმაოდ გავრცელებულია საფრანგეთში. უნუგეშოდ ყოფნა და ძალზე გაჭირვებული ცხოვრება შრომელისა და გამოჩენე ხალხისა... ამ ცვლილებას მღელადებს იმოდენად ხმამაღლა, რომ თვით დაწინაურებულნი წარმომადგენელნი ეგრეთწოდებულ ბურჟუაზიისა — მონარქისტებია, თუ რესპუბლიკელნი — ჰგრძნობენ, — რა ბეჭეჰ-ქუნილის ღრუბელი იკრიბება ამ მხრით საფრანგეთის თავზე საერთოდ და ბურჟუაზიაზე საკუთრივ“ (თხზულებანი, ტ. 9, გვ. 224). საერთოდაც, ილიას შეხედულებით: „ევროპაში მიზეზია-და დიდ საბუთიანიც, — წოდებათა შორის დაჯახებისა, ერთმანეთთან შეხვედრებისა, ერთმანეთის ცილობისა“ (იხ. თხზულებანი, ტ. 6, გვ. 54). ილია ლაპარაკობს მეოთხე წოდებაზე, ე. ი. მუშათა კლასზე: „დღეს ეგ წოდება ებრძვის, ებრძვის სასტიკად და მედგრად თვისის დედააზრისათვის (ე. ი. პრინციპისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ჯ.) და იმედიცა აქვს გამარჯვებისა" (იქვე). საყოველთაოდ ცნობილი გახლავთ ილიას პოზიცია პარიზის კომუნის დამარცხების თაობაზე, რომელიც (ეს პოზიცია) გადმოცემულია მის მშვენიერ ლექსში. სწორედ ამას გულისხმობდა მის. წერეთელი, როცა ილიას დასაფლავებისას აღნიშნავდა: „მაშინ როდესაც საუკეთესო დემოკრატებიც კი მთელი ევროპისა პარიზის კომუნას უშვერად, ურცხვად და ცინიკურად იხსენიებდნენ, — ილია მის დამცველად, მისი დიდების ქართული ჩანგზედ მომღერლად გამოვიდა ჩვენში" (იხ. კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", გვ. 180).

1899 წელს დაწერილ წერილში „მეცხრამეტე საუკუნე" ილია აღნიშნავდა: „დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აჭ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს" (თხზულებანი, ტ. 5, გვ. 9). ამავე წერილში ჯეთხოსულობთ: „ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა გაუქმება ჭონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილება ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა ბარჯე და მშრომელ კლასებისა წარსამატებლად" (იქვე, გვ. 8-9). ილიასეული ასეთი გამონათქვამები, მათ შორის საქართველოში მოქმედი სავაჭრო და სავაზრო კაპიტალის, ადგილობრივი, სომხური და უცხოური ბურჟუაზიის კრიტიკის თაობაზე, მრავლად შეგვიძლო მოგვეტანა. მაშ, როგორ შევუთავსოთ ისინი ფართოდ გავრცელებულ წარმოდგენას, რომლის მიხედვითაც ილიას სოციალური იდეალი იყო ბურჟუაზიული საზოგადოება? ამ წარმოდგენის მქონე მკვლევარები საჭირო სიღრმე-სიგანით ვერ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ ილიას აზროვნება მხოლოდ ქართული სინამდვილის ასახვა, პროდუქტი როდი გახლდათ, არამედ მთელი თანადროული მოწინავე საზოგადოებისაც (პირველ რიგში დასავლეთ ევროპისა), რომ იგი თანადროული მოწინავე სოციალური და პოლიტიკური თეორიებისა და, საერთოდ, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების კურსში იყო და ამიტომაც ხედავდა მკვეთრ განსხვავებას საქართველოს, რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ისტორიულ სინამდვილეებს შორის. შესაბამისად, ეს ისტორიული სინამდვილეები სხვადასხვაგვარ ამოცანებს, პრობლემებს აყენებდნენ.

საკუთრივ საქართველოში შექმნილ ვითარებაზე, ილია აღნიშნავდა: „ჩვენი ხალხი უმთავრეს ნაწილად მეურნეობას (იგულისხმება სოფლისა. — ა. ბ.) მეურნეობა, გ. ჯ.) მისდევს. მეურნეობა შეადგენს ჩვენს ქვეყნის სიმდიდრეს, ეს არის ჯერ ერთადერთი წყარო შემოსავლისა... მრეწველობა და ალებ-მიცემობა ჯერჯერობით ძლივს ისახება, ასე რომ სათქმელი არც კია" (იხ. თხზულებანი, ტ. 7, გვ. 220; აგრეთვე გვ. 257-58). აქედან გამომდინარე, ილია არ ცნობდა ჩვენში კაპიტალიზმის წარმოების წესად, ეკონომიკური ცხოვრების საფუძვლად ჩამოყალიბებას, შესაბამისად, ბურჟუაზიისა და მუშათა კლასების არსებობას, ამ ნიადაგზე კლასთა ბრძოლის გაშლას (თანადროულ თბილისში ქალაქის თვითმმართველობის თაობაზე მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლის საფუძვლად ილია მიიჩნევდა ეროვნებათა შორის ბრძოლას). ასეთ თვალსაზრისზე იდგა იგი არა მხოლოდ აღნიშნული სტრიქონების წერისას (1887 წელს), არამედ სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე. ეს შეხედულება ილიას სრულიადაც არ შეუცვლია კ. მარქსის, ფ. ენგელსის. ფ. ლასალის, კ. კაუცკის, გ. ვ. პლეხანოვის, ედ. ბერნშტაინის, გ. შმოლერის, ვ. ზომბარტისა და სხვათა ნაშრომების გაცნობის შედეგადაც. ამავე დასკვნებს აკეთებდა ილია რუსეთის მიმართაც.

ამ მხრივ დასავლეთ ევროპული სინამდვილე ილიას სულ სხვაგვარად წარმოედგინა და სოციალიზმის იდეალის განხორციელების შესაძლებლობას, პირველ რიგში, ამ ისტორიულ რეგიონს უკავშირებდა. საქართველოსათვის კი, ილიას აზრით, სოციალიზმი შორეული პერსპექტივა გახლდათ, ჯერ ერთი, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ჩამორჩენილობის გამო და, მეორე, ქართველობისათვის მთავარ საზრუნავს წარმოდგენდა უპირველესად ეროვნული თავისუფლების მოპოვება, რაც ერის კონსოლიდაციას და არა კლასთა ბრძოლის გაშლას საჭიროებდა.

უტოპიური სოციალისტური წყაროს თანახმად, როდესაც სოციალ-ფედერალისტებს ილიასათვის გაუცვნიათ თავიანთი პარტიის გეგმა რუსეთის იმპერიის შიგნით საქართველოს ავტონომიურად მოწყობის თაობაზე, ეს გეგმა ილიას მოსწონებია, სათანადო მატერიალური დახმარებაც აღუთქვამს საზღვარგარეთ პარტიის ორგანოს (გაზეთის) გამოცემის საქმეში, მხოლოდ თურმე არ ეგანშნაკა, როცა შეიტყო, რომ აღნიშნული პარტიის მთავარი მოღვაწე უნდა ყოფილიყო არჩ. ჯორჯაძე (იხ. თედო სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბილისი,

გურამ ყორანაშვილი
ეროვნული და სოციალური განთავისუფლების საკითხი ილიას ნააზრევსა და პრაქტიკულ ნაღვაწში

1984, გვ. 27-28).[1] ეს იყო 1903 წელს. ორი წლის შემდეგ, როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერია მძლავრმა რევოლუციამ შესძრა. ხალხის მასების ენერგიული გამოსვლებითა და მარცხიანი ომით (იაპონიასთან) დასუსტებული ცარიზმი იძულებული გახდა საზოგადოების მნიშვნელოვან რადიკალურ გარდაქმნაზე წასულიყო. შექმნილ ისტორიულ სიტუაციაში ილიას აქტიურ ნაღვაწს სათანადო გასაჭანი მიეცა. მის უპირველეს საზრუნავად იქცა საქართველოსათვის ავტონომიის მოპოვება (საკუთარი ცენტრალური არჩევითი წარმომადგენლობით, ე. ი. პარლამენტით, კანონმდებლობით, ადმინისტრაციით, ქართული ენის გაფართოებული უფლებებით ამ სფეროებშიც). მანვე მოითხოვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ეს საკითხები ილიამ დააყენა როგორც თავადაზნაურობის, ისე ქართველობის სხვადასხვა ფენის მოწინავე წარმომადგენელთაგან შეკრებილ პირთა და რუსეთის სამდდელოების წინაშე. ეროვნული ავტონომიის საკითხს იგი სვამდა სავსებით ოფიციალურად თვით იმპერიის სატახტო ქალაქში. ფართოდ არის ცნობილი ილიას შემართება თვითმპყრობელობის წინაშე გურიის გლეხკაცობის გამოსვლასთან დაკავშირებით.[1]

ილიამ საკმაოდ რადიკალური მოთხოვნები წამოაყენა სოციალურ სფეროშიც. კერძოდ, მოითხოვა ქართველი გლეხკაცობისათვის სახელმწიფო მიწების დაკავების უფლების მიცემა, მათ შორის, ქართული ეკლესიისათვის კუთვნილი მამულების დაბრუნება, ბატონყმობის ნაშთების საბოლოო ლიკვიდაცია. მთელი ქართველი ერის დიდ მომაგეს არ გამორჩენია მუშათა ინტერესებიც და მოითხოვა საფაბრიკო-საქარხნო კანონმდებლობის გაფართოება, სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევა, გაფიცვების, ორგანიზაციების, კრებების თავისუფლება, რვასაათიანი სამუშაო დღე. ყველა ეს მოთხოვნა ილიამ შეიტანა მის მიერ შედგენილ პროგრამაში, რომელიც ორიენტირად, სახელმძღვანელოდ უნდა გამხდარიყო პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული (კონსტიტუციურ-დემოკრატიული) პარტიისათვის. (ამის თაობაზე იხ. ვ. აბაშმაძის სტატია „სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების ნათელი პროგრამა, „ცისკარი", 1985, № 12). 1907 წლის ზაფხულში ილიამ ჩაიფიქრა კოოპერაციის შესახებ საგანგებო ნაშრომის შექმნა და შეუდგა კიდეც მუშაობას, წიგნისათვის ისტორიული ნაწილის დაწერა კი დაუვალებია მომავალი დიდი ეროვნული მოღვაწისათვის — ივანე ჯავახიშვილისათვის (იხ. კრ. რაჟველიშვილი, ილია ჭავჭავაძე (1887-1937). ბიოგრაფიული ნარკვევი, თბილისი, 1937, გვ. 85).

ერთი სიტყვით, ილიამ 1905-07 წლებში, მიუხედავად ხანდაზმულობისა და შერყეული ჯანმრთელობისა, უდიდესი ენერგია გამოავლინა (მათ შორის, საიმპერიო პოლიტიკურ სარბიელზე, კერძოდ, სახელმწიფო საბჭოში, სადაც შემარცხენე ფრთასთან ერთად გამოდიოდა რადიკალური მოთხოვნებით). ილიას რომ კვლავ ეცოცხლა, კიდევ ახალ საინტერესო ფაქტებს ეკნებოდა ადგილი მის ბიოგრაფიასა და ამით მთელი ქართველი ერის ცხოვრების მატიანეში. მაგრამ ეს პერსპექტივა უწყალოდ აღკვეთა 1907 წლის 30 აგვისტოს (ძვ. სტ.) წიწამურთან გარეწრების მიერ გასროლილმა ტყვიებმა...

---

[1] ილიას მიაჩნდა, რომ არჩ. ჯორჯაძე კომპრომისულ პოზიციაზე იდგა მკვეთრად დაპირისპირებულ თვალსაზრისთა შორის. სხვათა შორის, ა. ბაქრაძის ვარაუდით, 1899 წლის ივნისში პ. ყიფიანის მიერ თბილისის საადგილმამულო ბანკიდან ფულის გატაცება, შესაძლოა, იმაზე მიუთითებდეს, რომ თვითონ ილია ემზადებოდა მომავალი ეროვნული ბრძოლისათვის, სახელდობრ, იარაღის შეძენისათვის. როგორც ცნობილია, პ. ყიფიანი მონაწილეობდა სოციალურ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი თავმჯდომარეს — გ. დეკანოზიშვილის ხელმძღვანელობით 1905 წლის შემოდგომაზე საქართველოში იარაღის შემოტანის საქმეში. იხ. ა. ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე. წიწამური, 1984, გვ. 129-32.

[1] მიუხედავად იმისა, რომ ოხრანკისათვის ილია persona non grata-ს წარმოადგენდა და მასზე 1884 წლიდან საიდუმლო მეთვალყურეობა იყო დაწესებული, 1900 წლის 11 მაისიდან ცარიზმის ამ ორგანომ შესწყვიტა ილიაზე მეთვალყურეობა. იხ. ფ. ლომაშვილი, ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ახალი დოკუმენტები, საისტორიო მოამბე, № 47-48, 1983.

„ᲒᲚᲐᲮ ᲑᲔᲓᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲔᲡᲠᲔᲗ ᲓᲐᲡᲯᲘᲚᲘ...“

იონა მეუნარგია წერდა: „ალ. ჭავჭავაძე ერთი ის შესანიშნავი კაცი იყო, რომლის სხოვნა ჩვენს მწერლობას ესაჭიროება. მწერლობას მარტო კი არა, ცოტა ჩვენს თანამედროვე ისტორიასაც. მისი ხანგრძლივი სიცოცხლე ნიმუშია, რომლითაც შეიძლება ჩვენს შემდეგ მომავალ თაობათა წარმოიდგინონ, თუ რა იყო მისი დროება.

შორდება ჩვენი ქვეყანა ამ დროებას, რაც უფრო აწყდება მას ძაფები, რომლითაც მილანდულია ის ამ დროსთან, მით უფრო და უფრო საინტერესო იქნება ჩვენთვის, ხალხისათვის ეს დრო, როდესაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელი მდგომარეობა გათავდა. ჩვენს პოლიტიკურ ნანგრევებზე ჯერ საფუძველი დაედო და შემდეგ გაშენდა ის ახალი პოლიტიკური წესი, რომლის ქვეშა ვართ ეხლა ჩვენ.

ამ წუობილებასთან შეგვრჩება ჩვენ ჩვენი ნაციონალური სახე, ენა, ზნე, ჩვეულება თუ არა, ეს ჩვენს საკუთარს მეცადინეობაზეა დამოკიდებული, მაგრამ შეგვრჩება თუ არა ეს სახე, გაქრება თუ არა ჩვენი ეროვნება, რომელსაც ესოდენ ძლიერი სახელმწიფო არ ჰყოლია ჯერ პატრონად. ყოველ შემთხვევაში, ის დრო, როდესაც ცხოვრობდა ალ. ჭავჭავაძე, ე ი. უკანასკნელი წლები ირაკლის მეფობისა, რუსეთის შემოსვლა საქართველოში და მათის უფლების დამყარება, მეტისმეტად ღირშესანიშნავია, ან როგორც უკანასკნელი თავი ამ ათასფურცლოვან წიგნისა, რომელშიაც ჩაწერილია უკუნითი უკუნისადმი ჩვენი ხალხის ისტორია, ან როგორც პირველი თავი მეორე წიგნისა, რომელშიაც უნდა ჩაიწეროს ჩვენი ხალხის განახლებული ცხოვრება.

ვიღაც ენამახვილმა ფრანცუზების მწერალმა თქვა: „როდესაც დანტონი ტანთ გაიხდიდა, რევოლუცია შიშველი იყოო“. ალ. ჭავჭავაძის ცხოვრების აღწერა მის დროს შიშველად თუ არა, შინაურულად მაინც დაგვანახებს“.

მას სამი რაზე ჰქონდა ეგბრო
გლახ მტერთა მისთა მომდრეკად ქედის,
გონება შორს მხედ, გამოცდით ნაწვრთნ;
გული უშიში, არ მპოვე ბედის,
მკლავი უძლეველ მებრძოლთა მძლეელ,
მდიდრად მომხმარი ხრმლისა უტედის;
ერთით იზრახის, მეორით ჰბედის,
მესამით სრულ ჰყვის თანხმად იმედის...

ასე წარმოედგინა თავისი თავი ალ. ჭავჭავაძეს.

შინაგანი ქმაყოფილების ამ გრძნობით სავსე დილაუთენია მთავარმართებულთან დღეობის მისალოცად ეტლით მიმავალი პოეტი საბოლოოდ გაწირა ბედისწერამ.

იმ დილაადრიან ერთ დედაკაცსაც გასჩენოდა საქმე. სარეცხი გაერეცხა და საპნიანი წყლის დასაქცევად ეუჩაში გამოსულიყო.

ასე შეხვდა ერთმანეთს იმ დილით ნარეცხი წყალი და ცხოვრება კაცისა.

ᲔᲚᲘᲖᲐᲕᲔᲗᲘ ᲑᲐᲚᲘᲫᲘ

На сей подушке Ея величество Государыня Императрица Ек. II восприняла от купели младенца князя Александра Гарсевановича Чавчавадзе, родившегося в С.-Петербурге в 1786 году.

წარმომდგენია, რა სიამაყის გრძნობით აივსებოდა გარსევან ჭავჭავაძის ოჯახი, როდესაც ერთადერთ ვაუს იმპერატრიცა ეკატერინე მეორე და დიდი მთავარი ალექსანდრე მოუნათლავდნენ. თვალს მოსჭრიდა საიმპერატორო კარის ბრწყინვალება პატარა საქართველოს დესპანს.

ეკატერინემ გარსევან ჭავჭავაძე განსაკუთრებით საპატივცემულო კაცთა სიაში ჩაწერა. თანაც როგორც ამბობენ, „იგი შესახედავად არ იყო ურიგო, ბრგე, ახოვანი ვაჟკაცი ყოფილა, წმინდა ქართული სახის ნაკვთებით, კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა მნახველზე“ (იოსებ გრიშაშვილი).

პირველსავე დარბაზობაზე იმპერატრიცას მუხლმოყრის ცერემონიალისაგან გაუთავისუფლებია გარსევანი. „თუ მაღალი არ მოდრკა, დაბალი როგორ შეწვდებაო? „ჰოდა, გახარებიათ ქართველებს ასეთი დიდი პატივი პატარა ქვეყნის დესპანისა. მაგრამ ნეტა კი ცხრაჯერ მოეყარა მუხლი ჭავჭავაძეს და ტკუელი ნუგეშით არ ეკვლებათ თავი სხვის შემყურე ქართველებს: „თუ გინდა უკუღმა დაჯექი, ოღონდ სწორედ კი სთქვიო“, ჰოდა, ეს სწორედ თქმა არ აღირსეს ქართველებს ეკატერინეს კარზე....

18 წლის დესპანობა იმით დამთავრდა, რომ 1801 წელს საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილად გამოცხადდა და „მომრთმელი წიგნისა

ამისა, კნიაზი გარსევან ჭავჭავაძე“ სამშობლოს მოდალატედ იქნა აღიარებული....

დავით ბატონიშვილი დაჭკარგავი ტახტისა და გვირგვინისა, გარსევანს „მამულის ორგულად“ იხსენიებს, ალ ორბელიანს იგი მიაჩნია რუსეთის აგენტად. ხოლო ანტონ ფურცელაძეს მოჰყავს ვითომც გარსევან ჭავჭავაძის მიერ სიკვდილის დროს თქმული — „მოდალატე ვარ, საქართველო მე გავიყიდეო“ (იოსებ გრიშაშვილის წიგნიდან).

გარსევანი მეფის ნება-სურვილს ასრულებდა. „შენ ჩვენი დავალება ისე შეასრულე, როგორც ეს ჩვენ გვსურდაო“ —წერდა მას ერეკლე. იგი რუსეთის ორიენტაციის მომხრე იყო და მეფის კარზე მოწინააღმდეგენი ჰყავდა. სოლომან ლეონიძე ხმილითაც კი მიჭრია მოსაკლავად საკუთარ ოჯახში.

თუ გარსევანმა „დალატი“ ჩაიდინა, მაშინ რაღა მოიმოქმედეს იმ ბატონიშვილებმა, რომლებიც გარსევანის მოწინააღმდეგენი იყვნენ და ლაზარევს კი ეუბნებოდნენ: „თუ თქვენ იქნებით საქართველოს მმართველად და არა დავით ბატონიშვილი, რუსეთს სრულ ერთგულებას გავუწევთო, იგივე სოლომან ლეონიძემ, ყარაულქვეშ მონახიანის წერილს რომ წერდა კნორინგს: „ცრემლით გეეედრებით დაუნაშავებელი არ დავისაჯო... მე უმაღლესი კარის სიკვდილამდე ერთგული მონა ვყოფილვარ და ვიქნები.... პირველად საქართველოს ტრაქტატი რუსეთთან შეერთებაში მე ვიყავი მომქმედი“. (იოსებ გრიშაშვილის წიგნიდან).

ასე დაწოოკდნენ და აიწეწნენ ერისკაცნი, მაგრამ ყოველ კაცს მაინც საკუთარი საქციელი მოეკითხება!

ახლა ადვილია „აჭედან“ „იქ“ მსჯავრის დადება.

თოფი და წამალი ხელმწიფისაა, თვალის ხუჭვას რა უნდა, იქნებ არ უნდა მოვთხოოთ დესპანს, ის, რისი გაკეთებაც თავად მეფემ ვერ შეძლო.

პლატონ იოსელიანი გარსევანის შესახებ წერდა: „გარსევანი უმეტეს გამოცდილი საქმეთა შინა მეტის მნახავი და უკეთ მზრახველი იყო, მტკიცედ და შეურყევლად თვისა მოვალეობასა შედა, ჰაზრი მისი იყო ემსახურნა მამულისათვის, მფიქრობდა მეფისთვის და დამშვიდებისათვის ალრეულსა ქართველთა... ვიტყვი გარსევანისათვის რომელ დროთა ამად იყო იგი სეტტად მტკიცედ „მეფობისა, ერთგულად მეფისა და მამულისა. მეზობელი მისი მსცოდავს!“.

„ქალმასობის“ ავტორი იოანე ბატონიშვილი თვლის, რომ გარსევანს უსამართლოდ მოექცნენ, ბერი საყვედურობს გიორგი ავალიშვილს, გარსევანის ცოლის ძმას, ის საბრალო ხომ სიტყვით მოაცდუნე, ხალხს შეაძულე და გამცემად აღმოაჩინე, ბოლოს კიდეც ჯვრით მომკალო.

გარსევანი ან ცილისწამებამ მოკლა, ან სიბერდისის ქეჯნამ.

გარდაიცვალა იგი 1811 წლის 7 აპრილს პეტერბურგს, 54 წლისა.

ეპიტაფია მის ცოლისძმას, გიორგი ავალიშვილს წაუწერია საფლავის ქვაზე...

გარსევანი გარდაიცვალა წუალმანკით. მეფე ერეკლეც ამ დაავადებით გარდაიცვალა.

●

1799 წელს გარსევან ჭავჭავაძე თავისი ოჯახით საქართველოში დაბრუნდა. ალექსანდრე მაშინ 18 წლისა იყო. ბამბასის კერძო პანსიონი უკვე დამთავრებული ჰქონდა...

ქვეყნის დამოუკიდებლობა თავის უკანასკნელ წლებს ითვლიდა. ითნა მეუნარგია ახე ახასიათებს ამ პერიოდს: „საქართველოში ამ დროს არეულობა იყო... მტრები აიშალნენ და შიგ ქართველ თავადშვილებში და ბატონიშვილებში დიდი უთანხმოება და განხეთქილება ატყდა. სულ ყველაფერი მიილტვოდა საქართველოს დაცემისაკენ. მეხუთე მოქმედება თავდებოდა და უკანასკნელი ფინალის არეული გალობაც იწყებოდა“.

სწორედ ამ დროს პატარა ალექსანდრეს გვერდით მისი ბიძა, დედის ძმა, გიორგი ავალიშვილი აღმოჩნდა.

ქართულსა და საქართველოს მონატრებული პატარა ბიჭი, ეტყობა, ბიძამ მთლიანად თავისი გავლენის ქვეშ მოიქცია.

იმ არეულ გალობაში გარსევანის სალანძღავი ხმებიც ისმოდა.

კატასტროფა გარდუვალი იყო.

„მშვიდობით ძველო ქართულო ენავ და მშვიდობით სრულიად საქართველოს მდგომარეობავ...“ ამაოდ ბგოდებდა ერთი ძველი ხელნაწერი...

დაიწყო ცარიზმის მმართველობის პირველი უმძიმესი წლები საქართველოში.

კიდევ უფრო მეტად გაავდნენ გარსევანის მოწინააღმდეგენი. გარსევანიც დიდ ყოყმანში ჩავარდა:

„წყეულ არს ის დრო, როს სამკვიდრო
დავკარგეთ კრულნი!
გვძლივაა სოფელმან, ხელ-მყოფელმან აწ
გვაგო შურნი“.

ბიჭს მამის განცდები არ გამოპარვია, ხოსოლონ ლეონიძე სახლში რომ მიეკრათ, ამის მომსწრეც იქნებოდა ალბათ. არ უყვარდა ის, რაც დატოვა, ენატრებოდა ის, სადაც იყო, ეკითხებოდნენ ამბებს, ჰყვებოდა:

„უწყით ყოველთა მახლობელთა მამულნი
მათნი;
ურიცხვნი ტყენი, ბალაჯ ბევრნი,
მრავალათასნი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნა მყოფელნი, ყოვლნ მშფოთველნი,
სიტყვა ლაქვთნი
ცხოვრება ცუდნი, გულით მრუდნი,
პირბნელი, სათნი...
ქაჯთ ყოფა-ქცევა, ჭამა, სმევა აქვსთ
არეულად,
დიდნი მცირენი გინა ერნი ხელ-ჰყოფენ
მგლურად;
ბატონ-ყმობანი, განრჩევანი არა აქვსთ
სრულად;
მოყვარეთ ტკბილთა, ხანდაზმილთა გულთა
ჰსწყვლენ მტრულად...
ვინც ჰხედა მათ სახეს, ჭირთა სახეს. არა აქვს
შვება
მათზედ აკვილი, ვითა შლილი დაიკარება;
ერთგულთა ჯილდო, გულთა საბინდო
მიხვდება ხვება
ეს აქვსთ სიკეთე მათ უკეთე და
ნაცვალ-გება...
მუხთლად გვაწვიეს, დაგვახვიეს თავს ბნელნი
ბურნი.
გვძლიეა სოფელმან. ხელ-მყოფელმან აწ
გვაგო შურნი.
ნახეთ მოყვასნო, ბრძენთა დასნო, ესე
წესია!
შემდგომ საცთურნი მას პირველსა
უძვირესია....
სხვათ დიდ ბოროტსა მცირე მათი
უმეტესია....
დაკარგეს ყოვლი ჭირნახული გულთ-
უმხნესია,
ჰქმნეს სავანენი საუკუნოდ ვით უდაბურნი, —
გვძლიეა სოფელმან, ხელ-მყოფელმან აწ
გვაგო შურნი!

დადგა 1804 წელი.

1804 წლის 3 სექტემბერს ალ. ჭავჭავაძე ჩაირიცხა კამერპაჟად მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის კარზე...

ადვილი წარმოსადგენია, რა თავზარს დასცემდა ეს ცნობა პოეტს...

ისევ იქით უნდა იბრუნოს პირი, ისევ ჩრდილოეთის გზას უნდა დაადგეს?! არადა ფარნაოზი, ეს ჯადოსნური სახელი ყველაზე დაუმორჩილებელი ბატონიშვილისა ყურს ჭრის, გულს უთრთოლებს და მოქმედებისკენ იწვევს....

გენერალ მაიორი ორბელიანი წერს ვოლკონსკის.

ვოლკონსკი ციციანოვს:

„14 ამ თვეს დავით ყირჩიბაშევმა და თელავის კომენდანტმა გეინმა შემატყობინეს, რომ 13-ს დიდი ხალხი შეერალა ალავერდობაში და 14-ს საღამოთი ალავერდის პრიზოდის არქიმანდრიტი, ბესარიონ ერისთავი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, დიმიტრი, ბარამ, გლახა ყორჩიბაშევები, მაიორი ვახვახოვი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, აბელ ჩოლოყაევი, პაატა, დიმიტრი, იოსებ (გვარი გაურკვეველია) ფარნაოზ ბატონიშვილთან წასულან.

ფარნაოზთან სულ 28 თავადს მოუყრია თავი (იოსებ გრიშაშვილის წიგნიდან).

აჯანყება დამარცხდა. ფარნაოზ ბატონიშვილი სპარსეთში აპირებდა გადასვლას, თან მიჰყვებოდა ალექსანდრეც, მაგრამ ორივე შეიპყრეს...

ტამბოვის ციხის კედლებში დაუოკებლად იდვრება პოეტის სევდა-მდუღარება:

ოჰ, ვით გვეშტყუნვა
სოფლისა ბრუნვა!...
წაგვიხდა ბრუნვა
მბუდარე გულსა!
ამოდ ვსტირთ წყლულსა
არ დაფარულსა,...

იოანე ბატონიშვილი ამბობს „კალმასობაში“ — ესე გვჭირს ქართველთა, რაც თავში მოგვივა, არ განსჯით და შეუდგებით ჩვენსა წადილსა და ამისათვის ჩვენს საქმეს ბოლო არა აქვს“.

„ყოვლად უმოწყალესო ხელმწიფევ!

უწყის დიდებულება თქვენი სიყვარულისა მშობლიოთსა ძისადმი თვისისა. ჩვენ ორთა მოხუცებულთა მშობელთა გვივის მხოლოდ ერთი ოდენ ძე და იგიცა ვნებული სნეულებისაგან, რომელიცა იმყოფების აწ ტამბოვისა ქალაქსა შინა, რომლისთვისაცა შემლესავლელთა არა გვიშრებიან ცრემლნი; არა ძალმიძს განმართლება მისი, ვითარცა მამისა, არამედ მიმოხვევასა შთამგდებსა ესევითარსა უბედურებასა შინა, ვიკადნერებ წარმოუდგინო კეთილად განმსინჯველსა თქვენსა დიდებულებისასა.

წარვგზავნე ძე ჩემი ტფილისით კახეთად ქორწილთა შინა ცოლის ძმისა ჩემისასა, სადაცა მიმთხვეოდა მეფის ძე ფარნაოზ და შიშისა გამო იძულებული შესდგომოდა მას, რომლითაცა სურდათ მათ ბიწიერყოფა ჩემი წინაშე დიდებულებისა თქვენისა.

დიდო ხელმწიფევ! ძესა ჩემსა აროდეს ძალუცთა კადნიერებით ესევითარი ქცევა და არცა თუ მოგონებად შემძლებელ იყო, უწყოდა იგი, რომე იყო ნათლული იმპერატორეცასი და აღზრდილი რუსეთსა შინა. მამაცა მისი შემწყალებული გაბედნიერებითა თქვენის იმპერატორების დადებულებისაგან და ჭეშმარიტი ერთგულია და ყმა რუსეთისა.

დედა-მამაი განცვიფრებულად რაცხავენ ამას და შემსუბუქებისათვის სიმწარისა კადნიერებენ შევრდომასა მასა კვარცხლბეკისადმი ყოვლად მოწყალისა ერთმთავრისასა და განთავისუფლებისათვის ძისა მათისა, ვითარცა შეცდომელისა სიყრმისაგან....

ყოვლად უმოწყალესო ხელმწიფევ თქვენის იმპერატორების დიდებულების ყოვლად უქვეშევრდომილესი თავადი — გარსევან ჭავჭავაძე.

თბილისი. 28. II. 1806 წელი.

ვაპ დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად.
წარილტკენენ, განპჟრნენ, სიზმრებრივ ჩქარად.
მე იგივე ვარ, მარად და მარად.
არ ვსდევ ეამთა სვლას
მე იგივე ვარ მარად და მარად!
მოვშორდი მოყვასს, ძალს ცხოვრებისას,
არ გიკვირსთ, მხედავთ ცვლაკ ცა
სულდგმარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად.
ბლან ბედისაგან ესრეთ დასჯილი,
იმედოვნებას ვუწოდებ ფარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად...
იგიცა მელტვის, მიბრალეთ ამათ,
უსასოდ ყოფას სჯობს ყოფა მკვდარად...
მე იგივე ვარ მარად და მარად.
მე ერთმან ერთ გზის ერთს ვუძღვენ თავი,
მასვე ვმონებდე მტკიცედ და მყარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად...
თუ მასცა ჩემებრ უცავს სიმტკიცე,
ვიბრალებ რაყიფს, შვრების ზომცდარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად!
ჰსჯენთ: პყრობილმან უწყისა ტრფობა?
საცა გინდ ვიყო, მასთან ვარ მარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად!
არ ვსდევ ეამთა ცვლას,
მე იგივე ვარ მარად და მარად!

ეს ლექსი ისე იკითხება, თითქოს ერთი ალექსანდრე მეორეს ანჯღრევდეს, გესმის თუ არა, შენ იგივე ბარ მარად და მარად, არ შეცვლილხარო. მეორე ალექსანდრე ჩამქრალი ხმით ეუბნება: „ჰსჯენთ პყრობილმან უწყისცა ტრფობა?“ უცნობი, მოუსოდნელი და შემზარავი ვთქვა ალმოაჩინა თავის თავში ალექსანდრემ — მორჩილება. ერთი დიდი კითხვის ნიშანი აკლია მთელ ამ ლექსს —

მე იგივე ვარ მარად და მარად?
არ ვსდევ ეამთა სვლას?

რაღაც ჩაწყდა მის არსებაში, უფსკრულში, ჩაინთქა, თვალის ჩაყოლებისაც კი შეეშინდა. მიხვდა, რომ ტამბოვის ციხის კედლებში დარჩა ყველაზე ძვირფასი — მეამბოხე სული და თავისუფლების სიყვარული.

ჰოდა, მოკვდა ფარნაოზ ბატონიშვილის ბავშვაძე, მამამისმა ის ტამბოვის ციხიდან გამოახვენა..

მერე პატიმრობისას შედგენილ ავტობიოგრაფიაში ალ. ბავშვაძე შემდეგ სიტყვებს ჩაწერს:

„მივატოვე მშობლები და გავიქეცი.. ზოგიერთი გზაბანეული ახალგაზრდის ცუდი გავლენით მივემხრე ფარნაოზ ბატონიშვილს, რომელიც იმ დროს მთიულეთში იმყოფებოდა არაგვის ხეობაში. მე მოწადინებული ვიყავი ბატონიშვილს ფარნაოზს გავყოლოდი სპარსეთში, მაგრამ ჩემს იღბალზე მეც დამიჭირეს და ბატონიშვილთან ერთად ჩამომიყვანეს თბილისში.

ნეტარხსენებულმა ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე პავლეს ძემ ეს ჩემი საჭიროელი მიაწერა ჩემს ახალგაზრდობას და ხასიერი მიმცერა ბანმოყლე გადასახლებით ტამბოვში.

მალე ტამბოვიდან გამიწვიეს პეტერბურგში — 1806 წელს შევედი პაუთა კორპუსში. მე პირდაპირ მიმიღეს კამერპაუად მამიჩემის ნამსახურობის პატივსაცემად და ჩამრიცხეს სახელმწიფო ხარჯზე..,“

...მაგრამ ვინ იცის, იქნებ პატიმრობაში აკვანილი კაცის თავისგადახარჩენი ჩვენებისათვის ეური არც უნდა დაგვეგდო...

●

„შენს სიმარდეს, სიჩაუქეს
ქართლი შენი არ დაკყურებს“.
(ილია ბავშვაძე)

ეხლა ალ. ბავშვაძის ჩინ-მედლები ჩამოვთვალოთ: წმ. ანნასი I და II ხარისხისა, წმ. ვლადიმირისა I, II და IV ხარისხისა. ჰქონდა ვერცხლის მედლები — 1814 წელს პარიზისათვის, 1826, 27, 28 და 29 წლებში სპარსეთისა და თურქეთის ომებისათვის. მას მიეცა აგრეთვე ჯილდოს სახით ბრილიანტის ბეჭედიც.

ალ. ბავშვაძის ნამსახურობის სიაში ისიცაა ნათქვამი, რომ ყოველგვარ დავალებას უმწიკვლოდ ასრულებდა; არ შეზვედრია უმაღლესი შენიშვნები და საყვედურები; სისუსტე სამსახურეობრივი მოვალეობათა შესრულებისას არ შემჩნეულა; უწესობა და ურიგობა ქვეშევრდომთა შორის არ დაუთმენია; დაჯრახული ან მხილებული ცუდ საქციელში არ ყოფილა. ტუკედ არ ჩავარდნილა...

ჩამოდგა 1832 წელიც.

„ყოველმან მოვნელმან წევრმან უნდა იზმაროს სიფრთხილე, რათა არ შემოეპაროსთ კაცი, ვნებული, ზნემოშლილი, დადედლებული, დაბლილი“. („აქტი გონიური“)

იონა მეუნარგია წერს: „ამ დროს პირველად შეიკრიბა თბილისს რუსეთში სწავლა-დასრულებული ყმაწვილ-კაცობა: ორბელიანები, ერისთავები, ბავშვაძეები, ყიფიანები. საქართველოს დამოუკიდებელი მდგომარეობა ისე ახლოს იყო იმითგან, მისს წარსულში იმდენჯერ ხმენიათ იმათ სამშობლოს დამონება და განთავისუფლება, მაშინდელის რუსი ჩინოვნიკების მმართველობა ისე გაუხარელი იყო ქართველობისათვის, რომ ამ ყმაწვილების უმწიკელო გულში დაიბადა ადვილად გასაგები გრძნობა სამშობლოს განთავისუფლებისა.

ალ. ბავშვაძე არც ხნით და არც აზრით არ იყო იმათი თანამოაზრე, თუმცა ყველა ეს ყმაწვილ-კაცობა იკრიბებოდა მის უპირველეს თბილისის სალონში, მაგრამ ვერავინ მათგანი ვერ ბედავდა კრინტი ამოეღო მათ პოლიტიკურ პროექტზე“.

ელიზბარ ერისთავის ჩვენებიდან: 1831 წლის გაზაფხულზე; მას შემდეგ, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიორმა თავადმა ლუარსაბ ორბელიანოვმა გამოუცხადა შეთქმულება გენერალ-მაიორს თ. ჭავჭავაძეს, მეც მომიხდა განწრახულობაზე მასთან საუბარი ლუარსაბის თანდასწრებით (ლუარსაბის სახლში). ვისაუბრეთ პოლონეთის აჯანყებასა და ჩვენს განწრახულობაზე. თ. ჭავჭავაძემ გვითხრა მე და ლუარსაბს „მომეცით დრო მოვიფიქრო". ამ საუბრის რამოდენიმე დღის შემდეგ ლუარსაბმა გამოგვიცხადა მე და სოფეტნიკ ა. ორბელიანოვს, რომ ჭავჭავაძე თანადამა შეთქმულებაში მონაწილეობაზე და ბრძანა, რათა ალ. ბატონიშვილი კახეთში გამოვიწვიოთო, დანარჩენი კი ეთვითონ იცის, რაც უნდა გააკეთესო. ეს პასუხი მე სრულიად საკმარისად მივიჩნიე და ჭავჭავაძესთან საუბრის შემოხვევა აღარ მიძიებია.

ჭავჭავაძის ჩამოსვლისთანავე ლუარსაბმა მითხრა, რომ იგი ესაუბრა შეთქმულებაზე ჭავჭავაძეს და მას სურს კაპიტან ჰოლოყაევთან საუბარი. მე თვითონ მსურდა ჭავჭავაძესთან საუბარი და ვეძებდი შემთხვევას. მე და პოროუჩიმა გიორგი ერისთავმა შევიარეთ მასთან; დარბაზში მისი ქალიშვილები ცეკვავდნენ. რამოდენიმე წუთის შემდეგ ჭავჭავაძე შემოვიდა სასტუმრო ოთახში.

ელიზბარ ერისთავის ჩვენებიდან: — 4 დეკემბერს მივედით ჭავჭავაძესთან; ლუარსაბ ორბელიანი, კაპიტანი ჰოლოყაევი და მე, რათა მოვლაპარაკებოდით განწრახულზე. ჭავჭავაძე, ლუარსაბი და ჰოლოყაევი კაბინეტში შევიდნენ.

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენებიდან: — მისვლისთანავე მე, თ. ჭავჭავაძე და ჰოლოყაშვილი ცალკე ოთახში შევედით. ელიზბარი კი ცალკე ოთახში დარჩა და ქალალის თამაშში ჩაება.

ჰოლოყაშვილი ალექსანდრე: — როგორ მოვახდინოთ ეს საქმე, თავადებს თქვენი ბრწყინვალების იმედი აქვთ. ჯერ კიდევ წარსულ წელს მოვკარი ყური რაღაც ამ განწრახვაზე, მაგრამ მე ეხლა გადაწყვეტით ვაცხადებ ამ საქმის შეუძლებლობას და გთხოვთ თქვენცა და თავად ლუარსაბსაც გამოუცხადოთ იმ ბატონებს, ხელი აიღონ ამ საქმეებზე და არასოდეს აღარ გაბედონ ამაზე ფიქრი, თორემ მთლად დავიღუპებით.

ლუარსაბ ორბელიანის ჩვენებიდან: — ალ. ბატონიშვილის გამოწვევის ბრძანება ეშმაკრიტად ჩემს მიერ იყო მოგონილი — როგორც წინადაც ვიჩვენე — მხოლოდ და მხოლოდ იმის გულისთვის, რათა ჩამოშეცილებინა ელიზბარ ერისთავი და სოფეტნიკი ალექსანდრე ორბელიანოვი. და თავი დამეწყნა მათი დაჟინებითი განწრახვისათვის. რომელნიც მოითხოვდნენ საქმის დაუყონებლივ დაწყებას. გარწმუნებთ, ჩემი ამ გამოგონების ერთადერთი მიზანი იყო კეთილი განწრახვა, რათა ამის შეუძლებლობის სახებით, მათ ხელი აეღოთ ამ დამღუპველ საქმეზე.

ელიზბარ ერისთავის ჩვენებიდან: — ლუარსაბ ორბელიანის სიტყვებს, ჭავჭავაძე ბრძანებდა გამოვიწვიოთ ალ ბატონიშვილიო, ნამდვილად ვთვლი გენერალ ჭავჭავაძის მიერ ნათქვამად, რადგანაც თ. ლუარსაბ ორბელიანოვს ვთვლი ყველაზე სამართლიან ადამიანად, რომელსაც არ უყვარს რაიმეს გამოგონება. თუმცა ალეგზნებები მას და შევახსენებდი ხოლმე ჩვენს განწრახულობას, მაგრამ არა იმ ზომამდე, რომ მას გადაეწყვიტა მოეგონებინა ეს სიტყვები, რათა მე ჩამოვეცილებინე. ლუარსაბს მე იმდენად პატივს ვცემ, რომ მის ხმირად შეწუხებას ვერ გავბედავდი.

დიმიტრი ორბელიანის ჩვენებიდან: — მოსკოვს 1832 წლის 3 ოქტომბერს ჩავედი. 6-ში სადილად ქართველ ბატონიშვილ ოქროპირთან ვიყავი. სადილის შემდეგ მე და ისინი ორნი დავრჩით და მაშინ გამომიცხადა, რომ ტფილისში არსებობს საზოგადოება, რომელიც საქართველოს აღდგენას ცდილობსო. მე, რომ საქართველოში დავრჩენილიყავ, ამ საქმეს უსათუოდ სისრულეში მოვიყვანდიო, გამოთხოვებისას მითხრა, რომ თუ მეც ამ საქმეში მონაწილეობას გადავწყვეტ, საქმე უნდა ვიქონიოთ თ. ალ. ჭავჭავაძესთან, თ. ელიზბარ ერისთავთან და სოლომონ დოდაევთან.

ოქროპირ ბატონიშვილის დაკითხვის ოქმიდან: — კითხვა: რა ურთიერთობაში იყავით გენერალ-მაიორ თავად ჭავჭავაძესთან, რომელზედაც თქვენ ორბელიანს ელაპარაკებოდით, რომ შეიძლება ის დავთანხმდით და ჩინებულ შეთქმულებას მოახდენსო რა საფუძველზე ამყარებდით მასზე იმედებს?

პასუხი: — არავითარი ურთიერთობა თავად ჭავჭავაძესთან არასოდეს არ მქონია. არ შემეძლო მქონოდა მისი იმედი და მასზე ორბელიანოვთან მელაპარაკნა, ხოლო კეთილგონიერება ჭავჭავაძესი მეტად ცნობილია მთავრობისთვის და თავად ორბელიანმაც ეს უკეთ იცის, ვიდრე მე!

ალ. ჭავჭავაძის ჩვენებიდან: — თუმცა მაიორი ლუარსაბ ორბელიანოვი ჩემი ცოლის ძმაა, მაგრამ არასოდეს არ ვსაუბრებლობდი მისი განსაკუთრებული ნდობით არათუ დიდმნიშვნელოვან საქმეებში. არამედ ჩვეულებრივ შინაურ საქმეებშიც კი. იგი ვერ გამომიცხადებდა თავის ბოროტგანწრახულობას საქართველოდან რუსების გაძევების შესახებ, რომელთადმი ჩემი ერთგულებაც მისთვის მრავალი მაგალითით არის ცნობილი.

იცოდა, რომ მამაჩემი დეისტვიტელნი სტატსკი სოფეტნიკი თავადი გარსევან ჭავჭავაძე იყო, რომ მე თვითონ დაბადებული ვარ რუსეთში, მონათლული ვარ ნეტარხსენებული იმპერატორიცა ეკატერინე II-სა, აღზრდილი ვარ განსვენებულ იმპერატორ ალექსანდრე პირველის მოწყალე მზრუნველობით, რომ ჩემი ერთადერთი ვაჟი, რომელიც მონარქის ძვირ-

ფასი წყალობით უკვე მიღებულია გვარდიის პოდპრაპორჩიკთა სახსოვნებელში, მოსკოვში იზრდება. მან იცოდა, რომ თვით საკართველოში მე ჭმენდა მნიშვნელოვანი სამეურნეო საწარმოები, საიდანაც მომავალში დიდი შემოსავლის იმედი მაქვს, რაც ხალხის ოდნავი მღელვარების შემთხვევაში ხელიდან უნდა გამომცალოდა. ყველა ამ გარემოებათა გათვალისწინებით ოდნავ ეჭეუამეოფელ ადამიანს გაუძნელდებოდა ჩემთან მსგავსი განცხადებით მოსვლა. არა, თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი რასაკვირველია დაიბნა თავის ჩვენებებში, ან მისი რუსულ დიალეკტში სისუსტის გამო, ან სუსტი მეხსიერების გამო, რომელიც ამ ჯოჯოხეთური საიდუმლობისაგან უარესად უნდა ჭკნდეს შერყეული. არც 31 წელს არც შემდეგ მას ჩემთვის არ უთქვამს, რომ მათ აჯანუება ჰქონდათ განზრახული.

რომელ ანგარიშს უნდა ვეიძულებინე 47 წლის კაცი 24 წლის განმავლობაში თავდადებული სამხედრო სამსახურის შემდეგ უკუვმდგარიყავ სამსახურისა და მოკალაქის სალვთო მოვალეობიდან, სამსახურისა, რომელსაც ვასრულებდი არა გაკვირვებისა და სიღარიბის გამო, არამედ როგორც კეთილშობილი ადამიანის უსიტყვეს მოვალეობას.

მიუხედავად იმისა, რომ სინდისი წმინდა მაქვს და ყოველივე ჩემი მოკმედება უმწიკვლოა, მაინც ვხედავ, რომ უდანაშაულოდ ვისჯები.

ალ. ჭავჭავაძე ცნობილ იქნა დამნაშავედ; გადაასახლეს ჭ. ტაბობეს, სადაც 28 წლის წინათაც იხდიდა სასჯელს.

ახლა ძალიან ძნელია, დავადგინოთ სიმართლე. შეუძლებელია იმის შეტყობა, მართლა ისე ფიქრობდა თუ არა „ბოროტგანწარახვაში" ეჭვმიტანილი პოეტი, როგორც დაკითხვის ოქმში ჩაწერა, თუ მისი სიტყვები ბრალდებისგან თავისდასახსნელად იყო მოგონილი.

ერთხელ რაღაც დღეობაში მეფეც, რომ ეს წრეობდა, პატარა ალექსანდრემ ბეჭედი დაკარგა. ბევრი ეძება, მაგრამ ვერ იპოვა, მეორე წელიწადს იმავე დღეობაში, იმავე ადგილას წყნელით თამაშისას თავად იპოვა ის ბეჭედი, წყნელის წვერმა ამოაგდო.

მაშინ მშობლებმა ალბათ ისიც იფიქრეს, იღმლიანი ბიჭი გვეზრდებაო. იმაზე მეტად ალარ გამართლებია ცხოვრებაში პოეტს! ვეღარასოდეს იპოვა დაკარგული, ტამბოვის ციხის კედლებში 18 წლის ბაბუმა რაც დაკარგა, თავადაც კარგად უწყოდა. მეორედ მიბრუნებულმა, ვეღარ იპოვა, არც უძებნია, თავისით ალარაფერი წამოეგო წყნელის წვერზე.

●

„ამქვეუნიური წარმავალი, ბორციელი სიამით ტკბობა პოეტის თვალსაზრისით, არის არა მხოლოდ სიბრძნე, არამედ თავისებური ოსტატობაც, რომელიც განსაკუთრებულ ნერვიანობა და განსწავლას მოითხოვს". „შვება, განცხადება სიამე", რომელიც პოეტს ადამიანურ „ბედნიერებად წარმოუდგენია, მიუღწეველია ზომიერების რთული და დაბეჭნილი ხელოვნების გარეშე" — ეს სიტყვები ალ. ჭავჭავაძის მისამართით ითქვა. მისი ავტორი იმასაც დასძენს, რომ ალ. ჭავჭავაძისათვის „მგრძნობელობა", ბორცელი ტკბობის ნიჭი მაღლა დგას ადამიანის ყველა სულიერ, ცით მოვლენილ ძალებზე.

როცა ბორციელი ტკბობის ნიჭი ცით მოვლენილ ყველა სულიერ ძალას გადასჭრის, დაადნის და დაჩაგრავს, რაღა უნდა ჭქნას კაცმა? იქნებ მარტო ალ. ჭავჭავაძე არ სცოდავს ამ მხრივ? ამგვარი ყოფა იქნებ ყოველი ქართველის ხვედრია? იქნებ სწორედ ამ თვისებით გამოირჩევიან ქართველები სხვათაგან. ახეა თუ ისე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ბორციელი ტკბობის ამ ნირშეუფცვლელმა ნიჭმა ჩაკლა ალ. ჭავჭავაძეში პოეტი — პატრიოტი.

ტამბოვის ციხეში სწორედ ამ „შვება, განცხრომა, სიამის" მოსპობის შეეშინდა ეკრმა ჭაბუკს. თუმცა ხშირ-ხშირად შეუძახებდა თავის თავს, მე იგივე ვარ მარად და მარადო.

„მიკვირს, რად ასძრახვენ მას, ვინცა არს ზეციერი ძალეული". ტრფობაშიაც სიამეს იყო აყოლილი პოეტი, რამდენჯერაც დაიკრეზოდა სიყვარულის სუმბუქი ისრით, იმდენჯერ ლექსს წერდა. სჯერდა, რომ ის სიყვარული უკანასკნელი იყო.

გურამ ასათიანის სიტყვები მახსენდება: „ალ. ჭავჭავაძისათვის „მგრძნობელობა", ბორციელი ტკბობის ნიჭი, მაღლა დგას ადამიანის ყველა სულიერ ცითმოვლენილ ძალებზე". ეგებ სწორედ „ბორციელი ტკბობის ნიჭმა", — ადამიანის, სულიერ ცითმოვლენილ ძალებზე, „მაღლა მდგომმა", უბიძგა ბუნებით ესთეტ კაცს, რომ მხოლოდ იმ „საგნებს" მიახლებოდა, რომელიც მას „სიამოვნებდა". საკუთარი ოჯახის წევრებიც კი ისე განალაგა, როგორც ეს მისი სულის კომფორტს შეეფერებოდა, არადა ამ ადამიანებს, ყველას, ცხოვრების საკუთარი მდინარება ჰქონდათ.

ნინო რუსეთის მდიდარ გრაფს მიათხოვა და არა დიდ პოეტს... — ნინო მე არ მიმითხოვია, ის თავად მისთხოვდა, მას უყვარდა გრიბოედოვი — ისევ ჩაგვეცხინა პოეტის საყვედურიანი კილო.

მაგრამ იმას სადღა წაუვალთ, რომ მეორე ქალი, ეკატერინე, ივანე მუხრანბატონს უყვარდა, ეკატერინეც თანაუგრძნობდა. ნიშნობაც გამართეს. მაგრამ ალექსანდრემ პეტერბურგიდან ჩაბალა ეს კოორწინება. თანხმობა მისცა სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს, რომელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავგამეტებული სიყვარულის ამბავიც საკუთარი შვილის ბიძაშვილისადმი, ლუარსაბ ორბელიანის ქალისადმი, მშვენივრად იცოდა. ორი სიყვარულგაცრუებული ადამიანი შეხვდა ერთმანეთს და ორივე გაუბედურდა. ოჯახური სითბო და სიყვარული არ უნახავს არც დაეით დადიანს არც ეკატერინე ჭავჭავაძეს, სამეგრელოს დედოფლობამ ეკატერინეს ბოლოს სამშობლოც დაეკარგვინა. მესამე ქალიშვილიც გაასხვისა, გააუცხოვა. მისმა ვაჟიშვილმა კი მამის ჭკუითა და მეცადინეობით დაგროვილი სიმდიდრე თავისი უტკუობით ქარს გაატანა.

1846 წლის 6 ნოემბერს, როცა ალექ. ჭავჭავაძის ჯანმრთელობა საუკეთესო მდგომარეობაში იყო, უცებ ქალაქში ხმა გაისმა — ჭავჭავაძე მოკვდაო.

მთელი ქალაქი მოაწყდა პოეტის სახლს. ყველას უნდოდა შეეტყო, ასე უცებ რა დაემართა სიცოცხლით და ჯანმრთელობით სავსე პოეტს. სამწუხაროდ ქალაქში გავრცელებული ხმა მართალი იყო. ალექსანდრე ჭავჭავაძე იმ დილას, საათის ათზე, გაემზადა ვორონცოვთან წასასვლელად. რაღაც დღეობა იყო და მისალოცად წასვლა ურჩია მეუღლემ.

მშვენიერი ყარაბაღული ცხენი შეაბა მის „ადინაჩქას“ ჭუჩერმა და ალექსანდრე დაეშვა პარადის ფორმით მოროთული ჭავჭავაძის ჭუჩით. როცა ის დაუახლოვდა გოლოვინის პროსპექტს, უეცრივ ერთმა დედაკაცმა სახლიდან ხაპნიანი წყალი გამოიტანა და ჭუჩაზე გადაღვარა. სწორედ ამ დროს, როდესაც იმას გაუსწორდა ალექსანდრეს ეტლი, ცხენი დაფრთხა, წაართვა თავი ჭუჩრს.

შეშინებულმა ჭუჩერმა მოხძახა ალექსანდრეს: „ქნიაზო, მე ამის დაჭერა არ შემიძლია, თავს უშველეო“. ალექსანდრემ იფიქრა ჭუჩერის მიშველება, წამოიწია და რომ უნდა სწვდომოდა ალვირს, მისი გრძელი შინელის მარჯვენა კალთა მოჰყვა ბორბალს და ზედ დაეხვია. ფეხზე წამომდგარი ალექსანდრე ძირს გადმოაგდო. ეს გადმოვარდნა სასიკვდილო შეიქმნა, თავით დაეცა. გრძნობამიხდილი ალექსანდრე შეიყვანეს სახლში, საცა ცოტა ხანი იცოცხლა. ის მოკვდა იმავე ღამეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნი ხალხური ორნამენტის სიმბოლიკის შესახებ

სიმბოლურ ნიშანთა შესწავლა, მათი სემანტიკური და რელიგიური მნიშვნელობის გაშიფვრა საკმაოდ რთული პრობლემების წინაშე აყენებს მკვლევარს. თუ რაოდენ ფართო ერუდიციას და ჩაღრმავებას მოითხოვს მსგავსი სამუშაოს შესრულება ეს თვალნათლივ იგრძნობა ახლახან გამოცემული ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკისადმი მიძღვნილ ნაშრომში, რომლის ავტორია ისტორიკოსი ირაკლი სურგულაძე. ,,

ვისაც ირაკლი სურგულაძის გამოსვლებისათვის მოუსმენია სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს მუზეუმში თუ ისტორიის ინსტიტუტში (განსაკუთრებით ახალგაზრდა მეცნიერებს) შეუძლებელია არ დაინტერესოს ხსენებული ნაშრომის გაცნობამ.

შემოქმედებითი თუ მეცნიერული შრომისათვის ზოგჯერ დამახასიათებელია უკმარისობის გრძნობა, რომელიც განსაკუთრებით იჩენს თავს იმ პერიოდის ნაშრომთა მიმართ, რომლებსაც უკვე წელთა გამოცდილების სიმკაცრით დავცქერით ხოლმე ზემოდან. საყურადღებო დეტალია, რომ ირ. სურგულაძის ნაშრომი ძირითადად შესრულებულია 20 წლის უკან, საგამომცემლო საქმიანობის სირთულე უთუოდ სათავლაშია მისაღები, მაგრამ არც ისეთი აუღელელი ცხისნიმაგრეა, რომ ამ ხნის განმავლობაში მისი დაძლევა ვერ მოახერხოს კაცმა. კითხვაზე, თუ რატომ გამოსცა ავტორმა ასე დაგვიანებით ხსენებული წიგნი, პასუხი ერთია: პასუხისმგებლობის გრძნობა საკუთარი თავის მიმართ, კიდევ ერთხელ დაზუსტება და დროის ფაქტორით გამოცდა იმ ნაზრევისა, რომელზეც მეცნიერი მაშინაცაა პასუხისმგებელი, როცა იგი წელთა სიმრავლითა და შემოქმედებითი გამოცდილებით დაბრძენებულა. ავტორი ასე განსაზღვრავს წიგნის დანიშულებას: ,,ქართულ ენაზე ჯერჯერობით არ გამოსულა არც ერთი ნაშრომი, რომლის მიზანი იქნებოდა სიმბოლო-ნიშანთა შესწავლა, მათი ანტრალურ-კოსმოგონიური ასპექტების დადგენა და მიღებული შედეგების ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენათა კვლევის სამსახურში ჩაყენება. მოთხოვნილება კი ასეთი სახის გამოკვლევებზე დღითი-დღე მატულობს... სიმბოლურ ნიშანთა შინაარსის დადგენა საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ისინი ხალხური ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი ფორმა საზოგადოების შეხედულებების გამოხატვისა, რომელშიაც თავისებური წესით არის ჩადებული და დაცული მრავალპლანიანი ინფორმაცია. ამ ინფორმაციას ერთსა და იმავე დროს გააჩნია მითოლოგიური, კოსმოგონიური, რელიგიური და მაგიურ-პოთოროპული ასპექტები, რომლებიც დროსა და სივრცეში ერთმანეთს ეხებიან'', როგორც ცნობილია, სიმბოლური გამოსახულებების სწორი გაგებისათვის საჭიროა შესწავლილი იქნეს მათი წარმოშობისა და განვითარების ისტორია, უამისოდ შეუძლებელია იმ სხვადასხვა ღრმა დანაშრევების განცალკევება, რომელიც შეუთვისებია ამა თუ იმ ნიშნის გარკვეული დროის განმავლობაში. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ზოგადი წარმოდგენა მაინც ვიქონიოთ იმ მოვლენების შესახებ, რომლებსაც ადგილი აქვთ როგორც საბჭოური, ასევე საზღვარგარეთულ მეცნიერებაში სიმბოლოთა კვლევის სფეროში. აღსანიშნავია, რომ სიმბოლურ ნიშანთა შესწავლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და თავიანთი კვლევის საგნად ხდიდნენ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორიცაა შმალინგი, კრო�erი, ჰაინი, სემპერი, ბასტიანი, ვოილე, ფრობენიუსი, გედზი, სმიგდორსკი, ლეზლერი, დეშელეტი, პერკინსკი, ბრეტონი და სხვანი. საყურადღებო ფაქტია, რომ ირ. სურგულაძე მათ შეხედულებათა უმრავლესობას დედანში გვაცნობს, რაც მეტ დამჯერებლობას და ღირსებას ანიჭებს ნაშრომს.

სამამული მეცნიერებაში მიღწეულ შედეგებს ავტორი მეტად ლაკონური ფორმით გადმოგვცემს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მკითხველს სათანადო წარმოდგენას აძლევს ამ კვლევათა ძირითადი მიმართულების შესახებ. საერთოდ, აზრის ნათლად გადმოცემის შესაფერი ნიჭი რომ არა, რომელიც ასე დამახასიათებელია ირ. სურგულაძისათვის, ჩვენ მივიღებდით ნაშრომს ორნა-

მენტის სიმბოლიკის შესახებ, სადაც სიმბოლური ენით ბუნდოვნად იქნებოდა ახასული ისედაც რთული საკითხები. სამწუხაროდ, მეცნიერებში ხშირად ვიწყებენი ამგვარ მაგალითებს — თითქოს აზრის განზრახ გართულება მკვლევარის ერუდიციაზე მიანიშნებდეს. აშკარაა, რომ ირ. სურგულაძეს მიმადლებული აქვს სადად წერის (რომელიც არასდროს არ გულისხმობს უბრალოს) ნიჭი...

წიგნში ასტრალური სიმბოლიკა განხილულია ქართული ფარიანების დედაბომეების დეკორის მიხედვით, მაგრამ ავტორი თვლის, რომ „ყველა ძირითადი, ლოკალური ხასიათის ნიშანი, რომელიც კი გვხვდება ორნამენტში, თავმოყრილია დედაბომეში" და ამდენად ასეთ კვლევას უფრო ზოგადი მნიშვნელობა ენიჭება. ავტორის სურვილია დაადგინოს დედაბომეზე გამოსახულ სიმბოლოთა კონკრეტული შინაარსი ადგილობრივი და უცხო პარალელური მასალების ურთიერთშეჯერების გზით, თითოეული ამ სიმბოლოთაგანი ცნობილია ძველი სამყაროს მრავალ ხალხში და ასეთი მიდგომა აუცილებელია მათი სწორი სემანტიკური საწყისების დადგენისათვის. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზეპირსიტყვიერ მასალას, რომლის ეთნიკრივ მონაცემებში არეკლილია ამ სიმბოლოთა რთული შინაარსი. ბუნებრივია, რომ ასეთი მასალის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია სრულფასოვანი შედეგის მიღწევა და „წერისა" და „ბედისწერის" სემანტიკური ბუნების გამოაშკარავების ავტორისეული მოსაზრება ამ შეხედულების საუკეთესო მაგალითად გამოდგება. ფრიად საინტერესო დასკვნად გვესახება აზრი იმის შესახებ, რომ კავკასიის ორნამენტში უნდა მომწიფებულიყო დამწერლობის შექმნის ან სხვა მხრიდან მიღებისათვის ყველა აუცილებელი წინაპირობა.

სიმბოლურ ნიშანთაგან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საკვლევ ობიექტს წარმოადგენს ჯვარი, რომელიც დეკორატიულ ხელოვნებაში დღესაც გამოიყენება როგორც წმინდა ეთნიკური დანიშნულების ელემენტი. ჯვრის სიმბოლური საწყისები სათავეს იღებს ადრესამიწათმოქმედო ტომთა ხელოვნებაში. ყველაზე უფრო გავრცელებული შეხედულების თანახმად იგი ქვეყნიერების ოთხი მხარის ნიშანია, რაც კარგადაა ახასული ქართულ ხალხურ ზღაპრებშიც, როცა მათი გმირები ამ გამოუცნობ გზაჯვარედინზე დგანან და იდუმალებით მოცული სამყაროსაკენ მიმავლებს თან ვატანთ ჩვენი ადამიანური ცნობიერმოყვარეობის ნაწილსაც. როგორც ირკვევა, ასეთი შინაარსის მატარებელია თავისუფალი ჯვარი, ხოლო წრით ან ოთხკუთხედით შემოზღუდული ჯვარი ლოკალური ნიშანია და კონკრეტულ სივრცობრივ პუნქტს აღნიშნავს, ასევე ჯვრის გამოსახულებას უკავშირდება ციური სხეულების (ძირითადად მზის) სიმბოლოები. ავტორი თვლის, რომ ჯვრის გეგმით აგებული უძრავი სქემების მოძრაობაში გადაყვანის ცდამ დასაბამი მისცა სიმბოლოთა ამგვარ წყებას და ამდენად შესაძლებელია ვიღაცროდ ჯვარი, როგორც საწყისი ფორმა მთელი ორნამენტებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაბომეის ორნამენტში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბრუნვის იდეის განვითარებას, რაც ძირითადად გამოსახულია მრავალფეროვან ბორკილალათა სახით. ეს ნიშანი კავკასიის ხალხთა ორნამენტში უწყვეტად გვხვდება თითქმის სამი ათასწლეულის მანძილზე და დასკვნაში, რომელიც ამ სიმბოლოს გაანალიზებას ეხება აღნიშნულია, რომ ბორკილალა განვითარებულია გამასებული ჯვრისგან და აღნიშნავს ურიალს საკუთარი ცენტრის გარშემო ერთი მიმართულებით, ამასთან იგი ნათელისა და სიმხურვალის სიმბოლოა და განასახიერებს მზეს თავისი ძირითადი ნიშნებით, მცხუნვარებით და მოძძრაობით, ბორკილალა, როგორც მზის ღვთაების „ნაწილი", აღიბეჭდებოდა სოლარული ღვთაების ცხოველებისა და ამ ღვთაების მიერ არჩეული ადამიანის სხეულზე. იგი ასეთი შინაარსითაა შესული დედაბომეის ორნამენტში.

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მცირე მნათობთა სიმბოლიკის და მათი მოძრაობის იდეის კვლევას. ასევე საინტერესოა დაკვირვება ირმის შესახებ როგორც ცნობილია ირემს ქართველთა უძველეს სარწმუნოებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული. ირმის კულტის სიძლიერეზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ მისი გამოხატვის ტრადიცია ბოლო დრამდე ქმედითი იყო ჩვენში და მათ ხშირად ვადასტურებთ საფლავის ქვებზე, ბუხრებზე, ქვის ჭიშკრებზე, საცხოვრებელ ნაგებობათა ინტერიერში. საქართველოს ყველა კუთხეს შემოუნახავს თავისებური შინაარსის მატარებელი ლეგენდა თუ თქმულება ირმზე. რასაკვირველია, თანამედროვე წესი ირმის გამოხატვისა მთლიანად მხატვრულ-ესთეტიკური შეხედულებით გაიაზრება, მაგრამ მისი სიმბოლური მნიშვნელობა რომ საკმაოდ უზეპლასტიკანია, ამას ადასტურებს ნაშრომის ხათანადო ადგილი, რომელიც იკვლევს ირმის კულტსა და მასთან დაკავშირებულ უძველეს რელიგიურ ასპექტებს. დედაბომეის დეკორში ხშირად დასტურდება ე. წ. მცირე „ვარდული" — სიმბოლო ცისკრის ვარსკვლავისა, — რომელიც წარმოადგენდა ნაყოფიერების ქალღვთაების ასტრალურ გამოვლინებას და მის განმგებლობაში ითვლებოდა აღორძინების ძალები, მეცნიერთა და ცხოველთა სამყარო. ჯიხვი (ირემი) და მცენარე ამ ქალღვთაების იპოსტასები იყო. ამასთან ერთად ცხოველის სხეული გაჯაზრებული იყო როგორც მინა, რქა, ბეწვი და კუდი კი მცენარეულ სამყაროს შეესაბამებოდა.

ასეთი თვალსაზრისის ჩამოყალიბებისათვის ირ. სურგულაძე მიმოიხილავს ირმებთან დაკავშირებულ უამრავ შეხედულებებს, ანალი-

ზებს მათ და ჩვენი აზრით, საინტერესოდ ააშკარავებს დედაბოძის ერთ-ერთი გამოსახულების რთულ სიმბოლურ ბუნებას.

ნაშრომში სათანადოდაა განხილული ანთროპომორფული გამოსახულებანი, რომლებიც განასახიერებენ ნაყოფიერების ზეციურ, მამრობით ძალებს და ბოლოს გარკვეულია დედაბოძის ადგილი ქართველთა უძველეს კოსმოგონიურ შეხედულებებში. ავტორი თვლის, რომ დედაბოძი წარმოადგენს სიცოცხლის ხის დახვეწილ ვარიანტს, რომლის გაფორმებაში ასახულია ქართველთა უძველესი კოსმოგონიური შეხედულებანი.

უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული სიმბოლური ნიშნები გარკვეულ გენეტიკურ ურთიერთმსგავსებასაც ამჟღავნებენ, ამიტომ ძნელდება მათი პრინციპული განცალკევება და სათანადო კონკრეტული მნიშვნელობის დადგენა. მიუხედავად ამისა, ირ. სურგულაძე ახერხებს გარკვეული, სანდო აზრი ჩამოაყალიბოს მათ შესახებ, თუმცა „ახერხებს" აქ ცოტა უადგილოდ გვეჩვენება, რადგან წიგნის ყოველი თავი სანიმუშოა იმის საილუსტრაციოდ თუ რარიგ პასუხისმგებლობითაა გამოტანილი თითოეული მოსაზრება მკითხველის წინაშე. ავტორი განზრახ ერიდება ნაშრომის განვრცობას, მაგრამ ისედაც ცხადი ხდება პრობლემის შესწავლის გზაზე ჩატარებული იმ მუშაობის შედეგები, რომელიც წიგნს გარეთ დარჩა.

თავს ვერ ვიდებთ გახდება თუ არა ეს წიგნი მკითხველთა ფართო მასების ცხოველი ინტერესის საგანი, მაგრამ ისტორიკოსებისა და ხელოვნებათმცოდნეობის გარდა მასში ბევრი საგულისხმო მასალის მოძიება შეუძლია ყველას, ვისაც სერიოზულად განუზრახავს საქართველოს სულიერი აზროვნების შემდეგ სრულფასოვანი მხატვრული ნაშრომები შექმნას.

დავით აბაშიძე

ორმეფობა ძველ ქართლში

(ქართლისა და სომხეთის ურთიერთობიდან ძვ. წ. II-I საუკუნეებში)

ქართლის მესამე მეფის მირვანის ზეობის აღწერას „ქართლის ცხოვრება" ელინისტური ხანის ახლო აღმოსავლეთის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენით ასრულებს:

„ამის-ზე (მირვანის-ზე დ. ა.) მიიცუალა ანტიოქისა მეფობა ბაბილონს და მას ჟამსა შინა მეფე იქმნა სომხითს რომელსა ერქუა არშაკ". („ქართლის ცხოვრება", I, სიმ. ყაუხჩიშვილის გამ., თბ., 1955, გვ. 28).

„ქართლის ცხოვრების" ამ ცნობას გ. მელიქიშვილი უკავშირებს სელევკიდების მეფის ანტიოქის III დიდის (ძვ. წ. 223-187 წ.) რომაელებთან დამარცხების ძვ. წ. 190 წ. მაგნესიასთან ბრძოლაში, რის შედეგადაც სომხეთში არტაშეს I გამეფდა. გ. მელიქიშვილის სამართლიანი დასკვნით „ქართლის ცხოვრების" მიხედვით სომხეთში გამეფებული არშაკი იგივე არტაშეს I უნდა ყოფილიყო (Г. А. Меликишвили, к истории древней Грузии, Тбилиси, 1959, зз. 50).

ანტიოქოს დიდის ძვ. წ. 190 წელს რომაელებთან დამარცხების შემდეგ სელევკიდების სამეფო მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ გადაიქცა და ამ ფაქტის აღნიშვნით „ქართლის ცხოვრება" თითქოს ერთგვარ მიჯნას ავლებს.

სტრაბონი თავის ცნობილ „გეოგრაფიაში" მოგვითხრობს, რომ არტაშესის გამეფების შემდეგ სომხებმა ჩამოაშორეს „იბერების პარიადრის კალთები, ხორზენე და გოგარენე, რომელიც მტკვრის გადაღმა არის". (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 189).

გოგარენეს (სომხ. გუგარქი) ტერიტორიის განსაზღვრისას ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია მ. ხორენელის ერთ ცნობას, რომლის თანახმადაც სომეხთა მეფის ვალარშაკის სახელმწიფოებრივი გარდაქმნების შედეგად ეპონიმ გუშარს გარკვეული ტერიტორია ერგო.

„შარას ნაშიერს გუშარს ერგო მთინის მთა ანუ კანგარქი, ნახევარი ჯავახეთი, კოლბი, წოფი და ძორი ბნარაკერტის ციხე-სიმაგრემდე. აშოცის უფლად დ ტაშირის სეპუჰად ვალარშაკმა პაიკიანი გუშარის შთამომავალი განამწესა, ხოლო კავკასიის მთის მოპირდაპირე მხარეს, ჩრდილოეთის განმგებლად დაადგინა დიდი და ძლევამოსილი გვარი, რომლის უფალთ გუგარელთა პიტიახშები დაერქვათ". (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, ალ. ადადალაძის თარგმანი, მისივე შესავალითა და შენიშვნებით, თბ., 1984, გვ. 106). ივ. ჯავახიშვილი ვარაუდი, რომ „ეპონიმი გუშარას არსებობა ამის მსგავსი სახელის მქონებელი ქვეყნის არსებობას გვაგულისხმებინებს". (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 24-25). ქართულ საისტორიო მეცნიერებაში დამკვიდრებულად შეიძლება ჩაითვალოს.

მ. ხორენელის გუშარას წილი ტერიტორიისა და მისი შთამომავლის, აშოცის (აბოცის — დ. ა.) უფლის და ტაშირის სეპუჰის სამფლობელოთა შეკრებით დ. მუსხელიშვილი გუგარქ-გოგარენეს ტერიტორიულ შემადგენლობას ასე აყალიბებს:

„ამგვარად, სტრაბონის „გოგარენე" და სომხური „გუგარქი" (მოსე ხორენელთან) მოიცავდა შემდეგ ქართულ პროვინციებს: ზემო ჯავახეთი, თორი (გუჯარეთის ხეობა), თრიალეთი (ზდრ. იქ მდებარე სოფ. საპიტიახშო), ტაშირი (ალგეთის და ხრამის აუზი, აგრეთვე მდინარე კამენკას ხეობა), წოფი (მდ. ბანუშ-ჩაის ხეობა ფილამდე), კოლბი (მდ. ინჯას ხეობა), ძორი (მდ. აღსტაფის ხეობა) და კანგარქი (ბამბაკის ხეობა). (დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 149). დ. მუსხელიშვილი სამართლიანად აღნიშნავს, როდესაც ამბობს, რომ „თვით ასეთი მოცულობითაც გუგარქი, როგორც ჩანს, შემდგომი გაფართოების შედეგად გვევლინება" (იქვე). პოლიტიკური მნიშვნელობით გოგარენე-გუგარქი ბევრად უფრო დიდ ტერიტორიასაც მოიცავდა, მაგრამ წმინდა გეოგრაფიულად ზემოთმოტანილი ტერიტორია არის გუგარქის მაქსიმალური ტერიტორია და იგი მთელ ქვემო ქართლს მოიცავს. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, როდესაც ფარნავაზმა „განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი", მეოთხე ერისთავი სამშვილდეს გაგზავნა „და მისცა სკვრეთის მდინარითგან ვიდრე მთამდე; რომელ არს

ტაშირი და აბოცი". (ქართლის ცხოვრება", I, სიმ. უაუხჩიშვილის გამ., თბ., 1965, გვ. 24). როგორც ვხედავთ ფარნავაზის ხანის ქართლის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დანაწილებით სამშვილდის საერისთავო გოგარენეს ნაწილს მოიცავს. გოგარენე ან მისი ნაწილი ადრეულ შუა საუკუნეებში ქართლის „პიტიახშების სამფლობელო უნდა ყოფილიყო. მირიანის ძეს ბაქარს „ქართლის ცხოვრების" თანახმად თავისივე სახლის შვილისთვის ფეროზისთვის მიუცია „სამშვილდიდგან მიდმართ ქუეყანანი ვიდრე თავადმდე აბოცისა" (იქვე, გვ. 130-131). ჯუანშერი ფეროზის ჩამომავალს პატიახშად იხსენიებს და უთითებს, რომ ფეროზის ნათესავი „მთავრობდა თრიალეთის ტაშირს და აბოცს" (იქვე, გვ. 241).

სტრაბონის ხორზენეს გ. მელიქიშვილი კლავდიოს პტოლემაიოსთან მოხსენიებულ „კატარძენეს" უკავშირებს და ისტორიულ კლარჯეთთან აიგივებს.

დ. მუსხელიშვილი ხორზენეს აპიანესთან მოხსენიებულ ხოტენედ თვლის და ევფრატის სათავეებიდან ვიდრე ჭოროხისა და მტკვრის სათავეებამდე (ჩათვლით) მდებარე ტერიტორიად მიიჩნევს (დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, გვ. 56).

აშკარაა სტრაბონი ხორზენეში გოგარენეს დასავლეთით მდებარე ტერიტორიას გულისხმობს. თუ გოგარენე — ქვემო ქართლი ზემო ჯავახეთსაც შეიცავს, მაშინ კოლა-არტაანი და, მაშასადამე, მტკვრის სათავეც მიმდებარე ტერიტორიით გოგარენეს მეზობლად გამოდის. კლარჯეთი უშუალოდ გოგარენეს არ ესაზღვრება, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გამორიცხული არაა კლარჯეთი ფარნავაზიანთა ხანაში უფრო ფართე მცნების მომცველი ყოფილიყო.

პარიადრის კალთებში მკვლევარები ჩვეულებრივ ტაოსა და სპერს გულისხმობენ (ს. ჯანაშია, იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში, შრომები, 11, გვ. 249-258).

ამრიგად სტრაბონის მიხედვით ხომხეთს ქართლისათვის აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ხუნანიდან სპერამდე „ჩამოუჭრია" სამხრეთი ტერიტორია. თუ რა ხასიათისა იყო თვითონ „ჩამოჭრა" ამაში გარკვეული სინათლე „ქართლის ცხოვრებას" შეაქვს.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში, თითქმის ჩვენი საუკუნის 70-ინ წლებამდე „ქართლის ცხოვრებაში" ასახული ძვ. წ. II-I საუკუნეების მოვლენები, კერძოდ, ქართლისა და ხომხეთის ურთიერთობა თითქმის მკვლევართა უყურადღების მიღმა რჩებოდა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ჩვენი საუკუნის დასაწყისში მკვლევარები მეტისმეტად გაიტაცა „ქართლის ცხოვრების" შედარებამ ანტიკური ავტორებთან, რაც იმხანად კანონზომიერი მოვლენა იყო. ასეთი შედარებების შედეგად ქართლის მეექვსე მეფე არტაგი მხოლოდ სახელის მსგავსების გამო გაიგივებულ იქნა დიონ კასიუსთან მოხსენიებულ პომპეუსის თანამედროვე ქართლის მეფე არტოკესთან და ამგვარად „ქართლის ცხოვრების" თხრობა ხელოვნურად იქნა გაწყვეტილი. ამას ხელი შეუწყო იმნაც, რომ აღნიშნული პერიოდის (ძვ. წ. II-I სს) მსოფლიო ისტორიული მოვლენები „ქართლის ცხოვრებაში" ყოველთვის შესაფერი თანმიმდევრობით არ არის დალაგებული. დღეისათვის უკვე დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ „ქართლის ცხოვრება" სამეფოს დაარსებიდან ვიდრე დაახლოებით ქართლში რომაელების გამოჩენამდე საკმაოდ მწყობრ ისტორიულ თხზულებას წარმოადგენს. ხარვეზი „ქართლის ცხოვრებაში", სწორედ „რომეფობის" დასასრულს ჩნდება. როგორც სამართლიანად აღნიშნავს გ. მელიქიშვილი „... ქართულ საისტორიო ტრადიციაში ეტყობა, საერთოდ ფიქსირებული არ არის ეს პერიოდი — ქართლის სამეფოს (იბერიის) უველაზე დიდი ძლიერების ხანა — ე. წ. რომაული ხანა. ამ წყაროებმა საერთოდ რომისა და მასთან ქართლის ურთიერთობის შესახებ თითქმის არაფერი არ იცის" (გ. მელიქიშვილი„ ქართლის (იბერიის) მეფეთა სიებში არსებული ხარვეზის შესახებ, „მაცნე", № 3, 1978, გვ. 61. იხ. აგრეთვე დ. აბაშიძე, ქართლის პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი, „მნათობი", № 9, 1987, გვ. 154-161).

ქართლის მესამე მეფის მირვანის შემდგომი მეფეების მეფობის აღწერიხას თხრობა მწყობრად მიმდინარეობს. საყურადღებოა, რომ პერიოდულად სომხები აჭეიურად ერევიან ქართლის ტახტისათვის წარმოეტულ დინასტიურ ბრძოლებში. სახოლოოდ ქართლისა და სომხეთის ურთიერთობა ნათლად იკვეთება მეათე მეფის ადერკის და მისი მემკვიდრეების მეფობათა აღწერისას „ქართლის ცხოვრებაში".

მეათე მეფის ადერკის ზეობის დასასრულს „ქართლის ცხოვრება" მოგვითხრობს, რომ ადერკიმ თავის შვილებს ბარტომს და ჭართამს ორად გაუყო სამეფო: „მისცა ქალაქი მცხეთა და ჭუეყანა მტკუარსა შიდა ქართლი, მუხნარით კერძი ქალაქი და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოეთი, ჭერეთითგან ვიდრე თავადმდე ქართლისა და ეგრისისა — ესე ყოველი მისცა ბარტომს ძესსა თჳსსა, ხოლო არმაზით კერძი ქალაქი მტკუარსა სამხრით ქართლი ხუნანითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, და კლარჯეთი ყოველი მისცა ქართამს ძესა თჳსსა და მოკუდა ადერკი" („ქართლის ცხოვრება", დასახ. გამოცემა, გვ. 43).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდაპირველად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ადერკის ნებაყოფლობით გაუყვია სამეფო თავის შვილებისათვის, მაგრამ უკვე მეფეთა მეორე წყვილის ბარტომისა და ქართამის შვილების, ფარსმანისა და კოსის ზეობის აღწერის დასაწყისშივე „ქართლის ცხოვრება“ მეტად მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის.

„ხოლო ადერკისითგან ვიდრე ამათ მეფობამდე (ფარსმან არმაზში და კოს მცხეთაში — დ. ა.) იყვნეს მორჩილებასა შინა სომხთა მეფისასა. და უმეტეს არმაზელნი მეფენი შეეწოდეს სომეხთა ყოველთა შთამომავთა ზედა“ („ქართლის ცხოვრება“, დასახ. გამოცემა, გვ. 44). „ქართლის ცხოვრების“ ამ ცნობიდან ჩანს, რომ სამეფოს გაყოფა სომხეთის ზეგავლენით მოხდა და ქართლის სამეფოებს, განსაკუთრებით კი არმაზის სამეფოს სომეხთ მოკავშირეობა უკისრიათ. არმაზის სამეფოს ტერიტორიის შედარებას, სტრაბონის მიხედვით ქართლისაგან სომხების მიერ „ჩამოჭრილ“ ტერიტორიასთან თავის დროზე ჩვენ გვფიქრობნინა, რომ ძვ. წ. II საუკუნის მეორე ნახევარში სომხეთს ქართლის ტერიტორია უშუალოდ კი არ შეუერთებია, არამედ ე. წ. „ჩამოჭრილ“ ტერიტორიიდან შეიქმნა გარკვეულწილად სომხეთისადმი დამოკიდებული ქართული პოლიტიკური ერთეული (დ. აბაშიძე, ორმეფობის ზოგიერთი საკითხი ძველ ქართლში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, 1973, გვ. 15-16). მართლაც დავაკვირდეთ არმაზის სამეფოს ტერიტორიას: „...ხოლო არმაზით კერძი ჭალაჭი, მტკვარსა სამხრით ქართლი, ხუნანითგან ვიდრე თავადმდე მტკვარისა, და კლარჯეთი ყოველი მისცა ქართამს ძესა თჳსსა...“ რამდენადაც კლარჯეთი მტკვრის სათავეს — კოლას უშუალოდ არ ესაზღვრება ამიტომ“... ხუნანითგან ვიდრე თავადმდე მტკვარისა და კლარჯეთი“ კონტექსტი გვაფიქრებინებს, რომ კლარჯეთი ამ შემთხვევაში უფრო ფართო მცნების მომცველი უნდა იყოს.

როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული გვქონდა, გოგარენე-სომხური გუგარქი პოლიტიკური მნიშვნელობით უფრო ვრცელ ტერიტორიას მოიცავს, ვიდრე საკუთრივ გუგარქ-გოგარენა.

სომხური ანონიმური გეოგრაფიის მიხედვით დიდი სომხეთი ქართლის სამეფოს დიდ ნაწილს მოიცავდა. ამ წყაროს მიხედვით გოგარენე ცხრა გავარისაგან შესდგებოდა: ძორაფორი (ალსტაფის ხეობა), კოლბაფორი (ნინას ხეობა), წობაფორი (დებედა — ბანუშ-ჩაის ხეობა), ტაშირი, თრელენი, კანგარი, ზემო ჯავახეთი, არტანი და კლარჯეთი (**Армянская география VII века по р. Х. Текст и перевод издал К. П. Патканов, 1877, ст. 16—17**).

ქართლის (იბერიის) აღწერისას სომხური გეოგრაფია უფრო აზუსტებს იბერიის მიმდინარეობით დიდი სომხეთის საზღვრებს და გოგარენეს აღნიშნულ ცხრა გავარს გარდა სომხეთის საზღვრებში მოითვლის ალგეთის ხეობას (მანგლისის ხევს), ბოლნისის ხევს და თბილისის სანახებს. ამრიგად, დიდი სომხეთის საზღვრებში სომხური გეოგრაფია ქართლის სამეფოს მიმა-ჭრილ კლარჯეთიდან ვიდრე თბილისის სანახებამდე და მტკვრის გაყოლებით სამხრეთით, ვიდრე ბნარაკერტამდე (ხუნანამდე) მოითვლის. (**Армянская география**, დასახ. გამოცემა, გვ. 20).

სომხური ანონიმური გეოგრაფია ჩვეულებრივ VII საუკუნით თარიღდება, მასში აღწერილი გოგარენეს საზღვრები მხოლოდ და მხოლოდ ძვ. წ. II-I საუკუნის ვითარების ამსახველი შეიძლება იყოს, როდესაც სომხეთი თავისი აღზევების ზენიტში იმყოფებოდა, ალსანიშნავია, რომ სომხური ანონიმური გეოგრაფიის ამ ცნობას ადრე ფეოდალური ხანის სომხური წყაროები (ლ. ფარპელი, ფ. ბუზანდი) არ ადასტურებს.

სომხურ გეოგრაფიაში აღწერილი გოგარენეს საზღვრები თითქმის ზუსტად ემთხვევა სტრაბონთან ხსენებულ „ჩამოჭრილ“ ტერიტორიას და არმაზის სამეფოს მიწა-წყალს.

სომხურ ნახარართა ნუსხების და ე. წ. „სამხედრო განრიგის“ მიხედვით დიდი სომხეთის სანაპიროებზე არსებობდნენ საპიტიახშოები, რომელთა პიტიახშებს (სომხ. ბდეშხებს) ევალებოდათ ომის შემთხვევაში დიდი სომხეთის მოკავშირეობა და ჯარის გამოყვანა დიდი სომხეთის საზღვრებზე. ასეთი საპიტიახშოები იყვნენ: ანგელენე, არზაზენე, სივნიეთი და გოგარენე, რომლის პიტიახშიც დიდი სომხეთის მთელ ჩრდილო საზღვარზე მდებარე ტერიტორიის მმართველი იყო. **Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, СП. Б., 1908, გვ. 283-284).** გუგარქი (ბერძ. გოგარენე) გარდა პოლიტიკური და წმინდა გეოგრაფიული მნიშვნელობისა უთუოდ საერთოდ ჩრდილოეთ ტერიტორიის ზოგადად აღმნიშვნელიც უნდა ყოფილიყო სომხურ საისტორიო ტრადიციაში. გავიხსენოთ ზემოთმოტანილი ვრცელი ამონაწერი მ. ხორენელის თხზულებიდან, სადაც ეკითხულობთ, რომ ვალარშაკმა „...კავკასიის მთის მოპირდაპირე მხარეს, ჩრდილოეთის განმგებლად დაადგინა დიდი და ძლევამოსილი გვარი, რომლის უფალთ გუგარელთა პიტიახშები დაერქვათ“.

მ. ხორენელთან მოხსენიებული სომხეთის მეფე ვალარშაკი, როგორც ისტორიული პირონება, წყაროებში არ დასტურდება, მაგრამ მკვლევარნი მიუთითებენ, რომ ის სახელმწიფებრივი გარდაქმნები სომხეთში, რომელთაც მ.

ბორენელი ვალარშაკს მიაწერს, ჩაატარეს არტაშესიანთა დინასტიის მეფეებმა ძვ. წ. II-I სს, განსაკუთრებით კი ტიგრან მეორემ (ძვ. წ. 95-56 წ.) რის გამოც ვარაუდობენ, რომ ვალარშაკი სომეხ არტაშესიანთა ზოგად პერსონიფიკაციას წარმოადგენს (ბ. მანანდიანი, ფეოდალიზმი ძველ სომხეთში, 1954, გვ. 247-251 (სომხურ ენაზე). ბ. ბორენელის თხრობაც, როგორც ვხედავთ იმავ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება, რომელშიაც ზის არმაზის სამეფოს წარმოქმნა, სომხური ანონიმური გეოგრაფიის დიდი გოგარენე და დიდი სომხეთის მონაპირე საპატიანშოები.

ცნობილი სომეხი ისტორიკოსი ნ. ადონცი თავის ნაშრომში «Армения в эпоху Юстиниана» დიდი სომხეთის მონაპირე პატიანშებზე (ბდეშხებზე) წერს: «Бдешхи — своего рода маленькие цари, владеющие территорией царств, прежде самостоятельных, но со времени Тиграна Великого (95—59 гг.) признававших гегемонию армянских царей» (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана СПБ, 1908, ст. 283).

ალბათ ძნელია ნ. ადონცის ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ უფრო თვალსაჩინო მაგალითის მოყვანა, ვიდრე „ქართლის ცხოვრების“ არმაზის სამეფოს და არმაზის მეფე. ნ. ადონცი კიდევ უფრო ავითარებს მონაპირე პატიანშების ადგილობრივ დინასტიურ წარმოშობას, ჯერ ... ხაც წერს: «...бдешхи, действительно, охраняли предел Армении, но не по назначению армянского царя, а по своему положению, как властелины окраин, признававшие при том власть армянского царя» Н. Адонц, დასახ. ნაშრომი, გვ. 288.

ამრიგად, ჩვენის აზრით, „ქართლის ცხოვრებისეული“ არმაზის სამეფო იგივე დიდი სომხეთის მთელ ჩრდილო საზღვრის გასწვრივ განლაგებული გოგარენეს საპატიანშოა, ხოლო არმაზის მეფე სომხური წყაროების გოგარენეს პატიანშია, ძვ. წ. II-I საუკუნეების შუალედში.

სტრაბონთან მოხსენიებული ე. წ. სომეხთ მიერ იბერთაგან „ჩამოკრილი“ მიწა-წყალი არ ყოფილა დიდი სომხეთისადმი უშუალოდ მიერთებული. „ჩამოკრილი“ ტერიტორიიდან შეიქმნა დიდ სომხეთთან სამხედრო კავშირში მყოფი ქართული პოლიტიკური ერთეული, ადგილობრივი დინასტიის მმართველობით.

„ქართლის ცხოვრება“ ზუსტ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში და ბევრად უფრო დაწვრილებით ასახავს ქართლისა და სომხეთის ურთიერთობას ძვ. წ. II-I საუკუნეებში, ვიდრე შეესაბამისი სომხური წყაროები.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ELIBRARY.GE

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ თამარაშვილის არქივის იტალიური ფონდის სიახლეები

მიხეილ თამარაშვილის სახელმა ბოლო წლებში ახალი ელვარება შეიძინა საქართველოს საზოგადოებრიობის თვალში. მისმა გადმოსვლებმა საქართველოში, კინოფილმმა, რომელიც შექმნა რუსთაველის პრემიის ლაურეატმა რევაზ თაბუკაშვილმა, განაახლა ინტერესი ამ მომოლვაწისადმი. მიხეილ თამარაშვილის არქივის მთლიანად დამუშავება თბილისში შვიდი ათეული წლის მანძილზე ვერ მოხერხდა. სპეციალისტების აზრით, მ. თამარაშვილის ფონდი დასამუშავებლად ერთ-ერთი ურთულესი ფონდია, ტექსტები დაწერილია ძნელად გასარკვევი ხელით, არქაული სტილით, ზოგჯერ დახადგენია წერილის ავტორისა და ადრესატის რაობა. ჩვენ, შეძლებისდაგვარად, შევისწავლეთ მიხეილ თამარაშვილის არქივი.

მიხეილ თამარაშვილი ახალციხეში დაიბადა ღარიბ ოჯახში. მამამისი რუმბებს ამზადებდა. მისი მასწავლებელი, ივანე გვარამაძე ფართო განათლების და მაღალი ღირსებით შემკული პიროვნება იყო, ფლობდა ევროპულ ენებს, წერდა და ბეჭდავდა წიგნებს. მიხეილ თამარაშვილი ნიღარობის გამო სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, რადგან იქ უფასოდ ასწავლიდნენ, შემდეგ სწავლა განაგრძო კონსტანტინეპოლის ქართულ სასწავლებელში, საიდანაც სახელმწიფოს ხარჯზე მოაწყვეს ეხპანეთში სასულიერო სემინარიაში; მან ბრწყინვალედ ჩაბარა მისაღები გამოცდები სხვა ორ ქართველ ახალგაზრდასთან ერთად, რამაც ძლიერ გაახარა კონსტანტინეპოლის ქართული საკრებულოს სემინარიის პედაგოგი, რომელმაც ეს ყმაწვილები ეხპანეთში ჩაიყვანა, მათ გამოცდებს დაეწერო, დაბინავდა და უკან გამობრუნდა. ეხპანეთის შემდეგ მ. თამარაშვილმა პარიზში განაგრძო სწავლა და აქაც რამდენიმე წლის განმავლობაში სრულყოფდა განათლებას ისევ სახელმწიფოს (ციხლეის) ხარჯზე. ამის შემდეგ მ. თამარაშვილი დაბრუნდა საქართველოში და ზუშამიდა დაიწყო თბილისის კათოლიკურ ეკლესიაში. მისი ხელმძღვანელი ორლოვსკი ცუდად განეწყო თამარაშვილისადმი; ერთი წლის მუშაობის შემდეგ აუკრძალა თბილისის ეკლესიაში სამსახური და განაწესა ახალციხის კათოლიკური ეკლესიაში. ცოტა ხნის შემდეგ მ. თამარაშვილს ახალციხეშიც აუკრძალეს ეკლესიაში მოღვაწეობა. თამარაშვილი უმუშევრად დარჩა, ძმები, ნათესავები ღარიბულად ცხოვრობდნენ. რადგან საქართველოში მისი განათლების შესაფერი სამსახური ვერ გამონახეს დასრულად უმიზეზოდ, ხელშეწყობის ნაცვლად, აითვალწუნეს, მ. თამარაშვილმა გადაწყვიტა, რომ მისთვისაც და მისი ღარიბი ოჯახისთვისაც უკეთესი იქნებოდა, თუ სხვაგან გაემგზავრებოდა. სამგზავრო ფული არ ჰქონდა, ამიტომ მ. თამარაშვილის ძმამ აიღო ვალი იმ პირობით, რომ როდესაც მოეწყობოდა, მ. თამარაშვილი ამ ვალს გადაუხდიდა. მ. თამარაშვილი ისევ კონსტანტინეპოლში ჩავიდა, რადგან თავისი სპეციფიკური განათლების გამო თანამდებობრივად კონსტანტინეპოლის ქართული საკრებულოს ხელმძღვანელს ემორჩილებოდა. აქ შესთავაზეს მასწავლებლობა სემინარიაში, მაგრამ მ. თამარაშვილმა ისევ სწავლის გაგრძელება არჩია, ამჯერად, რომის აკადემიაში. იქ საოჯახო ნების მანძილზე ორ-ორი ადგილი იყო გამოყოფილი სხვა ქვეყნის წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის, ; ეს ახალგაზრდები სახელმწიფოს ხარჯზე სწავლობდნენ და ცხოვრობდნენ. მიხეილ თამარაშვილმა ბრწყინვალედ ჩაბარა მისაღები გამოცდები რომის აკადემიაში, ასევე ბრწყინვალედ დაასრულა იგი და მიენიჭა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, მუშაობდა პროფესორად რომის უნივერსიტეტში სხვადასხვა კოლეჯებში, მ. თამარაშვილი ორმოცდაცამეტი წლის იყო, როდესაც იტალიელი მუშის გადასარჩენად აღელვებულ ზღვაში შესცურა და დაიღუბა. ვატიკანის გაზეთმა ორი გვერდი დაუთმო მის ნეკროლოგს. დაკრძალვას დაესწრნენ მეცნიერები, სტუდენტები რომისა და პარიზის აკადემიებიდან, ვატიკანის კარდინალები. იმავე წელს საფლავზე დადგეს მშვენიერი ძეგლი ფრანგული წარწერით, რომელიც გვაუწყებდა, რომ აქ განისვენებდა გმირული ბუნების ადამიანი, რომელიც სამშობლოს სიყვარულის გამო თვით იმ სამშობლომ გამოაძევა, რომ რწმენისა და შორეული სამშობლოს სამსახურში გალია დღენი. პროფესორ თამარაშვილის ცხოვრებისა და

შემოქმედების შესახებ დაბეჭდილი ნაკარია ჭიკინაძის (1912 წ.) და პროფესორი შოთა ლომსაძის (1967 წ.) უადრესად საინტერესო წიგნები. მიხეილ თამარაშვილმა დაწერა სამი წიგნი საქართველოს ისტორიაზე და წერდა მეოთხეს, როგორც აღნიშნავს თვითონ, ფუნდამენტურს, გამოაქვეყნა სტატიები. პროფესორ მ. თამარაშვილის არქივი მისი დალუპვისთანავე, 1912 წელს გამოგზავნა თბილისში მისმა შვილობილმა ლუდოვიკო მარინმა. ქართულ და რუსულ ენებზე შესრულებული მასალა ადრევე დამუშავდა, იტალიურ და ლათინურ ენებზე შესრულებული მასალა კი დღემდე დაუმუშავებელი დარჩა. ამ ფონდის დამუშავებამ ახალი სურათები გადაგვშალა პროფესორ მიხეილ თამარაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ეს ფონდი შედგება ათას ას ოთხმოცდარვა ძირითადი ერთეულისაგან, სულ სამი ათას ხუთას ოთხმოცი ხელნაწერი გვერდია. აქ თავმოყრილია პროფესორ თამარაშვილის ავტოგრაფიული წერილები პირად და საზოგადო საკითხებზე, მიმოწერა ვატიკანთან, ამონაწერები სხვადასხვა ხელნაწერებიდან და წიგნებიდან საქართველოს შესახებ. აქამდე არ იყო გარკვეული, რომ მიხეილ თამარაშვილი იყო რუსეთის იმპერიის წარმომადგენელი რომის პაპის კარზე. რუსეთის იმპერიის სხვადასხვა რაიონებიდან, ეპარქიებიდან, მათ შორის საქართველოდან, რუსეთიდან, ლიტვიდან, პოლონეთიდან. ეპისკოპოსებს მიმოწერა ჰქონდათ მასთან ოფიციალურ საკითხებზე. ამგვარი წერილობითი განცხადებების საფუძველზე მიხეილ თამარაშვილი, ანუ თამარატი, როგორც იქ უწოდებდნენ, თვითონ ადგენდა მოხსენებითი ბარათს ვატიკანის კანცელარიის სახელზე, ვატიკანის კანცელარიის მდივანი-კარდინალი მ. თამარაშვილის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე თავისი სახელით შუამდგომლობდა რომის პაპთან; ვატიკანის ბრძანებები და დადგენილებები, რომლებიც რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომ ქვეყნებს ეხებოდა, ჯერ მიხეილ თამარაშვილთან ხვდებოდა, შემდეგ ის გადაუგზავნიდა დაინტერესებულ პირებს. იტალიური წერილებიდან ჩანს, რომ მ. თამარაშვილს უშუალო, ზოგჯერ საიდუმლო კავშირი ჰქონდა ვატიკანის დადგენილებათა გამომქანი კომისიის წევრებთან, წინასწარ, ბეჭდით დამოწმებამდე იგებდა, ვის ნიშნავდა ვატიკანი რუსეთის იმპერიაში ეპისკოპოსად ან სხვა მაღალ თანამდებობაზე. მას თვითონ სურდა საქართველოში ან მის მახლობლად, ყირიმში მაინც გაემწესებინათ სამუშაოდ. იტალიური წერილი № 256 აარჩევნებს ეხება. ჯოვანი კარიკატი აცნობებს თამარაშვილს, რომ საქართველოში გასაგზავნად ერთმხად აირჩიეს მღვდელი ბენედიტო, მაგრამ მან თვითონ განაცხადა უარი, რადგან თორმეტი წლის სამუშაო სტაჟი არ აქვს, რაც კონსტიტუციით აუცილებელია ასეთი დაწინაურებისთვის.

მეორე წერილი № 250 ფრიბურგიდან, შვეიცარიიდან არის გაგზავნილი თამარაშვილთან რომში. წერილის ავტორი თხოვს შეაჯუობინოს ვატიკანის სამისიონეროს, რომ მათ მიერ ლიტვაში დანიშნულმა ეპისკოპოსებმა და მღვდლებმა არ იციან ლიტვური ენა, მოსახლეობა ვერ ახერხებს მათთან საკმიან ურთიერთობას. ითხოვს, დანიშნონ ისეთი პირები, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობის ენა, ლიტვური იციან, ასეთი შინაარსის წერილი თამარაშვილის ფონდში უამრავია. თბილისში და ახალციხეშიც დაძაბული ვითარება იყო. სომეხმა კათოლიკე მღვდლებმა მიმართეს სხვადასხვა ორგანოს, დაბეჭდეს სტატიები და, ამგვარად, შექმნეს აზრი, თითქოს თბილისსა და სხვა ქალაქების ძირითადი მოსახლეობა სომხებია, რომ ასეთ საზოგადოებაში კათოლიკურ ეკლესიებში ოფიციალური ენა უნდ იყოს არა ქართული, როგორც აქამდე იყო, არამედ სომხური. დაბეჭდეს სტატიები პეტერბურგის ჟურნალებშიც, მისწერეს რომის პაპს ვატიკანში. შედეგად გამოვიდა უმაღლესი ბრძანება, რომ თბილისის კათოლიკური ეკლესია გახდა სომხური კათოლიკური ეკლესია და რომ საქართველოს კათოლიკური ეკლესიებში თბილისში, გორში, ახალციხეში და სხვაგან ოფიციალური ენა სომხური უნდა ყოფილიყო. დაითხოვეს ქართველი მღვდლები და ნასულიერო სახსნელებლის აღმზრდელები, ახალშობილ ქართველებს სომხებად წერდნენ. აქ სადაც ოფიციალური ენა სომხური და ძირითადი მოსახლეობა სომხებია. გამოდის, რომ სომხეთი ყოფილა და არა საქართველო, აქეთ უმიზნებდნენ ამ „მოძრაობის" მესვეური გაბრიელ ნახაპეტიანი და მისი მომდევრები. ზაკარია ჭიკინაძემ თამარაშვილს წერილობით სთხოვა, მოეძებნა საბუთები იტალიის არქივებში იმის დასამტკიცებლად, რომ ჩამორთმეული კათოლიკური ეკლესიები ქართველებს ეკუთვნოდათ, რომ ქართველებში არიან და იყვნენ კათოლიკები, რომ ოფიციალური ენა მუდამ ქართული იყო.

მანამდე, ასეთივე დავალება მან რომის პაპისგან მიიღო, რადგან რომის პაპი და კარდინალები შეაწუხეს საქართველოში დამკვიდრებული მრავალი სომეხი პირის მიერ გაგზავნილმა წერილებმა მასზე, რომ არაძირითადი მოსახლეობა (ქართველები), მათ ჩაგრავდა.

მიხეილ თამარაშვილი ჩაუჯდა იტალიის, საფრანგეთის არქივებს. მოამზადა წიგნი, „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველთა კათოლიკობას", განმტკიცებული პირველხარისხოვანი საბუთებით. ეს წიგნი თბილისში დაბეჭდეს. მ. თამარაშვილმა მოძებნა ვატიკანის სპეციალური, ახალი (!) დადგენილება სო-

მეხ-კათოლიკეთა შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ ეროვნებით სომეხიც რომ იყო, არავის აქვს უფლება გაიძულოს სომხური ენაზე საკმის წარმოება (საქმე № 908). პეტერბურგის ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია ქართველ კათოლიკეთა არაქართული, სომხური წარმომავლობის შესახებ გააცამცვერა. რადგან პროფესორი მ. თამარაშვილი ბრწყინვალედ ფლობდა როგორც სომხურ ენას, ასევე ლათინურს, ის მისხალ-მისხალ მიჰყვა სტატიის ავტორს და დაამტკიცა, რომ იმ ავტორებს, რომლებსაც ასახელებს სტატიის ავტორი, არ დაუწერიათ ის, რაც „ციტატებად" მოაქვს ავტორს. პროფესორ თამარაშვილის არქივში დაცულია მისი წერილი იტალიელ მწერალთან, როკო კაკიასთან (№ 878), რომელიც ქ. კიტაში ცხოვრობდა. ამ არქიეპისკოპოსის წიგნიდან შეიტყო მ. თამარაშვილმა, რომ ფლორენციაში მას უნახავს იტალიელი მისიონერების მოხსენება-აღწერილობები, სადაც აღნიშნავდნენ, რომ სომეხი მღვდლები ცუდად ექცეოდნენ რომის პაპის მიერ წარგზავნილ იტალიელ მისიონერებს, ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ, ქონებას ართმევდნენ, ექლესიებიდან აძევებდნენ. ეს არის პატრი ანჯელოს ცხოვრება. მ. თამარაშვილი ჩავიდა ფლორენციაში, მაგრამ ვერ მიაგნო ამ ტექსტს წერილით სთხოვდა როკო კაკიას, აეხსნა, თუ საკუთრივ სად ნახა მოხსენება იტალიელი მისიონერების დევნის შესახებ. რ. კაკიამ აცნობა, რომ ეს ტექსტი მან ნახა ფლორენციაში ორ ტომად: შემდეგში ეს არქივი გადავიდა ქალაქის მმართველობის ხელში. ორი ტომიდან ერთი დარჩა, მეორე კი გადაიტანეს იტალიის პატარა ქალაქ ემპოლოში. თამარაშვილმა იქაც ჩასდია ამ ხელნაწერებს, გადაწერა და თავისი წიგნი უძვირფასესი საბუთებით შეამკო. პროფესორმა თამარაშვილმა მიაკვლია მეორე იტალიელი მოღვაწის, მისიონერ არქანჯელო ლამბერტის წიგნს საქართველოზე. ეს წიგნი დაიწერა მეჩვიდმეტე საუკუნეში, აღწერილია გურია-სამეგრელოს ისტორია. ლამბერტი უძველესი ავტორების პროკოპიოსის, ირენეიოსის, ტერტულიანეს და სხვათა ნაშრომების საფუძველზე წერს, რომ კოლხეთში ქრისტიანობა პირველ საუკუნეში გავრცელდა. ლამბერტის წიგნში აღწერილია ქართველი ხალხის ყოფა, ზნე-ჩვეულებები, წიგნი ცოცხლად, იუმორით არის დაწერილი. ლამბერტის იტალიური წიგნი მაშინვე ორჯერ დაიბეჭდა ნეაპოლში, ჩვენს ქვეყანაში ამ წიგნს არ იცნობდნენ. მას მ. თამარაშვილმა მიაკვლია და ვრცელი ნაწყვეტები დაბეჭდა თავის წიგნებში, 1903 წელს ალექსანდრე ჟყონიამ დაბეჭდა ლამბერტის წიგნის ქართული თარგმანი, 1913 წელს თბილისში დაბეჭდეს განის რუსული თარგმანი. ორივე მშვენიერი თარგმანია და ინტერესით იკითხება. ლამბერტი აღწერს ხარის მსხვერპლად შეწირვის ცერემონიალს სამეგრელოში. პირველ საუკუნეში მწერალი ტერტულიანეც აღნიშნავს კოლხეთში ხარის მსხვერპლად შეწირვის ჩვეულებას; ეს ტექსტიც ცოტა ქვემოთ მოგვაქვს. საინტერესოა ქართული ლხინის აღწერა, ოთის სცენები და წესები. ლამბერტის წიგნიდან გახდა ცნობილი (მ. თამარაშვილის საშუალებით) ერთი მშვენიერი ქართველი ქალის თავგადასავალი. ლამბერტის წიგნის მიხედვით იტალიელმა კარლო გოლდონიმ დაწერა პიესა „ლა ბელლა ჯორჯანა". პიესა ზუსტად ასახავს მომხდარ ამბებს, თუმცა მოკმედი პირების სახელები შეცვლილია. ეს პიესა იტალიაში 1676 წელს დაიდგა, საქართველოში — ახლახან. ოფენბახმა ამ პიესის მიხედვით ოპერეტა დაწერა. ლამბერტის წიგნში მოთავსებულია იყო მეორე იტალიელის, დონ ქრისტოფორო დე კასტელის ილუსტრაციები. კასტელის ნახატებით გაეცვნენ ქართველები (ისევ თამარაშვილის საშუალებით) ბევრ ქართველ მეფეს, დიდებულს, მოღვაწეს. რადგან მათი სხვა სურათები არ მოიპოვება. აღსანიშნავია გიორგი საკაძის, თეიმურაზ მეფის და სხვათა სურათები. კასტელიმ საქართველოს აღწერაც დატოვა. კასტელის ხელნაწერ წიგნს ორ ტომად მიხეილ თამარაშვილმა მიაკვლია და გახარებულმა წერილობით აცნობა თბილისის საზოგადოებას. კასტელის წიგნი და 670 ჩანახატი რამდენიმე წლის წინ დაიბეჭდა თბილისში, ტექსტი თარგმნა ბეჟან გიორგაძემ.

პროფესორმა თამარაშვილმა, უცხოელი მწერლების დასკვნების საფუძველზე, გამოთქვა აზრი, რომ ქართველური ტომებით იყო დასახლებული უძველეს დროში ახლანდელი სომხეთის ტერიტორიაც. ეს საკითხი გაშუქებულია მის წიგნში, რომელიც ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა 1910 წელს.

მიხეილ თამარაშვილმა ბევრი იტალიელი მოგზაურისა თუ მისიონერის აღწერილობას მიაკვლია და შეისწავლა. მანვე აღმოაჩინა უცხოთის არქივებში ქართველ მეფე-მთავართა მიმოწერა სხვა მეფეებთან, რომის პაპთან.

მიხეილ თამარაშვილმა პირველმა მოგვაწოდა ცნობები ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობისა და მისი სტამბის შესახებ (ამის თაობაზე მიხწერეს რუმინეთის აკადემიიდან მისი ფრანგული წიგნის გაცნობის შემდგომ, სადაც აღნიშნავდნენ, რომ თამარაშვილის წიგნში ვერ ეისახა ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობა).

მიხეილ თამარაშვილმა პირველმა მოგვაწოდა ცნობები ნიკიფორო ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილის შესახებ, რომელიც რომის პაპთან და ეს ეპანეთის მეფესთან გაგზავნეს ელჩად საქართველოდან.

მ. თამარაშვილმა ქართველთაგან პირველმა დაამტკიცა, რომ მეოთხე საუკუნის მსოფლიოში

ხახელგანთქმული მოდგაზე ევაგრე პონტიელი არის ქართველი, კოლები. უცხოელი ავტორები. ევაგრეს მეგობრები, თავიდანვე წერდნენ, რომ ევაგრე იყო ქართველი, „იბერონ“ — მაგრამ მათი ნაწერებისთვის მ. თამარაშვილამდე საქართველოდან არავის მიუქცევია ყურადღება.

ცნობები პირველი საუკუნის ქართველი ეპისკოპოსის, მარკიონის შესახებ, რომელიც ადრე პლ. ოსიულანაშვა დაბეჭდა, მ. თამარაშვილმა შეიტანა, მოიყვანა ტერტულიანეს ტექსტი ლათინურად. შეუდარებელი სისავსით გამოიკვლია მ. თამარაშვილმა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ისტორია პირველ საუკუნეებში, ქრისტეს თანამედროვეების — ანდრია და პეტრე მოციქულების მოგზაურობა საქართველოში, ქრისტეს უნაკერო კვართის ისტორია და სხვა.

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორია ძირითადად მიხეილ თამარაშვილის მიერ მიკვლეული იტალიელი მოგზაურებისა და მისიონერების აღწერებით შეიძლება დადგინდეს და შეიცვლოს.

მიხეილ თამარაშვილი დიდხანს ცხოვრობდა ევროპაში და რამდენიმე უცხო ენას ფლობდა, ლათინურს — განსაკუთრებით კარგად. ასე სა უფუძვლიანად ლათინურენოვანი ლიტერატურა ქართული კულტურისათვის საგულისხმო ცნობების მოპოვების მიზნით არავის შეუსწავლია; ამ ლიტერატურამ უაღრესად საგულისხმო ცნობები დაგვიტოვა. პროფესორ თამარაშვილის დიდი დამსახურებაა ისიც, რომ მან გულდასმით შეისწავლა ვატიკანის რამდენიმე არქივი. ერთ-ერთი არქივი საიდუმლო იყო. არქივის გაცნობის მიზნით მიხეილ თამარაშვილი რომის პაპის კანცელარიაში მდივან-მემანქანედ მოეწყო. მ. თამარაშვილის არქივმა შემოგვინახა კარდინალ კაროლის წერილი. წერილის ავტორი აცნობებს მ. თამარაშვილს, რომ ბევრი ტექსტი ექნება გადასაბეჭდი, რომ უნდა ბეჭდოს ხოლმე სწრაფად და ხელფასზე უნდა შეთანხმდნენ. კარდინალის მეორე წერილი სულ სხვა შინაარსისაა. ამაკი კარდინალი თხოვს თავის მდივან-მემანქანეს თამარაზის, რეკომენდაცია გაუწიოს იმ ფურნალის რედაქციაში, სადაც თურმე თანამშრომლობს; რომ ყმაწვილობიდან ოცნებობდა ლიტერატურულ მოღვაწეობაზე და უცხო ენებიც იცის, ინგლისური, ესპანური, ფრანგული. მიხეილ თამარაშვილი მართლაც თანამშრომლობდა ფურნალგაზეთებში და ყოველწლიურად ორი-სამი სტატიის დაწერა ეკალეტობოდა. მიხეილ თამარაშვილის იტალიურ არქივში დაცულია სამი საბუთი იმაზე, რომ მან ხელფასიდან გადარიცხა ათას ხუთასი ლირა საქართველოს პარტიარქთან გადასაგზავნად, განათლების საქმეებზე მოსახმარად.

მიხეილ თამარაშვილი თხოვდა ყველასა ვისაც სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობა უხდებოდა, მოეძიათ მისთვის ძველი ქართული წიგნები და ხელნაწერები, ქართულ-წარწერიანი ნივთები. არქივში ერთი წერილი არგენტინიდან, ბუენოს-აირესიდან არის გაგზავნილი, ნაცნობი იტალიელი, რომელსაც ანტიკვარული საეკლესიო ნივთებით ვაჭრობა დაუწყია, უგზავნის თამარაშვილს ორ დიდ ყუთს, სავსეს ძველი წარწერებიანი ხატების ფოტოპირებით; მანამდე მ. თამარაშვილმა თხოვა მას, გაეგზავნა ძველი ხატების, განსაკუთრებით ქართულწარწერებიანი ხატების, ფოტოპირები. სხვა წერილში ატენობინებენ, რომ დამასკოში და კონსტანტინეპოლში იყიდება ძველი ქართული წიგნები. მასთან წერდნენ სტუდენტები და ნაცნობები ევროპის ბევრი ქვეყნიდან. მიხეილ თამარაშვილის არქივში დაცულია მისი მიმოწერა იერუსალიმის მერთან და იერუსალიმის არქივის გამგესთან, სადაც ითხოვს ერთი საქმის (ნომერს უთითებს) მოძებნას და ახლის გადაგზავნას. ხაპასუხო წერილში აცნობებენ, რომ ეს საბუთი ვერ მოძებნეს და რომ იერუსალიმში ქართველების მოდგაზეობის შესახებ ცნობები არ გააჩნიათ, რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა. ეს და სხვა მაგალითები მიუთითებს იმაზე, რომ მ. თამარაშვილს ხშირად აკლდა ხელშეწყობა. არქივიდან ჩანს, რომ უმთავრესად თამარაშვილს უხდებოდა ადგილზე სხვადასხვა ქალაქში გასცნობოდა საბუთებს, შეხვედროდა საქმიან პირებს, გადაეღო ფოტოპირები, რაც მოგზაურობასთან და დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. პროფესორ შ. ლომსაძის მონოგრაფიაში აღნიშნულია საინტერესო ფაქტი, რომ აკაკი წერეთელი, როგორც საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელი, ჩასულა ევროპაში, პირადად მას დაეკალა რომის პაპთან ადრესის წარდგენა. ეს აცნობეს თამარაშვილს და მას მიმოწერა ქონია აკაკისთან. გარდა იმისა, რომ საქართველოს მგზანანი, აკაკი წერეთელი მოისურვებდა პროფესორ მიხეილ თამარაშვილის მონახულებას შორეულ იტალიაში, ის ოფიციალურადაც ვერ აუფლადა გვერდს იმ შეხვედრას, რადგან ყველა სახის მომართვა რომის პაპთან რუსეთის იმპერიის ნებისმიერი ქვეშევრდომისგან მხოლოდ მ. თამარაშვილის წარდგენით შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან, როგორც ადვნიშნეთ, მ. თამარაშვილი იყო რუსეთის იმპერიის დელეგატი, „ორატორი“ ვატიკანში. აკაკი წერეთელს, როგორც საერო პირს, გაუჭირდებოდა ასეთი ოფიციალური მიღება, ალბათ, ამიტომაც ალარ ჩავიდა რომში.

მ. თამარაშვილი იტალიაში დაუახლოვდა მარინების ოჯახს. ოჯახის უფროსი გაწამალებული კაცი იყო. აქ გაეცნო მერცოგ პეჩის, რომელიც შემდეგ მფარველობდა. მარინის თორმეტი შვილი ჰყავდა. თამარაშვილის ბინაზე

ცხოვრობდნენ მარინის შვილები რომში სწავლის პერიოდში მათ მშობლები დაკარგეს და თამარაშვილმა იზრუნა ობლებზე. უმცროსები მოაწყო უფასო სასწავლებლებში, უფროსები — სამსახურში. ერთ-ერთი უმაწვილი, ლუდოვიკო მარინი, ჩანს თამარაშვილმა იშვილა. ლუდოვიკო მარინი წერილებს წერდა ივანე ჯავახიშვილს, ალბათ თამარაშვილის არქივის თაობაზე.

იტალიური წერილებით ვეცნობით ერთ ეპიზოდს. მ. თამარაშვილი წერდა მესებს და ყიდდა მათ. ეს მიღებული იყო. მ. თამარაშვილს ჰქონდა კომისარ ბევილაკვას ნებართვა. რამდენიმე წლის შემდეგ ბევილაკვამ უჩივლა მ. თამარაშვილს ვატიკანში, თითქოს ის უნებართვოდ ყიდდა მესებს. დაინიშნა სასამართლო, მ. თამარაშვილმა წარადგინა ბევილაკვას მიერ გაცემული საბუთი (ეს საბუთი დღესაც დაცულია მ. თამარაშვილის არქივში) და იგი გაამართლეს.

მ. თამარაშვილმა შეისწავლა და დაამუშავა მანამდე სხვათათვის ხელმიუწვდომელი დიდძალი მასალა ლათინურ, იტალიურ, ფრანგულ ენებზე მკითხველს გააცნო რამდენიმე ქართველი მოღვაწე, რომლებიც ქართველთათვის ცნობილი იყო როგორც ევროპელი ან სრულებით არ იყო ცნობილი, ასეთებია ევაგრე, მარკიონი, ორენტიუსი, ჰეროისი, ფარნაციო, ფირმინი, ფირმი, კირიაკე და ლონგინი; ისინი ქართველი მეთრმები იყვნენ და იმპერატორ მაქსიმილიანეს ემსახურებოდნენ I საუკუნეში. შემდგომში ისინი გაიტაცა ქრისტიანულმა მოძრაობამ, რისთვისაც იმპერატორმა თავიანთ ქვეყანაში, კოლხიდაში გააძევა. ეს ქართველები თავ-თავიანთ სოფლებში დასახლდნენ ცალ-ცალკე. მ. თამარაშვილმა გამოიყენა ქართული წყაროებიც და დაადგინა დასახლებული მოღვაწეების სახელები და მათი სოფლების სახელები. ეს რვა ქართველი რომაელ მოღვაწეთა პანთეონში არის დასახლებული ცხრამეტი საუკუნის შემდგომ, როგორც კაცობრიობის ისტორიაში მნიშვნელოვანი კვალის დამტოვნი. ერთობ საინტერესოა, რომ პირველი ათეისტი, რომელიც მსოფლიოს ისტორიაში შევიდა და საქვეყნოდ გახდა ცნობილი, ქართველი ყოფილა. მისი სახელია მარკიონი. ის ჩვ. წ. I საუკუნეში ცხოვრობდა, თითქმის ქრისტეს თანამედროვე იყო. განათლებით სახელიერო პირი ყოფილა, კოლხიდის ეპისკოპოსი. მამამისი, პალმოსიც ეპისკოპოსი იყო. სწორედ ამ მარკიონს შეეპარა ეჭვი ქრისტიანული დოგმების სიმართლეში და წიგნები დაწერა — ეს წიგნები კი ისე გახმაურდა და ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე, რომ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო და რომის ეკლესიას ყურადღება მიეგება. პალმოსმა ოცდაშვიდ თეორიის ქადაგებისათვის საჯაროდ დასწყევლა შვილი და ეკლესია წაართვა. მარკიონი კოლხიდიდან საგანგებოდ წავიდა რომის პაპთან, ანაკლეტესთან შესახვედრებლად, მაგრამ მან უარი უთხრა, რადგან მამის წყევლის მოახსნა არ შეეძლო. საფიქრებელია, რომ მარკიონის წინააღმდეგ რამდენიმე წიგნი დაიწერა. ერთი მათგანი ცნობილია ქართველი საზოგადოებისათვის. პ. იოსელიანი, პოლიეევტოვ კარბელაშვილი, მიხეილ თამარაშვილი ასახელებენ რომაელი მწერლის, ტერტულიანეს ნაშრომს „წიგნი მარკიონის წინააღმდეგ". ის, რომ მსოფლიოს სახელოვანმა მწერალმა ტერტულიანემ მარკიონს წიგნები უძღვნა, თავისთავად ბევრს ნიშნავს. ეს წიგნი შესულია მინის პატროლოგიაში, სადაც მსოფლიო ლიტერატურის შედევრებია შეტანილი. ტერტულიანეს იმდენად სძაგს მარკიონი-პირობენება, რომ ამ სიძულვილს მის სამშობლო ქვეყანაზე — საქართველოზეც გადაატანს და ამ ქვეყანას ისეთ სძულველ თოვლიან-ყინულიან, უგზო-უკვლო, ველური ხალხით დასახლებულ, ცხოველთაგან და ფრინველთაგან მოძოლებულ მიდამოდ წარმოგვიდგენს, რომ უნებურად დაგაინტერესებს, რა წყაროები გამოიყენა მწერალმა საქართველოს, მით უმეტეს, კოლხეთის აღწერისას. საქართველოს მუდამ მიმზიდველ, თბილ, მზიან, მხიარული და გულკეთილი, თავაზიანი ხალხით დასახლებულ მხარედ წარმოგვიდგენენ ხოლმე. ტერტულიანესეული კოლხეთის აღწერილობა ერთობ გამორჩეულია მათგან.

მარკიონის შესახებ თამარაშვილმა საკმაო ლიტერატურა მოიძია. მასზე წერია ბარონიუსის „მსოფლიო ეკლესიის ისტორიაში", ტ-2, გვ. 169 და 198 1864 წ. (ლათინურად), „ახალ ბიოგრაფიებში", ტ. — XXXIII, გვ. 504-507, 1872 წ. (ფრანგულად), მ. ბროსეს წიგნში „საქართველოს ისტორია" (ფრანგულად) ტ. I გვ. 90. ქართველი ავტორებიდან — პ. კარბელაშვილის წიგნში „იერარქია საქართველოს ეკლესიისა", 1904 წ. თბილისი, გვ. 8; ზ. ბაქრაძის „საქართველოს ისტორიაში", თბილისი, 1889 წ. გვ. 110, რუსულად — პ. იოსელიანის წიგნში „ქართველი წმინდანები" გვ. 7,8. 1850 წ. თბილისი.

რომაელი ავტორის, ირენეიოსის ცნობით, ეპისკოპოსმა პალმოსმა და მისმა მეგობრებმა კოლხიდაში 70 ეკლესია-მონასტერი აღაშენეს.

ტერტულიანემ მკითხველს შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე პონტოს ქვეყანა — ახლანდელი გურია-სამეგრელო ასე გააცნო:

„პონტოს ანუ ევქსინის ზღვის ნაპირზე არის ეს ქვეყანა, სადაც დღეც კი არ ანათებს კარგად მზე და სულ ბინდია, ბუნება ღარიბი და უსიცოცხლოა. მზეს ღრუბლები ფარავს. მთელი წლის განმავლობაში ცივა, ერთადერთი ფრინველი არწივია, მდინარეები ურიცხვი მოედინება, თან ყინულის გროვები მოაქვს, მთები კლდოვანია. არაფერია აქ ნაყოფიერი, აქ ზღაპრულ სანახაობას იხილავს კაცი, ხარის მხსვერპლად შეწირვას, საზიზღარ კოლხებსა და პირქუშ კავკასიონს. ასეთია ეს ამაზრზენი პონტოს ქვეყანა, სადაც ბოროტი მარკიონი დაიბადა.

რატომ? იმიტომ რომ აქ პრომეთე თვით უფალს აუჯანყდა. აქ დაიბადა ის, ვინც სახარება მასხრად აიგდო.

„მარკიონის წინააღმდეგ", წიგნი I, თ. 1.

მინი, პატროლოგია (ლათინურად); ტ. II თხზ. 271.2.

აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება, რომ მარკიონი მსოფლიოში სახელგანთქმული ათეისტია, ქართველი მოღვაწეა, რომელიც პირველი საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა.

იმისათვის, რომ მკითხველს წარმოდგენა შეეუქმნათ პროფესორ მიხეილ თამარაშვილის ლვაწლზე, მის წიგნებზე, მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს, გავაშუქებთ ძველი ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენლის, ევაგრე ქართველის, როგორც მას თამარაშვილი უწოდებს, ისტორიას.

თამარაშვილი 1910 წელს დაბეჭდილ წიგნში წერს, რომ მეოთხე საუკუნის დიდი საზოგადო მოღვაწე, მწერალი ევაგრე არის ქართველი, იბერიელი მღვდლის შვილი. ამას ასაბუთებს ევაგრეს თანამედროვე მოღვაწეების სოკრატეს, სოზომენეს, გრიგოლ ნაზიანზელის, ნიკიფორე კალისტეს და სხვათა ნაწერებით.

თამარაშვილი თავის წიგნში ამტკიცებს, რომ ევაგრე ქართველი არის იგივე ევაგრე ეგვიპტელი, იგივე ევაგრე პონტოელი. ევაგრეს თანამედროვეთათვის ის არის ქართველი, იბერიელი. მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მოღვაწეებს არ სჯერათ მისი ქართული წარმომავლობა. მ. თამარაშვილი ევაგრეზე წერს თავისი წიგნის მეშვიდე თავში, გვ. 152-155.

მოვიყვანთ თამარაშვილის ტექსტის თარგმანს ფრანგული ენიდან: „ძველი ქვეყნების ისტორიის ამსახველ მასალებში მივაკვლიეთ რამდენიმე წყაროს ბრწყინვალე ქართველი მოღვაწის, ევაგრეს შესახებ, რომელმაც დიდი როლი ითამაშა პალესტინაში. ის ცნობილია ევაგრე ეგვიპტელის სახელით, რადგან თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი იქ გაატარა. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოგაწოდოთ რამდენიმე ცნობა მის შესახებ".

ევაგრე დაიბადა 345 წელს პატარა ქართულ სოფელში, შავი ზღვის პირას, მამა მღვდელი ყავდა. მან ევაგრე მიბგვარა გრიგოლ ნაზიანზელს. ამ კაცის ხელმძღვანელობით ისწავლა ფილოსოფია და სხვა მეცნიერებანი. შემდეგში გაეცნო გრიგოლ ნისელს და ბასილი დიდს. უფრო მოგვიანებით გრიგოლ ნისელმა ევაგრე დიაკვნად დანიშნა. ევაგრემ სახელი გაითქვა მით, რომ ახალგაზრდული შემართებით ამთარახებდა ერეტიკოსებს, ურწმუნობას მის ყველა *გამოვლინებაში.*

ევაგრე თან ახლდა გრიგოლ ნისელს კონსტანტინეპოლის პირველ მსოფლიო კრებაზე 381 წელს და ამ ქალაქში არჭიდიაკვნობდა. აქ წარმოთქვა სიტყვა ერეტიკოსების წინააღმდეგ, რომლებიც მრავლად იყვნენ ამ ქალაქში, რითაც დიდი სახელი მოიხვეჭა.

გრიგოლ ნაზიანზელმა ევაგრე მღვდლად აკურთხა. ისინი ერთად გაემგზავრნენ იერუსალიმში, სადაც ევაგრემ ისეთივე წარმატებას მიაღწია, როგორც კონსტანტინეპოლში. ევაგრე ძლიერ შეაწუხა რომაელი მანდილოსნის, მელანიას სატრფიალო დევნამ. ეს გახდა მისი ბერად აღკვეცის მიზეზი. ევაგრე ეგვიპტეში ჩავიდა და ნიტრიის უდაბნოში დაიდო ბინა. აქ გაატარა ორი წელი; შემდეგ სხვა უდაბნოში გადავიდა და ძლიერ მკაცრი რელიგიური ცხოვრებით გამოირჩეოდა. ამ კაცის სიწმინდემ და უბიწო ცხოვრებამ მას საყოველთაო აღიარება მოუპოვა. თეოფილე ალექსანდრიელმა ბრძანა, რომ ევაგრე იძულებით დაენიშნათ ეპისკოპოსად, მაგრამ ეს უკანასკნელი არ დათანხმდა:

ცხოვრების მძიმე პირობებმა შეუმოკლა სიცოცხლის დღენი. ევაგრე გარდაიცვალა ორმოცდათოთხმეტი წლისა, დაახლოებით 399 წელს. ამ დროსათვის მას უკვე ჰყავდა რამდენიმე ბერი თავის მონასტერში.

„ევაგრეს სამშობლო უეჭველად იბერია, საქართველო არის; ამას ადასტურებს რამდენიმე ისტორიკოსი, მათ შორის სოზომენე და ნიკიფორე კალისტე.

ასევე წმინდა იერომი, რომელმაც დაწერა ნაშრომი ერეტიკოსების წინააღმდეგ, წერს, რომ ევაგრე არის იბერიელი.

ტერტულიანემ, რომელმაც მარკიონის შესახებ წიგნი დაწერა, აღნიშნავს, რომ ევაგრე პონტოელია, ამასვე წერს წმინდა იერომიც. „ევაგრე დაჯილდოებული იყო დიდი ნიჭით, იყო უშალესი ხარისხის ასკეტიკოსი მწერალი, იყო ღრმად განსწავლული ფსიქოლოგიაში. ბე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რად ეულად ცხოვრების დროს რამდენიმე წიგნი დაწერა, ზოგი მათგანი დაკარგულია, ზოგი მათგანის შესახებ ვიცით ისტორიკოსების ცნობებიდან, მხოლოდ რამდენიმე ნაშრომმა მოაღწია ჩვენამდე ლათინურ თარგმანში, სხვებისაგან მხოლოდ ფრაგმენტები შემორჩა".

ვიმეორებთ, მ. თამარაშვილის ეს წიგნი დაიბეჭდება 1910 წელს. 1959 წელს აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ წაიკითხა მოხსენება, რომელიც დაიბეჭდა მის „ეტიუდებში", VI ტომში, თბილისი, 1960 წ. გვ. 5-17 სათაურით „მეოთხე საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე," რომელიც მთლიანად ევაგრეს მიეძღვნა. აკად. კ. კეკელიძე ასაბუთებს, რომ ევაგრე პონტელი არის ქართველი მოღვაწე. ეს მაგალითიც მოწმობს, რომ მ. თამარაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა შესასწავლია.

მ. თამარაშვილმა ქართულ ენაზე ორი წიგნი დაწერა: „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით" და „პასუხად ხომხის მწერლებს რომელნიც უარყოფენ ქართველთ კათოლიკობას". პირველი დაიბეჭდა 1902 წელს, მეორე— 1904 წელს, თბილისში, მ. თამარაშვილის მესამე წიგნი, „საქართველოს ეკლესიის ისტორია", ქართველი ერის ისტორიას წარმოადგენს დასაბამიდან მეოცე საუკუნემდე და ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა რომში, რისთვისაც მ. თამარაშვილმა გამომცემლობას 3000 ლირა გადაუხადა. სამივე წიგნი დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

ილია ანთელავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი ნაშრომი მთის კუთხეების ლოკალიზაციისა და ეთნონიმიკის შესახებ

გამომცემლობა „მეცნიერებამ" 1986 წ. დასტამბა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ვახტანგ ითონიშვილის მონოგრაფია „არაგვის ხეობა (მთის კუთხეების ლოკალიზაციისა და ეთნონიმიკის საკითხები)". ნაშრომი დაფუძნებულია წერილობით საისტორიო წყაროებსა და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ლიტერატურაზე. საკვლევი თემა მნიშვნელოვნად გაამდიდრა მონოგრაფიის ავტორის მიერ 1979-1984 წწ. მთიულეთში, გუდამაყარში, ხანდოსა და ჭართალში მოპოვებულმა ეთნოგრაფიულმა მასალამ. განსახილველი ნაშრომი მნიშვნელოვანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევაა.

რამდენადაც მთიულეთის, გუდამაყრის, ხანდოსა და ჭართლის ლოკალიზაციის საკითხებში დაშვებული შეცდომების გამომწვევი ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ცნებების: „მთიულეთის" და „მთიანეთის", აგრეთვე „მთიულის" და „მთიელის" ერთმანეთში არევა იყო, ნაშრომის პირველ თავში ყურადღება მახვილდება ტერმინ „მთიულეთის" მნიშვნელობის განსაზღვრაზე.

დადგენილია, რომ ხსენებული ცნებების იდენტაფიკაციის ტრადიციას ბარში ჩაეყარა საფუძველი და მან აქ ისე მტკიცედ მოიკიდა ფეხი, რომ დღემდე ბარის მკვიდრთა დიდი ნაწილი ტერმინ „მთიულს" მთიელის მნიშვნელობით ხმარობს, ხოლო ცნება „მთიულეთის" ქვეშ გულისხმობს მთიანეთს. სწორედ ამ ტრადიციისადმი ერთგულებამ შეუშალა ხელი ძველ ქართველ ისტორიკოსებს, დაენახათ ხსენებულ ტერმინებს შორის არსებული შინაარსობრივი სხვაობა, რის გამოც ძველ ქართულ წერილობით წყაროებში, ვახუშტი ბაგრატიონამდე, „მთიული" (ან „მთიელი") ზოგადად „მთიელს", ხოლო „მთიულეთი" (ან „მთიუელეთი) ზოგადად „მთიანეთს", აღმნიშვნელ ისტორიულ-გეოგრაფიულ ცნებებად ფიგურირებენ.

ასეთი ხარვეზის მიუხედავად, წერილობითი წყაროების კრიტიკული შეფასების საფუძველზე წიგნში დაზუსტებულია აღმოსავლეთ საქართველოს „მთიულთა" (ე. ი. მთიელთა) შემადგენლობა, რომელშიც აღირიცხებიან: ფხოველები (გვიანდელი ფშავლები და ხევსურები), თუშები, თიანელები, მოხეველები, ხადელები და ცხავატელები (გვიანდელი მთიულები), გუდამაყრელები, ჭართლელები, ხანდოელები და ცხრაზმელები. დასახელებულ „მთის კაცთა" სამოსახლოს შესაბამისად შეადგენდნენ: ფხოვი (გვიანდელი ფშავი და ხევსურეთი), თუშეთი, თიანეთი, ხევი, ხადა, ცხავატი (ხადა და ცხავატი მოგვიანებით ქმნიან ერთ განსაზღვრულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს — მთიულეთს), გუდამაყარი, ჭართალი, ხანდო და ცხრაზმა.

დამოწმებული სიიდან გამოირიცხნენ სამეცნიერო ლიტერატურაში მთიელებად გააზრებული „ერწოელნი", „წილკნელნი" და „ყვარელნი", რომელთაგან ერწოელები და წილკნელები ბარის რაიონებში მცხოვრებლებია, ხოლო რაც შეეხება ყვარელთ, ეს უკანასკნელნი თიანელთა ეთნოგრაფიულ ჯგუფის შემადგენლობაში უნდა ეგულისხმათ. სამაგიეროდ, სიას შეემატნენ ხანდოელები.

წერილობით მონაცემებზე დაყრდნობით ნაშრომში პირველად განხორციელდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის დაყოფა ცალკეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონებად (კახეთის მთიანეთი, ქართლის მთიანეთი) და ამ რეგიონების მიხედვით სხვადასხვა მთის კუთხეთა დაჯგუფება.

მოცემულ დარაიონებასთან დაკავშირებით დაზუსტდა არაგვის ხეობის, როგორც დამოუკიდებელი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის ფარგლები. დადგინდა, რომ არაგვის ხეობა, ოდითგანვე, ქართლის მთიანეთის სფეროში შემავალი თავისი მთის ზონათურთ, მოიცავს წერილობით წყაროებში ქართლის არაგვად (ჯუნშერი) ან შავ არაგვად (ვახუშტი) სახელდებული მდინარის ხეობას. მისი შენაკადი ხევებითურთ (გუდამაყრის ხევი, ხანდოს ხევი, ჭართლის ხევი და სხვ.), რომლის მკვიდრნი ძველთაგანვე იწოდებოდნენ არაგველებად („არაგველნი"), „მთის კაცნი" კი არაგვის მთიელებად („მთიულნი არაგვისა").

განმარტებულია, რომ ისტორიული ტრადიცია ცნება „არაგვის" ქვეშ საკუთრივ ქართლის არაგვის გარდა პირიქითი არაგვის (გვიანდელი თერგის) ხეობასაც აერთიანებდა, ხოლო იქ ლოკალიზებული მთის კუთხეების — ხევისა და თრუსოს მოსახლეებს (მოხეველებსა და დვალებს, მერმე კი თრუსოში დასახლებულ ოსებს) არაგვის მთიულების („მთიულნი არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვისა") სახელწოდებით გვაცნობდა. ამგვარ მიდგომას საფუძველად დაედო მდინარეთა ერთნაირი სახელწოდება და ერთ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ რეგიონში (იგულისხმება არაგვის საერისთავო) გაერთიანებული „ორი არაგვის" ხეობა. მაგრამ ეს გარემოება არ უნდა აღძრავდეს მეზობელი ხეობების მარტოოდენ ერთ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონად — არაგვის ხეობად გაერთების მოთხოვნილებას. რაც თავის დროზე გიუჩვენა ზოგიერთ მკვლევარს და რის გამოც სპეციალურ ლიტერატურაში არაგვის ხეობის შემადგენელ მთის თემებად იქნა განხილული ხევი და თრუსო. ასეთი კვალიფიკაციისას დანახული არ არის არსებითი სხვაობა შენკრებელობითი მნიშვნელობით ხმარებულ ცნება „არაგვსა" და მხოლოდ ერთი კონკრეტული ხეობის მიხაძართთან გამოყენებულ ტერმინ „არაგვის ხეობას" შორის.

იგივე ითქმის არაგვის ხეობის შემადგენელ კუთხეებად ოდიოგანვე კახეთის მთიანეთის სფეროში შემავალი ფშავისა და ხევსურეთის (ძველი ფხოვის) გააზრების ცდაზე. რასაც ასევე ჰქონდა ადგილი ამ ეტნიკურო ლიტერატურაში. ამ შემთხვევაში შეცდომის წყაროდ იქცა ზოგიერთი მკვლევარის გადაწყვეტილება, რომ არაგვის ხეობის მიჯნები დაედგინა მდ. არაგვის აუზის მოცულობის შესაბამისად ან კიდევ მდინარეთა სახელწოდებების დამთხვევის (ფშავის არაგვი, ხევსურეთის არაგვი, გუდამაყრის არაგვი, მთიულეთის არაგვი), მიხედვით.

სარეცენზიო ნაშრომის მეორე თავში გაშუქებულია არაგვის ხეობის მთის და ბარის ზონებად დაყოფის საკითხი, რომლის არასწორი ინტერპრეტაცია, ავტორის აზრით საკვლევი მხარეების მცდარი ლოკალიზაციის ერთ-ერთ მიზეზად იქცა.

ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაფუძნებით დადგენილია, რომ გეოგრაფიული, სასოფლო-სამეურნეო (ბოტანიკური) და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნიშნის მიხედვით არაგვის ხეობაში მთასა და ბარის ზონების მიჯნა იყო ანანური. ამ პუნქტის ზევით, ჯვრის უღელტეხილამდე გავრცობილ ტერიტორიაზე ლოკალიზდებოდნენ ჩვენთვის საინტერესო მთის კუთხეები.

ნაშრომის ამ მონაკვეთში განსაკუთრებით დიდი ადგილი დაეთმო იმის ჩვენებას, თუ რა შედეგები მოჰყვა არაგვის ხეობის მთისა და ბარის ზონების აღსანიშნავად წერილობით წყაროებში ნახმარი ცალკეული სიტყვების ცალმხრივად ახსნას, როდესაც ზოგიერთმა მკვლევარმა პირაქეთი და პირიჭითი არაგვის ხეობის ფარგლებში ორი (შემდეგ კი სამი) საერისთავის არსებობის დამტკიცების ცდა შემოგვთავაზა. ავტორის აზრით, ვითარების ასეთი შეფასება არ შეესაბამება სინამდვილეს. აღნიშნულ დებულებებში სათანადო კორექტივებია შეტანილი, რამაც მოითხოვა არაგვის საერისთავის, როგორც სათავეადგილის, წარმოქმნის საკითხის სრულიად ახლებურად გააზრება: ავტორს ამის უფლებას აძლევდა, წერილობითი წყაროების შეძლებისამებრ ჩაღრმავებული ანალიზი.

მესამე თავში, უწინარეს ყოვლისა, შეფასებულია ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომის მნიშვნელობა. აღნიშნულია რომ ვახუშტი პირველი იყო ქართველ ისტორიკოსთა შორის ვინც „მთიულეთი" ერთი კუთხის ლოკალურ სახელწოდებად გაიაზრა. მისი დამსახურებაა მთიულეთისა და მეზობელი კუთხეების შემოფარგლა გეოგრაფიული, ისტორიული და ეთნოგრაფიული ნიშნის მიხედვით. „მთიულთა" დახასიათება ქართველ მთიელთა დამოუკიდებელ ეთნოგრაფიულ ჯგუფად.

ვახუშტის ცნობებზე დაფუძნებით აღნიშნულია, რომ XVIII ს.-ში მთიულეთში, გუდამაყარი, ხანდო, ქართალი და ხევი ეგე ერთმანეთის მომიჯნავე ტერიტორიული ერთეულებია, რომელთა მკვიდრნი (მთიულები, გუდამაყრელები, ხანდოელები, ქართლელები, მოხევეები) უსათუოდ თვ.-თავისი სახელწოდებების მქონე „არაგველებად" უნდა ვიგულოთ.

მაინც რითი უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ძველ ქართულ სასისტორიო წყაროებში (XI-XVII ს.ს.) ვახუშტი ბაგრატიონამდე მთიულეთის, როგორც დამოუკიდებელი მთის კუთხის და მთიულების, როგორც ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიული ჯგუფის შესახებ, პირდაპირ ცნობას არსად ვხვდებით?

ამ კითხვასთან დაკავშირებით სარეცენზიო ნაშრომში გამოთქმულია შემდეგი მოსაზრებები.

1. მთიულეთის ჩამოყალიბება ცალკე კუთხედ შედარებით გვიან უნდა მომხდარიყო. რამდენადაც ცნება „მთიულეთის" ქვეშ გაერთიანებული იყო მთის მრავალი „ქვეყანა" თუ „ხევი", მათ შორის ხადა და ცხავატი, ყველა მთიელიც, ხადელ-ცხავატელთა ჩათვლით, „მთიულის" ზოგადი სახელწოდებით იყო ცნობილი. დროთა ვითარებაში ცნება მთიულეთი, როგორც ჩანს, თანდათან დავიწროვდა და სახალოოდ კუთხური გაგებით მხოლოდ არაგვის ხეობას, სახელდობრ, ხადა-ცხავატის ტერიტორიას შემორჩა. ხადამ და ცხავატმა, მართალია, შეინარჩუნეს თავიანთი ძველი სახელწოდებები, მაგრამ უკვე როგორც „მთიულეთად" სახელდებული კუთხის შემადგენელმა თემებმა. ამის შესაბამისად, ხადელებსა და ცხავატელებს მთიულები ეწოდათ და ისინი ვახუშტი ბაგრატიონისათვის, როგორც ჩანს, უკვე ამ სახელწოდებით იყვნენ ცნობილნი.

2. მთიულეთი, შესაძლოა, ცალკე კუთხედ ძველთაგანვე არსებობდა, მაგრამ მის ლოკალიზაციას ართულებდა ქართველ ისტორიკოსთა მიერ ცნებების „მთიულეთისა" და „მთიანეთის" ერთმანეთთან გაიგივება. როგორც ჩანს, მათ ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომებში კუთხური სახელწოდება „მთიულეთი“ მექანიკურად აკარგებოდა სიტყვა „მთიანეთთან“ შინაარსობრივი იდენტიფიკაციის გამო და ვახუშტი ბაგრატიონამდე არავინ დაინტერესებულა ამ საკითხით, შესაძლოა, ვახუშტიმ ძველებური მნიშვნელობა დაუბრუნა სიტყვა „მთიულეთს“ და დაუზუსტა მთიულეთის, როგორც ოდითგანვე დამოუკიდებლად არსებული კუთხის, პირველადი საზღვრები. სხვაგვარად ჭირს კიდეც იმ ფაქტის ახსნა, რომ XI-XVII სს. წყაროებში მთიულეთი ცალკე კუთხედ არსად ფიგურირებს, ვახუშტისთან კი ის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მტკიცედ ლოკალიზებულ კუთხედ წარმოგვიდგება. თუ XVII ს. დოკუმენტებში სიტყვა „მთიულეთი“ ჯერ კიდევ მთიანეთის აღმნიშვნელი გეოგრაფიული ცნებაა, ვახუშტის ნაშრომში „ანნურს ზემო“ დასახლებულია უკვე ოთხი ტერიტორიული ერთეულით: ჭართალი, ხანდო, გუდამაყარი და მთიულეთი.

XVIII ს.-ის სხვა დოკუმენტებშიც ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე. საწინააღმდეგოს არაფერს ამბობს ამავე პერიოდის სტატისტიკური მასალა (1774 წლის არაგვის ხეობის მთის ზოლის მოსახლეობის აღწერა, 1781 წლის არაგვის ხეობის აღწერა) და მთელ რიგ ავტორთა (გიულდენშტედტი, იოანე ბაგრატიონი და სხვ.) ნაშრომები.

იგივე ითქმის XIX ს.-ის ლიტერატურის (ნ. ბეილაშვილი, ნ. ნიკიფოროვი, ფ. ლანდი, ე. ვეიდენბაუმი და სხვ.) მონაცემების შესახებ.

ავტორის აზრით, XVIII-XIX ს.-ის წერილობითი წყაროების, სტატისტიკური მასალისა და მრავალრიცხოვან ავტორთა ნაშრომების განაზოგადება ცხადყოფს მთიულეთის, გუდამაყრის, ხანდოსა და ჭართლის დამოუკიდებელ, ერთმანეთის მეზობლად მდებარე კუთხეებად არსებობას.

ნაშრომის მეოთხე თავში ნაჩვენებია, თუ როგორ შუქდებოდა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში არაგვის ხეობის ლოკალიზაციისა და ეთნონიმიკის საკითხები. თანმიმდევრულად არის გამომზეურებული საკვლევი კუთხეების არაადეკვატური ლოკალიზაციის გამომწვევი მიზეზები, როგორებიცაა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მცდარი ანალიზი და ცნებების „მთიულის“ და „მთიელის“ ერთმანეთთან გაიგივება, რაზეც წინა თავებშია იყო მინიშნებული. ავტორის აზრით, საკვლევი კუთხეების არაადეკვატური ლოკალიზაციას ძირითადად განაპირობებდა მკვლევართა მიერ მთიულეთის სამხრეთ მიჯნად მთიულთკარის, მენესოს, ანნურის ან ყინწვალის მიჩნევა, რაც იწვევდა მთიულეთის შემადგენლობაში ხანდოსა და ჭართლის თემების მექანიკურ გაერთიანებას. მითითებულია, რომ მთიულეთის მოცულობის ასეთი გაგრძელებისევე გაუმართლებელია, როგორც დაუშვებელია ხანდოს, ჭართლის და გუდამაყრის გაიგივება მთიულეთთან მარტოოდენ ძირითადი ეთნოგრაფიული ნიშნების ნიხედვით აღნიშნულნ-ეთნონიმების მსგავსების საფუძველზე, რასაც ასევე ჰქოსდა ადგილი სპეციალურ ლიტერატურაში.

განხილულ უზუსტობათა კრიტიკული შეფასების ფონზე ნაშრომში აღნიშნულია, რომ საკვლევი საკითხების გაშუქებისათვის აუცილებელი იყო არსებულ წერილობით მონაცემებზე, უწინარეს ყოვლისა კი ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში დაცულ პირველბარისხოვან ცნობებზე დაყრდნობა, მითუმეტეს, რომ მთიულეთის და მისი მომიჯნავე თუ მეზობლად მდებარე კუთხეების (ხანდოს, გუდამაყრის, ჭართლის) ისტორიული საზღვრების ვახუშტისეულ გაგებას მხარს უჭერს ადგილზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალაც.

სწორედ ვახუშტისეული ცნობებისა და ეთნოგრაფიული მასალის ურთიერთშეჯერების კვალობაზე ნაშრომში დაზუსტებულია მთიულეთის, გუდამაყრის, ხანდოსა და ჭართლის, ამ ერთმანეთის მეზობლად მდებარე დამოუკიდებელი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების (კუთხეების) საზღვრები.

საკვლევი კუთხეების საზღვრების დაზუსტებისა და მათ ტერიტორიაზე მოსახლე მთიელთა კუთხური ვინაობის დადგენის შემდეგ, მებუთე თავში, შესწავლილია თითოეული კუთხის ისტორიული გეოგრაფიისა და ეთნონიმიკის საკითხები.

პირველ პარაგრაფში წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალის გაანალიზების საფუძველზე განხილულია მთიულეთის ფარგლებში ბადისა და ცხავატის ტერიტორიული თემების ფორმირების სურათი მათში შემავალი სოფლებისა და ნახოფლარების ჩვენებით. დაზუსტებულია ბადისა და ცხავატის თემების საზღვრები, გარკვეულია, თუ რა პრიორიტეტი უნდა განმორიელებულიყო XVIII ს.-ში ცხავატის თემის დაყოფა კიდევ რამდენიმე ერთეულად, ახსნილია ამ უკანასკნელთა სახელწოდების წარმოშობა. აღნიშნული საკითხების კვლევისას კრიტიკულად არის შეფასებული სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული არაერთი მოსაზრება.

ანალოგიური ხასიათის კვლევა-ძიებაა ჩატარებული დანარჩენ პარაგრაფებშიც, რომელშიც თანმიმდევრულად გაშუქებულია გუდამაყრის, ხანდოსა და ჭართლის ისტორიული გეოგრაფიისა და ეთნონიმიკის საკითხები.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორის მიერ ჩატარებული კვლევა შეჯამებულია ძირითად დასკვნებში.

3. ითონიშვილის გამოკვლევის საფუძვლიანი გაცნობა გვარწმუნებს, რომ საქმე გვაქვს ნაშრომთან, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ვერც ერთი მკვლევარი. მას სიამოვნებით გაეცნობა ფართო მკითხველიც.

ელდარ კერძევაძე

როცა თანაავტორი სიყვარულია

კარგ წიგნს კარგი მკითხველი სჭირდება, რადგან უერთმანეთოდ ისინი ვერ იარსებებენ. სამწუხაროდ, დღეს მკითხველთა უმრავლესობა იმ ტურისტებს ჰგვანან ჰაიჰარად რომ ათვალიერებენ ხოლმე ამა თუ იმ ქვეყნის ღირსშესანიშნობებს. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ამ „ტურისტებს" შორის ისინიც საკმაოდ არიან თავად რომ წიგნებს წერენ. მაგონდება ცნობილი ხუმრობა „მე, ბატონო, მკითხველი ბომ არ გგონივართ, მე მწერალი გახლავართ!" ხუმრობით ნათქვამ ამ სიმართლეს ვერსად გაეცინავით. თუ ნამეტანი გულისამარუუებელი წარწერა არ ეკნა. ერთმანეთისთვის ნაჩუკარ წიგნებსაც სადღაც მოვიცვრით ხოლმე. სხვა მიზეზთა თანა ეს გამოწვეულია გულგრილობით, ნიჰილიზმით. საკუთარი გავლენის იქით გადაუხედაობით, ანუ მურმან ლებანიძის ერთი სტრიქონი რომ მოვიშველიო „ყველა თავის ზვრილმანი საზრუნავით გართულა". ახლა მაინც. ამ საკაროობის ეკმს, ამისი აღიარება ნუ შეგვაკრთობს, მეტადრე თუ მწერალთა უმეტეს ნაწილს ეს არ ეხება.

ახლა კი, ძირითად სათქმელს მივუბრუნდები და ორიოდე სიტყვით შევეხმიანები დავით მჭედლურის კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილების კრებულს „გადავიხედოთ გალავნის გარეთ", რომელიც „მერანმა" გამოსცა.

უწინარეს იმას აღნიშნავ, რომ დავით მჭედლური გულისყურიანი და პატიოსანი მკითხველია. მისი თვალსაზრისი საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია.

პოეტს ვერც მოვთხოვთ პროფესიონალი კრიტიკოსის განსჯა-ანალიზს, მაგრამ ლიტერატურულ პროცესებში წვდომის უნარი, ორიოდე ტრიხით მთავრის მინიშნება, მშვენიერების შეცნობის წადილი, სიკეთე და სიყვარული, სხვათა ნაღვაწით გახარება უნდა შეეძლოს. მართალია, ზოგიერთ წერილს სიჩქარის კვალი ატყვია, აქა-იქ საგაზეთო სტილიც გამოკრთა ხოლმე. ზოგჯერ რეალურს აღფრთოვანება აღემატება, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ დავით მჭედლური გულწრფელი სიყვარულით გვესაუბრება და არ ცდილობს რაციონალურ-მათემატიკური ხერხებით მხატვრული აზროვნების შეცნობას, რადგან კარგად უწყის, რომ ესთეტიკური ხიბლი გონებისმიერ მანიპულაციებს არ ექვემდებარება. აკი თავადაც წერს გალაკტიონისადმი მიძღვნილ მშვენიერ წერილში: .....ვერა და ვერ შეეგუე იმას, როცა მავანნი და მავანნი დოსტაკრის გულგრილობით ჩხრეკენ, ნეტავი რას უნდა გულისხმობდესო გალაკტიონი „ოვლისისფერ ყინვის თასებში" ანდა „ „ალმაცერ თოვლში". ეს ყველაფერი გონების თვალსაწიერში არ შემოდის, და არც უნდა შემოდიოდეს, მხოლოდ უფაკიზეს გრძნობას შეუძლია აღიქვას იგი..."

დავით მჭედლური შესანიშნავად იცნობს თანამედროვე ქართულ ლიტერატურას და ცოდნას ალღოიანად წარმართავს ამა თუ იმ მწერლის, ამა თუ იმ საკითხის განხილვისას. მისთვის უცხო არაა ესეისტიკური მანერა წერისა, აზრისა და ემოციის შეთანაბრებით მშვენიერების შეცნობა, ემპირული ფაქტებისა და მოვლენების მიღმა მთავარის დანახვა და მისი შეურყეველი ინტერპრეტაცია. ასეთ წერილებს განეკუთვნებიან: „წითელი მიბაკის ლეგენდა", „დაწერილი სისხლის წვეთით", „მარადიული ცხოვრების ლეგენდა", „ნოსტალგია მთებზე" და „როცა ილება ხსოვნის სარკმელი".

აღნიშნულ წერილებში ყველაზე უფრო რელიეფურად ჩანს ავტორის, ვთარცა პოეტის, ესთეტური მრწამსი, ქართული სულის არტისტული აღზევებით მოგვრილი განცდა და ტრაგიკელი, უანლოდ წინაპართა (ვ.ი.ა-ფშაველი, გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ტიციან ტაბიძე) წინაშე ქედმოდრეკა და უბრალო, ადამიანური აღფრთოვანება.

სკოლის დამთავრების შემდეგ, ალბათ, ბევრ ჩვენთაგანს აღარ წაუკითხავს ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი". და განა მარტო ეს მოთხრობა?

„ეს დაუვიწყარი სოლომონ ისაკიჩ", ასე ჰქვია დ. მჭედლურის წერილს, რომელიც უმრწმესი თაობისათვის მაგალითია იმისა თუ

როგორ უნდა ვეპაურობოდეთ ლიტერატურულ მემკვიდრეობას. რათა სულიერ ღირებულებათა შექმნისა და დაგროვების პროცესს ნიადაგ წარმართავდეს ეროვნულობის უპირველესი და უტყუარი შემოქმედებითი ძალა.

დავით მჭედლური ცდილობს თანამედროვე პოეტებისა და პროზაიკოსების შემოქმედებაში დაინახოს და გამოამზეუროს ის, რაიც მანამდე სხვას არ შეუმჩნევია ან შეუმჩნევია, მაგრამ ყურადღება არ გაუმახვილებია. ამ მხრივ საინტერესოა წერილები, რომლებშიც განხილულია გაბრიელ ჯაბუშანური, იოსებ ნონეშვილის, ზოთა ნიშნიანიძის, თამაზ ჭილაძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, ტარიელ ჭანტერიას შემოქმედება. აღნიშნული პოეტების (გარდა გ. ჯაბუშანურისა) შემოქმედების შესახებ უამრავი წერილია გამოქვეყნებული და ამის გამო რაიმე ახლის თქმა, ცხადია, ძნელია. მიუხედავად ამისა, დ. მჭედლური მაინც ახერხებს მათი შემოქმედების ზოგიერთი მომენტის ახლებურად გააზრებას. მანამდე შეუმჩნეველი ნიუანსის, ქვეტექსტისა და შტრიხის შემჩნევა-წარმოჩენას.

გაბრიელ ჯაბუშანური ტრაგიკული პიროვნება იყო. პოეტის ბედისწერასთან წილნაყარს, საუკეთესო მეგობრებით დაობლებულს, მარტოობით გულგასენილს და რეალური ცხოვრებით გულგაწვრილებულს უმირდა სამზეოზე ყოფნა... რამდენჯერმე შევხვედრივარ გაბრიელ ჯაბუშანურს მისი სიცოცხლის მიწურულს. ჭეშმარიტი უბრალოება, შინაგანი სიძლიერე და გარეგნული უფროობა, თავისუფლებისაკენ ხაზგასმული ლტოლვა და ზოგჯერ მიამიტი ჭირვეულობა, ჩემზე, ჯერ კიდევ უმწვილზე მომნუსხავად მოქმედებდა...

დიახ, უჯირდა და ამიტომ ხმაგაუბზარავად, მაგრამ მაინც მოთქვამდა:

> ცოტაც და ალბათ მუნჯი ქარონი,
> მე მომაახლებს სამშონო ნაპირს,
> მელიან დღენი მანდ უქარონი
> და მოთმინების დაშლილი ძაფი...

სითბოთი და სიყვარულით წერს დავით მჭედლური პოეტის პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ: „...გაბრიელი ცხოვრებაში არ იყო აქტიური პიროვნება... სიტყვაძუნწი და ეული, იშვიათად გამოჩნდებოდა მწერალთა წრეებში, პოეტი არც კრიტიკის ყურადღებით იყო დიდად განებივრებული.

მაგრამ გაბრიელ ჯაბუშანურის პოეზიის ნაკლებ პოპულარობის მიზეზი იქნება თვით ამ პოეზიის ხასიათში იყო საძიებელი, პოეზიისა, რომელიც მოკლებული იყო იმ წლების მოდურ პათოსს, ხოლო ლექსები, რომლებშიც ასეთი ელემენტები მაინც მოიპოვებოდა, მხარს ვერ უსწორებდნენ მის საუკეთესო ქმნილებებს...“

რა არის პოეზია? ვინ არის პოეტი? რამდენი რამ დაწერილა ამის გამო... ადამიანის მეძიებელი გონება ყოველნაირად ცდილობს [illegible] მედებითი აქტის გონებისმიერ ახსნას, მაგრამ საბედნიეროდ, ჯერჯერობით ეს ვერავინ მოახერხა და, ალბათ, არც მომავალში მოახერხებდა.

გენიალურ პოეტებს დიდი ეპოქები ბადებენ და მართალია დ. მჭედლური, როცა წერს: „...მე არც ის მჯერა, ან რვაასი წლის მანძილზე საქართველოში რუსთაველის ტოლფარდი გონების კაცი არ დაბადებულიყოს, მაგრამ ეტყობა ცუდ დროს დაიბადა ან ეპოქას გენიალური პოეტი არ სჭირდებოდა და არაერთი დიდი გონება სხვა საქმეში გაოფატა...“

ყველა მნიშვნელოვან ერს ჰქონია თავისი ოქროს ხანა. საქართველოსთვის ასეთი იყო დავითისა და თამარის დრო. იმ დიდი ეპოქის გენიალური შვილი იყო რუსთაველიც. არ მეორდებიან ეპოქები და, შესაბამისად, — მხატვრული აზროვნების კოლოსებიც, მაგრამ სიცოცხლის განცდის უსასრულობა ნიადაგ დამუხტულია ახალ-ახალი სულიერი აფეთქებებისათვის.

მეოცე საუკუნის უდიდესმა ქართველმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ და მისმა თანამედროვე სხვა დიდმა პოეტებმა მსოფლიო სიმაღლეებს აზიარეს ქართული ლექსი, ქართული კაცის მხატვრული აზროვნება.

დღევანდელ ქართულ პოეზიას რამდენიმე მაღალნიჭიერი პოეტი ამშვენებს. ისინი, ალბერ, ჩვენს გვერდით ცხოვრობენ და მოღვაწეობენ. დავით მჭედლური ცდილობს ზოგიერთი მათგანის შემოქმედების თავისებურებანი წარმოაჩინოს და ამას სიყვარულითა და გულისყურით აკეთებს. სიყვარული კი ის შუქია ურომლისოდაც კარგისა და მშვენიერის დანახვა შეუძლებელია.

იოსებ ნონეშვილის შემოქმედების შესახებ ახალი თითქოს რა უნდა ითქვას, მაგრამ დ. მჭედლური მაინც ახლებურად წარმოაჩენს ზოგიერთ შტრიხსა და ნიუანსს. მისი აზრით იოსებ ნონეშვილის სადა და ნათელი ლექსის მიღმავარი თვისებაა „ლექსის შინაგანი ემოცია, მისი ესთეტიკური სრულყოფილება, ანუ მის ქსოვილში ჭარბად მოცემული „სიდუმლო წვეთები“, რასაც მარტოდენ პოეზია ჰქვია და რომლის გარეშეც ლექსი „თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი“. იოსებ ნონეშვილის პოეზიის შესახებ დაწერილ არც ერთ წერილში არ წამიკითხავს ის, რაიც დ. მჭედლურს შეუმჩნევია, კერძოდ:

> და როგორც იქნა, სიო მეღირსა,
> ალბათ განგების მონაბერია,
> ბნელია ღამე ბენარესისა,
> როგორც უსიზმრო ძილი — ბნელია.

ეს ბოლო სტრიქონი „როგორც უსიზმრო ძილი — ბნელია“ იოსებ ნონეშვილის მხატვრუ-

ლი აზროვნების სტილისათვის იშვიათი მოვლენაა. იგი არ ესწრაფოდა შინაგან, ასოციირებულ მეტაფორებს, საგნების მხატვრულ გარდასახვას მათი გარეგნული აღქმით ახდენდა...''

აი. ამგვარი დაკვირვებებით (სხვა წერილებშიაც რომ საკმაოდაა) ცდილობს დ. მჭედლური სხვათა შემოქმედების ახსნა-გაანალიზებას და უმრავლეს შემთხვევაში მიზანსაც აღწევს. ამავე წერილში არის ზოგიერთი მოსაზრება, რომელთა გამოც ვერ დავეთანხმები მას. აი, ერთი მთგანი: „იოსებ ნონეშვილი არ იყო მტკიცედ ნაქედი ფორმის მიმდეკარი, წერდა ნაკადი საზომებით, ხალეებად იბრძოდა ახალი რითმების მოსაპოვებლად...''

ამგვარი მოსაზრება სხვა წერილებშიაც გვხვდება და ამიტომ მინდა ცოტა დაწვრილებით ვთქვა ჩემი სთქმელი:

ჯერ ერთი, ნაკადი საზომებით წერა სრულიადაც არ გამორიცხავს ფორმის ნაპედობას და თუ ეს მაინც სადაოა, ის კი ჭეშმარიტება მგონია, რომ ახალი რითმებისათვის ბრძოლა (ზნირად თვითმიზნური) პოეზიაში ბევრს არაფერს უნდა ნიშნავდეს. სამაგალითოდ მოვიხმოთ თუნდაც ვაჟა-შუაველას შემოქმედება. ვაჟას ლექსებსა და პოემებში არ არის იმგვარი რითმები, რომლებიც თავზესაყრელადაა არჩილისა და თეიმურაზის პოეზიაში, ან თანამედროვე პოეტების შემოქმედებაში, მაგრამ ვაჟა-შუაველას გენიას ამით, მგონი, არაფერი დაკლებია. საერთოდ, რითმა ლექსის ყველაზე უფრო ხელოვნური ნაწილია და დიდი ოსტატობა მართებს პოეტს, რათა რითმა ბუნებრივად ჩაეკსოვოს ლექსის მხატვრულ შინაარსს, ანუ როგორც ლევ ტოლსტოიმ თქვა პუშკინის ერთი რითმის გამო:

Кажется, эта рифма так и существовала от века.

დიახ, რითმას აქვს თავისი ხიბლი, მაცდუნებელი ძალა („და სხვას მაძალებს წყეული რითმა''), მაგრამ პოეზიის პრიმატამდე ვერასოდეს ამაღლდება. ძველი, ნაკადი რითმებითაც შეიძლება გენიალური ლექსის დაწერა, უერთმოდაც და ახალი, ხასხასა რითმებითაც, რადგან მთავარი მაინც ისაა, რასაც პოეტის „ღვთიურ მადლს'' უწოდებენ.

პროფესიონალიზმის დღევანდელმა დონემ პოეზია გააფერმკრთალა. ხელგაწაფულობამ აჯობა შემოქმედებით ალტკინებას, რაციონალიზმმა — განცდის ეკსტაზს. ლექსი ერთობ „დაკვეანდა'', ანგარიშიანი გახდა, ბევრი ინფორმაცია შეიძინა და პოეზიაც თანდათან კარგავს თავის ავტონომიას. საუკუნე პროზის უპირატესობით თავრდება, მაგრამ ეს პროცესი უმტკივნეულოდ როდი მიმდინარეობს, — პოეზია იბრძვის განახლებისათვის, კაცობრიობის სულიერ სამკვიდრებელში კუთვნილი ადგილის შენარჩუნებისათვის.

იმ ქართველ პოეტთა შორის, რომლებიც ქართული ლექსის განახლებისათვის იბრძვიან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოეტი ტარიელ ჭანტურაია. დავით მჭედლური კარგად წარმოაჩენს პოეტის ამ დამსახურებას წერილში „კალლექსების წერას რა უნდა'' აღნიშნული წერილი საუკეთესოთაგანია ამ წიგნში და მინდა ცოტა დაწვრილებით ვილაპარაკო.

უთუოდ მართალია დ. მჭედლური როდესაც წერს: „...ტარიელ ჭანტურია ფორმის დაცვა-რომელი მაძიებელია. მან ამ მხრივ უჩვეულო მრავალფეროვნებას მიაღწია...'' და კიდევ ის, რომ პოეტი თავის შემოქმედებას „...გულიდან სისხლის გამოსვლის ფასად ქმნიდა. ქმნიდა ჯიუტად, მოთმინებითა და რუდუნებით, ეკვეთებსა და წყრომის არად ჩაგდებით, რადგან ჩვეულებრივ გზაზე დამდგარი კაცისათვის კარგად ნაცნობი, მიმითითებელი ნიშნებით აღჭურვილი გზიდან დიდი ხნის წინათ, სიჭაბუკის ეამს, პირველი პოეტური ნაბიჯებიდანვე დგადაუხვია და საკუთარი ქალაქის საძებრად გაეშურა. ამ გზაზე არც ცდომილება და ხელმოცარვა დაჰკლებია, ბეწვის ხიდზეც უვლია, მაგრამ მწვერვალზეც ასულა — რაკა თქმა უნდა, გულიდან სისხლის გამოსვლის ფასად, იგი ჭეშმარიტი პოეტის ცხოვრებით ცხოვრობდა...''

პირადად მე, ყოველთვის მოულოდნელობის გრძნობით ვკითხულობ ხოლმე ტარიელ ჭანტურიას ლექსებს, რადგან არავინ უწყვის „მორიგ ახალ წიგნში რა სიურპრიზს მოგიმზადებს''. მოულოდნელობის ეს ეფექტი, როგორც დ. მჭედლური სწორად აღნიშნავს „ვრცელდება ფორმასა და კონკრეტულ შინაარსზე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ტარიელ ჭანტურიას მსოფლმხედველობაზე, ან ძირითად მაგისტრალურ გზაზე, რომელსაც ოდითგან მიჰყვება ქართული პოეზია და ტარიელ ჭანტურიაც ერთგული მისი''.

პოეტი, რაც უფრო დიდია და თანამედროვე, მით უფრო ღრმად წვდება თავისი დროის არსებით ფსიქოლოგიურ არსს, თანამედროვე ადამიანის ცხოვრებასა და სულიერ სამყაროში მიმდინარე პერმანენტულ განახლება-გადახალისებას. ჭეშმარიტი პოეტები თავის მხატვრულ სისტემას, მხატვრულ სამყაროს ჰქმნიან და ერთმანეთისაგან სწორედ ამით განსხვავდებიან. დიდი პოეტი სხვათა ენაზეც დიდია (კარგი მთარგმნელის ხელშია), რადგან ადამიანები რასის, ეროვნების და რწმენის მიუხედავად ერთმანეთს უფრო ჰგვანან, ვიდრე ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. პოეტები მშობლიურ ენაზე ჰქმნიან თავიანთ ნაწარმოებებს, მაგრამ მშობლიური ენის ეესპლოატაცია რაიმე ფორმალური ორიგინალობის მისაღწევად ან „საკუთარი ხმის'' დასაყენებლად საბოლოოდ განწირული და ამაო საქმეა. სწორედ ამიტომაა, რომ **ბარეოორთა „პოეტურობა'' აგერ, ჩვენს თვალწინ გაუფასურდა. პოეზიას ფერუმარილი არ სჭირდება.** პო-

ეზია ბეღისწერაა და პოეტისაგან ნიჭსა და პატიოსნებასთან ერთად მოითხოვს იმას, რაზედაც გურამ ასათიანი წერდა ივივე ტარიელ ჭანტურიას შესახებ: „საკვირველი არ არის, რომ მას ასე ხშირად უფეთქდება სტრიქონი, საოცარია მისი შეუპოვრობა, თითქმის უნიკალურია მისი გულგრილობა საკუთარი პოეტური კეთილდღეობისა და რეპუტაციის მიმართ.

ლიტერატურის ნამდვილი ისტორია უანგარო თავგამეტების ამგვარ ფაქტებს არ ივიწყებს".

ზემოთ აღვნიშნე, რომ დავით მჭედლურის თვალსაწიერი საკმაოდ ფართო და მრავალმხრივია-მეთქი. ამასთანავე იგი საღად მსჯელობს იმ საკითხების გამო, რომლებიც ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში ამჟამად ასე მძაფრად დგას. ამის დასტურად მოვიტან მცირე ამონაწერს ერთი წერილიდან:

„...ჩვენ ხშირად სიახლეს იმასაც ვეძახით, მხოლოდ პროფესიონალთა ვიწრო წრე რომ იცნობს, მაგრამ ფართო საზოგადოებაზე მას არავითარი ზეგავლენა არა აქვს, ან იმიტომ რომ ვერ გაუგია, ან იმიტომ, რომ ამნაირი სიახლე მას არ სჭირდება.

ორივე შემთხვევაში ფსევდონოვატორობასთან გვაქვს საქმე, რომელიც საზოგადოების სოციალური წიაღიდან კი არ მოდის, მოგონილია, ან სულაც მიბაძვას წარმოადგენს და მისი გავლენის არეალიც იმ ხალხით განისაზღვრება, მზად რომ არიან უმალ იმ გზაზე გადაუხვიონ, რომლის დასასრული კარგად არცა აქვთ გააზრებული. ასეთები კი ყოველთვის მოიძებნებიან..."

ამ სამწუხარო სინამდვილეს არა მგონია დამატებითი განმარტება სჭირდებოდეს.

კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ დავით მჭედლურის ლიტერატურული თვალსაწიერი საკმაოდ ფართო და მრავალმხრივია, მაგრამ მთავარი, ალბათ, მაინც ისაა, რომ ჭეშმარიტ წერილში ჩანს სხვათა ნაღვაწით გახარება, გულისხმიერება და თანადგომა. ზემოჩამოთვლილ მწერლებთან ერთად სწორედ ამგვარადაა განხილული და წარმოჩენილი ვახტანგ ჭელიძის, გურამ ფანჯიკიძის, რევაზ მიშველაძის, ჯანსუღ ღვინჯილიას, მამუკა წოკლაურის, ფიდო ბეჭიშვილის, გივი ალხაზიშვილის, ბალათერ არაბულის და სხვათა შემოქმედება ან ცალკეული წიგნები.

შესაბამისი ერუდიციითა და საქმის ცოდნით მსჯელობს დ. მჭედლური, როდესაც განიხილავს იმ ნაშრომებს, რომლებშიაც აღძრულია საქართველოს ისტორიის, დემოგრაფიის, ფშავ-ხევსურეთის მითოლოგიისა და საკულტო-წესჩვეულებათა საკითხები.

„ახალი სამყაროს კარიბჭესთან", ასე ჰქვია წერილს, რომელშიაც მიმოხილულია 1982-84 წლებში „ნობათში" გამოქვეყნებული პოეზია და პროზა. მიუხედავად იმისა, რომ წერილი მიმოხილვითია დ. მჭედლური მაინც ახერხებს მთავრის წარმოჩენას, ის ძირითად მიმართულების ინტერპრეტაციას, რომელიც ახალგაზრდულ მწერლობაში შეინიშნება. პირუთვნელად მიუთითებს ღირსება-ნაკლოვანებებზე და ცდილობს სიმართლე ისე თქვას სხვა არ გააღიზიანოს. ყველას, რა თქმა უნდა, ვერ მოეფერები, რადგან მოფერება და დაუკვირვებლობა ნიჭიერ კაცს სჭირდება, ხოლო ასეთები არც ისე ბევრია, როგოც ერთი შეხედვით ჩანს. განა მართალი არაა დავით მჭედლური: „...ნიჭიერი კაცი თავმდაბალია, თვალში არავის ეჩხირება, ახირებულობა და ამპარტავნობა კი ხშირად უნიჭოთა ხასიათის თვისებაა. უნიჭო თავაწეული დაიარება და მისი ყოველდღიური მარშრუტი მწერალთა კავშირზე, რედაქციებსა და გამომცემლობაზე გადის. დაუინებას თავისი ნაყოფი მოაქვს — იბეჭდება უხეირო ლექსები, გამოდის უსახური პირველი წიგნები, ხოლო ნიჭიერი მწერლის ნაწარმოებები, შესანალია, წლობით აწყვია მაგიდის მაუდკვეშ და გამკოთხავი არავინ არის..."

...ამ პატარა რეცენზიით მხოლოდ იმისი თქმა მინდოდა, რომ დავით მჭედლურმა დაწერა წიგნი, რომლის თანაავტორი სიყვარულია, მაგრამ ეს სიყვარული ბრმა სიყვარული როდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეიმზ ჯოისის ნაწარმოებები ყოველთვის წარმოადგენდა კინორეჟისორების, მსახიობების, ოპერატორებისა და სცენარისტების დიდი ინტერესის სფეროს.

ათიანი წლების დასაწყისში, ევროპელი მეცენატების დახმარებით, ჯოისი პირველ ირლანდიურ კინოთეატრს ხსნის, კინოთეატრის საკმეები ვერ აეწყო, რადგან აქ იტალიური ფილმებს უშვებდნენ, რომლისთვისაც პროვინციელი ირლანდიელები მზად არ იყვნენ. მაგრამ ახეა თუ ისე, ჯოისის მიერ ირლანდიაში კინოთეატრის დაარსება თავისთავად საინტერესო ფაქტს წარმოადგენს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კინორეჟისორებიდან სერგეი ეიზენშტეინი ერთ-ერთი პირველი ჩასწვდა ჯოისის შემოქმედების კინემატოგრაფიულობას. მან გულდასმით შეისწავლა ჯოისის ნაწარმოებთა პრინციპი „ცხოვრების დეპანგდოტიზაცია." ეიზენშტეინი თავის წერილებში ხშირად ეხებოდა ჯოისის შემოქმედებით გამოცდილებას. შემორჩენილია „დუბლინელების", „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობაში" და, რაც მთავარია „ულისესს" სცენარების პროექტები. ჯოისის ნაწარმოებები ეხმაურებოდა რეჟისორის მიერ ცხოვრების ასახვის ხერხებს.

ასეთივე პროფესიული ყურადღებით პასუხობდა ეიზენშტეინს ჯოისი. ძალზე დაქვეითებული მხედველობის მიუხედავად ჯოისი გულდასმით უყურებდა ეიზენშტეინის „პოტიომკინს" და, როცა ჰკითხეს, თუ, რა იზიდავდა ამ საბჭოთა რეჟისორის ხელოვნებაში, მან უპასუხა: „მონტაჟი, სხვადასხვა ცხოვრებისეული მასალის შერწყმის უნარი".

ჯოისის ნაწარმოებების არც თუ ისე ცოტა ეკრანიზაცია არსებობს. ვხედავთ ჯოისის რომანის „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობაში" რამდენიმე ვარიანტს. სპეციალისტები თვლიან, რომ მათ შორის გამორჩეულია 1978 წელს გადაღებული ფილმი (რეჟისორი ჯოუზეს სტრიკი). ფილმის წარმატებას ჯონ გილგუდის მონაწილეობამაც შეუწყო ხელი. იგი ასრულებდა იმ სკოლის მქადაგებლის როლს, სადაც სტივენ დედალუსი სწავლობდა.

მაგრამ რეჟისორებისთვის გამორჩეულად საინტერესო და რთულ ნაწარმოებს „ულისეს" წარმოადგენს. ამ რომანის ეკრანიზაციას ცნობილი ჰოლივუდელი პროდუსერი და რეჟისორი სემუელ გოლდვინი აპირებდა. ჯოისთან ერთად სცენარსაც კი ამუშავებდა, ადგენდა აქტიორულ შემადგენლობას. ცნობილია, რომ ბლუმის როლში ჯოისს ჯორჯ არლისი უნდოდა, მაგრამ გეგმები გეგმებად დარჩა და, ორი უკომპრომისო ადამიანის თანამშრომლობა იმით დამთავრდა, რომ მათ ვეღარ შესძლეს ერთად მუშაობა.

„ულისეს" მიხედვით ერთადერთი სრულმეტრაჟიანი ფილმი არსებობს, რომელიც რეჟისორმა ჯოუზეფ სტრიკმა 1968 წელს გადაიღო. ბლუმის როლში მაყურებელმა ნახა მილი ო"ში, ხოლო მოლის ანსახიერებდა — ბარბარა ჯეფორდი.

ჯოისის ნაწარმოებებიდან დღეისთვის საუკეთესო ეკრანიზაციად ითვლება ცნობილი ამერიკელი რეჟისორის ჯონ ჰიუსტონის (1906-1966) ფილმი „მკვდრები", რომელიც მან ამავე სახელწოდების მოთხრობის (კრებულიდან „დუბლინელები") მიხედვით გადაიღო. „მკვდრები" რეჟისორის ბოლო ნამუშევარია, მაყურებელი ჰიუსტონის გარდაცვალების შემდეგ გაეცნო. „მკვდრები" ჯოისის მოთხრობებში ყველაზე რთულია, რაც შეეხება კინემატოგრაფიულ გარდასახვას აქ კი განსაკუთრებული სიძნელეებია, რადგან მოთხრობაში პრაქტიკულად არ არის მოქმედება. ფილმში მხატვრული და ფილოსოფიური თვალსაზრისით ყველაზე სრულყოფილად ითვლება ფინალური სცენა სასტუმრო ოთახში.

ენტონი ბერჯერსი დიდ ყურადღებას უთმობდა ჯოისის ნაწარმოებებთან დაკავშირებულ პრობლემებს. მას კეკუთვნის რამდენიმე გამოკვლევა ჯოისზე. მას არც ჰიუსტონის ფილმი დარჩენია ყურადღების გარეშე, მან „ნიუიორკ ტაიმსში", გამოქვეყნდა ვრცელი სტატია. ბერჯერსი ჰიუსტონის ფილმს „ოჯახურს" უწოდებს. მართლაც, სცენარი ჰიუსტონის ვაუს ეკუთვნის, ერთ-ერთი მთავარი როლი წარმატებით შეასრულა მისმა ქალიშვილმა. ირლანდიაში იზრდებოდნენ ჰიუსტონის შვილები. აქ გაატარა მან თავისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წლები. „ირლანდიაში — იგონებს ტონი ჰიუსტონი — მამას მოსწონდა ყველაფერი — ცხოვრების წესი. დღემდე შემორჩენილი ტრადიციები, ბუნება, კულტურა, ხალხი". სწორედ ირლანდიის სიყვარულმა განაპირობა ფილმის წარმატება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩ ვ ე ნ ი მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, „ცისკრის" დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 8. 09. 88 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. 11. 88 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. საგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 2287. უე 01561 ტირაჟი 70.000

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი
დროშის ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის, 14
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства
ЦК КП Грузии. г. Тбилиси. ул. Ленина. 14

ფასი 60 კაპ.
1 Dor
ინდექსი 76286
ეროვნული ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ